საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

# საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

28 ივლისი – 3 აგვისტო, 2010

№28 (71)

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

## 3 დიმიტრი მედვედევმა ქართველები დააჯილდოვა

## უჩვეულო სიცხის შედეგად ქართველმა დეპუტატებმა ისტორიული მეხსიერება დაკარგეს 6

გურამ გირგვლიანი:
## ჩემი შვილის მკვლელები 8 საკუთარ სახლებში ქეიფობენ და პრეზიდენტის ქება-დიდებაში ატარებენ დროს

## ხორცის ნაჭრები, ნაცარქექიები 12 და მახათით მოთამაშეები

# ვინ შეაჩერებს სააკაშვილის ველოსიპედს?



„რეფორმები ველოსიპედს ჰგავს — როგორც კი პედლების ტრიალს შეწყვეტ, მაშინვე ჩამოვარდები“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა განათლების სამინისტროში სტუმრობისას. იმ მიღწევების გათვალისწინებით, რომელიც ამის მთქმელს ველოსპორტის დარგში აქვს, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს დაკვირვება მდიდარ პირად გამოცდილებას ეფუძნება. ის ფაქტი, რომ სიარულსა და გაჩერებას შორის არსებობს სტადია, რომელსაც „დამუხრუჭება“ ჰქვია, ზოგისთვის სიცოცხლის ბოლომდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება. 2

ბიძინა გიორგობიანი:
## «ნაცმოძრაობა» ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელიც შურს იძიებს ჩემზე 6

**მე პოლიტიკაში ვიყავი მაშინაც, სანამ ვანო მერაბიშვილი უდე-თბილისის ავტობუსს დედაქალაქში ჩამოჰყვებოდა**

# იშვიათი შიზო

ციტატები ჟურნალიდან, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები 2008 წლის არჩევნების წინ მოსახლეობაში არიგებდნენ:

„ვინ არის მიხეილ სააკაშვილი? ის მიეკუთვნება ისტორიულ მოღვაწეთა უიშვიათეს სახეობას, როგორებიც არიან პეტრე პირველი ან გენერალი პინოჩეტი. ესენი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ცვლიან ქვეყნის ბედს, ფულს კი არ შოულობენ თავიანთი თანამდებობით, არ ახვევენ თავს ქვეყანას იდეებს (კომუნიზმის, ფუნდამენტალიზმის და ა.შ.), არამედ პრინციპულად ცვლიან საზოგადოების განვითარების მიმართულებას, სტრუქტურასა და ბედს. სააკაშვილს, როგორც ჩანს, სურს, რომ ასე იყოს: მეფე დავითი, თამარ მეფე და ბატონი მიხეილი; უმჯობესია საპირისპირო თანმიმდევრობით. ეს იმდენად ამაღლებული ამოცანაა, რომ მილიარდი დოლარის ასაღებადაც კი არ ღირს დახრა“. 5






გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როცა კონდოლიზა ქუხს, ზარბაზნები დუმან (ქართული ანდაზა)

საკმაოდ უცნაური ინფორმაცია გაავრცელა ამასწინათ ორგანიზაცია World Leaders Travel-მა. თურმე სექტემბერში მსოფლიო ლიდერთა მეხუთე სიმპოზიუმის ფარგლებში საქართველოს, თურქეთს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და რუსეთს ცნობილი პოლიტიკოსები და ექსპერტები ეწვევიან. ამ ქვეყნებს, სხვა პოლიტიკოსებთან ერთად, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, თავდაცვის არანაკლებ ყოფილი მდივანი უილიამ ჯეიმს პერი, მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორი დიმიტრი ტრენინი და სხვები ეწვევიან.



მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, ეს ორგანიზაცია კინომოგზაურთა კლუბის მსგავსი რამაა და თავისი სენკევიჩი ჰყავთ, თუ რაშია საქმე და რატომ ჰქვია „მსოფლიოს ლიდერთა მოგზაურობა“, მაგრამ ამას კიდევ არაუშავს. სიმპოზიუმიო, ამბობენ და ხუთი ქვეყანაა ჩამოთვლილი, რომლებიც ზემოაღნიშნულმა ლიდერებმა თავიანთი სტუმრობით უნდა გააბედნიერონ. უკაცრავად, მაგრამ ეს სიმპოზიუმია თუ ხაშლამაა ჩამოტარებით? ასეთი მოსიარულე და ენერგიული სიმპოზიუმის არსებობის შესახებ პირველად შევიტყვე, რაღა დაგიმალოთ.

**მთავარი კი, ჩემი აზრით, მაინც ისაა, რომ საქართველოში, უკვე მეორედ თუ მესამედ, კონდი ჩამოდის. კონდი — ჩვენი ჩიტირეკია ხელისუფლებისთვის, თორემ ისე ეს ქალი მთელ მსოფლიოში კონდოლიზა რაისის სახელითაა ცნობილი. ჩვენთვის, მართალია, იგი იმით გახდა დასამახსოვრებელი, რომ ზედ აგვისტოს ომის ცხვირწინ ჩამოგვიარა, ომი არ გაბედოთო, თითი დაგვიქნია და „ბოინგის“ სისწრაფით გაფრინდა უკან. ასე სწრაფად ნათქვამი სააკაშვილმა ვერ გაიგო თუ პირიქით გაიგო და კიდევაც რეკა მეორე დღესვე ცხინვალს გრადები. ელდა ეცა საწყალ კონდის და რამდენიმე დღეში ისევ ჩამოქანდა, ხომ გეუბნებოდი, შე უპატრონო, არ გაისროლო-თქო!**

**ახლა ეს ქალი ისევ ჩამოდის. რა ვქნათ, ღვთისნიერიც რომ არავინაა ქვეყანაში, გრადები და ზარბაზნები რომ გადაუმალოს მიშას, ემანდ კიდევ რამე გაუგებრობაში არ მოგვაყოლოს!**

ისე, ტოტალიზატორშიც შეიძლებოდა გარკვეული ფსონის დადება – კონდის პირველ ჩამოსვლას რუსეთთან ომი მოჰყვა, რა მოხდება ამჯერად?

**სალვადორ დვალი**



# ვინ შეაჩერებს სააკაშვილის ველოსიპედს?

**„რეფორმები ველოსიპედს ჰგავს — როგორც კი პედლების ტრიალს შეწყვეტ, მაშინვე ჩამოვარდები“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა განათლების სამინისტროში სტუმრობისას. იმ მიღწევების გათვალისწინებით, რომელიც ამის მთქმელს ველოსპორტის დარგში აქვს, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს დაკვირვება მდიდარ პირად გამოცდილებას ეფუძნება. ის ფაქტი, რომ სიარულსა და გაჩერებას შორის არსებობს სტადია, რომელსაც „დამუხრუჭება“ ჰქვია, ზოგისთვის სიცოცხლის ბოლომდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება. თუმცა ეს სააკაშვილის ხელისუფლების სტილი ნამდვილად არ არის: არანაირი დამუხრუჭება; წინ, მხოლოდ წინ, თუნდაც გზა უფსკრულისკენ მიდიოდეს.**



## როცა მოგვიხმობს პარტია

გამოჩენილი ველოსიპედისტის გამოსვლაში განათლების სამინისტროში ორი საინტერესო ფრაზა იყო: **„ვისაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება სურს, ის 12-წლიან სწავლაზე უნდა გადავიდეს“,** — თქვა სააკაშვილმა და ოდნავ მოგვიანებით დასძინა: **„მომავალი წლიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ ორდონიან სწავლებაზე გადასვლა. თუ ვინმეს არ უნდა უმაღლესი განათლების მიღება, რაშიც დასაძრახი არაფერია, 10-წლიანი სწავლების შემდეგ ჩააბარებს მინიმალური საშუალო განათლების გამოცდებს და მიიღებს შესაბამის ატესტატს. ხელობის შესწავლის მსურველთათვისაც უნდა შევქმნათ წინაპირობა სკოლებში“.**

აქამდე, საბაზო (და არა „მინიმალური საშუალო“, ტერმინი „საშუალო“ „საბაზოს“ მომდევნო საფეხურთან დაკავშირებით გამოიყენება) განათლების მიღებისთვის საჭირო იყო 9 კლასის დამთავრება. ეს ნებისმიერმა სკოლის მოწაფემ იცის და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში (თავი II, მუხლი 9, პუნქტი 1; თავი I, მუხლი 2, პუნქტი „ო“) იგივე წერია.

აქ ორი ვარიანტია: **ან სააკაშვილს ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა და ეგონა, რომ სწავლა მე-12 კლასამდე სავალდებულოა, ან კიდევ აპირებს 9-წლიანი ვადა 10 წლამდე გაზარდოს და დასკვნით ეტაპზე მას პროფესიულ-ტექნიკური მიმართულება მისცეს.** ამ იდეის განვითარებას „ორდონიანი სწავლების“ პირველ „დონეზე“ სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ძნელად წარმოსადგენი ჰიბრიდის (ქიმერის?) შექმნამდე მივყავართ. **თუმცა გაცილებით საინტერესო XI-XII კლასების ცალკე „დონედ“ გამოყოფის სურვილია, ეჭვიანმა დამკვირვებელმა შეიძლება ამის მიღმა ამ საფეხურზე სწავლისთვის საფასურის შემოღების განზრახვა დაინახოს.**

სააკაშვილი ისე ემოციურად საუბრობდა იმაზე, რომ **„სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული იქნება საინჟინრო და ტექნიკური დარგების დაფინანსება“,** რომ ვიღაცას, შესაძლოა, მოეჩვენა კიდეც, რომ ქვეყანა ინდუსტრიული გარღვევის ზღურბლზე დგას, ხოლო ინოვაციური ტექნოლოგიები საცაა „დეზერტირებში“ „ვედრა მანეთად“ გაიყიდება. ვიდრე უახლოესი ნათესავები უამბობენ ველოტრეკების ლეგენდას, თუ რა ხდებოდა მისი მმართველობის წლებში ტექნიკურ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით კი იმ კორპუსებში, რომლებსაც მფლობელი შეეცვალა, ჩვენ კიდევ ერთი საგულისხმო ციტატა განვიხილოთ:

**„საქართველოს მომავალი საინჟინრო დარგების განვითარებაზეა დამოკიდებული, ინოვაციაზე, საკუთარი პროდუქტის შექმნასა და მის ექსპორტირებაზე. სინგაპურის განვითარების საფუძველიც ეს იყო და ასე განვითარდა ჩინეთიც. ჩინეთის პოლიტბიურო, ძირითადად, ინჟინრებით არის დაკომპლექტებული, რადგან მათ კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს ტექნიკური დარგების განვითარება“.**

თავი დავანებოთ იმ უმნიშვნელო დეტალს, რომ სინგაპურისა და ჩინეთის წარმატების თუნდაც მეათედის გამეორებისთვის ქვეყანას სათავეში, სასურველია, ლი კუან იუს ან კიდევ დენ სიაოპინის მასშტაბის ფიგურა ჰყავდეს. ექსპორტის პრობლემებიც გვერდზე გადავდოთ, რადგან, გადმოცემით, ყველას, ვინც საქართველოს სავაჭრო ბალანსს ან თუნდაც საგარეო ვალის ამსახველ ციფრებს დახედავს, თმები ჯერ ყალყზე უდგება (ნ. გილაური), შემდეგ კი მომენტალურად სცვივა (კ. ბენდუქიძე); არ გვინდა ეს საშიში ექსპერიმენტები, ყურადღება სხვა გარემოებაზე გავამახვილოთ:

**სააკაშვილს მაგალითად მოჰყავს ქვეყნები, სადაც ერთპარტიული მმართველობაა და, ევროპული საზომით თუ მივუდგებით, ადამიანის უფლებები ხშირად,**

## რიგ შემთხვევებში ფრიად უხეშად, ირღვევა.

ჩინელებმა თავისი საქმის უკეთ იციან, თუმცა ჩვენ ამ გზით ნამდვილად ვერ ვივლით. რა პოლიტბიურო, რის ცენტრალური კომიტეტი? ამხანაგო მიხეილ, ეს ხომ ვოლუნტარიზმია!!

ერთ რამეში სააკაშვილი ნამდვილად მართალია: კადრები ყველაფერს წყვეტენ, ამ ბრძნული აზრის გატარებისთვის ჯილდოს სახით შეგვიძლია სტალინის ცნობილი გამონათქვამიც მივაწეროთ. ამ მიდგომაზე დაფუძნებული პოლიტიკის აპოთეოზად, ალბათ, ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ვერონიკა ქობალიას დანიშვნა უნდა ჩავთვალოთ. ამ საკადრო გადაწყვეტილების შემდეგ ხელისუფლებამ ბიზნესთან ისეთ ტონალობაში დაიწყო საუბარი, რომელსაც პოლიტბიუროს წევრები კლასობრივ მტერთან ბრძოლის დროს თუ იყენებდნენ.

## როსღა ელირსოს მათ დაძინება

**ქალბატონი ვერონიკა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას ისეთივე ენერგიით შეუდგა, როგორითაც ჟანა დ'არკი მიაჭენებდა ცხენს შინონიდან რეიმსისაკენ.** ო, რა უმწეოდ გამოიყურება ამის ფონზე ინსინუაციები თემაზე „აქვს თუ არ მინისტრს უმაღლესი განათლება?“.

მთავრობის ვებ-გვერდზე შავით თეთრზე წერია (სტილი დაცულია): **„2004 დაამთავრა „ბრითიშ ქალამბია ინსტიტუტი“ — ბიზნესის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით“.** სავარაუდოდ, იგულისხმება „British Columbia Institute of Technology“. აღნიშნული „BCIT“-ის ოფიციალურ საიტზე, მართალია, წერია, რომ ის არის „non-university“ სასწავლო დაწესებულება, თუმცა დროებით ჩავთვალოთ, რომ ეს სორბონაზე სერიოზული „კანტორაა“.

მაგრამ კითხვები შეიძლება თარიღებთან დაკავშირებითაც გაჩნდეს. ერთის მხრივ, „2004“ წერია, მეორეს მხრივ, „Classmates.com-ის მონაცემების თანახმად (ანკეტებს მსგავს საიტებზე, როგორც წესი, თავად კურსდამთავრებულები ავსებენ), ვერა ქობალია ცოდნის ხსენებულ ტაძარში 2000-2002 წლებში სწავლობდა (?). **და ვინაიდან საზოგადოებაში ეჭვი გაჩნდა, სასურველია, მთავრობამ დიპლომის ასლი გამოაქვეყნოს, რათა არაჯანსაღ სპეკულაციებს ამ თემაზე საბოლოო, ღირსეული, ყოვლისმომცველი და მგზნებარე პასუხი გაეცეს.**

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეწუხება ისედაც გვიწევს და ბარემ ისიც ვთხოვოთ, რომ ვრცელი კომენტარი დაურთონ მსოფლიო ბანკის მიერ გასულ კვირას გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომელთა თანახმად, **საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი მშპ-ს საერთო მოცულობიდან 68,8%-ს შეადგენს; ამ სამარცხვინო მაჩვენებლით მთელ პლანეტას ვუსწრებთ (საშუალო მაჩვენებელი 35,5 პროცენტია). ისე, შარშან იგივე ციფრი (68%) „Eurobserver“-მაც გაახმიანა.** აგვიხსენით, რა ხდება, ბატონო ნიკა, ქალბატონო ვერონიკა, თორემ დავიბენით და მძიმე აზრები გვტანჯავს.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას და დიპლომი აღარ ვახსენოთ. ბოლოსდაბოლოს, ჟანა დ'არკი 17 წლის იყო, როდესაც ყოველგვარი დიპლომის გარეშე ორლეანი ინგლისელთა კლანჭებისგან დაიხსნა და ქალბატონი ვერონიკას ასაკს საერთოდ ვერ მიაღწია, რადგან (ყოველი შემთხვევისთვის) დაწვეს.

ცხოვრება საერთოდ სასტიკი რამ არის და უსიამოვნო სიურპრიზებს უკავშირდება. შეერთებული (ჯერჯერობით ნამდვილად ასეა) შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის წარმომადგენლები თბილისში სემინარს ატარებდნენ, სადაც ამერიკის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანის საკითხები განიხილებოდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ეკონომიკის (თუნდ მდგრადი განვითარების; რა აუცილებელია ეს ორი სათაური...) მინისტრმა ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ შემდეგი კომენტარი გააკეთა: **„სამწუხაროდ, დარბაზი იყო ნახევრად ცარიელი და მე მინდა ვიკითხო, ეს მოხდა იმიტომ, რომ დილის ცხრა საათი ქართველი ბიზნეს სექტორისთვის იყო ძალიან ადრე? თუ მათ სრული ინფორმაცია აქვთ სავაჭრო რეჟიმების შესახებ და მსგავს სემინარებზე დასწრება არ შედის მათ ინტერესებში? სამწუხაროდ, თუკი ჩვენი ბიზნესმენებისთვის დილა არ დაიწყება 12 საათზე ადრე, შედეგიც არ გვექნება და სწრაფი ტემპებით ვერც ეკონომიკა განვითარდება“** („ექსპრესნიუსი“).

ეს ეპიზოდი, ალბათ, განსაკუთრებული ხმაურის გარეშე ჩაივლიდა, საქმეში მძიმე არტილერია რომ არ ჩართულიყო; **„სემინარი ჩაგვიტარეს ცარიელ დარბაზში, რადგანაც არ იკადრეს ჩვენმა ბიზნესმენებმა დილის ცხრა საათზე გაღვიძება. 9 საათზე რომ არ გინდა გაღვიძება იმისთვის, რომ შენთვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია გაიგო, თუ როგორ უნდა აიღო უმნიშვნელოვანესი ბაზარი შენი ქვეყნისთვის და შენ თვითონ ჯიბე გაისქელო, მაშინ საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!“** („GHN), — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მყისვე ისევ საყვარელ თემას შეეხო: **„მაგალითად, ჩინელი ბიზნესმენი 7 საათზე დგება და ღამის 12 საათამდე მუშაობს“.**

ამგვარად, ხელისუფლების წარმომადგენლები (ზოგიერთი ამხანაგი პოლიტბიუროდან, ცხონებული მაო რომ იტყოდა) თავს უფლებამოსილად თვლიან, უსაყვედურონ ბიზნესმენებს სემინარზე არმისვლისთვის; მეტიც, ლამის პირდაპირ მიუთითონ, როდის გაიღვიძონ, რა ღონისძიებებზე იარონ და რომელ ქვეყნებში ივაჭრონ. ეს, ალბათ, უკვე ფინიშია: Центральный Комитет Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ постановляют...

**ქართველ ბიზნესმენებს, რასაკვირველია, უამრავი მინუსი აქვთ, რომელთაგან, შესაძლოა, ერთ-ერთი მთავარი ზღვარგადასული კონფორმიზმია, თუმცა საკმარისად გონიერები არიან იმისთვის, რომ იმ ნორმებს, რომლებიც შტატებში ნაწარმის შეტანას არეგულირებს არა ზეპირ გადმოცემის, არამედ კონკრეტული საკანონმდებლო აქტების მეშვეობით, გაეცნონ.**

ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი, წახვიდე და მოისმინო, როგორ გესაუბრება უცხოელი სტუმარი (სამწუხაროდ, ასე ხშირად ხდება) ისეთ ტონალობაში, როგორსაც ცნობილი მეზღვაური ჯეიმს კუკი უკანასკნელ პაპუასსაც კი არ აკადრებდა (მაინც შეჭამეს). ბოლო-ბოლო ამქვეყნად არსებობს ინტერნეტი, იბეჭდება უამრავი ბიზნესგამოცემა, ხოლო მას, ვინც ამერიკულ ბაზარზე მსხვილ საექსპორტო ოპერაციებს გეგმავს ამერიკელი მრჩევლის ან თანაშემწის დაქირავებაც შეუძლია. ისე, ხელქვეითის როლში აღმოჩენილი ამერიკელები, ხელმძღვანელთან ხშირად ისეთი ხაზგასმული მორჩილებით საუბრობენ, როგორითაც უკანასკნელი პაპუასიც კი არ მიმართავდა ცნობილ მეზღვაურ ჯეიმს კუკს, რაც, ასევე, გამაღიზიანებელია, თუმცა ვერაფერს ვიზამთ; სხვა ხალხია, სხვა აღზრდა და იდეალები აქვთ.

**თუმცა არსებობენ სხვა ამერიკელებიც, მართალია, ბოლო დროს მამონტებივით იშვიათად ჩანან, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი ხელისუფლებისგან ქობალია-სააკაშვილის გამონათქვამების მსგავს შთაგონებებს მოისმენდა, პასუხი, გამორიცხული არაა, შემდეგი ყოფილიყო: “Who the f*** are you to lecture me?** („ჭკუას რომ მასწავლი, ვინ...“ დანარჩენის თარგმნას გამოცდილი დიპლომატები თუ შეძლებენ).

ჩვენ, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ (მაგარი ფრაზაა, დღესაც კი იყენებენ). მინდა გავიღვიძებ, მინდა დავიძინებ, მინდა თავდაყირა ვივლი და ნაწარმსაც იქ გავყიდი, სადაც საჭიროდ ჩავთვლი; კერძო ბიზნესი და პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია! და როგორც ჯორჯ ვაშინგტონმა დაგვიბარა (სინამდვილეში ტომას ჯეფერსონმა, თუმცა ეგეთი რაღაცები ეშლებათ ხოლმე): თავისუფლების ხე დროდადრო ტირანებისა და პატრიოტების ერიტროციტებით უნდა მოირწყას! Wake up, America! (აღსდეგ, ამერიკავ! არა, მართლა გაიღვიძე და აღსდეგ, თორემ გაიყინები). Freedom or death! (თავისუფლება ან სიკვდილი!.. ლაზათიანი „რეჩი“ კი გამოვიდოდა, მჭევრმეტყველება ნამდვილად ეხერხებათ).

### როდესაც გველეშაპი იღრინება

**მიხეილ სააკაშვილი ისეთი სისწრაფით განაგრძობდა სხვადასხვა სამინისტროების შემოვლას, თითქოს მართლა ველოსიპედით მოძრაობდა.** გარემოს დაცვის სამინისტროში მან კოშმარული (ედგარ პოც ვერ მოახერხებდა) სურათი დახატა: **„მეტყევეები თავს სკამზე წამოსკუპებულ მოხელეებად კი არ უნდა გრძნობდნენ, არამედ — ხალხის მსახურად. დღეს, როგორც წესი, მეტყევეები იღრინებიან და ასეთ შემთხვევაში ინვესტორს ყოველგვარი სურვილი უქრება. ასე ეკონომიკა ვერ განვითარდება. ასეთი მინიგველეშაპები რომლებიც არიან, ისინი სამსახურიდან უნდა გავუშვათ“** („ინტერპრესნიუსი“). სააკაშვილმა დასძინა, რომ ხელისუფლების სხვა ორგანოებში **„ფსიქოლოგია შეიცვალეს. ტყეებში კი ჯერ ვერ შევცვალეთ ფსიქოლოგია“.**

ზოგადად, ფლორა და ფაუნა ისეა მოწყობილი, რომ მინიგველეშაპების უკან მეგაგველეშაპი მოიაზრება, რომელიც ხეტყის მაფიოზურ ბიზნესს აკონტროლებს. ალბათ, ის სიტუაციაა, როდესაც „ყველამ ყველაფერი იცის“, მაგრამ, მტკიცებულებების არარსებობის გამო, არაფერს ამბობს. იმაში, რომ ტყის ბიზნესის ყველაზე გემრიელ ლუკმებს უცხოს არავის აკარებენ, „ტყიური მეტყევეები“, ალბათ, განმსაზღვრელ როლს არ ასრულებენ; აქ სხვა ინტერესები იკვეთება.

**მეგა-გველეშაპთან ბრძოლისთვის საკმარისი რესურსი გოგა ხაჩიძეს** (ზოგიერთი შეფასებით, სააკაშვილსაც), **ალბათ, არ გააჩნია, თუმცა** (ახლა ისეთი ბუნდოვანი და უხერხემლო ფრაზის ჩამოყალიბება მოგვიწევს, მთვრალ ეზოპესაც რომ შეშურდებოდა, თუმცა სხვა გზა არც არის, რადგან ფაქტების ნაცვლად მხოლოდ ვარაუდები და ინფორმაციის ფრაგმენტები გვაქვს) **სისტემაში ბალანსის დაცვისთვის შიდა დაპირისპირების პროვოცირება მისი გადარჩენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.**

სააკაშვილის მიერ სამინისტროების შემოვლამ ორმაგი შთაბეჭდილება დატოვა: **ერთის მხრივ, გასაგებია, რომ ადამიანი ცდილობს (სავარაუდოდ), დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების სულისკვეთებასთან სრულ შესაბამისობაში პრემიერ-მინისტრის როლში შევიდეს და თან ყველას შეახსენოს, ვინ არის ქვეყნის მთავარი მეტყევე, გველეშაპი და ველოსიპედისტი (ავიწყდებათ და რა ქნან!). ამავე დროს, დამძიმებული ეკონომიკური მდგომარეობა ხელისუფლების მხრიდან მუხლჩაუხრელი შრომის იმიტაციას მაინც მოითხოვს.**

თუმცა იმ სტილმა, რომლითაც სააკაშვილი ამას აკეთებს (ლოზუნგების სროლა, აპელირება აზიური მაგალითებისადმი, ნაკლებად ეთიკური მსჯელობა მახათის გამოყენების მეთოდოლოგიაზე, მცდელობები, მიუთითოს ბიზნესმენებს, რა და როგორ აკეთონ) შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ მისი უშუალო ჩარევა ეკონომიკის საკითხებში, გამორიცხული არაა, ისეთივე შედეგებით დაგვირგვინდეს, როგორითაც დასრულდა მისი ჩართვა სამხედრო-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში; შესაძლოა, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ველოსიპედისტს (როგორც ჩვენი, ისე მისი) ინტერესებიდან გამომდინარე ვილაცამ უნდა დაამუხრუჭებინოს.

**ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი ძველი ბრძნული გამონათქვამი ნამდვილად გასათვალისწინებელი გვექნება: „უფალი არ ცვლის იმას, რაც ადამიანებს ემართება, მანამ, სანამ ადამიანები არ შეცვლიან იმას, რაც მათ შიგნით არის“.**

**დიმიტრი მონიავა**

# დიმიტრი მედვედევმა ქართველები დააჯილდოვა







რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი **ზურაბ წერეთელი „მამულის წინაშე დამსახურებისთვის“ პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ მომღერალი თამარ გვერდწითელი** და მოსკოვში **ქართული სკოლის დირექტორი ანა კერესელიძე.**

დაჯილდოების ცერემონიაზე რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოსთან დამოკიდებულებაზე ილაპარაკა, აღნიშნა, რომ

**„ეს არა მარტო დაჯილდოებულთა ნიჭის აღიარებაა, არამედ დიდი პირადი წვლილისაც, რომელიც მათ მიუძღვით კულტურათა დიალოგის, რუსი და ქართველი ხალხების ძმური კავშირების განმტკიცების საქმეში. ამ მეგობრობას ვერაფერს ავნებენ ვერანაირი პოლიტიკოსები, ჩირქს ვერ მოსცხებენ მას, რადგან იგი რეალურად შემოწმებულია საუკუნეების განმავლობაში და რუსებისა და ქართველების გულებიდან მომდინარეობს“.**

# ფრანგულ ვერფებზე რუსეთისთვის ორ «მისტრალს» ააგებენ

**ნიკოლა სარკოზი სიტყვით გამოვიდა იმ მუშების წინაშე, რომლებზეც დიდწილად იყო ორიენტირებული 2007 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, და განაცხადა, რომ რუსეთისთვის განკუთვნილი ორი ვერტმფრენმზიდი სენ-ნაზარის STX-ის ვერფებზე აიგება, რომლებსაც ამ ეტაპზე ძალიან რთული ფინანსური მდგომარეობა აქვთ.**

LE FIGARO·fr

ამა წლის თებერვალში საფრანგეთმა განაცხადა, რომ „მისტრალის“ კლასის ოთხ გემზე რუსეთის განაცხადს განიხილავს. მხარეებმა, როგორც ჩანს პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს პირველ ხომალდთან დაკავშირებით, მაგრამ არანაირი ოფიციალური დადასტურება ამას არ მოჰყოლია. **„თქვენ ორ ხომალდს ააშენებთ ჩვენს რუს მეგობრებთან ერთად. კონტრაქტის ირგვლივ მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ თავად გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აღარ დგას“,** — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა აუდიტორიაში, რომელიც სამასამდე მუშას მოიცავდა. დღემდე, რუსეთი აპირებდა ერთი ხომალდის საფრანგეთში ყიდვას და კიდევ სამი გემის აწყობას საკუთარ ვერფებზე. იმავდროულად, აუცილებელ პირობათა ჩამონათვალში მან ე.წ. „ტექნოლოგიების გადაცემა“ დაასახელა, რაც კიდევ ერთხელ გაიმეორა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ივნისში პარიზში ვიზიტის დროს. თუმცა ნიკოლა სარკოზის ამ პრობლემაზე არაფერი უთქვამს. მარტში მისი რუსი კოლეგა დიმიტრი მედვედევის მასპინძლობის დროს მან განაცხადა, რომ გარიგება „სამხედრო აღჭურვილობის“ გარეშე შედგება.

გასულ პარასკევს, ისევე, როგორც წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პრეზიდენტი სიტყვით გამოდიოდა სცენაზე ერთი მიკროფონით ხელში, რომელიც დამონტაჟებული იყო ფრანგული ფლოტისთვის გათვალისწინებული მშენებარე სამხედრო გემის „დიკსმუდის“ წინ.

ამგვარად, ფრანგულ ვერფებზე აიგება „მისტრალის“ კლასის ორი სადესანტო ხომალდი, რომელიც იტევს 900 ჯარისკაცს, ვერტმფრენს და ტანკებს. STX-ის გენერალური დირექტორის ჟაკ არდლეს განცხადებები უფრო ფრთხილი იყო. „ჩვენ ჯერ კიდევ მოლაპარაკებების პროცესში ვართ“, — უთხრა მან ჟურნალისტებს.

ორი ახალი ვერტმფრენმზიდის შეკვეთა STX-ის ვერფებისთვის, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის და ამ წლის ივნისში სამგზავრო ხომალდის Norwegian Epic-ის ჩაბარების გამო წარმოების სერიოზულ ვარდნას განიცდის, ამოსუნთქვის საშუალება გახდება. იმედისმომცემია ასევე იტალიური კომპანიის დაკვეთა MSC-ის სამოგზაურო ხომალდის მშენებლობაზე, რომელიც 1 750 ნომრიანია და ეკიპაჟის 1 300 წევრს იტევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი გახდა იმავე კლასის ხომალდის, თუმცა უფრო ტევადი იტალიური Fantasia ლიბიისთვის. მიუხედავად ამისა, სამივე ეს შეკვეთა საერთო ჯამში ორი წლის სამუშაოს იძლევა, აღნიშნა ჟაკ არდლემ.

**ბრუნო ჟედი**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# კოდორის ნაცვლად — კოჯორში

**ყველას გვახსოვს, როგორი რიხით გვპირდებოდა მიხეილ სააკაშვილი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას. ეს ყოყლოჩინობა რამდენიმე წელი გაგრძელდა და აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდიც კი მოიცვა. მოგვიანებით კი ეს ტრაბახი სადღაც გაქრა. დღეს უკვე ველარავინ იხსენებს, როდის დაგვპირდა სააკაშვილი ბოლოჯერ, ჩემი მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას სოხუმში აღვნიშნავთო.**



ამას დევნილთა ის კატეგორიაც კი ვერ იხსენებს, რომელიც პოლიტიკური სკლეროზითაა დაავადებული და, მიუხედავად ყველაფრისა, საპრეზიდენტო არჩევნებზე მაინც სააკაშვილს აძლევდა ხმას. მათზე კია ახი, რა დღეშიც არიან, მაგრამ სხვებმა რა დააშავეს, ვინც კარგად ხვდებოდა ყოველთვის, რომ სააკაშვილი მათი შინ დამბრუნებელი არ იყო? ესენია ცოდო, თორემ ათლარიანი ადამიანი, დევნილი იქნება ის თუ ადგილობრივი, საერთოდ არ უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**დღეს საკუთარ გულში ჩახედვისას მაინც თუ რცხვენიათ იმ დევნილებს, რომლებიც იდიოტის ფანატიზმით გვიმტკიცებდნენ ანთებული თვალებით — მიშა შეგვპირდა და დაგვაბრუნებს აფხაზეთშიო? სად დაგაბრუნათ, ჩემო კარგებო და კეთილებო? თუ თქვენც არ გჯეროდათ, მაგრამ ათი ლარი გქონდათ აღებული და, აბა, რა უნდა გექნათ, სხვა გამოსავალი არ გქონდათ და ასე უნდა გელაპარაკათ?!**

სააკაშვილმა კი, როგორც მას სჩვევია, დაპირებების დიამეტრალურად საპირისპირო რამ გააკეთა, ტერიტორიების დაბრუნებისა და ქვეყნის გამთლიანების ნაცვლად, დამატებით ხომ დაკარგა მიწები, რუსეთს ამის იურიდიულად გაფორმების საფუძველიც ხომ უფეშქაშა, ქვეყნის საზღვარი კი დედაქალაქიდან 30 კილომეტრში გადმოიტანა, მაგრამ **დევნილებისთვისაც რაღაც ხომ უნდა ექნა?**

**ჰოდა, გამოსავალიც მოიფიქრა — კოდორში თუ ვერ ვაბრუნებ, მოდი, კოჯორში მაინც გავუშვებო... და გაუშვეს კიდეც აფხაზეთიდან დევნილი 8 (რვა!) ბავშვი დასასვენებლად კოჯრის კოტეჯებში.** 500000 **დევნილიდან (ვიცით, რომ ეს სისულელეა, მაგრამ სააკაშვილის მიერ მოყვანილი ციფრია) კოჯორში დასასვენებლად სულ 8 ბავშვი გაუშვეს. თანაც, ეს საცოდავი 8 ბავშვი ლამის ამდენივე „დიდმა" ჩინოვნიკმა ჩააცილა — „აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარემ და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა". ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს, ხელის მოსაკიდებელი ადგილიც არ დარჩა.**

საცოდავი ბავშვები კი იყვნენ, ალბათ, გახარებული — ამ პაპანაქებაში დასვენების საშუალება რომ მიეცათ, მაგრამ ხელისუფლება კოდორის ნაცვლად უკვე კოჯორს რომ გთავაზობს, არაუშავს? ცოტა ხანში ინგლისის ნაცვლად მანგლისს შემოგვთავაზებენ და მთლად კარგად იქნება ყველაფერი.

და კიდევ ერთი საკითხი. ისეთი სახელმწიფო ავაშენეთ და ისე „შევდექით", მთელი დედამიწა რომც ჩამოიშალოს, მხოლოდ ჩვენ გადავრჩებით და ღირსეულად წარვადგენთ მზის სისტემასო, ტვინი და ყურები ხომ გამოგვიჭედა თავად არშემდგარმა სააკაშვილმა. **თან უტიფრად გვეუბნებიან, დევნილთა მორიგი ყოველწლიური რეგისტრაცია დავიწყეთ და, აბა, მოგვაწყდითო. ასეთი რა ვერ შედექით, თქვე დალოცვილებო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაადგინოთ, რამდენი დევნილია ამ ქვეყანაში? მაგრამ, ერთის მხრივ, ეს არც არის გასაკვირი — რა ტემპითაც თქვენ ტერიტორიებს კარგავთ და დევნილებს ახლებს უმატებთ, მაგათ დათვლაში ხომ ეშმაკიც მოიტეხს ფეხს...**

მოკლედ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, დევნილებს — ივლის-აგვისტოში. თვალეთ და იყავით, რა გენაღვლებათ, თქვენც რა, შევარდნაძისგან სულ თვლით არა გყავდეთ ჩაბარებული...

**სალვადორ დვალი**

# კოსოვო — საშიში პრეცედენტი

**22 ივნისს ჰააგაში გაეროს საერთაშორისო სასამართლომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის აქტის გამოცხადება საერთაშორისო სამართლის წესების დაურღვევლად მიღებულად აღიარა და, ზოგიერთების აზრით, ამით საშიში ახალი პრეცედენტი შექმნა.**




პირველ ყოვლისა, ავხსნათ, რომ ამ სასამართლოს ზუსტი სახელწოდებაა „გაეროს საერთაშორისო სამართლის სასამართლო", არის საერთაშორისო სამართლის უმაღლესი ორგანო და განთავსებულია ჰოლანდიის სატახტო ქალაქ ჰააგაში (არ აგვერიოს ნიდერლანდების სამეფოს ოფიციალურ დედაქალაქ ამსტერდამში). აქვე ჰააგაშია განთავსებული სისხლის სამართლის საქმეთა საერთაშორისო სასამართლოც, რომელიც არანაკლებ შიშის ზარს სცემს სხვადასხვა ჩამორჩენილი ქვეყნის მაღალი რანგის ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებს.

**1993 წლის მაისში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით სწორედ გაეროს საერთაშორისო სასამართლოსთან შეიქმნა ყოფილი იუგოსლავიის ტეროტორიაზე მოქმედ ომებში კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების ტრიბუნალი. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ამ ტიპის პირველი ტრიბუნალია ნიუნბერგის ტრიბუნალის შემდეგ.**

როგორც ჩანს, გაეროს ჩინოვნიკები პირველად შეშინდნენ — იუგოსლავიის ტერიტორიის გარდა, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ეთნო-კონფლიქტი მიმდინარეობდა, ომები იყო აფხაზეთში, ტაჯიკეთში, მოლდოვაში და ა.შ. და, როგორც იქნა, შეეცადნენ, პირველად რამე სერიოზული გაეკეთებინათ — მათი ყველაზე სერიოზული ჩარევა კორეის ომში არცთუ ეფექტური აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომუნისტური ჩრდილოეთ კორეა ამ დღეებშიც კვლავაც რაკეტებითა და ბირთვული იარაღით იმუქრება. მაგრამ ამ ტრიბუნალის შექმნამ თავიდან ვერავინ შეაშინა და ბოსნიაში ყველაზე დიდი უბედურებები სწორედ მერე დატრიალდა.

**სწორედ იმ დროს გაეროს შენობაში ვიყავი სამუშაოდ, როდესაც ცნობები მოვიდა აფრიკიდან, რომ ტუტსისა და ჰუტუს ხალხების მასობრივი ურთიერთხოცვის შედეგად მოკლულთა რაოდენობამ ორ მილიონს გადააჭარბა(!) და მახსოვს გაეროს ბიუროკრატების დაბნეული და უსუსური სახეები; ხოლო მსოფლიოს ეს უნიკალური და ფანტასტიური ურთიერთგენოციდი პრაქტიკულად გამოუძიებელი დარჩა.**

აღნიშნული ტრიბუნალი წესდებით იძიებს 1949 წლის ჟენევის კონვენციების დარღვევას, ომის წესების იგნორირებას, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებსა და გენოციდის ფაქტებს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ერთეულებს ასამართლებენ, გასასამართლებელი კი უამრავი მაღალი რანგის პიროვნებაა.

**სწორედ აქ, ჰააგაში გაასამართლეს ჯერ იუგოსლავიის, ხოლო შემდეგ სერბეთის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესი ბოლომდე ვერ მივიდა მილოშევიჩის ციხის საკანში გარდაცვალების გამო — ოფიციალური ვერდიქტით, გულის უკმარისობით, მაგრამ ყოველთვის არიან შეთქმულების თეორიების მოყვარულები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მილოშევიჩი მოწამლეს.**

მისი მთავარი ბრალმდებელი იყო პროკურორი კარლა დელ პონტე, რომელიც, ოქრუაშვილის სიტყვებით, სააკაშვილს სისტემატურად ესიზმრებოდა ჯერ კიდევ მისი (ოქრუაშვილის) ზეობის დროს (თუ რატომ — მკითხველი ადვილად მიხვდება...)! **ამჟამად ეს ტრიბუნალი განიხილავს სერბი რადკო მლადიჩის საქმეს, რომელიც ათეული წელი ემალებოდა მართლმსაჯულებას, მაგრამ სრულიად სახეშეცვლილს მაინც მიაგნეს ბოსნიის მთებში და ჰააგის ტრიბუნალს წარუდგინეს.**

გავიხსენოთ კოსოვოს პრობლემის დეტალები, რომელმაც სეპარატისტების გასახარად ძალიან საშიში პრეცედენტი შექმნა: **კოსოვო — ეს არის იმ ძველი სერბეთის სამეფოს შუაგული, საიდანაც თანამედროვე სერბეთი მე-11 საუკუნიდან თავის ისტორიას ითვლის. აქ 1389 წელს მოხდა ცნობილი ბრძოლა, რის შემდეგაც სერბეთი ოსმალეთის იმპერიის ნაწილი გახდა. მე-19 საუკუნეში დაიწყო კოსოვოში მეზობელი ალბანეთიდან მოსახლეობის გადმოდინება და მე-20 საუკუნისთვის ისინი ამ პროვინციაში უკვე უმრავლესობას შეადგენდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალ იუგოსლავიის სახელმწიფოში კოსოვოს მიეცა ჯერ რეგიონის, ხოლო 1971 წლიდან ავტონომიური ოლქის სტატუსი.**

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის მომენტისათვის ყველა ყოფილ ავტონომიაში სეპარატიზმის გაფურჩქვნის პერიოდი დადგა. ამ პროცესს არც კოსოვოსთვის აუვლია გვერდი — მისი მოსახლეობის 77.4% ეთნიკურად ალბანელი, სარწმუნოებით მუსლიმანი იყო, ხოლო მართლმადიდებელი სერბი — მხოლოდ 13.2%. **იუგოსლავიის დაშლის წინ პრეზიდენტ მილოშევიჩის ბოლო აქტი სწორედ კოსოვოს ავტონომიის გაუქმება იყო, რაც 1990 წელს მოხდა.** მილოშევიჩი იმდენად წინდაუხედავი ნაციონალისტი იყო (მას ყოფილი კომუნისტობა ხელს არ უშლიდა), რომ ახალი კონსტიტუციით კოსოვოში ალბანური ენის სწავლებაც კი აკრძალა. **შედეგიც ადვილად მიიღო — კოსოვოს ალბანელმა სეპარატისტებმა 1991 წლის სექტემბერში არაოფიციალური რეფერენდუმი მოაწყვეს და სუვერენიტეტი გამოაცხადეს, ხოლო 1992 წელს არაოფიციალური არჩევნები ჩაატარეს და „საკონსტიტუციო ასამბლეა" აირჩიეს. მილოშევიჩმაც არ დააყოვნა და იქ ჯარები შეიყვანა.**

ვინაიდან ბოსნიაში გაცილებით უფრო სისხლისმღვრელი ომი მძვინვარებდა, მილოშევიჩმა მალევე გამოიყვანა ჯარები. 1995 წელს სწორედ მისი დახმარებით ამერიკის სამხედრო ბაზა დაიტონაში მოხდა ბოსნიის სისხლიანი ომის დამთავრება და **მილოშევიჩი ამერიკის ფავორიტი, ლამის გმირი გახდა. როგორც ჩანს, ამან წაახალისა იგი, რეალობა არასწორად გაიგო და კოსოვოში, ანუ თავის სუვერენულ ტერიტორიაზე კვლავ შეიყვანა არმია.**



მაგრამ აქ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: ვინაიდან იგი არ დაემორჩილა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მალევე გარომ იქ ომის დამთავრება ნატოს დაავალა. მათაც ეს ასე გაიგეს — **ნატოს ჯარებმა რეგულარულად დაბომბეს სერბეთის დედაქალაქი და ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურა, პირველ ყოვლისა კი — ცენტრალური ტელევიზიის შენობა, სადაც მრავალი ჟურნალისტი დაიღუპა.** წელში გაწყვეტილი ქვეყნის — სერბეთის პრეზიდენტს სხვა გზა არ ჰქონდა და კოსოვოდან ჯარები გამოიყვანა. ამის შემდეგ იგი მალევე ჩამოაგდო სოროსის დაფინანსებულმა და გაწვრთნილმა „კმარას" ანალოგმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ. ხოლო ახალმოსულმა ხელისუფლებამ კი, მიუხედავად მოსახლეობის პროტესტისა, მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალს გადასცა.

**რაც შეეხება კოსოვოს, იქ 1999 წლის ივნისში ნატოს ჯარები ჩადგნენ, თუმცა ჩრდილოეთით, სადაც სერბული უმცირესობა ცხოვრობს, ბოსნიიდან რუსული სამხედრო დანაყოფები გადაისროლეს. კოსოვოს კი მთელი ეს პერიოდი გაეროს დროებითი ადმინისტრაცია მართავდა. ბუშის ადმინისტრაციის წასვლის წინ, მათი ერთ-ერთი უკანასკნელი აგრესიული აქტი იყო, რომ კოსოვოს სეპარატისტებს 2008 წლის 17 თებერვალს დამოუკიდებლობა გამოაცხადებინეს!**

**რუსეთი ყოველთვის სერბეთის ყველაზე ახლო მოკავშირე იყო და თვითონაც სერბეთში უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, ვინაიდან მე-19 საუკუნეში სწორედ რუსებმა ოსმალების ბატონობისაგან გაათავისუფლეს სერბები (ბულგარელებთან** ▶

◀ **ერთად) და მისცეს საშუალება, დამოუკიდებელი ქვეყანა შეექმნათ. ამიტომაც რუსეთი კოსოვოს ყოველგვარი დამოუკიდებლობის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო და წინასწარ იძლეოდა გასაგებ მინიშნებებს, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა.**

2008 წლის გაზაფხულზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ **ამერიკელების მიერ კოსოვოს სეპარატისტებისათვის დამოუკიდებლობის აღიარებას რუსეთი რაიმე ანალოგიურით უპასუხებდა და ყველასთვის გასაგები იყო, რომ ის ბუშის კლიენტი რეჟიმის ორ სეპარატისტულ ტერიტორიას გულისხმობდა.** ყველამ გაიგო, მაგრამ არა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც ორი ვადამდელი არჩევნების (საპრეზიდენტო და საპარლამენტო) გაყალბებისა და „გამარჯვების“ შემდეგ ეიფორიაში იყო. ამავე დროს ქართველი „ჯიბის“ ექსპერტები და ჩინოვნიკები თუთიყუშივით იმეორებდნენ, „კოსოვოს აღიარება არავითარი პრეცენდენტი არ არისო!“. აღმოჩნდა თუ არა ეს „პრეცენდენტი“, ყველამ ვნახეთ.

**ზუსტად ვერავინ იტყვის, უბიძგეს თუ არა სააკაშვილს ამერიკის ხელისუფლების გარკვეულმა წევრებმა, მაგრამ ამის მინიშნებები ნამდვილად არსებობს. ფაქტია, რომ სააკაშვილი წინასწარ წასაგებად განწირულ ავანტიურაზე წავიდა და... დანარჩენი ყველამ ვიცით.**

დავუბრუნდეთ ჰააგის სასამართლოს – სერბეთის ხელისუფლების მიერ ინიცირებული კითხვა ასე იყო დასმული: **„შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სამართლის ნორმებს კოსოვოს თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება?“**

**საერთაშორისო სასამართლო ორი ტიპის გადაწყვეტილებას იღებს: გადაწყვეტილებას, რომელსაც პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, და დასკვნას, რომელსაც ასეთი ძალა არ გააჩნია.**

ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ ისეთი დასკვნა მიიღო, რომელსაც, როგორც ვხედავთ, პირდაპირი მოქმედების ძალა არ გააჩნია: **„საერთაშორისო სამართალში არაფერი არ არის ნათქვამი დამოუკიდებლობის გამოცხადების აკრძალვაზე“.** ასოშეიტედ პრესის მონაცემებით, 14 მოსამართლიდან 10-მა ხმა მისცა ამ დასკვნას, ხოლო ოთხმა — წინააღმდეგ.

სერბეთის პრეზიდენტის — ბორის ტადიჩის განცხადებით, **ეს არის სახიფათო პრეცედენტი და იგი სხვადასხვა რჯულის სეპარატისტებს წაახალისებს.** არის თუ არა ასე, ძნელი სათქმელია, ვინაიდან **ამჟამად ჰააგაში მხოლოდ დეკლარაციის ტექსტი შემოწმდა და არა სერბეთისგან გამოყოფის მართებულობა,** რაც, რასაკვირველია, ყველა არაიურისტისთვის იურიდიული ჩახლართვაა.

პრეზიდენტი ბორის ტადიჩი აპირებს, ეს საკითხი განსახილველად გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაიტანოს. **ვაშინგტონმა, როგორც ყოველთვის, დაზეპირებულივით განაცხადა, რომ „ეს პრეცედენტს არ წარმოადგენს“. მაგრამ განსაცვიფრებელი იყო თერთმეტი წლის წინათ ბელგრადის დაბომბვის იდეის ერთ-ერთი მთავარი ავტორის, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — ტონი ბლერის განცხადებით, რომ კოსოვოს თურმე ხანგრძლივი ისტორია აქვს!!!**

არადა, როგორც ყველამ იცის, ესენი სერბეთის ამ ტერიტორიაზე XIX საუკუნეში მასიურად ჩასახლებული ეთნიკური ალბანელებია. **ერთადერთი, რაც კომიკურად შეიძლება აღვიქვათ, ისაა, რომ იმავე საღამოს კოსოვო სცნო მსოფლიოს ნომერმა პირველმა არშემდგარმა სახელმწიფომ – სომალიმ! ვულოცავთ კოსოვოს!**

საერთოდ ყველამ იცის, რომ კოსოვოს აღიარება ბუშის ადმინისტრაციის ზეწოლით მოხდა. მაგრამ ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის ესპანეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა და კვიპროსმა უარი თქვეს მის ცნობაზე; ისევე, როგორც მსოფლიოს უდიდესმა ქვეყანამ — ჩინეთმა, რომელსაც სულ ცოტა ოთხი-ხუთი პოტენციური სეპარატისტული რეგიონი შეიძლება ჰქონდეს. იგივე ითქმის მსოფლიოში სიდიდით მეორე ქვეყანაზე – ინდოეთზე, რომელიც ერთიმეორისაგან პრაქტიკულად თითქმის სრულიად განსხვავებული 22 შტატისაგან შედგება. ბალკანეთის მეზობელი ყველაზე დიდი სახელმწიფო – **უკრაინაც უარს ამბობს კოსოვოს აღიარებაზე,** თავისი შესაძლო სეპარატისტული რეგიონების გამო, თუმცა ყირიმელმა თათრებმა მაშინვე თქვეს, რომ ისინი ამ გზით არ წავლენ. **სამაგიეროდ, აფხაზეთში ზეიმია, თითქოს მათთვის ეს რამენაირად იმედის მომცემი შეიძლება იყოს. ასე რომ, ბუშის ადმინისტრაციამ მსოფლიოს კიდევ ერთი, უკვე მერამდენე ნელი მოქმედების ნაღმი დაუტოვა.**

სექტემბერში ჰააგაში, ამავე სასამართლოში კვლავ გაიმართება საქართველოს მიერ ინიცირებული მოსმენები რუსეთის მიერ ორი ქართული ტერიტორიის უკანონოდ აღიარების შესახებ. პირველ ყოვლისა, განიხილება საკითხი ამ საქმესთან დაკავშირებით ამ სასამართლოს იურისდიქციის შესახებ. ჰააგის ექსპერტების აზრით, ამ ორ საქმეს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

**იმისათვის, რომ კოსოვო ან რომელიმე სხვა თვითგამოცხადებული ქვეყანა გაეროს თვალში სრულუფლებიანი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს, იგი მსოფლიოს 97 ქვეყანამ უნდა აღიაროს. ვინაიდან კოსოვომ უკვე 69 აღიარება მიიღო, ეს პერსპექტივა თეორიაში მას შეიძლება აქვს, მაგრამ აფხაზ სეპარატისტებს რა უხარიათ, გაუგებარია, კიდევ „95 ნიკარაგუას“ სად იპოვიან?!**

საინტერესოა, ჩინეთის სეპარატისტული პროვინცია ტაივანის ბედი. თავის დროზე მას გაერომ პოლიტიკური მიზნებით არა მარტო აღიარება მისცა, არამედ უშიშროების საბჭოშიც დასვეს ჩინეთის ადგილზე. მაგრამ შემდეგ გაეროდანაც გააძევეს და აღიარებაც ჩამოართვეს. თუმცა ბევრ ქვეყანას დღემდე მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა აქვს.

მანამდე ვენესუელასა და ნიკარაგუაში ბაგაფშისა და კოკოითის სეირნობა და განცხადებები კომიკურ ელფერს იძენს. ისე, არავინ არ ახსნა, თუ რომელი ქვეყნის პასპორტებით მოგზაურობენ ეს „დამოუკიდებელი ქვეყნების“ ლიდერები, თუმცა არავის ამაზე არავითარი ილუზია არ გააჩნია. მე კი ვიცი, რომ, თუ, მაგალითად, ჩინური პასპორტით ვიმოგზაურებ, ყველა ჩინელად ჩამთვლის, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ჩინელს არცთუ ისე ვგავარ...

**რამაზ კლიმიაშვილი**

# შიზოფრენიის იშვიათი სახეობა

**შიზოფრენიული ციტატების კოლექციაში, რომელსაც, დიდი ხანია, საგულდაგულოდ ვაგროვებთ, მგონი, ახალი, ფრიად ღირებული შენაძენი გვაქვს. ეს არის ციტატები ჟურნალიდან, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები 2008 წლის არჩევნების წინ მოსახლეობაში არიგებდნენ.**




მაშ ასე, დავიწყოთ (სტილი დაცულია): **„ვინ არის მიხეილ სააკაშვილი? ის მიეკუთვნება ისტორიულ მოღვაწეთა უიშვიათეს სახეობას, როგორებიც არიან პეტრე პირველი ან გენერალი პინოჩეტი. ესენი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ცვლიან ქვეყნის ბედს, ფულს კი არ შოულობენ თავიანთი თანამდებობით, არ ახვევენ თავს ქვეყანას იდეებს (კომუნიზმის, ფუნდამენტალიზმის და ა.შ.), არამედ პრინციპულად ცვლიან საზოგადოების განვითარების მიმართულებას, სტრუქტურასა და ბედს. სააკაშვილს, როგორც ჩანს, სურს, რომ ასე იყოს: მეფე დავითი, თამარ მეფე და ბატონი მიხეილი; უმჯობესია საპირისპირო თანმიმდევრობით. ეს იმდენად ამაღლებული ამოცანაა, რომ მილიარდი დოლარის ასაღებადაც კი არ ღირს დახრა“.**

ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ, ვინ იგულისხმებოდა „მეფე დავითში“: ბიბლიური პერსონაჟი თუ დავით IV აღმაშენებელი; თუმცა ასეთი აღმაფრენის კონტექსტში ეს, ალბათ, უმნიშვნელო დეტალია. სავარაუდოდ, მადლობელნი იმაზეც უნდა ვიყოთ, რომ წმინდანი მეფეები საერთოდ მოხვდნენ ამ ჩამონათვალში „ძალიან იშვიათი სახეობის“ წარმომადგენელთან ერთად, თუნდაც „საპირისპირო თანმიმდევრობით“.

როდესაც კაცი იგი, ჩუკენი და მოშიში უკუ-ჯდა ხევსა კახეთისასა... (ბოდიში, შემეშალა, ეს მშიშარა და ულირსი მეფის ვარაზ-ბაქარის დახასიათებაა „ქართლის ცხოვრებიდან“; აქ რა შუაშია?). როდესაც უშიში ვითარცა უხორცო ბატონი მიხეილი უკუ-ჯდა (არა, არც ასე გამოდის, ნეტარი ხომ მხოლოდ წინ მოძრაობს), უფრო სწორად, წინ-ჯდა ხევსა კახეთისასა და რქუა ვაზირთა თვისთა: „აჰა, ესე-რა, მე წარვალ ვინა-ცა მოვედ, რამეთუ არა დაუტევეთ თქუენ გაყრა მახათისა ადგილსა ერთსასა“... **ვინ იცის, იქნებ „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღში უკვე იწერება მსგავსი სტილისა და შინაარსის მატიანე, პირდაპირ ვთქვათ, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც მომავალ თაობებს დაწვრილებით აღუწერს, თუ როგორ მიდიოდა ფეხშიშველი უმადურ ხალხთან თვალებგანათებული ადამიანი, რომელიც მშვიდობასა და სათნოებას ქადაგებდა; ხოლო როდესაც ურიცხვი მტერი საქართველოს უტევდა, ხელში იღებდა ცეცხლოვან მახვილს და დაუნდობლად მუსრს ავლებდა,** ისე, როგორც ამაზე ზემოთ ციტირებული ჟურნალი მოგვითხრობს:







**„სააკაშვილს კი განმუხურში ზუსტად ის უნდოდა, რაც გააკეთა: კუდით ქვა ასროლინა მოულოდნელობით დამფთხალ რუს ჯარისკაცებს, გადაარჩინა 6 ქართველი ტყვედ აყვანილი ჯარისკაცი და რუსებისგან 40 წუთში გაათავისუფლა და დაიბრუნა განმუხური! გასაგებია, რა უნდოდა სააკაშვილს?“, „ზუსტად ასე გავრეკავთ მტერს ჩვენი აფხაზეთიდანაც“,** — წერდნენ ჟურნალის ავტორები და ერთ-ერთ სათაურში წითლად გამოყოფილი ფრაზა გამოჰქონდათ: **„აბა, გაბედონ და ხელი შეგვიშალონ“.**

როდესაც „ნაცმოძრობის“ ჟამთაღმწერელები ბატონი მიხეილის ბიოგრაფიის საიუბილეო გამოცემაზე მუშაობას დაასრულებენ, ალბათ, მხოლოდ მაშინ შევძლებთ სრული მოცულობით შევაფასოთ ის დევ-გმირობები, რომელიც მან საქართველოსთვის გადახდილ ბრძოლებში ჩაიდინა. **გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ შოთა რუსთაველი ცოცხალი აღარ არის და თავის კალამს ამ საქმეს ვერ მიაშველებს. ეს აშკარა ისტორიული უსამართლობაა, რუსთაველს, კაი კაცი თუ იყო, უნდა მოეთმინა და სააკაშვილის ეპოქაში დაბადებულიყო; თამარ მეფეს, „საპირისპირო თანმიმდევრობის“ ფაქტორის გავითვალისწინებით, ჩახრუხაძის ხოტბაც ეყოფოდა.**

საუბრის ბოლოს, ალბათ, შეგვეძლო წარმოგვედგინა, თუ როგორ გადავცემთ საზეიმო ვითარებაში ციტატების ჩვენს კოლექციას ასათიანის სახელობის დაწესებულებას მას შემდეგ, „ყოველივე ეს“ რომ დასრულდება, თუმცა ამ ციტატების მიღმა შეიძლება კონკრეტული პიროვნებების ტრაგედიაც დავინახოთ, რომელიც სახალისო ნამდვილად არ არის. ჩვენს გვერდით, როგორც ჩანს, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც, კრიტიკული აზროვნების უნარის უგულვებელყოფით, მსგავს ტექსტებს სრული სერიოზულობით წერენ და კითხულობენ; ეს კი უკვე სულ სხვა რეალობაა, სხვა განზომილება, სხვა საქართველო, რომელსაც, სავარაუდოდ, სასწრაფო დახმარება სჭირდება.




**დიმიტრი მონიავა**

28 ივლისი — 3 აგვისტო, 2010 წელი. №28 (71)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### ბიძინა გიორგობიანი:

# «ნაცმოძრაობა» არის ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც შურს იძიებს ჩემზე

**სატყეო დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს, ბიძინა გიორგობიანს ქართველი ძალოვანები ინტერპოლით ეძებენ, თუმცა მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართიც და საქმიანობაც გერმანიაში ყველასთვის ცნობილია. ბიძინა გიორგობიანის განცხადებით, ეს დევნა მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლას ისახავს მიზნად. საქართველოს ხელისუფლება გიორგობიანს იმის გამო დევნის, რომ მან შინაგან საქმეთა მინისტრისა და ამ სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების უკანონო და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას შეუშალა ხელი. უფრო კონკრეტულად, რას ედავებიან გიორგობიანს და რა პოლიტიკური გეგმები აქვს გერმანიაში მყოფ ემიგრანტს, ამაზე თავად გვესაუბრება.**



## მე პოლიტიკაში ვიყავი მაშინაც, სანამ ვანო მერაბიშვილი უდე-თბილისის ავტობუსს დედაქალაქში ჩამოჰყვებოდა

**— თქვენ საკმაოდ ხმაურიანი განცხადებებით წახვედით საქართველოდან. ჩვენი გაზეთის მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენეთ, ვინ გდევნიდათ და რა ხდებოდა სატყეო დეპარტამენტში ისეთი, რის გამოც დაიწყო თქვენი დევნა?**

— ჩემს დევნას ახორციელებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მინისტრის — ვანო მერაბიშვილის დავალებით. თვითონ მერაბიშვილმა ეს დავალება, ალბათ, მიიღო იმ დაჯგუფებისგან, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენს, ანუ დევნას ახორციელებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ელიტა.

**— კონტროლის პალატის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ნუგზარ ნაჭყებიამ განაცხადა, რომ თქვენ ხელი შეუშალეთ საქართველოს ხელისუფლების ხეტყით უკანონო ვაჭრობას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან.**

— არამარტო ვაჭრობას, მე ხელი შევუშალე საქართველოს ტყეების ხელახალ გასხვისებას. იყო მოთხოვნა, ტყეების ხელახალ პრივატიზებასა და მათი ინვესტორებისთვის გადაცემას, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვიყავი. ასევე, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი უსაქონლო ოპერაციებს.

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ვანო მერაბიშვილი და მისი წარმომადგენლები მოითხოვდნენ ჩემგან, რომ ხელი შემეწყო მათთვის უსაქონლო ოპერაციების კეთებაში, რითაც მილიონობით ლარი შედიოდა მათ შავ სალაროში. ამაზე უარი განვუცხადე, რასაც სერიოზული კონფლიქტი მოჰყვა ჩვენ შორის.**

**— საქართველოს ხელისუფლება მუდმივად აკრიტიკებს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას; შესაბამისად, მათ შორის გაჩაღებული ასეთი ვაჭრობები თითქმის წარმოუდგენელი იყო. ნუგზარ ნაჭყებიამ განაცხადა, რომ თქვენ ამის დოკუმენტი წარადგინეთ, რა დოკუმენტი იყო ეს?**

— წარმოვადგინე დოკუმენტები, რომ საქართველოში დაბრუნებამდე (2004 წელს დავბრუნდი) საქართველოს სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტს ჰქონდა რამდენიმე წერილი მიღებული ცხინვალის ანალოგიური სამსახურიდან. მას ვინმე თედეევი აწერდა ხელს და ჩემი წინამორბედი, შევარდნაძის ხელისუფლების დროს იქ მომუშავე მერაბ დვალი გასცემდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რის საფუძველზეც ხდებოდა შემდეგ თითქოსდა სამხრეთ ოსეთში მოპოვებული რესურსის ექსპორტი საქართველოს სახელით და თანხა, რომელიც უნდა შესულიყო საქართველოს ბიუჯეტში, შედიოდა ცხინვალის ეროვნულ ბანკში, რომელთანაც საქართველოს ეროვნულ ბანკს არანაირი ანგარიშსწორება არ აქვს.

ეს იყო, მოკლედ რომ აღვწეროთ, ის უსაქონლო ოპერაცია, რომელსაც ახორციელებდა სატყეო დეპარტამენტის დახმარებით მაშინდელი, შევარდნაძის დროინდელი, უშიშროების სამინისტრო, რომელიც გადაიბარეს და მისი საქმიანობა პირდაპირ გააგრძელეს ვანო მერაბიშვილმა და მისმა ბიჭებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში. ამ საქმის გასაკეთებლად ჩემთან მოდიოდნენ ვანო მერაბიშვილისა და დათა ახალაიას სახელით, რაზეც უარი განვუცხადე და ავკრძალე ამ დოკუმენტების გაცემა ცხინვალის მიმართულებით.

**— აღნიშნულის შესახებ თუ აცნობეთ პრეზიდენტს?**

— აღნიშნულის შესახებაც ვაცნობე და მე და პეტრე გელბახიანმა წერილიც მივწერეთ. ეს იყო 2004 წლის გვიან შემოდგომაზე. ჩვენ მივწერეთ ერთობლივი წერილი, სადაც მივუთითებდით, რომ ჩვენ მიმართ ხორციელდება ყოვლად უსაფუძვლო დევნა „ნაციონალური მოძრაობის“ კადრების მიერ. იქ აღწერილი იყო კონკრეტული ფაქტები და მათ შორის ეს ფაქტი, რომელზეც მოგახსენეთ.

**— ანუ სააკაშვილი ინფორმირებული იყო ამის თაობაზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მის ინტერესებშიც შედიოდა ის, რასაც მისი ქვეშევრდომები აკეთებდნენ?**

— კონკრეტული შემთხვევა ცხინვალთან დაკავშირებით მისთვის არ მითქვამს და, საერთოდ, მე მაგ კაცს არ ვიცნობდი. საქართველოში რომ ჩამოვედი, ჩემი ძველი ნაცნობი ზურაბ ჟვანია შემხვდა და შემომთავაზა სამშობლოში დავბრუნებულიყავი და ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი, რადგან სპეციალისტი ვიყავი და დავთანხმდი. ჩემი ოჯახი აქ ცხოვრობს, გერმანიაში, 1995 წლის შემდეგ მე საქართველოში არ ვყოფილვარ, იმიტომ, რომ ძებნა იყო ჩემზე გამოცხადებული. გვდევნიდა შევარდნაძის რეჟიმი, 90-იანი წლების დასაწყისში რამდენჯერმე პატიმრობაშიც ვიყავი. რაკი ეს საქმე შემომთავაზეს, მივატოვე ჩემი სამსახური ბერლინში, დავტოვე ოჯახი, მერე ვაპირებდი ცოლ-შვილის წამოყვანასაც, მაგრამ აღმოვჩნდი ასეთ სიტუაციაში — ჩემი დევნა უფრო გააფთრებით დაიწყო, ვიდრე 90-იან წლებში მიმდინარეობდა.

**— ანუ, ფაქტობრივად, მეორედ გახდით პოლიტიკური დევნილი ამ ხელისუფლების მიერ?**

— დიახ ასეა. თუმცა მე პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ მაქვს, რადგან გერმანიის მოქალაქე ვარ და არანაირი სტატუსი არ მჭირდება. ექვსი წელი მაქვს მისჯილი დაუსწრებლად და ინტერპოლით მეძებენ, ვითომ არ იციან, სად ვარ. „ნაცმოძრაობა“ არის ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც შურს იძიებს ჩემზე, არამარტო ჩემზე, ნუგზარ ნაჭყებიაზეც.

**— როგორ შეაფასებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, თუნდაც ოპოზიციის მოქმედებებს, რომელმაც ხალხის დიდი მხარდაჭერა დაკარგა?**

— არ ვფიქრობ, რომ მათ ხალხის მხარდაჭერა დაკარგეს, უბრალოდ, ის მეთოდები, რომელი მეთოდებითაც პოლიტიკაში ტრადიციულად მოქმედებენ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, არაეფექტურია. მე პოლიტიკაში ვიყავი მაშინაც, სანამ ვანო მერაბიშვილი უდე-თბილისის ავტობუსს დედაქალაქში ჩამოჰყვებოდა. ამიტომ ჩემი ამბიციები მაქვს პოლიტიკაში.

**— როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა, როდესაც ახალი კონსტიტუციაც კი იქმნება ისეთი, რომელმაც, შესაძლოა, სააკაშვილი 2013 წელსაც დაგვიტოვოს ქვეყნის სათავეში?**

— ამ რეჟიმის შეცვლა კონსტიტუციითა და არჩევნებით წარმოუდგენლად მიმაჩნია. მისი შეცვლა უნდა შემუშავდეს ოპოზიციურ წრეებში. გამზადებული ფორმულა არ მაქვს, მაგრამ ამას სჭირდება გეგმის შემუშავება და ზუსტი ფორმულირება, თუ როგორ და რას გავაკეთებთ. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე საქართველოსთვის დიდი ხიფათის მომტანია.

**— ანუ ისევ აქციებს გულისხმობთ?**

— არამარტო აქციებს. ყველა მეთოდი, რომელიც გამოიყენება ლეგალურად პოლიტიკაში, მისაღებია ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.

**— თუმცა ხალხს აღარ გაუპროტესტებია არჩევნების შედეგები, აღარ გაუპროტესტებია აღლუმი, ანუ, როგორც ჩანს, მათ აქვთ იმედგაცრუება, რომ ოპოზიცია ვერ აღწევს დასახულ მიზნებს. როგორ გგონიათ, თუ კვლავ დაიწყება აქციების ახალი ტალღა, კიდევ გამოვა ხალხი ქუჩაში, იქნება ხალხის მხარდაჭერა?**

— შეგახსენებთ, რომ ხალხის დიდ ნაწილს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ვისი მობილიზებაც გააკეთეს „ნაცისტებმა“ ფულითა და დაშინებით, იმ ხალხის დიდმა ნაწილმა დაუჭირა მათ მხარი და ეს იყო არჩევნებზე იძულებით მიყვანილი ხალხი. საზოგადოება ხედავს, რომ ხელისუფლებას მისი არ ესმის, ამიტომ ახლა ხალხიც და ოპოზიციაც ფიქრობს იმ ახალ მეთოდზე, რომლითაც შეიძლება სააკაშვილის წინააღმდეგ მოქმედება. სააკაშვილის ხელისუფლება, ფაქტობრივად, იმართება და ფინანსდება უცხო ქვეყნებიდან, კერძოდ — ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა სამხედრო ავანტიურაში და დიდ პოლიტიკურ უხერხულობაში გახვია თავისი პოლიტიკური მფარველები, მის მიმართ მხარდაჭერა დასავლეთში შესუსტდა. მე არ ვიტყოდი, რომ მხოლოდ აქციებით შეიძლება სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა.

**— ანუ ფიქრობთ, შეიძლება ამერიკაში გადაწყვიტონ ხელისუფლების შეცვლა, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა?**

— დიახ.

**— თუმცა რაღაც ნაბიჯები დასავლეთის მხრიდანაც გადაიდგა, ჩამოსული იყო ჰილარი კლინტონი, ხომ არ დაათბეს მათ ურთიერთობები?**

— არ მგონია. კლინტონის საინსპექციო ტურნე, რომელიც მან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩაატარა, ჩვეულებრივი პროტოკოლური ხასიათის იყო და ეს სერიოზულ პოლიტიკურ მხარდაჭერად ვერ აღიქმება. კი მონათლეს ასე, მაგრამ ეს იმ პოლიტიკის გაგრძელება არ არის, რა პოლიტიკასაც ბუშის ადმინისტრაცია სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ატარებდა.

**— გერმანიაში საქართველოსა და მისი ხელისუფლების მიმართ როგორი დამოკიდებულებაა?**

— საქართველოს ხელისუფლების მიმართ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ძალიან ნეგატიური დამოკიდებულებაა.

აუცილებელია, პოლიტიკურმა სპექტრმა, მათ შორის მეც, იმიტომ, რომ მეც აქტიურად ვარ ჩართული პოლიტიკაში, ზუსტად შეიმუშაოს ის მექანიზმები, რომლითაც შეიძლება დაიწყოს სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟი. აუცილებელია, ოპოზიციური პარტიების გააქტიურება, უპირველესად, რუსეთთან მიმართებაში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ჩვენს გასაკეთებელს ჩვენ გარდა ვერავინ გააკეთებს. უნდა ვაჩვენოთ, რომ შეგვწევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და შემდგომ მათი შესრულების უნარი.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**



თითქოსდა, სამხრეთ ოსეთში მოპოვებული ხეტყე საქართველოს სახელით გადიოდა ექსპორტზე და თანხა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტში უნდა შესულიყო, ცხინვალის ეროვნულ ბანკში შედიოდა, რომელთანაც საქართველოს ეროვნულ ბანკს არანაირი ანგარიშსწორება არ აქვს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართველ დეპუტატებზე უჩვეულო სიცხემ იმოქმედა და მათ ისტორიული მეხსიერება დაკარგეს

**საქართველოს პარლამენტმა 25 თებერვალი – დღე, როდესაც 89 წლის წინათ წითელი არმია თბილისში შემოვიდა, საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოაცხადა. დადგენილება, რომელიც პარლამენტმა 21 ივლისს ერთხმად მიიღო, ავალებს მთავრობას, ყოველ 25 თებერვალს, ასი ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც „კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა“, დაუშვას სახელმწიფო დროშები და გამოაცხადოს წუთიერი დუმილი.**



## ელიზბარ ჯაველიძე: სააკაშვილისთვის ჰალსტუხის ჭამა და ცხვირით მიწის ხვნა ჩვეულებრივი ამბავია

**დადგენილებაში, რომელმაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ვკითხულობთ:**

**„ვინაიდან 25 თებერვალი საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის დღეა და დღემდე რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია, საქართველოს პარლამენტი ადგენს:**

1. გამოცხადდეს ყოველი წლის 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ;

2. დაევალოს საქართველოს მთავრობას ყოველი წლის 25 თებერვალს ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნის პატივმიგებისა და ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი სხვა ღონისძიებების პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

3. ყოველი წლის 25 თებერვალს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დროშები;

4. ყოველი წლის 25 თებერვალს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდეს წუთიერი დუმილი ოკუპაციის მსხვერპლთა პატივის მისაგებად;

5. ეთხოვოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო დაწესებულებებსა და საწარმოებს, თავი შეიკავონ ოკუპაციის დღეს მასობრივი საზეიმო და გასართობ-სანახაობრივი ღონისძიებების გამართვისგან.

**ვინაიდან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წელს სამხედრო ინტერვენციის გზით ანექსიის შემდეგ, საბჭოთა რეჟიმმა გაანადგურა არა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური კლასი, არამედ საქართველოს ასი ათასობით მოქალაქე.“**

**პარლამენტმა 21 ივლისს, ასევე, ერთხმად კიდევ ერთი დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც 23 აგვისტო ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა.**

თუ ასე გულით განიცდიდნენ ამ ამბავს, სად იყვნენ დალოცვილები ამდენ ხანს? სათავეში მოსვლისთანავე რატომ არ გააკეთეს ნაციონალებმა ეს? 7 წელი რად დასჭირდათ ამის მოსაფიქრებლად? საქმე ისაა, რომ მაშინ აგვისტოს ომი არ იყო მომხდარი და ეს ჩვენი დიდად ბრძენი და ქველი ხელისუფლებაც არ იყო ასე მწარედ გაბრაზებული რუსეთზე. თუმცა ჩვენს ხელისუფლებას „რატომღაც“ დაავიწყდა, რომ საბჭოთა კავშირს საქართველოს ოკუპაცია არ მოუხდენია ერთადერთი მიზეზის გამო — იმ დროისთვის ასეთი ქვეყანა არ არსებობდა! ეს დღე არის რუსული ოკუპაციის დღე და მოდი დავარქვათ ყველაფერს თავის სახელი! მაგრამ ჩვენი მთავრობა არც მწვადს წვავს და არც შამფურს, თან სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებს უგორებს კოჭს და ასეთ თარიღს აცხადებს, თან რუსეთის ბოლომდე გაბრაზება არ უნდა და ხმარობს სიტყვა ,,საბჭოთას“! თუ საბჭოთა კავშირის ოკუპაციაზეა საუბარი, მაშინ გამოდის, რომ უკრაინასაც, ბელორუსსაც და სხვა საბჭოურ ქვეყნებსაც მოუხდენია ჩვენი ოკუპაცია...

ბოლო პერიოდში ჩვენი ხელისუფლება სულ უფრო ხშირად „გვჩუქნის“ ახალ-ახალ დღეებს. ზოგს სასიხარულო და საგმირო საქმეების საპატივცემულოდ, ზოგსაც ოკუპაციისა და ტოლერანტობის აღსანიშნავად. წლეულს კი განსაკუთრებით „დაიქოქნენ“ ამ მიმართულებით. ჯერ 6 მაისი გამოაცხადეს „პოლიციის დღედ“, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს პროფესიული ზეიმი ზუსტად ემთხვეოდა კომუნისტური პერიოდის საბჭოთა მილიციის დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს შს მაღალჩინოსნებს და რიგითებს არასოდეს ჰქონიათ უხერხულობის განცდა. და აი, სააკაშვილმა და მერაბიშვილმა დაარღვიეს მრავალწლიანი ტრადიცია და „პოლიციის დღედ“ გიორგობის დღესასწაული გამოაცხადეს.

ყველას გვახსოვს შარშანდელი 6 მაისი, როცა თბილისის პოლიციის სამმართველოს წინ პოლიციამ ხალხს კანონით აკრძალული რეზინის ტყვიები დაუშინა და რამდენიმე მომიტინგეს თვალი ამოსთხარა. ეს „გმირული“ საქციელი ხომ უნდა დაფასებოდა ჩვენს პოლიციას, ჰოდა, ერთი წლის თავზე გულუხვმა და მოსიყვარულე ხელისუფლებამ პოლიციელებს საკუთარი დღეც აჩუქა.

**მეც მაქვს რამდენიმე ბრწყინვალე იდეა დღეებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ისტორიამ არ უნდა დაკარგოს ეს თარიღები. 7 ნოემბერი — ძმათა თრევისა და საყოველთაო მოწამვლის დღედ, 31 მაისი კი იდეალური გაყალბების დღედ გამოვაცხადოთ. მგონი, ცუდი არ იქნება.**

რუსული მხარე უკვე გამოეხმაურა საქართველოს გადაწყვეტილებას. რუსი პოლიტიკური ექსპერტის, ფეოდორ ლუკიანოვის თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაფუჭება შეუძლებელია, რადგან ის უკვე აღარ არსებობს. რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილის — ლეონიდ სლუცკის განცხადებით, მას არ უკვირს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება. **„ქართველი პოლიტიკოსებისგან ყოველდღიურად უნდა ველოდოთ ექსტრავაგანტურ გამოხდომებს და ისტორიის გადაწერის მცდელობას“,** — აღნიშნა სლუცკიმ. რუსეთის კომპარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა კი, ქართველი დეპუტატების გადაწყვეტილებას „ბინძური და იაფფასიანი პოლიტიკანობა“ უწოდა. **„შესაძლოა, გვევარაუდა, რომ ქართველ დეპუტატებზე ანომალიურმა სიცხემ იმოქმედა და მათ ისტორიული მეხსიერება დაკარგეს. თუმცა ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც მსგავს გადაწყვეტილებებს უნდა დავცინოთ. ეს ნატურალური სისულელეა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადაწყვეტილების მიმღებთა შვილები და შვილიშვილები მათ ამას არ აპატიებენ“,** — განაცხადა ზიუგანოვმა.

„რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია მიიჩნევს, რომ 1921 წლის 25 თებერვალს ქართული ეთნოსი გადარჩა. **„მე ვურჩევდი ქართველ დეპუტატებს, ტერმინი „ოკუპაცია“ „გადარჩენით“ შეეცვალათ. მაშინ ქართული ეთნოსის ბედი წყდებოდა და ქართველებმა კულტურა და რწმენა შეინარჩუნეს“,** — მიიჩნევს ხუბუტია.

**საინტერესოა, რას ფიქრობს საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით. გვჭირდება თუ არა იმ თარიღების „შეხსენება“, რაც ისედაც არასდროს დაგვვიწყებია და რამდენად სწორია ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ამ თემებთან დაკავშირებით მწერალ ელიზბარ ჯაველიძეს და რეჟისორ გოგი ქავთარაძეს გავესაუბრეთ.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— მიხეილ სააკაშვილი ხშირად იყენებს ხოლმე ასეთ გამოთქმას: „უსაქმური კაცი... მახათს ერთ ადგილას იყრიდაო“. სამწუხაროდ, სააკაშვილი თვითონაც ხომ იყრის მახათს და თან მიძინებულ დათვს უჩხიკინებს აქედან და იქიდან, რომ გააღვიძოს. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ნორმალური ადამიანი არ გვყავს ქვეყნის სათავეში, ქვეყანას რომ მიხედოს. არ ენაღვლება სააკაშვილს ქვეყნისა და ხალხის ბედი. მისი დავალებით, მასონური ძალები ცდილობენ, როგორმე მოსპონ და დააკნინონ ქართველი ერი. რაც შეეხება 23 აგვისტოს, სჯობს, თარიღს სახელი შეეცვალოს. მაგალითად, პირველი ორი სიტყვა. 23 აგვისტო მიხეილ სააკაშვილის უგუნურად გადადგმული ნაბიჯების შედეგად დაღუპულ ქართველთა ხსნოვნის დღედ გამოცხადდეს. სააკაშვილისთვის ჰალსტუხის ჭამა და ცხვირით მიწის ხვნა, თვითმფრინავის აჩრდილის მოლანდებისას, ჩვეულებრივი ამბავია და ეგ ყოფით დღეებად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

**გოგი ქავთარაძე:**

— არა მგონია, საჭირო იყოს ამ თარიღების მაინცდამაინც ახლა გამოცხადება, მაგრამ, თუ ეს გაკეთდება, დიდი დანაშაულიც არ იქნება. თუ რაიმე შედეგს მოგვცემს ამ თარიღების გამოცხადება, არ ვიცი, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მოტანა რომ არ შეუძლია, ვიცი. შეიძლება შინაარსობრივად სწორი იყოს, მაგრამ ახლა ჩვენ სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც გვაქვს და, ალბათ, სჯობს, იმაზე უფრო მეტი ყურადღება გადავიტანოთ.

**თეო ტაბატაძე**

# მახათის მოყვარულთა ქვეყანა

**თერძის ეს განუყოფელი ატრიბუტი ამჯერად პრეზიდენტად წოდებულის ამასწინანდელი საჯარო გამოსვლის გამო არ გვიხსენებია. უბრალოდ, ინიციატივა, რომელიც ვინ იცის, ვის ტვინში დაიბადა და რომელსაც უკვე ხორციც შეესხა, მახათის გარდა არაფერს მოგაგონებთ. საქართველოს პარლამენტმა კიდევ რამდენიმე „უმნიშვნელოვანესი“ თარიღის აღნიშვნა გადაწყვიტა თუ გადააწყვეტინეს.**

ამიერიდან 25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის, ხოლო 23 აგვისტო ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდება. ვინც უცებ დაიბნა – 23 აგვისტო რა შუაშიაო, ვეტყვი – თქვენ არასახელმწიფოებრივად აზროვნებთ, ჩემო კარგებო, და ვერანაირად ვერ გამოადგებით მიშას თავის მატარებელში. ნურც გაგიკვირდებათ, თუ ჩარეცხილი აღმოჩნდებით, რადგან ყველა ნამდვილმა „პატრიოტმა“ ზეპირად უნდა იცოდეს, რომ 23 აგვისტო საბჭოთა კავშირისა და ფაშისტური გერმანიის მიერ ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულების, იგივე მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადების დღეა.

**ამ დროს ბევრს გაუჩნდება, ალბათ, შეკითხვა საქართველოს ხელისუფლების მიმართ: ოფოფები გყავთ? აფრენთ ხოლმე?**

არა, ამ ადამიანებს სხვა საქმე რომ არ აქვთ და მართლაც მახათი რომ სჭირდებათ, ამის მიხვედრას არც ფსიქიატრი სჭირდება და აღარც თერძი, მაგრამ ამ 23 აგვისტოსთან დაკავშირებით ცოტა ისე ხომ არ გამოუვიდათ, კუმ ფეხი გამოყოო? ვის დაკარგვიხარ, შვილოსან, რა შენი აღსანიშნია მსოფლიოს გიგანტ სახელმწიფოთა მიერ გავლენის სფეროების გადანაწილების მნიშვნელოვანი



თარიღები? მიდით ბარემ, მიაყოლეთ და თეირანის კონფერენციის დღეები გლოვის დღეებად გამოაცხადეთ!

**ცოტა ხანში, ალბათ, ეს მახათიც დაგიპატარავდებათ და ახალი დაგჭირდებათ. როცა ეს დრო დადგება, 6 მაისს პირდაპირ ვანოობას აღნიშნავთ, წმიდა მიხეილის დღეს გადმოიტანთ და 21 დეკემბერს აღნიშნავთ, 23 დეკემბერს – სანდრაობას... ოღონდ ნუ მოგერიდებათ და მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით – სრული გულწრფელობით შეგიძლიათ 11 აგვისტო მიწაზე ფორთხვისა და დაცვასთან სირბილში შეჯიბრის დღედ, ხოლო 12 აგვისტო ჰალსტუხის ღეჭვის საერთაშორისო დღედ გამოაცხადოთ. რაც მთავარია, 7 ნოემბერი არ დაგავიწყდეთ – საკუთარ ხალხსა და დამოუკიდებელ მედიაზე ისტორიული გამარჯვების დღე.**

**სალვადორ დვალი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



### გურამ გირგვლიანი:

# ჩემი შვილის მკვლელები საკუთარ სახლებში ქეიფობენ და მიშას ქება-დიდებაში ატარებენ დროს

**სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და სანდრო გირგვლიანის სადისტური მკვლელობისთვის შს სამინისტროს მაღალჩინოსნებს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოთხ თანამშრომელს: გია ალანიას, ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ღაჭავასა და ალექსანდრე ბიბილურს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 40 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.**



შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროს მაღალჩინოსნებმა, 2006 წლის 27 იანვარს 28 წლის სანდრო გირგვლიანი ოქროყანის ტყეში მის მეგობარ ლევან ბუხაიძესთან ერთად გაიტაცეს. მეორე დღეს, მრავლობითი დაზიანებებით, სანდრო გირგვლიანი ხევში გადაჩეხილი იპოვეს. საქმე თავდაპირველად განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. თუმცა შემდეგ, როცა ოჯახმა სანდროს მკვლელობაში ექვმიტანილებად შს სამინისტროს მაღალჩინოსნები, კონსტიტუციური დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, კონსტიტუციური უსაფრთხოების მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, შსს-ს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე და შს მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია დაასახელა, ხელისუფლება იძულებული გახდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არა ზემოთ დასახელებული თანამშრომლები, არამედ შედარებით დაბალი რგოლის წარმომადგენელი ოთხეული დაეკავებინა.

**სასამართლომ ალანიას 8, ბიბილურს, ღაჭავასა და აფციაურს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ზუსტად ერთ წელიწადში უზენაესმა სასამართლომ მათ სასჯელი 6 თვით შეუმცირა, ხოლო 2008 წლის 24 ნოემბერს, პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე გირგვლიანის მკვლელებს სასჯელი გაუნახევრეს. 2009 წლის სექტემბერში კი ისინი პატიმრობიდან საერთოდ გაათავისუფლეს.** მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურზე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **აკაკი ბობოხიძემ ისიც კი განაცხადა, რომ აღნიშნული მსჯავრდებულები სასჯელს მკვლელობისთვის არ იხდიდნენ: „არა მარტო იმიტომ, რომ არ დავსაჯეთ, არამედ იმიტომ, რომ იქ ამ ხალხის მიერ მკვლელობა არ მომხდარა.“**

გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლების არაერთი ცინიკური განცხადება გვახსოვს, თუმცა დღეს სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სამარცხვინოდ შეაფასა ის მორალური ზიანი, რომელიც გირგვლიანის ოჯახს მიადგა და ოთხეულს გირგვლიანების სასარგებლოდ 40 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, ეს ფაქტი, **სასამართლოს მხრიდან, მაინც იყო იმის აღიარება, რომ, მიუხედავად სახეშეცვლილი მუხლებისა, სასჯელების არაერთგზის შემსუბუქებისა, ეს ადამიანები მკვლელები არიან და, ბობოხიძისა თუ სხვა ნაციონალების „განმარტებების“ მიუხედავად, ეს ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის.**

სანდრო გირგვლიანის მამის, გურამ გირგვლიანის განცხადებით, ქართულ სასამართლოზე გავლენა სტრასბურგის სასამართლომ იქონია. ქართული მართლმსაჯულება სწორედ ევროსასამართლოში ამ საკითხის განხილვას ელოდებოდა და გირგვლიანის სასარგებლოდ წარმართულმა პროცესმა ისინი აიძულა, ასეთი გადაწყვეტილება გამოეტანათ.

**გურამ გირგვლიანი:**

— სააპელაციო სასამართლომ განიხილა ჩვენი და მეორე მხარის საჩივარი და ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა და ოთხეულს, ნაცვლად ჩვენი ადვოკატების მიერ მოთხოვნილი 200 ათასისა, სასამართლომ ჩვენი ოჯახის სასარგებლოდ 40 ათასი ლარი დააკისრა. პირველი სასამართლო გადაწყვეტილება იყო 5 თებერვალს. იცით, ალბათ, რომ ჩვენი საქმე („ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ“) სტრასბურგში განიხილებოდა 27 აპრილს. ამიტომაც 5 თებერვალს ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნა. ამ გადაწყვეტილებას ჩვენ უზენაესში გავასაჩივრებთ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც, ისინი დაელოდებიან, რა იქნება სტრასბურგის სასამართლოში და შემდეგ გამოიტანს გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო, ისევე, როგორც საქალაქო სასამართლომ გააკეთა.

**— ანუ სტრასბურგის სასამართლომ იქონია გავლენა ქართულ მართლმსაჯულებაზე?**

— დიახ, ესენი ელოდებოდნენ პროცესს ევროსასამართლოში. სტრასბურგის სასამართლოს პასუხი იქნება, ალბათ, მოგვიანებით, სექტემბერში ან ოქტომბერში. ორი საათი მიმდინარეობდა პროცესი, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ადვოკატები — დავით ჯანდიერი და შალვა შავგულიძე ძალიან მაღალ დონეზე გამოვიდნენ, ძალიან არგუმენტირებულად, საუბრობდნენ ფრანგულ ენაზე, რასაც ვერ ვიტყვი ქალბატონ ბურჯალიანზე, რომელიც ჩვენი ხელისუფლების სახეს წარმოადგენდა. იგი ძალიან უსუსურად გამოვიდა, 9 თაბახის წაკითხვას ჟესტიკულაციებითა და წყლის სმით 40 წუთი მოანდომა. საუბრობდა ჩვენი მთავრობის დამსახურებებზე, თუ როგორ მაღალ დონეზე მოხდა გამოძიება, რა ოპერატიულად დაიჭირეს ეს ოთხეული და უკმაყოფილო და გაკვირვებული იყო იმით, რომ ჩემმა მეუღლემ საჩივარი შეიტანა სტრასბურგის სასამართლოში.

**— სანდროს მკვლელობაში მსჯავრდებულები უკვე გათავისუფლებულები იყვნენ იმ დროისთვის, როცა თქვენი სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შევიდა?**

— დიახ, ისინი გაათავისუფლეს 2009 წლის სექტემბერში. მაქსიმალურად გაწელეს დრო, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ევროსასამართლოში პროცესი არ შემდგარიყო, ორჯერ გადაიდო პროცესი. ჩადიოდნენ მაღალჩინოსნები მეუღლეებიანად, ვითომდა დასასვენებლად, სინამდვილეში კი იმისთვის, რომ სასამართლო აეცილებინათ ჩემი ადვოკატებისთვის.

**— ბატონო გურამ, 40 ათასი ლარი არ არის სამარცხვინო თანხა იმ ტრაგედიისთვის, რომელიც თქვენს ოჯახში მოხდა?**

— ჩემთვის თანხას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. 2 ივლისს სასამართლო პროცესზე შემოგვთავაზეს, თანხაზე მორიგდითო, მე ვუთხარი, რომ მილიონი ლარიც რომ მომცეთ, გარიგებაზე თანახმა არ ვართ, სასამართლომ გამოიტანოს ობიექტური გადაწყვეტილება-მეთქი. ჩემთვის აზრი და მნიშვნელობა არ აქვს თანხის რაოდენობას. ეს სასამართლო პროცესი იმისთვის მჭირდება, რომ მათ, ვისაც ეს ტრაგედია დაავიწყდა, გავახსენო.

**— მათი მონასტერში წასვლა თქვენთვის არ ნიშნავდა იმას, რომ დანაშაულს ინანიებენ?**

— რას ამბობთ, ვილაცამ დაავალა, ალბათ, პატრიარქიც კი გაოცდა, ვერ გაიგო, რა ხდებოდა. თუ მათ დანაშაულის გამოსყიდვა უნდათ, ასე კი არ უნდა დაანახონ ხალხს, ვინანიებთო. ეს არის ბლეფი, შეთითხნილი პიარი მონანიების. როგორ ფიქრობთ, რომელიმე იმ ოთხეულიდან წასულია მონასტერში? თავიანთ სახლებში სხედან და მშვენივრად გრძნობენ თავს. შიგნით რა ტკივათ და რა ნამუსი აქვთ, არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ არაფერი აწუხებთ, ქეიფობენ, დროს ატარებენ და მიშას აქებადიდებენ.

**— სანდროს მკვლელობა იყო ყველაზე საზარელი დანაშაული, მითუმეტეს, რომ ის შს სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ჩაიდინეს. გარდა სანდროს მკვლელობისა, თითქმის მთელი ოჯახი შეიწირეს მათ. თქვენც ხომ გემუქრებათ საფრთხე?**

— არა, ტყუილს ვერ ვიტყვი, მე საფრთხეს არ ვგრძნობ. არც ვჩანვარ, მაინცდამაინც. ჩემი მიზანია, ჩემი ოჯახი, რომელიც უკვე აღარ არსებობს, დიდხანს ახსოვდეთ.

**— იყო საუბარი, რომ ქალბატონ ირინას გარდაცვალებაც მოწყობილი იყო. თქვენ თუ გაქვთ მსგავსი ეჭვი?**

— აქამდე არაფერს ვამბობდი ამაზე, მაგრამ გამორიცხული არაფერია. მაშინ ხალხი ძალიან მომართული იყო, ხმა ამოიღეს შვილმკვდარმა დედებმა, ახლაც ეშინიათ ირინას გახსენების ხელისუფლებაში. ძალიან ძნელია ამის თქმა, როცა ხელში დამამტკიცებელი არაფერი გიჭირავს, მაგრამ არ გამოვრიცხავ. რატომაც არა, თუ ცხონებული ჟვანია „შემთხვევით“ გაზით გაიგუდა, პატარკაციშვილს „შემთხვევით“ გული გაუსკდა, მაშინ შეიძლება, რომ ჩემს მეუღლესაც „შემთხვევით“ დაემართა პანკრიატიტი და „შემთხვევით“ გარდაიცვალა კიბოთი. ისეთი ხელისუფლება გვყავს, ყველაფრის ეჭვი გაგიჩნდება.

**— თუ გქონიათ შესაძლებლობა ან ხელისუფლების მხრიდან ყოფილა ინიციატივა, რომ შეგხვედროდენ?**

— არა, არანაირი. მაგას ვერც გაბედავენ, იციან ჩემი პოზიცია. მოსვლა რომ გაბედოს, კაცი უნდა იყოს, შინაგანი მონანიების განცდა უნდა ჰქონდეს და ბოდიშის მოხდის ან გამოსწორების სურვილი, მაგათ პირიქით, ერთი სული აქვთ, რომ მეც მოვკვდე, მაგრამ ცოცხალი ვარ და სხვა გზა არაა. იცით, რატომ შემომთავაზეს გარიგება სასამართლოში? რომ მერე ჩემი კომპრომეტირება მოეხდინათ. რომ მეთქვა, თანახმა ვარ, აბა, რამდენს მთავაზობთ-მეთქი, მერე იტყოდნენ, ხომ ხედავთ, არც ცოლი ადარდებს და არც — შვილი, მხოლოდ ფული აინტერესებს. ამიტომაც გასაგებად ვუთხარი, რომ ამაზე ლაპარაკიც არ იყოს-მეთქი. მოსამართლემაც მაშინვე მიპასუხა, ყველაფერი გასაგებიაო, და საკითხს დაუბრუნდა.

**— საუბარი იყო, რომ ღაჭავა, ბიბილური, ალანია, აფციაური მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ. თქვენი ოჯახის დიდი ძალისხმევა იყო, რომ მკვლელობის დამკვეთები დასჯილიყვნენ. ახლა, როცა ის ადამიანებიც კი გათავისუფლდნენ, რომლებიც ამ საქმეზე დააკავეს, ალბათ, დამკვეთების დასჯაზე საუბარიც ზედმეტია...**

— დღეს თუ არა, ხვალ დამკვეთებიც დაისჯებიან. ამაში დარწმუნებული ვარ! მეც რომ არ ვიყო ამქვეყნად, სანდროს ბიჭები მაინც ბოლომდე გაყვებიან ამ საქმეს. მე მარტო კაცი ვარ, აღარც ცოლი მყავს, აღარც — შვილი, მარტო ნათესავები, მეგობრები და სანდროს ბიჭები მყავანან, რომლებიც არ მტოვებენ, მიფრთხილდებიან, ეს საქმე რომ მივიყვანოთ ბოლომდე და მჯერა, ჩვენ ამას გავაკეთებთ.

**ყველაფერი ისე იქნება, როგორც ირინას უნდოდა. ირინას ბოლო სიტყვები იყო: ევროსასამართლოში გამოჩნდება ჩვენი სიმართლეო; ევროპის სასამართლო თავის სათქმელს იტყვის, რადგან ეს პროცესი შედგა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ცდილობდნენ, რომ პროცესი ჩაშლილიყო. ასე წაიმტვრევენ ყველაფერზე კისერს. მარტო მე ხომ არ ვარ, ბატონი იური ვაზაგაშვილი როგორ იბრძვის, სხვებიც, მაგრამ, რომ არ ყოფილიყო ირინა ენუქიძე, ეს ყველაფერი არ იქნებოდა.**

ბევრმა წამოიწყო ეს კამპანია, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ყველას ჩასჩარეს ბურთი პირში. ჩვენ რა, გგონიათ, არ შემოგვთავაზეს ათასი რამ? ვინ არ მოდიოდა, რას არ კადრულობდნენ, რა არ გააკეთეს, რომ ოჯახისთვის ჩირქი მოეცხოთ, მაგრამ, რომ დარწმუნდნენ, სუფთა ოჯახში მოხვდნენ და არაფერი გამოუვიდოდათ, იმიტომ დაიჭირეს ის ადამიანები. შვიდ-რვა წელს ვინ მისცემდა იმათ, რომ არა ირინას აქტიურობა?! მაშინ საზოგადოებამ ხმა ამოიღო, ქართველი ერი მაშინ ძალიან მაგრად იდგა. საქართველოს მოსახლეობამ მიაღწია იმას, რომ 7-8 წელი მისცეს ამათ. ეს არაფერი იყო იმ დანაშაულთან შედარებით, რომელიც მათ ჩაიდინეს, მაგრამ...

სხვათაშორის, ზოგიერთები, ის მაღალჩინოსნები, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან და თავი მოაქვთ, მაშინ ჩუმად იყვნენ. ახლა ამბობენ, გირგვლიანის საქმეს ბოლომდე მივიყვანთო. მიიყვანონ, თუკი ნამუსი აქვთ შერჩენილი.




ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# «Стройная девушка» კი არა, პირველი ლედი, შე მართლა «ბომჟო»!

**როცა ყველაფერი უბრალოვდება, გასაკვირიც ალარაფერია. მიუხედავად ამისა და იმისაც, რომ მივეჩვიეთ ბოგანოთა ლექსიკის მოსმენას, მაინც გამაოცა ტაჯიკეთის ლენინაბადში დაბადებული და ამჟამად ხუჯანდიდან საქართველოში გადმობარგებული, მომიტევეთ და, „ბომჟის“ — ოლეგ პანფილოვის კომენტარმა სურათზე, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ქართველ ქალ ლიდერებთან შეხვედრას ასახავს.**



ჩემი გაოცება გამოიწვია პანფილოვის გაშინაურებამ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლესთან. წესით, ქვეყანაში, სადაც, უკვე დიდი ხანია, „გაგვიბატონდა სირეგვნე შეუწონარი“, არც პანფილოვის სირეგვენე უნდა მეუცხოვა, მაგრამ... მაგრამ, ვერ დავმალავ და, ჩემთვის მოულოდნელი და, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელი იყო (მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი) ვიღაც „ბომჟისგან“ (თუნდაც ცნობილი და პრეზიდენტისგან პატივდებული „ბომჟისგან“) საქართველოს პირველი ლედის მიმართ ამგვარი აგდებული დამოკიდებულება.

აი, ნახეთ, რას წერს პანფილოვი იმ სურათის კომენტარში, რომელიც „Facebook“-ში თავის კედელზე განათავსა: „кто эта стройная девушка в зеленом платье?“

როგორც ჩანს, ამ ხუჯანდელ გადმონაშთს ჰგონია, პრეზიდენტი ერთხელ თუ გაუღიმებს (არადა, მართლა ხშირად იღიმება), უკვე უფლება აქვს ქვეყნის პირველი ქალბატონი, პრეზიდენტის მეუღლე ასე ფამილარულად — „Стройная девушка“-დ მოიხსენიოს.

ამ შემთხვევაში ჩემი რეპლიკის კატალიზატორი გახდა თამუნა ბელქანიას კომენტარი, რომელიც მან ქალბატონი სანდრა რულოვსის დასაცავად დაწერა:

**„არსებობს საკუთარი ღირსების შეგრძნება, რომელიც ამ შემთხვევაში ბუნებრივად უნდა გაძლევდეთ იმპულსს, დაიცვათ თქვენი ქვეყნის პირველი ქალბატონი, რომელიც მაღალი, ლამაზი, განათლებული, მომხიბვლელი... და, ბოლო ბოლო, ორი ქართველის დედაა. რა უცნაურია, ამ შესანიშნავ დროსაც სევდიანია.**

**უბრალოდ მზეზე ეძებთ ლაქას. თვალები გეტკინებათ“.**

სამაგიეროდ, პანფილოვს არ ეტკინება თვალები, სათვალე მუდამ „თან ახლავს“, მაშინაც კი, როცა ხელისუფლების პროპაგანდისტულ ტელეარხებს კომენტარს აძლევს თავზე „შემოდგმული“ სათვალით.

ამ სურათმა მე სხვა რამითაც გამაკვირვა და არა მხოლოდ პანფილოვის თავხედობით გაჟღენთილი ფამილარობით. არც დავიმალავს, რომ მიუღებლად მიმაჩნია, ქვეყნის პირველი ლედი დარბაზში იჯდეს, როცა სხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიდერ ქალებს ლექციას უკითხავს.

გულახდილად ვიტყვი — გაოცებული ვარ! ვიცოდი, რომ სანდრა რულოვსი ჰილარი კლინტონთან შეხვედრას ესწრებოდა, მაგრამ შეკითხვა თუ დაუსვა, ამ სურათით გავიგე.

რატომ — გაოცებული?

**ჩემი აზრით, ქვეყნის (თუნდაც პატარა და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის!) პირველი ლედი სხვა ქვეყნის (თუნდაც აშშ-ის) სახელმწიფო მდივანს (თუნდაც ყოფილ პირველ ლედის!) დარბაზიდან შეკითხვას არ უნდა უსვამდეს ან აზრს უზიარებდეს; ასევე, იმ დარბაზში, პარტერში არ უნდა იჯდეს.**

**თუ რამე მეშლება, სახელმწიფო პროტოკოლის კარგად მცოდნეებმა შემისწორონ.**

მართალია, ირენე გედევანიშვილი არ მეთანხმება და ამბობს, რომ **„იცის სანდრამ პროტოკოლის წესიც და ქართული შაოსნური მოდაც, მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ მისი სამოსი პროტესტია ყოველივე ამისი? სწორედ ასე ინარჩუნებს თავის უშუალობასა და განსხვავებულობას, და ამიტომაც ვიტყვი: „все равно лучше“.**

მართლაც მშვენიერი ქალბატონია, მაგრამ იგი სახელმწიფოს მეთაურის, ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლეა და მისი ტოლ-სწორი მხოლოდ პრეზიდენტის მეუღლე შეიძლება იყოს. აქ მოწონება-არმოწონებაზე ანდა პროტესტზე და განსხვავებულობის შენარჩუნებაზე არ ვლაპარაკობ, მისი რანგისთვის შეუფერებელია ამგვარი ფორმით საზოგადოების წინაშე წარდგომა, თორემ ისიც ვიცი, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებსაც რომ პატრონობს.

ქალბატონი სანდრა თავის რანგით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი და ამასთან, იგი მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნის, ქვეყნის სახეცაა. მას არ შეშვენის უცხო, თუნდაც დიდი და ძლევამოსილი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე ასეთი იაფფასიანი „კოჭის გაგორება“ — ეს არის მთავარი.

და კიდევ ის, რომ ეს „უშუალობა და განსხვავებულობა“ ჩვენი ჭკუის სასწავლებლად ჩამოსახლებულ პანფილოვს აბედვინებს, იგი „стройная девушка“-დ მოიხსენიოს.

ამის შემდეგ რაღას გამაკვირვებდა ბათუმის ღამის კლუბ „დივაში“ ბარის „სტოიკაზე“ მოცეკვავე ვერა ქობალიას ხილვა.

**ეს სურათი, როგორც ინფორმირებული „ფეისები“ ამბობენ, 2010 წლის 18 თუ 19 ივლისს არის გადაღებული. ამ დროს ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობას ზეიმობს „ვერა და კომპანია“ ან მინისტრის პოსტის შეთავაზებით შეფარცქვალებულმა ველარ მოითმინა და მდგრადობადაკარგულმა თავის არანაკლებ მშვენიერ დასთან და დაქალებთან ერთად ფართოდ გაშალა ფრთები კი არა და... რა ფეხები, წესიერად ილაპარაკეთ, ხელები!**

ვერამ მინისტრობა გაინაღდა, მაგრამ „მოშურნენიც“ გამოუჩნდნენ; მაგალითად, ეკა გეგეშიძე მზად არის... აი, მოუსმინეთ:

**„ყველა კაბას უნდა შემოვაგლიჯო კალთები თეძომდე, ეგზალტირებულ მდგომარეობაში მყოფმა გადავიღო ვულგარული სურათები, გავაგზავნო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და დაველოდო მინისტრის პოსტის შემოთავაზებას (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი დარგის!). არც გარეგნობას ვუჩივი და არც ინტელექტს (თუმცა ამ უკანასკნელმა შეიძლება ხელი შემიშალოს კარიერაში).**

**ეკონომიკის მინისტრობა არ მინდა — პურის ცხობა არ ვიცი!**

**ხომ მაგარი იდეაა?! რით ვართ ვერონიკაზე ნაკლებები? მაგიდაზე ცეკვა არ გამოგვივა თუ თვალების პრაწვა?!**

**ილონა სტალერი გამახსენდა, მეტსახელად „ჩიჩოლინა“, სადამ ჰუსეინს საკუთარი თავი რომ შესთავაზა, ოღონდ არ იომოო... ვაი, ჩვენს პატრონს!“**

გასაკვირი არ არის, რომ ვერა ქობალიას მინისტრად დანიშვნამ ასეთი პროტესტი გამოიწვია; თუმცა ზოგი თავის „უიღბლობაზე“ „ააწუწუნა“. მაგალითად, ცნობილი პუბლიცისტი გურამ შამანიდი:

**„მართალი გითხრათ, ორივე დები (ცოცხლად რომ ნახოთ) მაგარი ქალები არიან, მაგრამ ეკონომიკასთან რა კავშირი აქვთ, ვერაფრით გამიგია!**

**ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაფერს იღბალი უნდა! 35 წლის რომ იყო ჩემი ცოლი, მაშინ მიშა რომ ყოფილიყო პრეზიდენტი (და ჩემი ცოლი სადმე შეხვედროდა), მე ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი ვიქნებოდი, ჩემი ცოლი კი — განათლებისა და კულტურის!“**

ნანა ზარდიაშვილი კი ირონიას არ მალავს:

**„ნახე, რა გზნებით როკავს... ეს, ალბათ, რიტუალური როკვაა, როკვა თანამდებობის მოპოვებისა. ასე რომ იცეკვებ, რიტუალის ერთ-ერთ მონაწილეს ეგრევე მინისტრთა კაბინეტში იყვანენ. ძაან ძველებური რიტუალია. და ერთი მაინც ქერა უნდა იყოს, სხვანაირად არ შეიძლება“.**

ალბათ, მართლაც ასეა, მაგრამ, მაშ, რა ნიშნით დანიშნეს ხათუნა კალმახელიძე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად? **ამ სურათზე, რომელსაც ახლა თქვენ უყურებთ, იგი ვიღაც უცნობი (საზოგადოებისთვის) მამაკაცის კალთაში ნებიერად მიწოლილა.** ვერონიკას ცეკვაზე არანაკლები ხმაური გამოიწვია ამ ფოტოს გამოქვეყნებამ; მაგრამ არა იმიტომ, რომ უფრო ენერგიულად ცეკვავენ!

**აქაც რაღაც რიტუალს ატარებენ. და ეს რიტუალიც ძველია, ძალიან ძველი!**

**მიხეილ წერეთელი**



მარჯვნიდან პირველი: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერონიკა ქობალია



მარცხნიდან პირველი: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე

# ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სვანები გაბრაზდნენ

**„ეს ხალხი მე ბევრად უფრო მიყვარს, ვიდრე ზოგიერთ ადგილობრივ ვითომ ავტორიტეტს“ — ეს სიტყვები, არც მეტი არც ნაკლები, ბატონ პრეზიდენტს ეკუთვნის, იმ პრეზიდენტს, სულ ახლახან სპეცოპერაცია რომ მოუწყო სწორედ ამ საყვარელ ადამიანებს. ამ ხალხის დანაშაული მხოლოდ ისაა, საკუთარი მიწების გასხვისების გამო, პროტესტის გრძნობა რომ გაუჩნდა. პრეზიდენტი, ალბათ, ასე გამოხატავს სიყვარულს. საინტერესოა, რას ფიქრობენ თვითონ სვანები. ჩვენ სვანების ერთ-ერთ წარმომადგენელს, მსახიობსა და რეჟისორს — სოსო ჯაჭვლიანს ვესაუბრეთ.**



## სოსო ჯაჭვლიანი: სადა ხართ, ჩემო ვაჟკაცებო და კაცებო? მოვითხოვოთ სიმართლე!

**— ბატონო სოსო, ბოლო დროს ხშირად საუბრობენ სვანეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. უკვე დაიწყეს სვანეთის მიწების აუქციონზე გატანაც. 7 ივლისს ინვესტორთა „ხელისშემშლელებიც“ კი დააკავეს და ხმაურიანი სპეცოპერაციაც ჩაატარეს. რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს ფაქტი?**

— კომუნისტების პერიოდშიც კი, როდესაც მიწები სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, ყველამ იცოდა, რომ ტყეს საკუთარი პატრონი ჰყავდა. ზოგი ტყე ჯაჭვლიანების იყო, ზოგი — ჩართოლანების, ზოგიც — გაზდელიანების და ა.შ. ეს პატრონები ტყეს იცავდნენ, სახელმწიფოს ეხმარებოდნენ კიდეც იმით, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და უვლიდნენ. ტყის მეპატრონე ზედმეტ ხეს არავის მოაჭრევინებდა, მხოლოდ მისი გამოხშირვის უფლებას თუ მისცემდა. სვანეთში თითოეული მიწის გოჯი სისხლითაა გაპოხილი. **ეს ის მიწებია, რომელთა ჩუქებაც მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით ხდებოდა, ქორწინების დროს ან უბედურების შემდეგ შერიგებისას, ან ოჯახში მემკვიდრეობის გადანაწილებისას.**

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ასე გრძელდებოდა. ყველამ იცოდა საკუთარი გვარის მიწები და რომელი ტყე ვის ეკუთვნოდა. ახლა კი სამეგრელო-ზემო სვანეთის ტყეებს გოროზია პატრონობს.**

**— პრეზიდენტი სააკაშვილი მესტიაში 7 ივლისს ჩატარებულ სპეცოპერაციას გამოეხმაურა და მოუწოდა „ადგილობრივ ვითომ ავტორიტეტებს“, ინვესტორებს „ცუდად არ გასცენ პასუხიო“. უცხოელ ინვესტორებს როგორ უნდა ჩაუჯდეს ვინმე წილში, მაგას კარგად საქართველოს ევროპული რანგის საპატიმროებში აუხსნიანო.**

— ინვესტორებს ხელს არავინ უშლის. არ ვარ ინვესტორის წინააღმდეგი. გააკეთონ ყველაფერი, ჩადონ ფული, რაშიც უნდათ, მაგრამ არ შეიძლება, ინვესტორს კარგი პირობები შეუქმნა და ამის ხარჯზე საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები დაჩაგრო. ევროკავშირში მეგობრები მყავს და ვიცი, იქ რა სიტუაციაა. იქ რომ ბიზნესს იწყებ, არკვევენ, საიდან გაქვს ის ფული მოტანილი. ჩალით არაა ქვეყანა დახურული, ყველაფერი კონტროლდება. ისე კი არაა, ჩვენთან რომ ჩამოვა ვიღაც ჩინელი და მეორე დღესვე ბიზნესს იწყებს. ეგ მაღიზიანებს. მე კიდე სოსო რომ ვარ, ჯაჭვლიანი, ამის დამადასტურებელი მოწმობა სამი დღის სავალზე უნდა ავიღო, ეს სამართალია? პენსია რომ აქვს ადამიანს 60 ლარი და მის ასაღებად დღე-ღამის სავალზეა წასასვლელი, ესაა საქმე? ჩვენ ვართ მონები და ფეოდალურ-მონათმფლობელურ მენტალობასა და აზროვნებას ვერ გავცდით. თანაც მხოლოდ ჩვენს ხალხზე ვახორციელებთ ამას, სხვებზე — არა.

**— ერთხელ თურმე სვანებს დაემუქრნენ კიდეც, ტყეებს გაგიყიდით და კალოშებით გატარებთო...**

— გოროზიან თქვა ეგ... გოროზიას არავინ ჰკითხავს ტყეების გასხვისებას. ბებიამისის საჯდომმა! სტალინის ძეგლის არ იყოს, ვითომ იმიტომ აიღეს, რომ სტალინის ძეგლი აღარავის სჭირდებოდა, მაგრამ ეს იყო იდეოლოგიური ზეწოლის ერთ-ერთი გამოვლინება. ამით იმის აფიშირებას ახდენენ, რომ ყველაფერს ისინი განაგებენ, და სხვამ ყველამ ხმა უნდა ჩაიკმინდოს.

ახლა იგივე ხდება ერთ დროს უბატონო სვანეთშიც. საკუთარი პირადობის დამადასტურებელი ცნობა რომ აიღოს უშგულში ადამიანმა, ამისთვის ფოთში ან ზუგდიდში უნდა ჩავიდეს, სამი დღე უნდა ატარონ წინ და უკან. 4-5 ტომარა კარტოფილი უნდა გაყიდოს კაცმა იმისთვის, რომ ცნობა აიღოს.

ვფიქრობ, რომ იმ კანადელის ქონება დაცული უნდა იყოს, ვისაც სახელმწიფომ ეს მიწა მიჰყიდა. მაგრამ გამოჩნდა ადამიანთა მერე ჯგუფი, რომელმაც ამ მიწებზე პრეტენზია განაცხადა, რადგან ეს მიწები წლების განმავლობაში მათ ოჯახებს ეკუთვნოდათ. ამის შემდეგაც არ დაინტერესებულა ეს კანადელი იმ ფაქტით, რამდენად კანონიერი იყო სახელმწიფოსგან ამ მიწების გასხვისება.

**კანადელი ვირთხულად მოიქცა, უთხრა ამ ხალხს, რომ ფულს მოგცემთო. სინამდვილეში კი გარიგებაზე წავიდა სახელმწიფოსთან, ფული დაუნომრეს. მერე კი მოაწყვეს სპეცოპერაცია და ყველა დაიჭირეს, მათ შორის ნავერიანის ქალბატონიც, რომელიც საერთოდ არ მონაწილეობდა ფულის გადაცემის პროცესში. გამოდიან მერე ტელევიზიით და ამას იმით ამართლებენ, რომ თითქოს ყველაფერი იმიტომ მოეწყო, რომ კანადელი აცხადებდა, რაღაცას ვაშენებდი და პრობლემები მექმნებოდაო. შე კაი ადამიანო, ფული რომ დაუნომრე, ახლა ხო 30 ოჯახთან გაქვს პრობლემები!**

სინამდვილეში ეს ყველაფერი სულ სხვა რამეს ემსახურებოდა. ეს კანადელიც გააგიჟეს, ეტყობა, ამათ ხომ მეთოდები აქვთ ასეთი. არჩევნების დროს ეს ქალბატონი ნავერიანი აქტიური ოპოზიციონერი იყო და საკრებულოშიც გავიდა. მაშინ ავიდნენ სვანეთში ესენი და იმას არ მოვყვები, რა ამბები ჩაატარეს. ამ ქალბატონს უთხრეს, კენჭს თუ იყრი, ინანებო და შეუსრულეს დანაპირები. ფულის გადაცემას ეს არ ესწრებოდა და საერთოდ რა შუაშია?! სვანებმა გზები გადაუკეტეს და ამათ ვირთხულად ვერტმფრენით გადმოაფრინეს იქიდან.

არავის ვიცავ, თუ დამნაშავეა, პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, მაგრამ ამ მეთოდებით როცა არკვევ, უფრო მეტ ბოროტებასა და უნდობლობას თესავ. ყველა სვანის გულშია ის, რასაც ახლა მე ვლაპარაკობ. ზოგი ამბობს, ზოგიც — ვერა, რაღაც-რაღაც მიზეზების გამო. მთელმა მესტიამ იცის, ვინაა ეს ქალბატონი. უპატიოსნესი ადამიანია, ქმრის გარდაცვალების შემდეგ შვილები მარტომ გაზარდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი: სადა ხართ, ჩემო ვაჟკაცებო და კაცებო? მოვითხოვოთ სიმართლე! კანონზე მაღლა ვერ დავდგებით, მაგრამ ხომ უნდა დავიცვათ იმ ქალბატონის ღირსება, ასე უპატივცემულოდ და დანაშაულის დამტკიცების გარეშე რომ გამოიყვანეს დამნაშავე, გადმოთრევას უფრო დავარქმევ ამას.

**— თუ სვანებს ეკუთვნოდათ წლების მანძილზე ეს მიწები და დღეს ამ მიწებს უცხოელ ინვესტორებს დაურიგებენ, გვინდა სვანეთში ასეთი საკურორტო ზონა?**

— ლომი გალიაში ლომი არაა. თუ გინდა, ინფრასტრუქტურა მართლა განავითარო და ძველი ადათ-წესები აჩვენო მომსვლელს, იქაურებთან შეთანხმებით უნდა იმოქმედო. რას ითხოვდნენ ის ადმიანები ისეთს, რაც არ ეკუთვნოდათ?! საკუთარ მიწებს ითხოვდნენ. იცით, რა თანხაზეა საუბარი? 70 000 ლარზე. ერთი თვის ხელფასია ეს გაეროს წარმომადგენლებისთვის, რომ ჩამოდიან ხოლმე. თუ ის ხალხი თანახმა იყო ფულის აღებაზე, რატომ არ მოხდა გარიგება? აბა, რისთვისაა სასამართლო და საპროცესო გარიგებები, ეს თუ არ დაარეგულირა?!

არ ვართ წინააღმდეგნი იმის, რომ ინვესტორი ჩამოვიდეს, მაგრამ ისე უნდა გააკეთდეს ეს ყველაფერი, რომ იქაური ეთნოსი შენარჩუნდეს. თუ იქ ყველაფერს მოსპობ, თუ სვანეთი სვანეთი აღარ იქნება, იმერეთი — იმერეთი, სამეგრელო — სამეგრელო და ა.შ., ასეთი არაფერი მინდა. ამიტომაა ჩვენ მიმართ უცხოელების ამხელა ინტერესი, რომ განსაკუთრებულია ყველა კუთხე და მთლიანად საქართველო.

**ყველაფერს თუ მოსპობ და გაანადგურებ, რისი ინტერესიღა უნდა ჰქონდეს ინვესტორს?! ვაჟა ფშაველამ 120 წლის წინათ დაწერა „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და ვერავინ ვერაფერს გვასწავლის. ვერაფრით გახდები კოსმოპოლიტი, თუ მაგარი პატრიოტი არ ხარ. ჩვენთან პატრიოტიზმს ნაციზმში ურევენ. შენ როგორ უნდა შემიყვარო მე, როგორ უნდა დააფასო ჩემი ადათი და წესი, როცა შენს ადათსა და წესს არაფრად აგდებ. ეგ უკვე ფარისევლობაა და ახლა კი ფარისევლების მთელი კასტა წამოვიდა.**

**— სად არიან თქვენი ფილმი „სვანის“ გმირების მსგავსი სვანები; პროტესტის გრძნობა რატომ არ გაუჩნდათ?**

— ღმერთმა დაგვიფაროს, სვანები გაბრაზდნენ. თუ ადამიანი ხვდება, რომ დასასჯელია, ის სასჯელს იღებს; მაგრამ, როცა იცის, რომ არაკაცურად ეხებიან მის ეთნოსს, ბოროტდება და, თუ ვაჟკაცია, ძლიერდება. დასასჯელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ დასჯის ფორმასაც გააჩნია. თუნდაც აფრასიძეების საქმე რომ გავიხსენოთ. საჩვენებლად მოეწყო სპეცოპერაცია, რათა საკუთარი ძალის დემონსტრირება მოეხდინათ. ვერტმფრენებითა და სპეცრაზმელებით დაესხნენ თავს აფრასიძეების ოჯახს. მცირეწლოვან ბავშვებსაც არ მოერიდნენ, ბაბუა თვალწინ მოუკლეს. სასამართლოს ვესწრებოდი, როცა აფრასიძის ცოლმა თქვა, რომ ხშირად დაურეკავთ პოლიციელებს და იცოდნენ კიდეც, სადაც იყო ომეხი, მაგრამ არ აუყვანიათო. რა უნდოდა ერთი ადამიანის აყვანას, მაინცდამაინც ამხელა სპეცოპერაცია უნდა ჩაეტარებინათ, რომ ყველას დაენახა, რა შეუძლიათ? ყველაფერი იმიტომ გააკეთეს, რომ კუთხე დაეჩმორებინათ, და შემდეგ ადვილი ყოფილიყო ტყეების, წყლებისა და მიწების გაყიდვა.

**ყველამ თავის გულში ჩაიხედოს. გოროზია ის არაა, გენერლებს მძღოლად რომ დაჰყვებოდა? მე ამათ როდის დავუჯერებ, იცით? ჩემი შვილი ამათ შვილებთან ერთად იმ უნივერსიტეტში რომ ისწავლის, ახლა კოლეჯად რომ გადააქციეს და ჯარშიც ჩემ შვილთან ერთად იმსახურებს. ოქსფორდსა და კემბრიჯში რომ აგზავნიან შვილებს, კარგია, მაგრამ ყველას უნდა გვქონდეს მაშინ იმის საშუალება, რომ ჩვენც გავუშვათ შვილები. პატარა ბავშვი რომ გამოვა და მე ასე მინდაო, ჭიჭყინებს და ყველაფერი ისე კეთდება, გასდისო და უკეთებენ. გასდის ამათაც და იმიტომ იქცევიან ასე.**

**— პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, კოშკი მაჩუქეს სვანებმაო.**

— გილოცავთ, ბატონო პრეზიდენტო, მართლა გულით გამიხარდა, თუ გაჩუქეს. აბა, თქვენ იცით, კარგად მოუარეთ იქაურობას. ოღონდ იქაურებს ნუ მოშლით. ერთმა დადეშქელიანმა უშბა აჩუქა სტიუარტის ქალს, სხვა არაფერი ჰქონდა, აბა, და... შენი პრეზიდენტი როცაა, რატომაც არა, უნდა აჩუქო. პრეზიდენტს თუ უნდა, ჯაჭვლიანების კოშკსაც ვაჩუქებთ. გააკეთოს ოღონდ იქ ყველაფერი, მოუაროს. იუნესკოს დაქვემდებარებაშია შესული მთლიანად ზემო სვანეთი, მთლიანად მსოფლიოს საკუთრებაა და ვერც პრეზიდენტი მოიკიდებს იმ კოშკს სადმე წასაღებად.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რომანტიზებული უვიცობა, ანუ გაამოთ!

**ჯერ რუბრიკის — „ახალი ფილიპიკების“ შესახებ. მამხილებელი პუბლიცისტიკა ფილიპიკებიდან იღებს სათავეს. დემოსთენე (384-322 წლები ჩვენს წელთ აღრიცხვამდე) — ათენელი ორატორი, საბერძნეთის ანტიმაკედონური დემოკრატიული დაჯგუფების ბელადი, მაკედონიის მეფის — ფილიპე II-ს წინააღმდეგ სისტემატურად გამოდიოდა — ბრწყინვალე სიტყვებს წარმოთქვამდა. ფილიპიკები აქედან წარმოსდგა.**



მიხეილ სააკაშვილი ხათუნა კალმახელიძის სამინისტროში

შეიძლება, პროსახელისუფლო ტელეარხების პროდიუსერები აჭარის ტელევიზიის კოლეგებზე უფრო გამოცდილები არიან, შეიძლება — არა. ამიტომ ვერ დავიჩემებ, რომ აჭარის ტელევიზიით მიხეილ სააკაშვილის „სპიჩის“ იმ მონაკვეთის გადაცემა, რომლითაც პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს, მაინცდამაინც გამოუცდელობის ბრალია.

დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვი, რომ სხვა ეთერში არ გასულა. ვერ მივადევნე თვალი.

რა თქვა ასეთი?

ახალი აფორიზმით გაგვიმდიდრა ფრთიანი გამოთქმების ეროვნული სალარო: **„გამოუცდელობას თავისი ხიბლი აქვს“.**

ლევ ტოლსტოის ყოველთვის გვერდში ედგა მაღმერთებელი კაცი და ისე, დიდ მწერალს რომ არ შეემჩნია, ჯიბეში ქაღალდზე იწერდა მის მოქნეულ ფრაზებსა და სიტყვებს.

ბორმანი ჰიტლერის იდეებს, რომელთაც იგი საუბარში „გააჟღერებდა“, დირექტივების სახით ავრცელებდა.

გოეთეს აკერმანი ჰყავდა, რომელმაც შთამომავლობას შესანიშნავი წიგნი დაუტოვა დიდი შემოქმედისა და მოღვაწის შესახებ.

**სტალინს ვინ გაუბედავდა ჩრდილივით ადევნებას?!**

**ის კი არა, როცა მიხეილ ჭიაურელმა დაიწყო კინოფილმ „ფიცის“ გადაღება და სტალინს სთხოვა, ნება დაერთო, გარკვეული დროით მსახიობი, სტალინის როლის შემსრულებელი მიხეილ გელოვანი მის გვერდით ყოფილიყო, დაკვირვებოდა, რათა უკეთ გაეხსნა ბელადის სახე, სტალინს უპასუხნია: ტურუხანსკის გადასახლებიდან უნდა დაგეწყოთო.**

მაშინ ასე იყო.

ახლა ქართველებმა სიხარულით აიტაცეს ინგლისელი მწერლის წიგნში აღბეჭდილი ახალგაზრდა სტალინის სახე და „იმედის“ გადაცემაში ვახო(!) სანაიას აძახებინეს სტალინი ბანდიტი და გარყვნილი იყოო!

სტალინი და ვახო სანაია(?!).

სააკაშვილს თუ ჰყავს პირადი „პროტოკოლისტი“?

სამწუხაროა, თუ არ ჰყავს. რადგან გავა დრო და მომავალ თაობებს არ ეცოდინებათ სად, რა და როგორ თქვა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა. იუსტიციის მინისტრად მოღვაწეობისას კი გამოსცა ერთი წიგნი, მაგრამ ვითომ საკმარისია?

„გამოუცდელობას თავისი ხიბლი აქვს“.

რა ვიცი, აქამდე ადამიანის ასაკზე იყო ნათქვამი — ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო.

თუ წელიწადის ყველა დროზე?

**რა არის გამოუცდელობა? ის, რაც არ იცი, არ გამოგიცდია. არცოდნის ხიბლი უვიცობის რომანტიზება თუა.**

**ან სხვა რამ, რაც ერთმა თანამედროვე მწერალმა ასე გაშიფრა: „ყოველთვის მეზიზღებოდნენ არა იდიოტები, არამედ ისინი, ვისაც მიაჩნდა, რომ მათთვის მიბაძვა სარფიანია“. სააკაშვილის დებულება ხიბლის შესახებ, ეტყობა, იდიოტების „საერთო-სახალხო“ კლასისთვის არის გამიზნული.**

დიდი ამავი, თუ გამოცდილება არ გაქვს, სამაგიეროდ ხარ მინისტრი და, რადგან გამოუცდელობას აქვს ხიბლი, გამოუცდელი მინისტრი ხიბლის ხიბლია, ანუ — ვერონიკა ქობალია ან ხათუნა კალმახელიძე.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს მიხეილ სააკაშვილი სამინისტროებში ტურნეს პროგრამით 26 ივლისს ესტუმრა.

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ივარგა იმიტომ, რომ „რამდენიმე მინისტრი იყო“, — თქვა მან იქ.

აქედან გამომდინარე, ის გოგონები, რომლებიც ეს-ესაა ვახსენე, „მდგრადი განვითარების“ ადგილმონაცვლეობის კანონის თანახმად, გამორიცხული არ არის, ხვალ სხვა სამინისტროს ჩაუდგნენ სათავეში, ზეგ — სხვას და გაქრება ხიბლი გამოუცდელობის, ვითარცა „დღენი სიყმაწვილისა“ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

და ეშველება ქვეყნის ეკონომიკასა და გაჭირვებულ პატიმრებს — „ეგრევე“ (ბაჩო ახალაიამ „ეგრევე“ მოუარაო ციხეში კანონიერ ქურდებს).

**პატიმრებს უეჭველად ეშველება, რადგან ლაითურში, როგორც გაგვახარეს, აშენდება ახალი ციხე. ჩაის მეურნეობაზე, რომელიც ლაითურში ერთ დროს სანიმუშო იყო, ვერაფერს გეტყვით, რადგან ვრჩები იმ ინფორმაციის ანაბარა, რაც ტელეეთერში მოვისმინე. კერძოდ, რომ საქართველოში დანაშაული შემცირდა იმდენჯერ, რამდენჯერაც გაიზარდა ციხეების პოპულაცია.**

პოპულაცია, მოგეხსენებათ, მცენარეთა ან ცხოველთა ორგანიზმების ამა თუ იმ სახეობის ერთობლიობაა. ამ შემთხვევაში, „ეგრევე“ პატიმრები იგულისხმებიან. მათი ორგანიზმების ერთობლიობა, რომელიც ციხეების არეალშია გავრცელებული, თანაც რაოდენობრივად მატულობს. ეს კი ძალიან კარგია, რადგან ამის კვალზე თურმე დანაშაული კლებულობს.

დანაშაული კლებულობსო!

ერთმა მოაზროვნემ თქვა: **ყველაფერი ამქვეყნად ან უკვეა სასაცილო, ან სასაცილო გახდებაო.**

**გაიცინეთ და ნუ ეძებთ სიმართლეს, რადგან იგი ყველგანაა.**

**მაგალითად, — შვეიცარიაში, რომლის ხელისუფლებამ საქართველოდან ემიგრირებულ სტუდია „რეპორტიორის“ ხელმძღვანელ ვახტანგ კომახიძეს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა; ამით აღიარა, რომ ჟურნალისტი ხელისუფლების მიერ იდევნებოდა.**

ვილნიუსში, კომიუნიმის ქუჩაზე მდგარ სინაგოგაში, რომელიც პირისაგან მიწისა აღსაგველადაა განწირული, მოხუცი ებრაელები ეკამათებიან ქართველ იუდეველს თაობათა უპირატესობის მარადიულ თემაზე:

„— ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ მოხუცები სულელები არიან („დურაკებიო“ — რუსულად კარგად ჟღერს. — **ა.ს.**). მაგრამ მოხუცებმა იციან, რომ სულელები ახალგაზრდები არიან.

— მაშ, ვინაა მართალი?

— გარდაცვლილები. მათ იციან, რომ ერთნიც და მეორენიც სულელები არიან“ („დურაკებიო“. — **ა.ს.**).

**„დურაკობას“ თავისი ხიბლი აქვს, — პასუხს არავინ მოგთხოვს.**

**ხოლო დემოსთენემ, ფილიპიკების ავტორმა და მამხილებელი პუბლიცისტიკის მამამთავარმა, მას შემდეგ, რაც საბერძნეთი მაკედონიას დაექვემდებარა, ანუ მოხდა ის, რის წინააღმდეგაც იგი იბრძოდა, თავი მოიწამლა.**

# რაც გინდა, ილაპარაკე!

NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

**მიჩნეულია, რომ ხალხს ადვილად შეიძლება გაუგო, მაგრამ ძნელია, ენდო.
ჩვენ ხელისუფლებას რომ ვუყურებ,
ამ დებულებას საერთოდ არ იზიარებს — ვერც იგებს ხალხისას და, რა თქმა უნდა, არც ენდობა.
არა მარტო არ სჯერა ხალხის სიმართლის,
არამედ — იმისაც, რასაც საკუთარი თვალით უყურებს; უყურებს და ვერ ხედავს,
რადგან დანახვა არ სურს — აპაპაპა!**

ან როგორ უნდა დაინახოს რამე, როცა ნაცბოლების ერთგულების ცხენის თვალსაფარებით შეზღუდული აქვს მზერის რადიუსი: წინ, მხოლოდ წინ იცქირე და სხვაგან — არსაით! წინ კი მხოლოდ ერთი ფიგურა ლამპარობს. ჩემი თქმა რად გინდათ, თავად იცით, ვისიც.

ის კი მხოლოდ ლოზუნგებს ისვრის საზეიმო მაშხალებივით. თუნდაც ასეთ მოყირჭებულს: „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ ისვრის, ხალხს კი ყველაზე უფრო სიღატაკე აღრჩობს და ცხოვრება ამად გასჭირვებია. იმ საგანგებოდ შერჩეულ 2053 რესპონდენტსაც კი, რომლებიც **24 ივნისიდან 5 ივლისამდე გამოჰკითხა აშშ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოში მოქმედმა სტრუქტურამ.**

**ამ ინსტიტუტის დასკვნით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაზე მეტად ფასების არანორმალურმა ზრდამ შეაწუხა ხალხი.**

არაო, ამბობს მიხეილ სააკაშვილი ნებისმიერ სატელევიზიო ხილვაში. და არნახული აღმშენებლობის ბუმს დებს არგუმენტად: სასტუმროები ბათუმში, კონტროლის პალატის შენობა და პარლამენტის ახალი „ფორუმი“ ქუთაისში, ხიდი — „კუზიანი კვიცი“ მტკვარზე და ბედნიერი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი ორიენტირები, თუნდაც ავლაბრის რეზიდენცია და ვერეს გაყოლებით, ხეობაში ჩაყრილი ათეულობით მილიონი, სისხლისგან დაცლილი აორტის მსგავსი უმოქმედო ტრასა კლდეების ჩამონაშალის თანხლებით.

**გამოკითხულთა 86 პროცენტი კი ხელაპყრობილი ღაღადებს, რომ ფასებმა უსაშველოდ აიწია, მხოლოდ 8 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა და ერთადერთი, მაგრამ კარგად ანაზღაურებადი პროცენტის აზრით, მდგომარეობა გაუმჯობესდა.**

კმაყოფილი უმცირესობა სიღარიბესთან ბრძოლის საკითხშიც გვყავს თურმე. **შეკითხვაზე უფრო გაღარიბდა თუ არა საქართველოს მოსახლეობა მიხეილ სააკაშვილის ვადამდელი არჩევნების შემდეგ, გამოკითხულთა ხუთმა პროცენტმა გაოცებულმა უპასუხა: როგორ გეკადრებათ, ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა.**

აი, ეს არის ანდაზა „მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“ მოქმედებაში. მღვდლები არა და, ნაცბოლების აქტივისტები კარგად რომ მოსუქდნენ, ფუმფულა ლოყებზეც ეტყობათ. თუნდაც, როგორც ერთ მრგვალსახიან დეპუტატს, რომელიც ნაცმოძრაობის წინა ხაზზე დაუზარებლად იბრძვის და რომლის გვარის დახსომებას არავინ ცდილობს: ხვალაც გამოჩნდება რომელიმე ეკრანზე და წააწერენ, ვინც არისო.

ხვალაც გამოჩნდება და ყოველ დღეც, მაგრამ არავის არც მისი გვარ-სახელი აინტერესებს, არც მისი ნათქვამის სჯერა. ყოველ შემთხვევაში, **გამოკითხულთა 58 პროცენტს, რომელიც დარწმუნებულია სააკაშვილის მეორედ მოვლინების შემდეგ სიღარიბე მძიმე ქრონიკულ დაავადებად რომ გვექცა, ანუ მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა.**

უკიდურესი დამოკიდებულების მქონე რესპონდენტებს შორის არის ჩვენი მოსახლეობის ორი გაუგებარი ფენა — რეაქცია შენელებულები: ან შეშინებულები, ან რაღაც მიზეზის გამო თავშეკავებულები, რომლებიც ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ მდგომარეობა სტაბილურია და არ შეცვლილა, ან არ იციან, რა უპასუხონ.

მაგალითად, **ჩამოუყალიბებელთა კატეგორიას მიეკუთვნება გამოკითხულთა 13 პროცენტი, რომელიც ვერაფერს ამბობს საქართველოს ხელისუფლების რუსეთთან განხორციელებული პოლიტიკის შესახებ.**

დაიბნა ხალხი: ერთის მხრივ, ხელისუფლების მიერ გაკონტროლებული მასმედიის მასირებული შეტევა საზოგადოებრივ აზროვნებაზე, რომელიც სცილდება ოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას და მასშტაბურ რუსოფობიაში გადადის; მეორე მხრივ, შეგნება იმისა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან დაპირისპირების ესკალაციას, გამორიცხული არ არის, „ახალი აგვისტო“ მოჰყვეს: არა „იმედის“ მიერ რეკონსტრუირებული ომი, არამედ, ღმერთმა დაგვიფაროს, ნამდვილი სამხედრო ოპერაცია.

ერთის მხრივ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, სააკაშვილის მიერ გამოცხადებული სურვილი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების შესახებ; მეორეს მხრივ, პოლიტიკური დემარშები ასეთი შეხვედრის ჩასაშლელად.

ასეთ ფონზე **გამოკითხულთა 34 პროცენტისთვის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით მიულებელი რომ არის, ჩვენი მოსახლეობის საღი განსჯის უნარის დამადასტურებელია. 25 პროცენტისთვის — ნაწილობრივ მიულებელია, 17 პროცენტისთვის — ნაწილობრივ მისაღები და მხოლოდ 9 პროცენტია აგრესიულად განწყობილი. მათთვის სააკაშვილის პოლიტიკა სავსებით სწორი და გამართლებულია.**

ისიც სათქმელია, რომ ინტენსიური პროპაგანდა მაინც თავის საქმეს აკეთებს. რუსეთთან ურთიერთობის საკითხს მოქალაქისა და მისი ოჯახისთვის მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემად ივნის-ივლისში გამოკითხულთა მხოლოდ 13 პროცენტი მიიჩნევს, შარშანდელ დეკემბერსა და წლევანდელ აპრილში კი ასეთთა რაოდენობა 22-23 პროცენტი იყო.

ეტყობა, მიეჩვია ხალხი, როგორც ყოველთვის, ყველაფერს, რომ საქართველო რუსეთთან **საომარ მდგომარეობაში იმყოფება.**

**გამოკითხული მოსახლეობის 67 პროცენტის აზრით, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობა გაუარესდა.**

**ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ გაუმჯობესებისკენ გადადგმული თუნდაც ორიოდ ნაბიჯი გამოკითხულთა 61 პროცენტისთვის რომ მისაღებია და მოსაწონი, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.**

**საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგების პუბლიკაცია, საქართველოში მაინც, ისევ ხალხისთვისაა გამიზნული, თორემ ხელისუფლებას როდესმე რომ გაეთვალისწინებინა და შესაბამისი ღონისძიებები განეხორციელებინა, გულზე ხელი დაიდეთ, გახსოვთ ვინმეს?**

მეც არ მახსოვს.

გვერდი მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

28 ივლისი — 3 აგვისტო, 2010 წელი. №28 (71)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მიშა, ვერა და მახათი

**გასულ კვირას სააკაშვილმა თავისივე მთავრობა „დაჩინჩლა“, გაქსუებული და გათავხედებული მოხელეები ხართო. გეგონება, ეს „მოხელეები“ ვიღაც სხვამ დასვა თბილ და კომფორტულ სავარძლებში.**

უკვე შევეჩვიეთ, რომ მთავრობის გასვლითი „სხდომები“, ძირითადად, სანახაობრივ დატვირთვას ატარებს და თითქმის არანაირი რეალური შედეგი არ მოაქვს. ასე იყო აჭარაში გამართული სხდომის შემდეგ, როცა ჯანდაცვის მინისტრიც კი მიხვდა, რომ სააკაშვილის ყურებასა და მოსმენას ისევ ბატებისა თუ იხვებისთვის ყურადღების მიქცევა ჯობდა; ასე იყო მშენებარე კორპუსის სახურავზე გამართული სხდომის შემდეგ და ვინ მოთვლის, კიდევ რომელი სხდომის შემდეგ.

**ამჯერად მთავარი მოქმედი გმირები თავად სააკაშვილი, ბარის „სტოიკაზე“ ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მოცეკვავე მინისტრი – ვერა და ვინმე გრიგოლ გობეჯიშვილი იყვნენ. ამ გობეჯიშვილის არსებობას დედამიწის ზურგზე ვერც ვერავინ შეიტყობდა, სააკაშვილს რომ მორიგი პიარ-აქციის გამართვის სურვილი არ გასჩენოდა, ვერიჩკას კი — მისთვის ჩაშვების...**

**ბოდიში, ზემდგომთან თანამშრომლობის ამბავში ერთი წერილი რომ არ მიეწოდებინა,** რომელშიც ბედკრული გობეჯიშვილი მავან ბიზნესმენს პასუხობდა — კი გინდა ინვესტიციის ჩადება, მაგრამ მე (ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე) რა შუაში ვარ, ფოთთან მიწის ნაკვეთის გამოყოფა ბათუმის (?!) მერიის საქმეაო. თანაც ეს პასუხი ბიზნესმენს სამთვიანი დაგვიანებით მიეწოდა. ამაზე იყო და შემოიხია სააკაშვილმა ტანზე ყველაფერი – როგორ თუ ბიზნესმენი გამინაწყენეთ, თქვე ერის სირცხვილებოო. უკაცრავად, შირნჰოფერი მე გადავიყვანე ჭკუიდან?

გობეჯიშვილი, ალბათ, კარგ ბიჭად, კარგ მსმელად და კარგ მჭამელად არის ცნობილი, ბავშვებს ნათლავს და ქელეხებში დადის, ამ დროს კი ეგ არცხვენს საქართველოსო, — ბრძანა მიხეილ მართალმა და შეუპოვარმა.

**გობეჯიშვილს მტერმა უვექილა, და დიდი შანსია, რომ იგი ისეთივე გაზულუქებული მოხელე იყოს, როგორც სააკაშვილის მიერ დანიშნულ ადამიანთა უმეტესობა, მაგრამ დავიჯეროთ, მან უფრო მეტად შეარცხვინა საქართველო, ვიდრე პრეზიდენტის მიერ მიწაზე ფორთხვამ და ჰალსტუხის ღეჭვამ? ან რით არის იგი სააკაშვილის სხვა მოხელეებზე უარესი — დოკუმენტზე რეზოლუციის დადება რომ არ იციან და ზემოდან სიტყვა „რეზოლუციას“ რომ აწერენ ან ანკეტის შევსებისას გრაფაში „სქესი“ რომ წერენ, „დღეში ორჯერ“ (?!).**

გობეჯიშვილის შემცვლელით მოხიბლულა სააკაშვილი თურმე, უცხოური განათლება აქვს და ლონდონში მუშაობდაო. ლონდონში სანდროც კი სწავლობდა, შე კაცო...

**ისე, მთავრობიდან მთავარი მოქმედი გმირი მაინც ვერიჩკა ქობალია გახლავთ ამ ეტაპზე. ჯერ იყო და, ამიერიდან სამინისტროში პროტექციონიზმი და მსგავსი მანკიერი მოვლენები აღარ იქნებაო, ანუ ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ აქამდე იყო, ხომ? არა რა, ეს ვერა აღიარებებში მაგარია, როგორც ჩანს... ამას კი სააკაშვილმა წაუყრუა, არ იყო საჭირო ყურადღების მიქცევა და იმიტომ.**

შემდეგ ჩვენი ვერა (და მასთან ერთად მიშიკო მაჭავარიანიც) ქართველმა ბიზნესმენებმა გააღიზიანეს. ჯერ იყო და, ვერას კრეს წიხლი სემინარში მონაწილეობაზე და ცარიელ დარბაზში ჩაატარებინეს, შემდეგ კი მაჭავარიანის გულისწყრომა დაიმსახურეს – საგადასახადო კოდექსის განხილვაში არ მონაწილეობდნენ სათანადო აქტიურობითო. კი მაგრამ, დავიჯეროთ, ბიზნესმენების მდგომარეობასა და მუშაობის პირობებზე მაჭავარიანი-ქობალიას დუეტი უფრო ზრუნავს, ვიდრე თავად ბიზნესმენები? რამე სასიკეთო რომ ეგრძნოთ ჩვენს შემომტან-გამტანებს (სხვა სახის ბიზნესი საქართველოში ხომ, პრაქტიკულად, არ არსებობს), არ აუტალახებდნენ კაბინეტებს ორივე „გულშემატკივარს“? მაგრამ გრძნობენ, რომ ბიზნესის მდგომარეობაზე რეალურად არავინ ზრუნავს და რატომ მიასკდებოდნენ დილის 9 საათზე ვერონიკას მიერ ორგანიზებულ „სხადნიაკს“?

**ვერც ბაკურ კვეზერელი გადაურჩა რისხვას, როგორ თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ნაძვებს არ აშენებსო. მოკლედ, ნაძვისხის, ბუშტებისა და ბრჭყვიალა ხიდების გარდა, არ აინტერესებს ამ კაცს არაფერი და ელაპარაკე, რამდენიც გინდა...**

ერთი კი იქნებოდა კარგი – ვინმე კამიკაძეს გამბედაობა რომ ყოფნოდა და სააკაშვილის წინ ამ გამოსვლის დროს დიდი სარკე რომ დაედგა – ამაში ჩაიხედე და, რასაც ილაპარაკებ, ეგ ყველაფერი ამ კაცს უთხარი, სარკეში რომ დაინახავო...

**სალვადორ დვალი**

# უთავმოყვარეო ხელისუფლება: ხორცის ნაჭრები, ნაცარქექიები და მახათით მოთამაშეები

**ქართულ საზოგადოებას პარლამენტში სპიკერისთვის წყლის შესხმაც უნახავს, დეპუტატების ხელჩართული ბრძოლაც, გინებაც და საკანონმდებლო ორგანოში „კასტეტით „დასადკავებაც“, მაგრამ ქართული პოლიტიკის ყველაზე სამარცხვინო ფაქტად, რომელიც საზოგადოებას, ალბათ, არასდროს დაავიწყდება, რამდენიმე დღის წინათ ყვარელში გამართულ სამთავრობო სხდომამდე, 2007 წელს, საბაჟო ტერმინალზე მთავრობის სხდომიდან პრეზიდენტის გაქცევა და უამრავი ადამიანისა და ტელეკამერების თანდასწრებით მაშინდელი საბაჟოს უფროს ზურაბ ანთელიძის გათავისუფლება გახლდათ. შეხედეთ, რას ჰგავს, ეს რამის გამკეთებელია?— გაჰყვიროდა პრეზიდენტი, თავდახრილი უსმენდა ანთელიძე და, ასევე, გასუსულები იდგნენ მთავრობის წევრები. ხმა არავის ამოუღია, იმის შიშით, სააკაშვილი მეც არ მომიბრუნდესო.**





ასეთივე სამარცხვინო იყო მთავრობის გასულ კვირას გამართული სხდომა ყვარელში, როდესაც პრეზიდენტმა ეკონომიკის მინისტრის პოსტიდან ახლახან გათავისუფლებული და „თი-ბი-სი“ ბანკში გადაბარგებული ზურაბ პოლოლიკაშვილი და მისი მოადგილე გამოლანძღა და ზედ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელიც მიაყოლა. პოლოლიკაშვილი სხდომას, ცხადია, არ ესწრებოდა და პასუხის გაცემის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, ხოლო ყბააცახცახებული კვეზერელი გამწარებული ამტკიცებდა, გამოვსწორდებიო.

**„ჯანდაცვისა და ლტოლვილთა სამინისტროებს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვთ. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ სხედხართ ხალხი, ვისთვისაც საუკეთესო პოზა არაფრის კეთება, ნაცრის ქექვა და მახათის ერთ ადგილზე გაყრაა. გეგონება, მაძღარი ქვეყნის მთავრობას წარმოვადგენდეთ. მე ამის მოთმენას აღარ ვაპირებ... ჩვენ არ ვართ ხორცკომბინატი, რომ, მინისტრებისა და თანამდებობის პირების ნაცვლად, ხორცის ნაჭრები შევინახოთ...“**

თუმცა პრეზიდენტის მიერ „ხორცის ნაჭრებად“ და „მახათის ერთ ადგილზე გამყრელად“ შერაცხული მინისტრები, წლებია, თანამდებობებს ინარჩუნებენ და სულ ახლახან დატრიალებულ სამთავრობო კარუსელსაც გადაურჩნენ. პრეზიდენტი სხდომაზე რთველის საკითხებით უნდა დაინტერესებულიყო, თუმცა მანამდე, სანამ რთველის ამბებს გამოიკითხავდა, მთავრობის სხდომაზე დაგვიანებით მისული კვეზერელი შემოელანძღა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომლის სამინისტროსთან ხან მეკარტოფილეების რიგი დგას, ხან — მეღვინეებისა და ხან — ქათმის ბარკლების შემომტანების, ცხადია, იმას ვერ იტყოდა, ყველაფერი რიგზეაო, ამიტომაც გამოსწორებას ჰპირდებოდა განრისხებულ პრეზიდენტს. სააკაშვილმა სხდომაზე ევროპაში ქართული ნაძვის მოშენების ფაქტი გაიხსენა. საქართველოდან გატანილი თესლით ევროპაში ქართული ნაძვი მოუშენებიათ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული ნაძვის თესლით დაინტერესებულან, უამრავი მცდელობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ვერ შეუღწევიათ.

**„არის ასეთი პროექტი, რომელიც ევროპაში ქართული ნაძვის მოშენებას ეხება. მთელი ევროპის ნაძვნარის მეტი ნაწილი უკვე ქართული ნაძვებია, რომელიც ქართული თესლისგან აღმოცენდა. ამ პროექტს რეკლამას ქეთი მელუა უწევს. როგორ არ უარეს ამ ადამიანებმა რჩევისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ ვერანაირი რჩევა ვერ მიიღეს. თუ ასეა, მაშინ რაღაში მჭირდებით? მოდი ხვალ დაგხურავთ და იმ სახსრებს, რომელიც თქვენს სამინისტროზე იხარჯება უფრო პრიორიტეტული მიმართულებით გამოვიყენებთ,“** — განაცხადა პრეზიდენტმა და დაჰპირდა, რომ პირობას შეასრულებდა.

საინტერესოა, თუკი მინისტრი უვარგისია, რატომ უნდა გადაჰყვეს მას მთელი სამინისტრო? ამ სამინისტრომ კვეზერელამდე ათობით მინისტრი გამოიცვალა და მინისტრის პორტფელი მისთვის ბაბუამისს არ უანდერძებია. თუმცა კვეზერელს კი ნამდვილად ჰგონია ასე, რადგან მინისტრის სავარძელს, მხოლოდ ერთი ადგილის რბილად ჩასადებად იყენებს.

გარდა იმისა, რომ მინისტრს მიღების დღეები არ აქვს და მოქალაქეებისთვის მისი კაბინეტის კარი ყოველთვის დახურულია, **კვეზერელი არც იმ მეწარმეებთან შეხვედრას კადრულობს, რომლებიც პროტესტის ნიშნად მისი სამინისტროს ეზოში კვირაობით აწყობენ აქციებს. არც კონტროლის პალატის აქტებს არად დაგიდევთ, რომელშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული სამელიორაციო სისტემებში არსებული ხარვეზებისთვის. პროექტების ჩაშლაც და მერე ამ ფაქტის სხვებისთვის გადაბრალებაც კარგად ეხერხება და მერე ამ თანამდებობის პირისთვის მრჩევლის ვაკანსიის შექმნაც.**

საგულისხმოა, რომ კვეზერელს უკვე სამი მრჩეველი ჰყავს. მისი წინამორბედის, პეტრე ცისკარიშვილის დროს მინისტრის მრჩევლის ერთი შტატი არსებობდა, კვეზერელის სამფლობელოში კი ეს შტატი იმის მიხედვით მრავლდება, თუ რამდენი ადამიანი ჰყავს დასასაქმებელი მინისტრს.

სხვათაშორის, „ხორცის ნაჭრად“ და „ნაცარქექიად“ შერაცხული მინისტრი, პრეზიდენტის „დაბოლებასაც“ კარგად ახერხებს. ლაგოდეხში პრეზიდენტთან ერთად ვიზიტისას, **სააკაშვილის კითხვაზე — რატომ არ გახსნა ლაგოდეხში რძის მიმღები პუნქტები — ლაგოდეხში უფრო მეტად მეკამეჩეობაა გავრცელებულიო, მამალი ტყუილი აჭამა სააკაშვილს თავის გადასარჩენად. ასეთივე ტყუილებით იმართლებდა იგი თავს და პრეზიდენტს რთველის ღონისძიებების საუკეთესოდ დაგეგმვაში არწმუნებდა.**

„გპირდებით, გპირდებით“, — ლუღლუღებდა კვეზერელი და მაგალითად შარშანდელი რთველი მოჰყავდა. არადა, შარშან სეტყვამ და გადაუღებელმა წვიმებმა მთელი კახეთი წალეკა და რთველის დაწყებისთანავე ლამის ყურძნის დეფიციტი შეიქნა; შესაბამისად, გადარჩენილი მოსავლის დაბინავება, თანაც 23-მილიონიანი სუბსიდირებით სახელმწიფოს მხრიდან, პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ხოლო წინა წლებში, როცა მოსავალი კარგი იყო და კვეზერელსა და მის წინამორბედს სტიქია „არ დახმარებია“, თანამშრომლებისგან აკრებილი ფულით ცდილობდნენ მოსავლის დაბინავებას.




ყვარელში შეფუცხუნების შემდეგ, კვეზერელმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, იგი პრეზიდენტმა ჯერ რეზიდენციაში დაიბარა, შემდეგ კი მის სამინისტროს ესტუმრა. ყვარელში გამართულ სხდომაზე პრეზიდენტი დაგვპირდა, ყველა სამინისტროში მივალ და შევამოწმებ, სადმე მინისტრის ნათე- ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## საქართველო

◀ სავები ან „ტრუსიკის მეგობრები“ ხომ არ მუშაობენო. მეტად საეჭვოა, ჰაბიტუსით ჩამოჰგავდნენ კვეზერელს მისი ნათესავები და მეგობრები, რომლებითაც სოფლის მეურნეობის სამინისტროა დაკომპლექტებული. **პრეზიდენტი სამინისტროში კი მივიდა და მისი მისვლისთვის სპეციალურად დროშებით გამოტენილ დარბაზში ითათბირა, თუმცა ნეპოტიზმის შემთხვევები არ აღმოუჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამინისტროში კვეზერელის ნათესავებს, ცოლის ნათესავებს, ჯგუფელებსა და „ტრუსიკის ძმაკაცებს“ ბლომად ნახავთ.** ამ სამინისტროში მუშაობს ასევე მისი მოადგილის, ალექსანდრე ცინცაძის მთელი კლასი.

სამინისტროში იმასაც ამბობდნენ, პრეზიდენტი, ზურაბ ანთელიძის მსგავსად, კვეზერელს პირდაპირ ეთერში, მისივე სამინისტროში მოხსნისო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. როგორც ჩანს, სააკაშვილის დამშვიდება კვეზერელის ლობმა, სააკაშვილთან მეტისმეტად დაახლოებულმა ჩინოვნიკმა მოახერხა, რომლის ბიზნესის წარმატებაც და მისი ნათესავ-მეგობრების სოფლის მეურნეობის სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე მუშაობა დიდწილადაა დამოკიდებული კვეზერელის მინისტრობაზე.

**სამინისტროში მისულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი პრობლემა აღმოაჩინა. მან ქართული ზეთის წარმოების ამბავი მოიკითხა. მზესუმზირის მწარმოებლებს კახური მზესუმზირა ბათუმში უნდა ჩაებარებინათ, სადაც მისი გადამუშავება და ზეთის წარმოება უნდა მომხდარიყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ საწარმოს მზესუმზირის დიდი ნაწილი უკრაინიდან შემოუტანია. ისევე, როგორც საქართველოში უკრაინიდან, სომხეთიდან თუ აზერბაიჯანიდან შემოდის კარტოფილი, ლობიო, ყურძენი და ა.შ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი თურმე იმიტომ უნდა გაუქმდეს, რომ ბაკურ კვეზერელმა მისი მართვა ვერ მოახერხა და მისი ძირითადი ფუნქცია საზღვარგარეთ ვიზიტები და ჩინოვნიკის სხვა ფუფუნებებით სარგებლობაა.**

აქამდე პრეზიდენტი გვიმტკიცებდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მინისტრთა კაბინეტი გვყავს, რომ ჩვენი კეთილდღეობისთვის მაღალჩინოსნები დღედაღამ ფუტკრებივით დაფუსფუსებდნენ. შესაბამისად, ამა თუ იმ ჩინოვნიკის გაკრიტიკებისას მავანი ამბობდა, რომ პრეზიდენტმა არ იცის, პრეზიდენტისთვის უცნობია, თუმცა ყვარელში გამართულმა სხდომამ დაამტკიცა, რომ **სააკაშვილს შესანიშნავად ცოდნია მინისტრთა კაბინეტში მოკალათებული „ხორცის ნაჭრების“ შესახებ და, მართალია, ამტკიცებდა, ჩვენ ხორცკომბინატი არ ვართ, რომ „ხორცის ნაჭრები“ შევინახოთო, მაგრამ ასეთებად მოხსენიებულ სუბელიანს, კვეზერელსა და ხაჩიძეს, წლებია, მინისტრთა კაბინეტში ინახავს,** ხოლო პოლოლიკაშვილი, ერთი თვეა, რაც „ხორცკომბინატში“ „ახალი ხორცით“ ჩაანაცვლა.

**სოფო გელაშვილი**

# თუ მართლა გინდათ ხალხის დასაქმება, მიიღეთ ეს კანონპროექტი!

**უმუშევრობა არის საქართველოს ყველაზე დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემა, რომელიც ანგრევს ქართულ ოჯახებს, ძირს უთხრის ქვეყნის სახელმწიფოებრიობასა და დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას უახლოესი 2-3 ათეული წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ბრძოლა ახალი სამუშაო ადგილებისთვის არის ბრძოლა საქართველოს გადარჩენისთვის და ეს ბრძოლა უნდა დავიწყოთ დღესვე, რადგან უმუშევრობით გამოწვეული ტოტალური ეკონომიკური სიდუხჭირე, მათხოვრობა, სხეულით ვაჭრობა, ლოთობა, თვითმკვლელობა ანგრევს ქართველის ცნობიერებას და იწვევს მის დეგრადაციას იმ დონეზე, რომ მალე საქართველოში აღარ დარჩება ტრადიციული ქართული სულიერებისა და მენტალიტეტის მატარებელი ქართველი.**



თბილისელი ლუმპენები

## კარგი საგადასახადო კოდექსის მიღებით შესაძლებელია ქვეყანამ 2 წელიწადში გააკეთოს 20-წლიანი გიგანტური ეკონომიკური ნახტომი!

უმუშევრობა რომ უდიდესი სოციალური მტერია, კარგად ჩანს აშშ-ის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით: უმუშევრობის 1%-ით გაზრდა ქვეყანაში 3-5%-ით ზრდის დამნაშავეების, მეძავეების, პატიმრების, მკვლელებისა და თვითმკვლელების რაოდენობას. ეს ხდება ეკონომიკურად კარგად განვითარებულ აშშ-ში და ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეშია მოსახლეობა ეკონომიკურად ცუდად განვითარებულ საქართველოში, სადაც ბოლო წლებში უმუშევრობა გაზრდილია არა ერთი, არამედ რამდენიმე ათეული პროცენტით!

უმუშევრობა საშიშია პოლიტიკურადაც, რადგან იწვევს რა მოსახლეობის ლუმპენიზაციას, საზოგადოება იყოფა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ 2 ფენად, არაფრის მქონე ლუმპენებად და ყველაფრის მქონე მდიდრებად.

სამწუხაროდ, დღეს ასეთი პოლარიზებული პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოში და, **თუ ხელისუფლება სასწრაფოდ არ გაატარებს ღონისძიებებს ხალხის რეალურად დასაქმებისა და ავბედითი ლუმპენიზაციის შესაჩერებლად, უახლოეს პერიოდში შედეგები შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს როგორც მისთვის, ისე ქვეყნისთვისაც. ამ ტრაგიკული მოვლენების ალბათობას ისიც ზრდის, რომ გამოუვალ სიდუხჭირეში მყოფ მოსახლეობას უკვე დაეკარგა პოლიტიკური პარტიების ნდობა და იმედი, რაც სტიქიური აჯანყებების დაწყების წინა პირობაა.**

ამას ცხადად ადასტურებს რუმინეთის ცნობილი სისხლიანი ისტორიაც, როცა ჩაუშესკუს წინააღმდეგ მოწყობილ სტიქიურ აჯანყებაში არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მიუღია მონაწილეობა, რადგან ხალხი მათ უკვე აღარაფერს ეკითხებოდა. ხელისუფლებამ ისიც უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო აჯანყებებისა და რევოლუციების ისტორიებში ყველაზე დაუნდობელი იყო ლუმპენების გამოსვლები, რომლებიც არაფერს ერიდებოდნენ — სახლკარს უწვავდნენ, მასობრივად არბევდნენ, ფიზიკურად ანადგურებდნენ და სისხლს ანთხევინებდნენ როგორც უმაღლეს სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და მდიდრებს, ისე მათი ოჯახის წევრებს.

არავითარ შემთხვევაში საქმე აქამდე არ უნდა მივიყვანოთ, რაც ქვეყნის საბოლოოდ დაქცევა იქნება. **სასწრაფოდ რეალური დასაქმების გზით უნდა დავიწყოთ მოსახლეობის დელუმპენიზაცია, რასაც ნამდვილად არ ემსახურება ახალი საგადასახადო კოდექსი უამრავი ნაკლოვანების გამო.**

ამ ნაკლოვანებებზე პირუთვნელადაა საუბარი ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულ ჩვენს რამდენიმე პუბლიკაციასა და ინტერვიუში, სადაც ყველგან ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **კარგი საგადასახადო კოდექსის მიღებით, ყოველგვარი უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, მხოლოდ ბიზნესის გათეთრებით საქართველოში 2 წელიწადში შესაძლებელია მშპ გაიზარდოს 100%-ით და ქვეყანამ 2 წელიწადში გააკეთოს 20-წლიანი გიგანტური ეკონომიკური ნახტომი!**

კაცმა რა უნდა იფიქრო, როცა ხელისუფლება, ნახევარ წელზე მეტია, ასეთ შეთავაზებებზე საერთოდ არ რეაგირებს, თანაც საჯაროდ ვაცხადებთ, თუ რა ახალი ეკონომიკური პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ამ „კარგ ახალ საგადასახადო კოდექსს“. ისიც აღსანიშნავია, რომ, პრესის გარდა, ჩვენი ეს მოსაზრებები 2 ახალ კანონპროექტთან ერთად გამოვაქვეყნეთ სოლიდურ ეკონომიკურ ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“ და ყოველივე ეს ამ დღეებში ერთხელ კიდევ ოფიციალურად გავუგზავნეთ პარლამენტის თავმჯდომარეს. არ გვაქვს დიდი ილუზიები, რომ ხელისუფლება ამჟამად მაინც სასწრაფოდ განიხილავს ჩვენს შეთავაზებებს. არადა, ამ შეთავაზებების პრაქტიკული რეალიზაციით, უპირველეს ყოვლისა, წესით, თვითონ ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რათა წლების განმავლობაში დასაქმების ფუჭი დაპირების შემდეგ ერთი რეალური ნაბიჯი გადადგას და მოსახლეობაში უკვე დაკარგული ნდობა ოდნავ მაინც აღიდგინოს.

**ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ყველა ხელისუფალი — დიდი თუ პატარა, განუწყვეტლივ დასაქმებაზე საუბრობს, მაგრამ საქმით კონკრეტულად არავინ არაფერს აკეთებს და ყოველწლიურად საქართველოში უმუშევრობა კატასტროფულად იზრდება. ფუჭი დაპირებების დრო უნდა დამთავრდეს; ამიტომ ხელისუფლებას კატეგორიულად ვეუბნებით: თუ მართლა გინდათ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მიიღეთ ეს კანონპროექტი!**

რა კანონპროექტზეა საუბარი? ეს არის ჩვენი ასოციაციის ცნობილი სპეციალისტების მიერ დამუშავებული კანონპროექტი **„ახლადგახსნილი სამრეწველო საწარმოებისთვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“,** რომელიც 2006 წელს შევიტანეთ პარლამენტში, 2008 წელს გამოვაქვეყნეთ გაზეთში „საერთო გაზეთი“, 2010 წელს გამოვაქვეყნეთ ჟურნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“ და ამავე წელს კვლავ შევიტანეთ პარლამენტში. ამ კანონპროექტის დადებით მხარეებზე დაწვრილებითაა საუბარი განმარტებით ბარათში, რომელიც თან ახლავს გამოქვეყნებულ კანონპროექტს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეს კანონპროექტი გახდება საქართველოში დასაქმების უდიდესი კატალიზატორი, რადგან რეალური ეკონომიკური ბერკეტებით ხელს უწყობს სამრეწველო მეწარმეობის განვითარებასა და მასობრივად დასაქმებას ამ სფეროში.

**მსოფლიო სტატისტიკიდან გამომდინარე კი, სამრეწველო სფეროში 1 დასაქმებული არასამრეწველო სფეროებში ავტომატურად დამატებით ასაქმებს 3 კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა ჩვენ სამრეწველო მეწარმეობაში დავასაქმებთ 1 კაცს, ამით ქვეყანაში, ფაქტობრივად, დავასაქმებთ 4 კაცს! სწორედ ამიტომ არის, რომ მთელ მსოფლიოში სამრეწველო მეწარმეობა ხელისუფლების მხრიდან სარგებლობს გამორჩეული ყურადღებითა და პრივილეგიებით. აი, რა უნდა გახდეს ჩვენი ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოველდღიური ზრუნვის საგანი და არა — ყბადაღებული გზები და შადრევნები!**

კანონპროექტი აგებულია იმავე პრინციპებზე, რაც წარმოადგენს ჩვენი ასოციაციის მიერ დამუშავების პროცესში არსებული ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითად საფუძვლებს, რის გამოც ამ კანონპროექტის მიღება იქნება ჩვენი კოდექსის ერთგვარი აპრობაციაც.

ეს პრინციპებია:

**მეწარმეებისთვის ყველაზე თავსატეხი მოგებისა და დღგ-ის 2 გადასახადი იცვლება ბრუნვის პროცენტის 1 ფიქსირებული გადასახადით, რომელიც თავისუფლად იქნება მიშვებული იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ბრუნვის გაზრდით ფიქსირებული პროცენტი გაიზრდება, ხოლო ბრუნვის შემცირებით კი შემცირდება. ეს ეკონომიკური ბერკეტი არეგულირებს, რომ ბრუნვის თავისუფალი მიშვებით მეწარმე თანდათანობით გახდეს მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი და საგადასახადო ტვირთი გაეზარდოს არა ერთბაშად, არამედ — თანდათანობით, ხოლო ბრუნვის შემცირების დროს მეწარმე თანდათანობით გახდეს საშუალო, მცირე, მიკრო და ასევე თანდათანობით შეუმცირდეს საგადასახადო ტვირთი, რაც საბოლოო გაკოტრებისგან თავის დაღწევის კარგი საშუალება იქნება. ამ ეკონომიკური ბერკეტით გამოსწორდება დღევანდელი და მომავალი ახალი საგადასახადო კოდექსის უსამართლობაც, როცა მცირე, საშუალო და მსხვილი მეწარმე ერთნაირად იბეგრება და ერთ ტაფაში იხრაკება.**

ეს კანონპროექტი არის დროებითი, მოქმედებს 5 წლის ვადით და, რაც მთავარია, ეხება მხოლოდ ახლადგახსნილ სამრეწველო საწარმოებს, რომელთა საგადასახადო შემოსავლები არ არის გათვალისწინებული არც მიმდინარე და არც მომავალი წლების ბიუჯეტებში. აქედან გამომდინარე, ამ კანონპროექტის მიღება შეიძლება დაუყოვნებლივ, ნებისმიერ დროს 100%-იანი გარანტიით, რომ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს არასდროს არავითარი პრობლემა არ შეექმნას. პირიქით, ახლადგახსნილი საწარმოებიდან ბიუჯეტი 4 გადასახადის სახით მიიღებს სოლიდურ დამატებით შემოსავლებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას არ რჩება დასაქმების კატალიზატორის ტოლფასი ამ კანონპროექტის არმიღების არავითარი არგუმენტი.

**თუ ხელისუფლება უარს იტყვის ამ კანონპროექტის მიღებაზე, იმას ნიშნავს, რომ ის უარს ამბობს ხალხის რეალურ დასაქმებაზე; აქედან გამომდინარე, უმძიმესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური შედეგებით. ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მივმართავთ: თუ მართლა გინდათ ხალხის დასაქმება, მიიღეთ ეს კანონპროექტი!**

**ანზორ საკანდელიძე,**

საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიური დოქტორი

28 ივლისი — 3 აგვისტო, 2010 წელი. №28 (71)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ბლეფი, ანუ ჭაკი ცხენის ბოდვა

**18 ივლისს მიხეილ სააკაშვილის მიერ ბათუმში ერთდღიან ვიზიტად მყოფი ილხამ ალიევისთვის ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის შექმნის წინადადება იმდენად უდროო, უადგილო და კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო, რომ სენსაციამდე ვერ გაქაჩა.**

ქართველმა პოლიტოლოგებმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ამ შეთავაზებას ბლეფი უწოდეს.

რუსებს უფრო მწარე გამოთქმა აქვთ: Бред сивой кобылы, რაც ქართულად ჭაკი ცხენის ბოდვად ითარგმნება. უკაცრავად, მაგრამ ასეა.

ილხამ ალიევი ასე ვერ იტყოდა, მაგრამ რაც თქვა, უარესს ვერ მოიფიქრებ, სრული იგნორირება იყო მეზობელი სახელმწიფოს მეთაურის შეთავაზების, არაფრად ჩაგდება.

ალიევმა თქვა, რომ ბათუმი შარშანწინდელზე უფრო ლამაზია და გამშვენიერებული.

რის კონფედერაცია, რა კონფედერაცია!

რა არის კონფედერაცია? კლასიკური განმარტებით, კონფედერაცია არის კავშირი, გაერთიანება, სახელმწიფო მოწყობის ფორმა, როცა შემავალი სახელმწიფოები სრულად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ქმნიან სპეციალურ ერთიან ორგანოებს გარკვეული — სამხედრო, საგარეო და ა.შ. მიზნების მისაღწევად მოქმედების კორდინაციისთვის.

კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაცით, ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა დეპუტატმა, რომელიც ბათუმში იყო ჩამოსული, სააკაშვილის ინიციატივა შეაფასა, როგორც სიტყვის მასალა, რადგან ეს საკითხი არც დღის წესრიგში დგას და სერიოზულადაც არავინ აღიქვამს.

**არ სჭირდება აზერბაიჯანს, ყველაზე ღონიერ სახელმწიფოს სამხრეთ კავკასიაში, ყველაზე დასუსტებულ მეზობელთან კონფედერაციული ურთიერთობის დამყარება.**

**ზედმეტი ტვირთია. ალოგიკური, თუ ტვირთზე შეიძლება ამის თქმა.**

არც ჩვენ გვჭირდება.

რატომ გაიყო პუტინისა და ლუკაშენკოს გზები სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხში? ლუკაშენკო, ფაქტობრივად, კონფედერაციას ითხოვდა. რომლის ერთ-ერთი ტიპიური თავისებურება ისაა, რომ ამ გაერთიანების პირველი პირი შემავალი სახელმწიფოებიდან მორიგეობით არის წარმოდგენილი. ბელარუსის პრეზიდენტის აზრით, ერთი ვადა მას უნდა ეპრეზიდენტა, მეორე — პუტინს. პუტინმა — არაო.

ფედერაციული მოწყობის დროს კი პირველი პირი საერთო არჩევნების შედეგად დგება სახელმწიფოს სათავეში.

**ობიექტურად, „კონფედერაციის უღელში“ შებმა საქართველოს ხელს არ აძლევს, განვლილი ეტაპია. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ასეა. 1922 წლის 13 მარტიდან 1936 წლის 5 დეკემბრამდე (ახალი კონსტიტუციის მიღებამდე) ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — გაერთიანებული იყო ამიერკავკასიის ფედერაციაში.**

**ამოჭამა არსებობა და გააუქმეს.**

# საზღვარი ჩვენი

74 წლის შემდეგ გაიხსენეს. რატომ?

ხომ ნიშნავს ასეთი უკუსვლა, რომ ხელისუფალი დაბნეულია, წრიალებს, მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს?!

ნიშნავს! — გვიპასუხებენ ექსპერტები და აქვე შენიშნავენ, რომ

**კონფედერაციული სამხრეთი კავკასია, შეიძლება, ხელს აძლევდეს ევროპას, ევროკავშირს გავლენის მოპოვებისა და მართვის გაიოლების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ აშშ პოსტსაბჭოთა სივრცეს ტოვებს, ევროკავშირი იბრძვის იმისთვის, რომ ამ სივრცეში მას სერიოზულად აღიქვამდნენ (Open Democracy). დაუმატეთ ამას ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი, ის, რომ „დღის წესრიგიდან მოიხსნა ნატოში უკრაინისა და საქართველოს გაწევრების საკითხი“ (Open Democracy).**

დაიბნევი კი არა, ნებისმიერ ავანტიურაზე წახვალ, ისეთზე, როგორიც კონფედერაციული მოწყობის შეთავაზებაა აზერბაიჯანისთვის.

ყველა ხვდება, რომ აქ თავს იჩენს ჩვენი ხელისუფლების ვითომ დაფარული მისწრაფება — **კონფედერაციის პირობებში საქართველოს საშუალება მიეცემა, როგორც საკვანძო ქვეყანას, აკონტროლოს მილსადენები და მართოს ენერგოშემცველების ნაკადები.**

**აზერბაიჯანი ამას არა თუ არ მიიღებს, არამედ სერიოზულადაც არ აღიქვამს. ბოდიშს ვიხდი, ფეხებზე ჰკიდია!**

ეს რას ჰგავს, იცით? ხრუშჩოვის დროს საბჭოთა კავშირი ახალი და ახალი საერთაშორისო ინიციატივებით რომ გამოდიოდა და არავინ ყურად რომ არ იღებდა.

**ეტყობა, საქართველომ ისე დაკარგა ორიენტაცია, რომ, როგორც ბრმას, გამძღოლი სჭირდება: თუმცა ყოველთვის, მთელს ახალ ისტორიაში, კილვატერული სახელმწიფო ვიყავით — ოკეანეში გასული გემების მწკრივს მივყვებოდით. ახლა ამერიკული დრენდოუტი ჰორიზონტზეც არ ჩანს, რუსეთს ვუგანეთ, ევროკავშირი მხოლოდ ემზადება სამხრეთ კავკასიაში შემოსასვლელად.**

თურქეთს ვეარშიყებით, მაგრამ ერდოღანს თავისი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი ისრაელთან, ევროკავშირთან, აშშ-სთან და ჩვენთვის არ სცალია.

აი, აზერბაიჯანი კი ერთ რამედ ღირს. ენერგოშემცველებით მდიდარი ქვეყანა, რომელსაც აშშ-ც ანგარიშს უწევს, რუსეთიც და თურქეთიც.

როგორც ჩანს, ამიტომ დაიბადა კონფედერაციული ურთიერთობის იდეა.

— აზერბაიჯან გიურჯუსტან, — როგორც ჩემმა მეგობარმა სულეიმან სულეიმანოვმა მითხრა, — დოსტლუღუ ვარ ოლსუნ!

მეგობრობას გაუმარჯოსო.

— ჩოხ საღოლ!

— გმადლობთ!

ვინაა ამის წინააღმდეგი! მაგრამ არ გამოსდის სააკაშვილს, და რა ვქნათ?

დავეფონოთ ფიანდაზად, ოღონდ...

ოღონდოღონდობაში დავითგარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის ნახევარი დავკარგეთ.

რაც არავის აწუხებს ოციოდ წლის წინათ კი...



ამ პრესკონფერენციაზე გააჟღერა მიხეილ სააკაშვილმა კონფედერაციის იდეა





დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი — ლავრა

## იაზოვის თანმხლებმა გენერალმა ჯუმბერ პატიაშვილს ერთი საიდუმლო გაანდო

**საქმე დავითგარეჯის ისტორიულ კომპლექსს ეხება, მართლმადიდებლობის ამ უნიკალურ ძეგლს, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარეობს და სადემარკაციო ხაზით ორადაა გაყოფილი.**

1980-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ეროვნულმა მოძრაობამ ახალი ძალა მოიკრიბა, განსაკუთრებით გააქტიურდა სტუდენტური გამოსვლები დავითგარეჯის გადასარჩენად. საქმე ის იყო, რომ ამ გორაკიან და ხრამებით დასერილ უდაბურ ტერიტორიაზე მოქმედებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზა — მძიმე ტექნიკის საცდელი პოლიგონი, სადაც ინტენსიური წვრთნები მიმდინარეობდა საბრძოლო ჭურვების გამოყენებით. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასობით ტონა ჭურვების აფეთქება უაღრესად უარყოფითად მოქმედებდა ისტორიულ ნაგებობებზე, იბზარებოდა და სკდებოდა კედლები, ინგრეოდა ლავრა, ბერთა სავანე, ჩამოიფშვნა და გაქრა უამრავი ფრესკა.

**საკითხი ასე იდგა: ან ისტორიული ძეგლი, ან პოლიგონი და შეგინებული ეროვნული თავმოყვარეობა.**

**საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ახალგაზრდების მამულიშვილურ მისწრაფებას მხარი აუბა, მაგრამ ისეთ მონსტრთან დაპირისპირება, როგორიც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები იყო, რომელსაც მსოფლიო ანგარიშს უწევდა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალას აღემატებოდა. საჭირო იყო კრემლის თანაგრძნობა და მხარდაჭერა.**

**ჯუმბერ პატიაშვილი,** იმ პერიოდში საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, იხსენებს:

— ჩავედი მოსკოვში და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს, გენერალურ მდივანს — მიხეილ გორბაჩოვს დავითგარეჯის პრობლემაზე სალაპარაკოდ შევხვდი. გადავეცი გიორგი ჩუბინაშვილის წიგნი „ქართული ძეგლები“, წვრილად ავუხსენი, რას მოითხოვდნენ ახალგაზრდები, რომელთაც მხარს ვუჭერდით. **გორბაჩოვი გაგებით მოეკიდა ჩვენს სატკივარს, ჩემი თანდასწრებით დაურეკა თავდაცვის მინისტრს, მარშალ იაზოვს და დაავალა, რომ სამონასტრო კომპლექსის საკითხი დადებითად გადაეწყვიტა, ისე, როგორც ეს საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებას სურდა.**

ვინაიდან მე კონკრეტული პასუხი მჭირდებოდა, გორბაჩოვის მისაღებიდანვე დავურეკე იაზოვს და შევთანხმდით, რომ შევხვდებოდი მეორე დღეს. 1988 წლის 29 სექტემბერს მივედი თავდაცვის სამინისტროში და ვთხოვე მინისტრს, დაეზუსტებინა, როდის და როგორ გადაწყდებოდა დავითგარეჯის პრობლემა.

იაზოვმა მიკიბულ-მოკიბულად დაიწყო: ტანკოდრომი სერიოზული ობიექტია, მის გადატანას დასჭირდებოდა დიდი დრო, კოლოსალური თანხა და, რაც მთავარია, 10 ათასი ჰექტარი სანაცვლოდ.

კატეგორიულად არ დავეთანხმე. ვუთხარი, რომ საქართველოს ამ ოდენობის მიწის აუთვისებელი ფართობი არ აქვს, და გამოვედი მინისტრის კაბინეტიდან. გაუგებარი იყო — გენერალურ მდივანს ჰპირდება, რომ გადაწყვეტს საკითხს, მე კი მევაჭრება — სანაცვლო მიწას ითხოვს.

ლიფტამდე გამომყვა, ვისაუბროთო, მაგრამ რატომ უნდა გამეგრძელებინა უსაგნო ლაპარაკი?

ოქტომბრის დასაწყისში იაზოვი მოულოდნელად ჩამოდის თბილისში და პატიაშვილთან ერთად ჩადის დავითგარეჯის ტანკოდრომზე, პოლიგონზე.

თანმხლები გენერლების წინაშე მინისტრი ცდილობს, გააგრძელოს დისკუსია პატიაშვილთან იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის წინადადება პოლიგონის გაუქმების შესახებ უსაგნოა და კვლავ მოსკოვში ნათქვამ არგუმენტებს იშველიებს.

ამის მომსწრე ამ სტრიქონების ავტორიც გახლავთ, რადგან ტელეოპერატორ ამირან მურვანიძესთან ერთად შევძელით შეგვეღწია ამ დახურულ თათბირზე.

მაგიდაზე გაშლილია სამხედრო რუკები, რაღაც დიაგრამები კედლებზე კიდია. მთელ ამ სამხედრო საიდუმლოებას ფხიზლად დარაჯობს რომელიღაც აქაური გენერალი საჩვენებელი ჯოხით ხელში. მზადაა, მინისტრს მხარი დაუჭიროს რუკებისა და სხვა მასალების მოშველიებით.

**პატიაშვილი უხსნის თავდაცვის მინისტრს, რომ დავითგარეჯის გადარჩენით განსაკუთრებით დაინტერესებულია სტუდენტი ახალგაზრდობა, რომ მათი მოთხოვნები სამართლიანი და ანგარიშგასაწევია. რომ ისინი მზად არიან, უკიდურეს ზომებს მიმართონ და ჩვენ უფლება არ გვაქვს, მძიმე მდგომარეობაში ჩავაგდოთ ისინი, დავუკარგოთ სამართლიანობის რწმენა.**

იაზოვი იკვირვებს: განა ისინი პატრიოტები არ არიან?! არ სურთ ჩვენი არმია ძლიერი და გაწვრთნილი რომ იყოს?! და ა.შ.

დაძაბული ვითარებაა.

ვიწერთ ამ ყველაფერს სონის „ტეჟეკას“ კამერით. შეგვამჩნია იაზოვმა „უცხო სხეულები“ და გაოცებულმა იკითხა:

— Они откуда взялись?

შემდეგ კი კატეგორიულად მოითხოვა, ერთი სიტყვაც არ გადაცემულიყო ეთერში ამ თათბირიდან, არც ერთი კადრი არ გასულიყო.

ჯანდაბას კადრები, ოღონდ პრობლემა გადაეწყვიტათ.

შემდეგ რა მოხდა:

პატიაშვილმა სტუმრები ბერთუბანში წაიყვანა, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ►

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სირცხვილისა

**— იმ პერიოდისთვის, —** იხსენებს ჯუმბერ პატიაშვილი, — **აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ბერთუბნის ტერიტორიას, რომელიც დაახლოებით 70 ჰექტარი იყო, გადმოგვცემდნენ შესაბამისი ფართობის სანაცვლოდ.**

**სამწუხაროდ, რამდენიმე თვეში ყველაფერი აირია და ეს შეთანხმება ვეღარ განხორციელდა.**

ორი თუ სამი საათის შემდეგ იაზოვი ისე წავიდა საქართველოდან, რომ გარკვეული პასუხი არ გაუცია.

**აი, ამ დროს პატიაშვილთან მიდის მინისტრის თანმხლებ გენერალთაგან ერთ-ერთი და ეუბნება:**

**— ამ პოლიგონზე ჭურვების მასირებული სროლები აღარ იქნება. მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდეთ, როგორც კი გაუქმდება ეს პოლიგონი, თქვენ ამ ტერიტორიას დაკარგავთ!**

(პატივცემულო მკითხველებო, დაიხსომეთ ეს „წინასწარმეტყველება“, გაფრთხილება თუ მუქარა, რადგან წინ დაგვხვდება).

ოქტომბრის ბოლოს გორბაჩოვი ურეკავს პატიაშვილს და ეუბნება, რომ სროლები, მძიმე ტექნიკის ინტენსიური მანევრები პოლიგონზე შეწყდება და დავითგარეჯს აღარაფერი დაემუქრება.

**მას შემდეგ ოც წელიწადზე მეტი გავიდა. დღეს იმ ტერიტორიაზე აღარც პოლიგონია და აღარც ბერთუბანია ჩვენი. ტანკოდრომი ხელს უშლიდა მეზობლებს, ჩამოსახლებულიყვნენ.**

**აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ლავრადან ხელის გაწვდენაზე დგანან.**

**დღეს არავის სცალია იმისთვის, რომ ეს პრობლემა სახელმწიფოთა შორის განსჯის საგანი გახადოს.**

საგარეჯოს რაიონის ყოფილი ხელმძღვანელები იხსენებენ, რომ საკითხი გადაწყვეტის პირამდე იყო მიყვანილი: ბერთუბნის სანახების 200 ჰექტარ საძოვრების სანაცვლოდ ჩვენები აზერბაიჯანს უდაბნოს მეურნეობის სახნავ-სათესი მიწების 400 ჰექტარს სთავაზობდნენ. შედგენილი იყო ნახაზები, სქემები, გაანგარიშებანი. ჩვენმა კულტურის სამინისტრომ სრული დოკუმენტაცია აზერბაიჯანის მთავრობას გადასცა და, როგორც ყველაფერი იმ დროს, ცნობილი მოვლენების გამო აირია.

იყო წელი 1989.

დღეს ხომ დავლაგდით? რა გვიშლის ხელს?

უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ტერიტორიების დაკარგვა ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა. შეეჩვიენ და შეგვაჩვიეს.

მეორე. ის, რომ ფეხქვეშ ვეგებით ჩვენს მეზობელს, ოღონდ გადმოგვხედოს მოწყალების თვალით და მიიღოს შეთავაზებული კონფედერაციული ურთიერთობა.

სხვის კალთას ამოფარებულები შეძლებენ ვითომ 2013 წლამდე შეინარჩუნონ ძალაუფლება? შემდეგ — კიდევ 60 წლის მანძილზე?..

## ალაზანი აზერბაიჯანისთვის მუშაობს

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე ბუნების ძეგლი — კაკლისყურე კატასტროფის პირზეა.** კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) განგაშს ტეხს:

**მოსალოდნელია, რომ ალაზანმა, რომელიც კაკლისყურეს, იგივე ჯუმასყურეს ჩაუდის, კალაპოტი იცვალოს, წალეკოს მეანდრის ყელი, რომლითაც ეს ულამაზესი ადგილი ხმელეთს უკავშირდება და 180 ჰექტარი მიწა აზერბაიჯანის საზღვრებში აღმოჩნდეს.**

რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი მდინარე ალაზანზე გადის და, ჩვენი მხარის ყველაფრის დამთმობი პოზიციის გამო, რაც ჩვენს ნაპირს მოსწყდება, ტრადიციისამებრ, აზერბაიჯანის საკუთრება ხდება: მიითვისებენ აღმოსავლელი მეზობლები.

**სულ ცოტა რამე სჭირდება კაკლისყურის შემომტკიცებას, სადაც ბუნება პირველქმნილი მშვენიერებით არის შენარჩუნებული — ალაზნის ნაპირის გამაგრება. მაგრამ გარემოს დაცვის სააგენტოს ნაპირდაცვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, კაკლისყურე შეტანილი არ არის იმ ობიექტების სიაში, სადაც ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა ჩატარდეს — წლევანდელი ბიუჯეტის მიღმა დარჩა.**

საქართველოს მიწის ამ ნაგლეჯისთვის სახელმწიფოს ფული არ აქვს, სამაგიეროდ როგორი ხელგაშლილია მიხეილ სააკაშვილი ისეთ საქმეებში, რომლებიც გამოაჩენს. აი, ახლახან წყალდიდობით წალეკილ მოლდოვას სოფლებს ჰუმანიტარული დახმარება ისეთი მეფური ჟესტით მიართვა, თითქოს შინ თავზე გადაგვდიოდეს.

**მოლდოვას სოფლებისთვის ფული არის, კაკლისყურისთვის — არა. და, რაც გნებავთ, ის დაარქვით ასეთ პოლიტიკას — შერჩევითი ჰუმანიზმი თუ პიარს შეწირული თუნდაც 180 ჰექტარი ჩვენი ტერიტორია.**

ასეთივე პრობლემა იდგა წლების წინათ სიღნაღის რაიონის სასაზღვრო ზოლში. მაშინ საქართველოს მთავრობამ ხიდი ააგო და დაკარგვის პერსპექტივის მქონე ცხრაასი ჰექტარი არა მარტო გამოსტაცა ალაზანს და შემოიმტკიცა, არამედ ქართველების 35 ოჯახი იმ ტერიტორიაზე ახლადაგებულ სახლებში ჩაასახლა.

ასე დაარსდა სოფელი ერისიმედი. თუმცა დღეს საიმედო იქ არაფერი ხდება, იქაურებს მიაჩნიათ, რომ მათი ბედი და იღბალი არავის აინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებას — წყალსაც წაუღია და ალაზანსაცო, თუნდაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხებოდეს;

**წლეულს, 13 აპრილს აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ 16 წლის ახმედ გაურგაშვილს საქართველოს ტერიტორიაზე ესროლა და მოკლა. „მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია“, — იტყობინება მედიანიუსი კახეთის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით. გამოძიება კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს, თუ ამას გამოძიება ჰქვია.**

ალაზანს იქით — ვაშინერს! — როგორც სამეგრელოში იტყვიან, ტაბუ აქვს დადებული.

შიში ჩამდგარა სოფელში: ალაზანთან მიახლოებისაც ეშინიათ — იქითა ნაპირიდან შეიძლება გაუფრთხილებლად ესროლონ. სოფელში წყაროსთავზე გასვლასაც ვერ ბედავენ, როცა იქ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გადმოდიან, თავისუფლად გადმოდიან, ჩივის ერისიმედის მკვიდრი მინდია თავართქილაძე.

ჩვენი მესაზღვრეები კი სოფლის შემოსასვლელში ჩასაფრებულან. ეტყობა, მტრის უეცარი შემოტევის მოსაგერიებლად...

**შიში ჩამდგარა-მეთქი სოფელში; სხვათაშორის, — დედოფლისწყაროს სოფელ ჯაფარიძეშიც, რომელსაც მგლები შეესიენ. ოთხფეხა მტაცებლებზეა ლაპარაკი. აქაური მკვიდრის — ეკა წიკლაურის ეზოში ახლახან მგლებმა 2 ცხვარი დაგლიჯეს, 6 შეჭამეს.**

**აი, მგლის მადა!**

**არც მგლისფერ ადამიანებს აქვთ ნაკლები, დაგვემოწმებიან ძმანი კახელნი!**

**მაგრამ თუ ასეა, ამიხსენით, რატომ მოხდა ისე, რომ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში დარაზმულად ხმა რომ მიეცით იმათ, ვისაც მგლისფერებში მოიხსენიებენ?!**

მგლები კი საღამოობით სოფლის შარაზე საპატრულოდ გამოდიან. ხალხი სახლებშია ჩაკეტილი.

ხალხს მგლების ისე ეშინია, როგორც ბიზნესმენებს — დაპატიმრებების ახალი ტალღის.

რამდენიმე თვის წინათ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში მგლებმა სამი ადამიანი დაგლიჯეს, ათობით ადგილობრივი დადორბლეს; შეჭამეს და დაგლიჯეს ორმოცდაათამდე პირუტყვი.

სხვამხრივ არაფერი გვიჭირს: ბათუმში აგრძელებენ ბულვარს და ამაღლებენ სასტუმროებს. ბომონდი ზღვაზე ისვენებს და დიდი ფართიფურთი აქვს. „საქართველოში პირველად“ იმართება კონცერტები ღია ცის ქვეშ და ვიღაც იღებს საეტაპო ფილმს „ორნახევარი“ — ბათუმზე, რომელიც საქართველოს მესამე არა, მაგრამ თბილისისა და ქუთაისის შემდეგ სეზონური დედაქალაქი მაინც არის — სანახევრო.

**არმაზ სანებლიძე**


წითელი ხიდი

**P.S. სად მთავრდება საქართველო?**
**სადაც გზაარეულის წრიალი იწყება.**

**ხევსურეთის მთებში მიკარგული ებრაელთა სოფლის — ბეიტ-ხაიმის (სიცოცხლის სახლის) ერთადერთი შემორჩენილი მკვიდრი, ჭკუანაკლული მოხუცი, მეტსახელად გრიჟა, ამბობდა: „სიმართლე სიმშვიდეშია. იჯექი, ნუ წრიალებ. წმინდა ადგილი თავად მოდის ბრძენთან, უგნური კი მთელ ქვეყანას მოედება და ვერსად პოულობს, იმიტომ, რომ იგი თავად ეძებს მას“(ნოდარ ჯინი, „ჩემი მკვლელობის ისტორია“).**

**შეშლილები ზოგჯერ ჭეშმარიტებას ღაღადებენო.**

# ანაკლიის სამშენებლო სამუშაოებს ყოფილი გამგებელი შეეწირა

**მას შემდეგ, რაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიათი საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდა, სამართალდამცავ ორგანოებს დაევალათ, გაერკვიათ, იყო თუ არა ზღვისპირა წალკოტში მიწები მოქალაქეებზე კანონიერად გადაცემული. არადა, ანაკლიაში მასობრივად მიმდინარეობს მოსახლეობაზე მიწების უკანონოდ ჩამორთმევა. ჯოხი ანაკლიის ყოფილ გამგებელ თემურ ეფენიაზე გადატყდა. სამართალდამცავების განმარტებით, ანაკლიის ყოფილი გამგებელი თემურ ეფენია მიწებს თურმე უკანონოდ არიგებდა.**

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ყოფილ გამგებელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხედრო განყოფილების უფროსს — **თემურ ეფენიას თაღლითობის, ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ბრალდებით, 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ასევე, ჯარიმის სახით დააკისრა 6000 ლარის გადახდა.**

სოფელ ანაკლიაში გამოთავისუფლებული იყო 16 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც თვითნებურად ეკავა სოფლის მოსახლეობას, მაგრამ მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნდა. თემურ ეფენიამ გასცა ასეთი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, რადგან ეს მიწები ამ ხალხის საკუთრება უნდა ყოფილიყო. მას ბრალი დასდეს მიწების მიღება-ჩაბარების აქტების გაყალბებაში და ამ ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მიწების მისთვის სასურველი პიროვნებებისათვის გადაცემაში.

თემურ ეფენია 1993-2002 წლებში მუშაობდა ანაკლიის გამგებლად, შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის უფროსი იყო. საბრალდებლო დასკვნაში წერია:

**„მიუხედავად იმისა, რომ თემურ ეფენიას არანაირი შეხება არ ჰქონდა ანაკლიის გამგეობასთან, გამოიყენა სოფელ ანაკლიის გამგებლად მუშაობის პერიოდიდან შემორჩენილი სათანადო ბეჭედდასმული მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტები და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე მიწები საკუთრებაში მოქალაქეებს გადასცა“.**

თემურ ეფენიასთვის თავისუფლების აღკვეთა ვერ აღკვეთს იმ უმსგავსოებას და უკანონობას, რაც ანაკლიაში სუფევს, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებთ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ართმევენ მათ საკუთრებაში არსებულ მიწებს.

# «ზუგდიდელი» დევნილები ქალაქში დარჩენას ითხოვენ

**საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2010 წლის იანვრიდან იმ დევნილთათვის, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, უნდა დაწყებულიყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.**
**ამ მიზნით ზუგდიდში 20-მდე მრავალსართულიანი კორპუსი უნდა გაერემონტებინათ ან აეშენებინათ.**
**ამ დროისათვის არავითარი სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს.**
**სამაგიეროდ ქალაქ ფოთში, მალთაყვის დასახლებაში, მსგავსი ტიპის სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

ზუგდიდელ დევნილებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამეგრელოს მთავარ ქალაქში იმიტომ არ შენდება არაფერი, რომ საცხოვრებელ ფართებს ფოთში მოგვცემენო. დევნილები ზუგდიდის დატოვების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მათ საგანგებო განცხადებით მიმართეს საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარეს ოთარ ფაცაციას და ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატ ფრიდონ თოდუას.

**დევნილების განცხადებით, ზუგდიდში 2500-მდე ლტოლვილი ოჯახია, რომლებიც ნათესავებთან ან ნაქირავებ ბინებში ცხოვრობენ. მათ შორის არიან მოხუცები, პენსიონერები, უმწეოები. თუ დევნილთა ფოთში „გასახლება“ გარდაუვალია, ის 1000-მდე ოჯახი მაინც დატოვონ ზუგდიდში, რომელთათვისაც ზუგდიდის დატოვება ხელახალი დევნილობის ტოლფასია, — ნათქვამია განცხადებაში.**

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან მიქავა დევნილებში გავრცელებულ ინფორმაციას ჭორსა და პროვოკაციას უწოდებს. როდესაც კომენტარი ვთხოვე, მან არც იცოდა, თუ კი ასეთი აზრი იყო გავრცელებული. მისი თქმით, გამორიცხულია, რომ დევნილები იძულებით გადაასახლონ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ევროპიდან წასვლა

**ნატოს შექმნის დღიდან სამოც წელზე მეტი გავიდა და ევროპელები თავდაცვაზე სულ უფრო მეტ ეკონომიას აკეთებენ, რადგან გაკოტრებული კონტინენტი სასოწარკვეთილი ამცირებს სახელმწიფო ხარჯებს, ევროპის ასიგნებები სამხედრო საჭიროებებზე სულ უფრო მეტად შემცირდება. ვაშინგტონის ფინანსური მდგომარეობა უკეთესი არ არის: სამხედრო ასიგნებები შეერთებულმა შტატებმაც უნდა შეამციროს, განსაკუთრებით ევროპაზე ტრანსატლანტიკური ალიანსი 1949 წელს შეიქმნა, როდესაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაუარესდა. სასტიკი წითელი არმიის ხატი დასავლეთისთვის კოშმარად იქცა.**



მიუხედავად ამისა, ნატო ყოველთვის ჩრდილოეთ ამერიკისა და სხვების მხარდამჭერი იყო. ალიანსის არსებობის პირველ წლებში მისი ევროპელი წევრები, აბსოლუტურად გასაგები მიზეზების გამო, ეკონომიკის აღდგენაზე იყვნენ კონცენტრირებულები, მაგრამ სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთი ყოველთვის შეერთებული შტატებისთვის ჰქონდათ გადაბარებული.

**ვაშინგტონი რეგულარულად ემუდარებოდა თავის მოკავშირეებს, სამხედრო ასიგნებები გაეზარდათ და ისინიც თანხმდებოდნენ, თუმცა მოგვიანებით იმავე რეგულარობით სიტყვას არ ასრულებდნენ და თავს საშინაო საჭიროებებითა და პოლიტიკური პრობლემებით იმართლებდნენ. გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის ევროპელები უკვე აქტიურად აპროტესტებდნენ ამერიკულ ინიციატივებს ცენტრალურ ამერიკასა და სხვა ადგილებში. მაგრამ ამერიკა მისი უძლები მოკავშირეების დაცვას განაგრძობდა.**

შემდეგ კომუნიზმის კრახიც დადგა. რისთვის არის საჭირო ნატო, რომელიც თავისი არსით ანტისაბჭოთა ალიანსია?

დღეს ევროპას არავისგან დაცვა აღარ სჭირდება. სასტიკი წითელი არმია აღარ არსებობს. მოსკოვს მხოლოდ შეზღუდული არაბირთვული ძალები გააჩნია და ვარშავისა და ბუდაპეშტის, რომ აღარაფერი ვთქვათ ბერლინსა და პარიზზე, აღებას აღარ გეგმავს. ევროკავშირს ერთიანად ამერიკაზე მეტი მოსახლეობა და მასზე ძლიერი ეკონომიკა აქვს.

თავდაპირველად ნატოს მხარდამჭერები წინადადებით გამოდიოდნენ, რომ ალიანსი ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და გარემოს დაცვის პრობლემებით დაკავებულიყო. შემდეგ ალიანსმა რეგიონალური ინტეგრაციის იდეის კულტივირება დაიწყო, ფართოვდებოდა რა ცენტრალური და აღმოსავლეთ-ევროპისკენ, ყველა ეს მისია უაზრო იყო. არასამხედრო ხასიათის ამოცანებს ევროკავშირი ყოველთვის უკეთ უმკლავდებოდა.

შემდეგ ნატო გასცდა საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებს, როდესაც სერბეთის წინააღმდეგ, რომელიც ალიანსის არც ერთ წევრს არ ემუქრებოდა, აგრესია წამოიწყო. მიზანი კოსოვოში ეთნიკური კონფლიქტის დარეგულირება იყო, მაგრამ ბალკანეთი ევროპისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე შეერთებული შტატებისთვის.

დღეს ავღანეთის მისია არსებობს, თუმცა ავღანეთის ომი დიდწილად ამერიკის ომად რჩება. ყველაზე დიდ სამოკავშირეო დახმარებას სახელმწიფოების მხოლოდ პატარა ჯგუფი ახორციელებს და ამ დახმარების ორგანიზება ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზეც შეიძლებოდა (ავსტრალია ამას უკვე აკეთებს ნატოს ფარგლებს მიღმა). ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობამ ავღანეთში მხოლოდ მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა და სამხედრო მოქმედებებში მათ მონაწილეობას მთელი რიგი პირობებით შეზღუდვები დაუწესა. ყველა მათგანი ბრძოლის ველიდან მოშორებულია და ყველა იმას ფიქრობს, რაც შეიძლება, მალე დატოვოს იქაურობა.

ამასთან, ნატოს გაფართოვებას ის მოჰყვებოდა, რომ ამერიკა ნაკლებად დაცული გახდებოდა. ალიანსის შემადგენლობაში ბალკანეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მიღება მას უამრავ ახალ ვალდებულებას დაუმატებდა, ხოლო ახალ შესაძლებლობებს, ფაქტობრივად, ვერ შესძენდა.

**უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრება სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებდა, რადგან ალიანსის რიგებში შეიძლება უსაფრთხოების უზარმაზარი შავი ხვრელები გაჩენილიყო. არც ერთ და არც მეორე ქვეყანას ამერიკის უსაფრთხოებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. აშშ-ის ნატოში წევრობა ამერიკის უსაფრთხოებას უნდა უზრუნველყოფდეს და არა სხვა ქვეყნების უსაფრთხოებას ამერიკელებისთვის რისკების გაზრდის ხარჯზე.**

სამხედრო საქმიანობის ამერიკისთვის გადაბარებით, წამყვანმა ევროპულმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის მსოფლიო ზესახელმწიფოდ გარდაქმნის იდეის შექმნა წამოიწყეს. მათ აქეს და ადიდეს ლისაბონის შეთანხმება, რომელმაც ახალი პრეზიდენტის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობები შექმნა და „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ერთობლივი პოლიტიკის" ლოზუნგები გამოაცხადა, თუმცა ამ შეთანხმებამ სინამდვილეში მხოლოდ ბიუროკრატიული გაუგებრობები შექმნა და არა კონტინენტის რწმენა საკუთარი თავისადმი. ახლა ევროკავშირში სამი სხვადასხვა ხელმძღვანელია (ორი მუდმივი და ერთი პერიოდული, რომელიც როტაციის პრინციპით იცვლება), რომლებიც ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაზე ერთმანეთს ღრღნიან. საგარეო საკითხებზე „უმაღლესი წარმომადგენელი" უფრო მეტ დროს ევროკავშირის პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებებში ატარებს, ვიდრე უცხო სახელმწიფოებთან.

**მნიშვნელოვანი სხვა რამაა. ევროპელები კვლავ უარს ამბობენ საკუთარი შეიარაღებული ძალების განვითარებაზე, რაც ევროპის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის რეალიზაციის გარანტიაა. ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი აღიარებს, რომ ასეთი სისტემა „ქაღალდის ვეფხვად დარჩება, თუკი ამას არ მოჰყვება კონკრეტული სამხედრო წვლილი იქ, სადაც ჩვენ ეს წვლილი გვჭირდება".**

თუმცა იმის არანაირი შანსი არ არსებობს, რომ ასეთი წვლილი გამოჩნდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა უწყვეტად ამცირებს სამხედრო ხარჯებს.

**სულ ხუთი ქვეყანა ასრულებს ნატოს მოთხოვნას და ნაციონალური მშპ-ს 2%-ს თავდაცვის საჭიროებებისთვის გამოყოფს, ზოგიერთი სახელმწიფო — დაახლოებით 1%-ს და ზოგჯერ ნაკლებსაც და ეს ასიგნებები შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს. აი, რას იუწყება Wall Street Journal-ი: „საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და იტალიის მთავრობები, რომლებმაც ვალებზე ევროპული კრიზისის საპასუხოდ ეკონომიის მკაცრ ზომებს მიმართეს, განაცხადეს, რომ ხარჯების შემცირების პროცესში საკუთარ შეიარაღებულ ძალებს არ დაინდობენ", ხოლო ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ლაიემ ფოქსმა შემცირების ვალდებულება „დაუნდობლად და სენტიმენტების გარეშე" საკუთარ თავზე აიღო.**

ახლა ავღანეთში დაახლოებით ორმოცი ათასი ევროპელი სამხედრო მოსამსახურეა და ეს რაოდენობა შემცირდება. ავღანეთში ჯარების გაგზავნა არსად არ არის პოპულარული. ახლახან ნიდერლანდების მთავრობა გადადგა და ეს ჯარისთვის ვადის გაგრძელებაზე დავას მოჰყვა. ბრიტანელი პოლიტიკოსებიც კი საკუთარი სამხედროების სახლში დაბრუნებაზე საუბრობენ.

ნატოს ახალი წევრები, რომლებსაც ყველაზე მეტად უნდა აღელვებდეთ ჯერ კიდევ გაღიზიანებული „რუსი დათვი", ანალოგიურად იქცევიან. სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტისთვის დაწერილ სტატიაში პოლკოვნიკი ჯოელ ჰილისონი აღნიშნავს – „მაშინ, როცა რუსეთი 2001 წლის შემდეგ საკუთარ სამხედრო ხარჯებს ზრდიდა, ალიანსის ახალი წევრი სახელმწიფოების საშუალო სამხედრო ტვირთი ნელ-ნელა მცირდებოდა".

**ზოგიერთი ამერიკელი ბრაზს ევროპელებზე ანთხევს, უწოდებს რა მათ მხდალებს და ხანდახან უარესსაც. ასე მაგალითად, რობერტ კაპლანი ევროპულ „დაცემულობაზე" საუბრობს. ის წერს:**

„რადგან ევროპული პატრიოტიზმი გაიფანტა, იმ დროს, როდესაც საქმე ომისა და მშვიდობის საკითხებს ეხება, ევროპის ქვეყნების მთავრობები საკუთარი ხალხებისგან მსხვერპლს ვეღარ მოითხოვენ. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ცივ ომში გამარჯვებით ჩვენ ევროპა დავკარგეთ".

თავდაცვის მინისტრი **რობერტ გეითსი** უფრო კორექტული იყო, როდესაც ამა წლის თებერვალში აცხადებდა:

**„ევროპის დემილიტარიზაცია (როდესაც მოსახლეობისა და პოლიტიკოსების კლასის მნიშვნელოვან ნაწილს წინასწარ აქვს უარყოფითი განცდა სამხედრო ძალისა და მასთან დაკავშირებული რისკების მიმართ) მე-20 საუკუნის სიკეთიდან 21-ე საუკუნეში მყარი მშვიდობისა და რეალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე დაბრკოლებად იქცა.**

ცხადია, სამხედრო ძალა ჩვენს არასტაბილურ სამყაროში უსარგებლო სულაც არ არის, მაგრამ ომისადმი ისეთი დამოკიდებულება, თითქოს ის საგარეო პოლიტიკური ქმედებების მორიგი ვარიანტი იყოს, შეიძლება იქცეს დიდ „დაბრკოლებად რეალური უსაფრთხოებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე". აშშ-ის მთავრობა მრავალი წლის განმავლობაში განურჩევლად ომობდა და არიგებდა საფრთხეებს, რითაც ამერიკას სულ უფრო დაუცველს ხდიდა. ასეთ შემთხვევებში მშვიდობის ევროპელი მხარდამჭერები ხშირად ამერიკელებზე მართლები იყვნენ.

მაგრამ ტრანსატლანტიკური ალიანსის აღორძინების ოცნება კვლავ ცოცხალია. „ექსპერტთა ჯგუფმა" ყოფილი სახელმწიფო მდივნის — მადლენ ოლბრაიტის ხელმძღვანელობით, მაისის შუა რიცხვებში ანგარიში გამოაქვეყნა, სახელწოდებით „ნატო 2020: გარანტირებული უსაფრთხოება, დინამიური ურთიერთქმედება". ამ დოკუმენტში „ახალი სტრატეგიული კონცეფციის" შექმნისკენ მოწოდებაა, რომელიც მოიცავს: ევროპის დაცვას, არატრადიციულ საფრთხეებთან ბრძოლას, ალიანსის საზღვრებს მიღმა მოქმედებას, ავღანეთში გამარჯვებას, კრიზისების პრევენციას, ახალი პარტნიორების შექმნას, „რთული პრობლემების გადაწყვეტისთვის ყოველმხრივ მიდგომებში მონაწილეობას", რუსეთთან ურთიერთქმედებას, ნატოში ახალი წევრების მიღებას, სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას, ბირთვული იარაღის შენარჩუნებასა და მხარდაჭერას, ანტისარაკეტო თავდაცვის შექმნას, კიბერ-შეტევებზე საპასუხო ქმედებებს, ნატოს „უფრო დინამიურ ალიანსად" გადაქცევას და არანაკლებ მნიშვნელოვანს – „ნატოს ისტორიის თხრობას".

ადრე ევროკავშირის უსაფრთხოების პრობლემების კვლევის ინსტიტუტისთვის უფრო მასშტაბური ანგარიში მომზადდა, რომელშიც ისმოდა მოწოდება „მშვიდობიანი მოსახლეობის" თანაზომადი სამხედრო პოტენციალის შექმნისკენ. ანგარიშში, ასევე, გაისმა ევროპისადმი მოწოდება „იმოქმედოს ნატოსგან ავტონომიურად", რისთვისაც საჭირო გახდება „სამხედრო მოქმედებების წარმოებისა და დაგეგმვისთვის სრულმასშტაბიანი ევროპული ხელმძღვანელობის" ჩამოყალიბება.

**ეს ძალიან ამბიციური ამოცანებია ქვეყნებისთვის, რომლებსაც 2020 წლისთვის ჯარებიც აღარ ეყოლებათ, თუკი ასეთი ტემპით განაგრძობენ სამხედრო ხარჯების შემცირებას. სინამდვილეში ცოტაა ისეთი საფრთხე, რომელთა წინააღმდეგაც ევროპელები უნდა შეიარაღდნენ. რუსეთმა შეიძლება ურტყას ნავსიან საქართველოს, მაგრამ უკრაინისა და პოლონეთის გადაყლაპვის მცდელობა უკვე სულ სხვა რამაა, ხოლო რუსეთის დასავლეთზე თავდასხმის შესაძლებლობა მარსიანელების თავდასხმის თანაზომადი საფრთხეა.**

რა თქმა უნდა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ევროპელებზე გავლენას ახდენს, მაგრამ, რადგან სახელმწიფოების არსებობას საფრთხე არ ემუქრება, როგორც ჩანს, ყველა ომს არჩევანი და არა აუცილებლობა განსაზღვრავს და აუცილებელია ყველა სარგებლის დანახარჯებთან შედარება. კონკრეტულად რა უჯდებათ ევროპელებს ავღანეთის ხელისუფლებაში მყოფი კარზაის კლანის შენახვა? როდესაც საუბარი ავღანეთზეა, მაშინვე ჩნდება განცდა, რომ ასეთი რამ არასდროს აღარ უნდა მოხდეს. ახლახან გერმანიის თავდაცვის მინისტრი ოთხი ახალი შემზღუდველი კრიტერიუმის ინიციატივით გამოვიდა, დაწყებული „ნატოს წევრისთვის სერიოზული და გარდაუვალი საფრთხით". როგორც ჩანს, ავღანური მისია ოთხივე კრიტერიუმის თანახმად ჩავარდებოდა მისი განხორციელების ინიციატივით გამოსვლის მომენტში, დღევანდელ დღეზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ბოსტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლის — ენდრიუ ბასევიჩის მტკიცებით, ძირითადი პრობლემა კულტურული ხასიათისაა: ევროპელებმა სისხლის მოყვარულობა დაკარგეს. ამგვარად, ნატოს „თავდაცვითი ალიანსიდან ძალის პროექტირების ინსტრუმენტად" გარდაქმნის ძალისხმევა „ევროპული ▶



◀ მებრძოლი სულის აღორძინების" მორიგი მარცხისთვის განწირული მცდელობაა. ეს კი არ მოხდება.

სამხედრო ხარჯების თემაზე, ევროპის დატუქსვის ნაცვლად (განსაკუთრებით იმ უზარმაზარი ძალისხმევის შემდეგ, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ კონტინენტს დამოუკიდებლად მოქმედების სურვილი დაეკარგა), შეერთებულმა შტატებმა ევროპელებს უნდა მისცეს საშუალება, საკუთარ ქმედებებზე პასუხი თავად აგონ. ეს კი ევროპიდან ამერიკული არმიის გაყვანასა და ნატოს იქ დატოვებას ნიშნავს.

**კონტინენტური თავდაცვა ევროკავშირის პრიორიტეტი უნდა გახდეს, ხოლო ნატოს სახელწოდებიდან პირველი ორი ასო (North Atlantic — ჩრდილო-ატლანტიკური) უნდა გაქრეს (მიუხედავად იმისა, რომ ეს იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რა არჩევანს გააკეთებს კანადა), ხოლო თუკი წევრი-ქვეყნები გადაწყვეტენ, შეინარჩუნონ მათი ძვირადღირებული და საყოველთაო კეთილდღეობის გამაკოტრებელი სახელმწიფოები — დაე, ასეც იყოს.**

ორივე მხარე მაინც იქნება დაინტერესებული სამხედრო თანამშრომლობით — საკითხებით, რომლებიც მათ საერთო ინტერესებში შედის. ვაშინგტონს უბრალოდ ბალკანეთში არ აქვს არანაირი ინტერესი. იქ აშშ-სთვის არანაირი საფრთხე აღარ არსებობს, არ არის ომები, არ არის ამერიკის ჯარი. ევროპელების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ავღანეთის ომი ამერიკის ომია. შეერთებულმა შტატებმა მხარდაჭერა იმ ქვეყნებში უნდა ეძებოს, რომლებიც თავიანთ მონაწილეობას არა ალიანსის სოლიდარობის, არამედ გლობალური უსაფრთხოების საქმედ მიიჩნევენ.

**არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აშშ-მა საკუთარი სამხედრო ბიუჯეტი უნდა შეამციროს. სამხედრო ასიგნებების საერთო მოცულობა 700 მილიარდ დოლარზე მეტია. ეს მსოფლიოს მთლიანი სამხედრო ხარჯების თითქმის ნახევარია, მაგრამ ამერიკას დღეს ცხადი და სერიოზული საფრთხეები არ ემუქრება — თუ არ ჩავთლით რუსეთის მხრიდან ბირთვული თავდასხმის ძალიან ნაკლებად სავარაუდო საფრთხეს. შეერთებულ შტატებს არანაირი საფუძველი არ აქვს მისი შეზღუდული სახსრები ხარჯოს წარმატებული და მჭიდროდ დასახლებული მოკავშირე ქვეყნების დაცვაზე — პირველ რიგში, ევროპაში; ასევე, აზიაშიც.**

ცივი ომის ეპოქაში, ამერიკის ლიდერებს ეშინოდათ იმ შედეგების, რომლებიც შეიძლება მათი მოკავშირეების დაუდევრობისგან წარმოქმნილიყო. დღეს საკუთარი შეცდომების გამო თავად მოკავშირეები დაზარალდებიან და არა ამერიკა.

ევროპა გაკოტრდა. ის თავდაცვაზე ნაკლებ ფულს ხარჯავს. ამერიკაც გაკოტრდა, მაგრამ თავდაცვაზე ის უფრო მეტ ფულს ხარჯავს და, გარდა ამისა, ევროპასაც იცავს.

აფორიზმებით თუ ვისაუბრებთ, ცვლილებების დროა. თუკი ადმინისტრაცია ამ მოძრაობას სათავეში არ ჩაუდგება, მაშინ საქმეს ხელი კონგრესმა უნდა მოჰკიდოს და გამოიყენოს საბიუჯეტო ასიგნებების ბერკეტები.

**დაგ ბენდოუ**

National Interest online

# ბოსნიის გაკვეთილები

**იმის გასაგებად, თუ რის მიღწევა შეგვიძლია როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური გზებით ერაყსა და ავღანეთში, დასაწყისისთვის ყურადღება იმას უნდა მივაპყროთ, თუ რა გავაკეთეთ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ბოსნიასა და კოსოვოში. ეს შედარება კი განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს.**




აი, რას უნდა ჩავუფიქრდეთ. ბოსნიამ და ჰერცოგოვინამ (რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 4.6 მილიონი ადამიანია) ერთ სულ მოსახლეზე იმაზე მეტი საერთაშორისო დახმარება მიიღეს, ვიდრე ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ მარშლის გეგმის ფარგლებში. კოსოვოს მხარემ (2-მილიონიანი მოსახლეობით) ამ მაჩვენებელსაც გადააჭარბა. ერთ-ერთი შეფასებით, 2005 წელს კოსოვომ ერთ სულ მოსახლეზე 25-ჯერ მეტი დახმარება მიიღო, ვიდრე ავღანეთმა. 1996 წელს ომის შემდგომი პერიოდის ბოსნია და 1999 წელს ომის შემდგომი პერიოდის კოსოვო, სამხედრო თვალსაზრისით, სრულიად დაცულები იყვნენ, ამ ტერიტორიებზე შესაბამისად 60 და 30 ათასი უცხოელი სამხედროს ყოფნით. სამხედროების გარდა, მარტო ბოსნიაში 1996 წელს სხვადასხვა ქვეყნიდან 10 ათასზე მეტი სამოქალაქო მოსამსახურე გაიგზავნა. თუკი ამ რიცხვებს გავაშალაშინებთ ისე, როგორც ამას Rand Corporation-ის ჯეიმს დობინსი აკეთებს, გამოვა რომ ერაყში, კოსოვოს პროპორციულად დაახლოებით 526 ათასი უცხოელი სამხედრო მოსამსახურე უნდა იყოს.

**და რას მივაღწიეთ ამდენი რესურსისა და დროის ხარჯვით და ამხელა პერსონალის გაგზავნით ბალკანეთის ამ პატარა ქვეყნებში? რაც შეეხება პოლიტიკასა და კონსტიტუციას, ბოსნიაში ეთნკური ჯგუფები დღემდე დავობენ იგივე საკითხებზე, რაზეც 20 წლის წინათ კამათობდნენ – ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე.** ესენია: ერთმანეთში ძალაუფლების გაყოფის საკითხი, რა დოზით უნდა იქცეს ბოსნია უნიტარულ ან ფედერაციულ სახელმწიფოდ. ბოსნიელი სერბების უმრავლესობა კვლავ სერბეთთან გაერთიანების ან სრული დამოუკიდებლობის მომხრეა. ახლახან ჰერცოგოვინაში, ქალაქ სტოლაჩში, სამხედრო ცერემონიალის დროს ჰიმნს ასრულებდნენ, მაგრამ ეს მეზობელი ხორვატიის ჰიმნი იყო და არა ბოსნია-ჰერცოგოვინის.

**აპრილში სარაევოში დიდი სამხედრო პატივით დაკრძალეს გენერალი, რომელიც იუგოსლავიის საქმეზე საერთაშორისო ტრიბუნალმა ხორვატებისა და სერბების წინააღმდეგ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებებისთვის გაასამართლა, ხოლო ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხშირად არღვევს საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცედურებსა და წესებს, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციაშია გაწერილი.**

ამას ის ფაქტიც დაუმატეთ, რომ ბოსნიის საგარეო საქმეთა მინისტრი მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეა და გასაგები გახდება, თუ რა მცირეა პროგრესი, რომელსაც ბოშნიაკების, ხორვატებისა და სერბების დაახლოებასა და მათ ერთიან სახელმწიფოებრივ მომავალზე წარმოდგენის ჩამოყალიბებაში მივაღწიეთ.

ასეთ პრობლემებთან შეტაკებისას, ზოგიერთი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ ამ ქვეყანაში პოზიციები უნდა განიმტკიცოს, აღადგინოს რა, მაგალითად, უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი. არსებობს კიდევ ერთი იდეაც — ბალკანეთში აშშ-ის ან ევროკავშირის ახალი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა. **ამ წინადადებების უგუნურობის გასაგებად, წარმოიდგინეთ, რომ ბაღდადში პოლ ბრემერს აბრუნებენ, სადაც ის ხელახლა ხსნის ბაღდადის დროებით ადმინისტრაციას, მაგალითად, 2018 წელს, უფრო ზუსტად კი თხუთმეტ წელიწადში, მას შემდეგ, რაც გაისმა ფრაზა „ამოცანა შესრულებულია", ხოლო ბოლოდროინდელი აურზაური ავღანეთში იმაზე მიუთითებს, რომ დამატებითი ჩინოვნიკური პოსტების შექმნა ჩვეულებრივ მხოლოდ ართულებს შეთანხმებული და თანმიმდევრული პოლიტიკის გამომუშავებისკენ მიმართულ ძალისხმევას.**

ანალოგიურია კოსოვოში სახელმწიფოს მშენებლობის ისტორია. 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატომ და გაერომ კოსოვო საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს და ახლა, „მსოფლიო ბანკის" მონაცემებით, უმუშევრობის დონე იქ 47%-ს აღწევს და კოსოვო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. შარშან უფლებადამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch-ი იუწყებოდა, რომ 2008 წლის შემდეგ, როდესაც კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იქ ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, ხოლო უმცირესობების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია Minority Rights Group International-ი ამტიკცებს, რომ სიტუაცია ქვეყანაში პირიქით — უარესდება.

**ბოლო ორი წლის განმავლობაში კოსოვოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი შემცირდა, ხოლო საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი აცხადებს, რომ „ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია საყოველთაოდ გავრცელებულია და იზრდება კიდეც".**

კოსოვოს „გაყინული" კონფლიქტი კვლავ დაურეგულირებელია, მეზობელ მაკედონიაში კი ალბანელი პოლიტიკოსები ღიად მოუწოდებენ ქვეყნის ახალი ეთნო-ტერიტორიული ფედერალური მოწყობისკენ (ბალკანეთში, ჩვეულებრივ, ეს გამოყოფისკენ მიმართული პირველი ნაბიჯია). „გელაპის" ინსტიტუტში ბალკანეთის საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა ახლახანს კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ალბანეთისა და კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობას ორი სახელმწიფოს გაერთიანების იმედი აქვს. თუკი ასეთი პოლიტიკური მოლოდინები გაძლიერდება, შედეგად მივიღებთ იმას, რომ სამხრეთ ბალკანეთის სტაბილიზაციისკენ მიმართული მრავალწლიანი ძალისხმევა მარცხით დასრულდება.

**რას შეიძლება ნიშნავდეს ასეთი სიტუაცია ავღანეთსა და ერაყში ჩვენი ქმედებებისთვის? სამწუხაროდ, კარგს არაფერს. ათ წელზე მეტ ხანს ინტენსიური საერთაშორისო ძალისხმევის შემდეგ, ჩვენმა სამხედრო და პოლიტიკურმა ქმედებებმა ამ პატარა ბალკანურ ქვეყნებში ძალიან მოკრძალებული შედეგები მოგვცა.**

**სამხედრო თვალსაზრისით, კონფლიქტის შემდეგ ჩვენ შევძელით ამ მრავალნაციონალურ სახელმწიფოებში ცხოვრების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, თუმცა ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ის, რომ ბოსნია და კოსოვო პატარა ქვეყნებია, რომლებიც ევროპის ცენტრში მდებარეობენ და მათი მოსახლეობა დიდწილად პროამერიკული განწყობისაა. ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში ჩვენ ასეთი უპირატესობა, ცხადია, არ გაგვაჩნია.**

პოლიტიკური თვალსაზრისით, ბალკანეთში სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში წარმატებები ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. საქმე ისაა, რომ დღეს სულ უფრო რთულია იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ გაგვაჩნია აუცილებელი ინტელექტუალური, პოლიტიკური და ფინანსური რესურსები სხვა ქვეყნებში პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციისთვის დროის იმ ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ამერიკულ საარჩევნო ციკლსა და ვაშინგტონელი პოლიტიკოსების გაზრდილი ყურადღების პერიოდს მოიცავს. ეს კი კარგს არაფერს უქადის ავღანეთსა და ერაყში ჩვენს არანორმალურად რთულ სამხედრო და პოლიტიკურ ძალისხმევას.

**ერაყში ომის დაწყებაზე გადაწყვეტილება დიდწილად ეფუძნებოდა ვაშინგტონში საყოველთაოდ გაბატონებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აშშ-ის ძალისხმევა ბალკანეთში შედეგიანი იყო. 2002 წელს, ბევრი საპირისპირო მტკიცებულების მიუხედავად, სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ ჯეიმს რუბინმა განაცხადა, რომ „კოსოვო წარმატებად იქცა". ამას ყოფილი იუგოსლავიის საქმეზე საერთაშორისო ტრიბუნალის მთავარი პროკურორიც ადასტურებს, რომელმაც განაცხადა, რომ კოსოვოში ნატოს ჯარების ყოფნის პირობებში ეთნიკური დევნა ისეთივე სერიოზულია, როგორც სლობოდან მილოშევიჩის დროს ეთნიკური დევნა კოსოვოში.**

ერაყში შეჭრის წინ რუბინმა მოითხოვა სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებში მაღალი რანგის წარმომადგენლის პოსტის შექმნა („შესაბამისი ბიუჯეტით"). დაიღუპა ათასობით ავღანელი, ამერიკელი და ერაყელი (და დაიხარჯა ასობით მილიარდი დოლარი) და ახლა გამოჩნდა, რომ ენთუზიაზმი ავღანეთსა და ერაყში სახელმწიფოს მშენებლობის მიმართ მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ეს ენთუზიაზმი საერთოდ არ გაჩნდებოდა, ჩვენ რომ უფრო სერიოზული (და უფრო გულწრფელი) დამოკიდებულება გამოგვეჩინა ბალკანეთში მიმდინარე პროცესებისადმი.

**გორდონ ბარდოსი,**
**კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ჰარიმანის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე**

National Interest online

# კოსოვო: აფხაზეთი თავს გამართლებულად თვლის




**კოსოვოს მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე, „საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლება," — განაცხადა კარაკასში ვიზიტით მყოფმა ბატონმა ბაგაფშმა. ამის თაობაზე იუწყება რუსული საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი".**

**„ამ გადაწყვეტილებამ ასევე დაადასტურა, რომ რუსეთის პოზიცია, რომელმაც პირველმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, აბსოლუტურად გამართლებულია,"** — დასძინა ბაგაფშმა. მან იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საქართველოს ამ ორი დამოუკიდებელი ტერიტორიის სხვა ქვეყნების მიერ აღიარებას, განსაკუთრებით — ლათინური ამერიკის ქვეყნების, ნიკარაგუისა და ვენესუელის შემდეგ.

საერთაშორისო სასამართლომ აზრი გამოთქვა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციით არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლის ნორმა. სერბეთი არ სცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას და ამ ტერიტორიას საკუთარ სამხრეთ პროვინციად მიიჩნევს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მონარქიის შორენიზაცია



**მაშინ, როცა მთელი ქვეყანა გამოსავლის ძიებაში ჩაერთო და აბსოლუტურად ყველამ გააცნობიერა მშვიდი განვითარების აუცილებლობა, კათალიკოს-პატრიარქი უმნიშვნელოვანესი ინიციატივით გამოვიდა — ერს კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეაზე ეფიქრა. და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბომბიც გასკდა.**



მონარქიის აღდგენის მომხრეები საქართველოში ყოველთვის იყვნენ. სამწუხაროდ, დღემდე არ მოიძებნა ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა საკმაოდ მძიმე და სერიოზულ შრომას და ერს ნათლად აუხსნიდა, რატომ და რისთვისაა კარგი საქართველოს სინამდვილეში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა.

სნობ და კონფორმისტ ობივატელს ხომ ისედაც ეზარება ნებისმიერ სიახლესთან დაკავშირებით ტვინის განძრევა, ამას ისიც დაემატა, რომ **მონარქიის აღდგენის მთავარ მომხრედ „მონარქისტული“ პარტიის ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი ჩაითვალა, რაც ავტომატურად ნიშნავდა ამ იდეის დისკრედიტაციას. რისთვის იყო კარგი მონარქიის აღდგენა, უბრალო ადამიანებისთვის ისევ გაუგებარი რჩებოდა და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების დღიდან ამ იდეას აქტიურად და საჯაროდ არც არავინ დაბრუნებია.**

გამოხდა ხანი და ამ ინიციატივით უკვე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გამოვიდა. ოპოზიციურ პარტიათა უმეტესობამ ამ იდეას მხარი დაუჭირა, ხელისუფლებამ ტრადიციულად სირაქლემასავით თავი მიწაში ჩარგო, რიგითი ადამიანები კი ისევ ვერ ჩასწვდნენ ამ იდეის მნიშვნელობას. საზოგადოებაში, ხალხში ამ იდეამ დიდი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, მიუხედავად მისი ინიციატორის დიდი ავტორიტეტისა. აქაც ჩვენმა სიბნელემ და აზროვნების შეზღუდულობამ იჩინა თავი. ქვეცნობიერში რამდენიმე შენელებული მოქმედების ნაღმი ამუშავდა.

**რატომღაც ითვლება, რომ მონარქიის აღდგენა უნდა მომხდარიყო ავტომატურად, ანუ შეირჩეოდა კანდიდატურა და მაშინვე გამოცხადდებოდა მეფედ. ასევე, იმავე დროს თავადაზნაურობა, როგორც კლასი აღდგებოდა და მათ შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი პრივილეგიები და სტატუსი მიენიჭებოდა (მიწების თუ ადგილ-მამულების დაბრუნება და ა.შ.). „აუ, ახლა კიდევ ეგენი არჩინე!“ — იყო ბნელი მასის მთავარი კონტრარგუმენტი.**

არადა, ჯერ ერთი, უნდა შერჩეულიყო სამეფო გვარისა და წარმოშობის ორი ადამიანი და მხოლოდ მათი ქორწინების შედეგად დაბადებული ადამიანი, ისიც ეკლესიის მიერ აღზრდისა და სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, უნდა გამოცხადებულიყო მეფედ. გარდა ამისა, ძირითადად **მეფე იქნებოდა სიმბოლური ფიგურა, რომელიც მხოლოდ ქვეყნისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ჩაერთვებოდა საერო-პოლიტიკურ პროცესებში, იქნებოდა სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტი, ქვეყნის სახე საერთაშორისო არენაზე. არანაირი თავადაზნაურობის აღდგენა არ მოხდებოდა** და არც ლიზა ბაგრატიონს ექნებოდა ცხვირი იმაზე მეტად აწეული, ვიდრე დღეს აქვს.

**იმაზე დაფიქრებაც დაეზარა ყველას, რა სიამაყის გრძნობა გაგვიჩნდებოდა, როცა ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებზე (თუნდაც არაპოლიტიკურზე) მეფე წარადგენდა და არა ადამიანი, რომელიც ყოველ ნახევარ წუთში ერთხელ ცხვირზე თითს ისვამს.**

მე გამიჩნდა საოცარი სიამოვნების გრძნობა, როცა დავინახე, რომ ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებს ამასწინანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დროს ქვეყნის დედოფალი გულშემატკივრობდა და წარმომიდგენია, თავად ესპანელებისთვის ეს რა დონის სტიმული იყო. ჩვენ კი მუდმივად ყოყლოჩინობით ვართ დაკავებული, ესეთი მაგრები ვიყავით და სასახელო ისტორია გვაქვსო; მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ამ ისტორიიდან კარგის აღებას და დღევანდელობისთვის მისადაგებას ისევ ნეხვში ყოფნას ვამჯობინებთ.

უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთა გამოც ამ იდეამ, პრაქტიკულად, არ იმუშავა. პირველ ყოვლისა, საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანმიმართულ და საკმაოდ ჭკვიანურ მუშაობაზე, რასაც ამ სტრუქტურას ვერ დაუკარგავ. **ბუნებრივია, მონარქიის აღდგენა, უპირველესად, ხელისუფლების ინტერესებს ურტყამდა, ხელისუფლებისა, რომლისთვისაც აუტანელი და ძალზე საშიშია მასზე უფრო დიდი ავტორიტეტის არსებობა ქვეყანაში. ამიტომ გასაგებია, რომ ვანო მერაბიშვილი აქტიურად ამუშავდებოდა ამ ინიციატივის „ჩასაფარცხად“.** უწმინდესის ინიციატივისთვის „პრიმაკოვის პროექტის“ იარლიყის მიკერება, დავით ბაგრატიონისთვის შორენა ბეგაშვილის მიგზავნა კომპრომატად, შემდეგ ამ უკანასკნელის ტელევიზიით გამოჭენება და სკანდალის აგორება მხოლოდ დეტალები და ოპერაციის ნიუანსებია. მთავარი იდეის დისკრედიტაცია იყო, რაც ამ ეტაპზე მოხერხდა კიდეც.

**ვერც მონარქიის აღდგენის ინიციატორებმა და მომხრეებმა იმუშავეს სათანადო დონეზე. მხოლოდ ინიციატივის წამოყენება ნამდვილად არ იყო საკმარისი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ იდეას ამდენი და ასეთი მოწინააღმდეგე ჰყავს. არავინ აუხსნა ხალხს, რატომ და რისთვის არის მონარქიის აღდგენა კარგი და საჭირო, რომ საწინააღმდეგო არგუმენტები, ძირითადად, ხელისუფლების მიერ იყო შემოგდებული და გაბუქებული, ხოლო მეფის „შენახვა“ ქვეყნის ბიუჯეტს იმის მეასედი თუ დაუჯდებოდა, რაც დღეს საააკაშვილის ხელისუფლების ტაშ-ფანდური უჯდება...**

სიმართლისთვის თვალის გასწორება სჯობს და, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ არც მომავალი მეფის მშობლების კანდიდატურები შეირჩა სათანადოდ. ჩემთვის ძნელია ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი არასათანადო ინფორმირებულობის გამო, მაგრამ ყველასთვის აშკარაა, რომ **არც დავით ბაგრატიონი იყო მომავალი მეფის მამა და არც ანა გამოდგა დედა-დედოფლის თუნდაც სიმბოლური სტატუსისთვის შესაფერისი.** რა მოხდა, ძნელი სათქმელია. პატრიარქმა იჩქარა კანდიდატურების შერჩევისას, სხვა ნორმალური კანდიდატურები, უბრალოდ, არ არსებობდა თუ სხვა მიზეზებმა იჩინა თავი, **მთავარი ისაა, რომ კიდევ ერთი შანსი გავუშვით ხელიდან, თუნდაც 16 წლის შემდგომ მიგვეღო ქვეყანაში სიმშვიდის მნიშვნელოვანი გარანტი.**

ძნელია ასეთ მნიშვნელოვან თემაზე საუბარი, როცა „ზევით“ და დეტალებში არ ხარ ჩახედული. მე მხოლოდ ერთი საერო ადამიანის პოზიციიდან ვსაუბრობ, რომელიც წუხს, რომ **ამ ეტაპზე ეს იდეა ჩავარდა და ამას, ხელისუფლების ქმედებებთან ერთად, საზოგადოების სიბნელემ და კონფორმიზმმა შეუწყო ხელი.**

**არჩილ ჩხარტიშვილი**

# მედინ დროზე გამარჯვებული რაინდის წიგნი

**მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გურამ საღარაძემ მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ახალი წიგნი „მემკვიდრეობა“, რომელიც წინამორბედი ორი წიგნის შევსებული და გამდიდრებული გამოცემაა. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ვთავაზობთ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ლიტერატორის, პროფესორ გურამ ბენაშვილის ესეს, რომელიც გურამ საღარაძის ენციკლოპედიური ხასიათის შემოქმედებით ნაღვაწს ეძღვნება.**




უნიკალური ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას რომ ერთ დროს საყოველთაო დიდებით მოსილი ჭეშმარიტად ეროვნული სპორტი წარმოადგენს, ეს ცხადზე უცხადესია...

**ამიტომაც ბუნებრივი და აუცილებელია მისი, როგორც უძვირფასესი ეროვნული მემკვიდრეობის, ისტორიულ-ანალიტიკური აღქმა და წარმოჩენა, მისი წარუვალ საზოგადოებრივ ღირებულებად დამკვიდრება და ამ გზითაც პოპულარიზაცია ყოფიერების იმ ჯანსაღი წეს-ჩვეულებისა,ურომლისოდაც წარმოუდგენელია მცირერიცხოვანი ერის სულიერ აღორძინებაზე ოცნებაც კი... დროის გამოწვევებთან გამკლავება და გადარჩენა მხოლოდ ფიზიკური და სულიერი ჰარმონიზაციის გზით რომ მიიღწევა, არც ესაა საიდუმლოება...**

ვფიქრობ, ამ მაღალ მიზანს ემსახურება ჩვენი ერთ დროს დიდებული ფალავნის, აწ ბრწყინვალე მოქალაქისა და ინტელექტუალური პიროვნების — გურამ საღარაძის მშვენიერი წიგნი, ღრმად დამაფიქრებელი სახელწოდებით „მემკვიდრეობა“.

ფრიად სიმპტომურია, რომ სწორედ დიდმა მოჭიდავემ შეძლო მისთვის ესოდენ ორგანული სპორტის სახეობის ანალიტიკური აღქმა, მისი წარსულისა და აწმყოს გააზრება-შეფასება და ამ ყოველივეს იმგვარ ეპიკურ-რომანტიკულ „სამოსელში“ წარმოდგენა, რომელმაც შეუძლებელია არ აგაღელვოს და მთელი არსებით არ მიგაბრუნოს აქ გაცხადებული სინამდვილისკენ...

**ეს არის წიგნი-ილუსტრაცია, თუ რა ძლიერია ქართველში უძლეველობისა და რაინდობის იმპულსი... რა დიდია მასში ქვეყნისა და ერის სიყვარული... მისი ღირსების დაცვისა და პასუხისმგებლობის გრძნობა...**

თხრობის პუბლიცისტურმემუარული დისკურსი და ინტონაცია მშვენივრად ავლენს ავტორის პოეტური სულის ლირიკულ რხევებს, ჩვილი და რაღაც ბავშვური გულწრფელობის სურნელებას...

ვფიქრობ, თხრობის ამგვარმა ცნობიერმა თუ არაცნობიერმა „მელოდიებმაც“ აქცია ჩემთვის ეს წიგნი გრძნობამოჭარბებული აღქმის საგნად...

თურმე რა მემკვიდრეობა, ქართველ ფალავანთა „სკოლის“ რა დიდი წარსული, სახელოვან გამარჯვებათა რა კოლოსალური პანორამაა გადავიწყებული ჩვენ მიერ, პრაგმატულ ოცნებებზე „მონადირე“ საზოგადოების მიერ...

რწმუნდები, რომ ჩვენი ისტორიული მეხსიერების დაჩლუნგება, შესაძლოა, სწორედ ამგვარი ტიპის ლიტერატურის სიმცირითაც იყოს გამოწვეული...

**ეს წიგნი ერთგვარი ენციკლოპედიაცაა... წარსულის მოტრფიალე მკითხველი მასში შეხვდება გასული საუკუნის თბილისის კოლორიტულ პიროვნებათა სილუეტებს, მათ რომანტიკული ფერებით მოხატულ პორტრეტებს... იმ დაუვიწყარ სახეებს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა აწ უკვე წარსულ სიზმრებში ჩაკარგული თბილისის გახსენება...**

მხოლოდ მადლიერებისა და ჩუმი აღტაცების განცდით ვხურავ ამ წიგნს... თუმც იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კვლავ არაერთხელ მივუბრუნდები მას, რათა კვლავ და კვლავ ვაცოცხლო ჩემში ამ წიგნში სასოებით გამხელილი ადამიანური სათნოებანი... მივიწყებული, თუ სულაც ხელნაკრავი წარსულის რომანტიკული მშვენიერებანი...

წიგნით გურამ საღარაძემ „დაამარცხა“ ერთ დროს მისგან ძლეულ ლეგენდარულ ჰაბიბზე ბევრად უფრო სასტიკი და მზაკვარი მეტოქე — წარსულისადმი უმადურობით, გულგრილობითა და გადავიწყების ჟინით აღბეჭდილი დრო, ეს ყველაზე უფრო შეჩვეული ჭირი ადამიანთა ცოდვილი სულებისა...

ამიტომაც წარმომიდგენია იგი მედინ დროზე გამარჯვებულ რაინდადაც...

**გურამ ბენაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბაქოში ელჩობის კანდიდატი თანამდებობაზე დამტკიცების პროცედურის დროს მძიმე კითხვებს პასუხობს



**მეთიუ ბრაიზამ, აზერბაიჯანის ახალი ელჩის პოსტზე ობამას მიერ წარდგენილმა სადავო კანდიდატმა, კაპიტოლიუმის ბორცვზე 22 ივლისს თანამდებობაზე დამტკიცების პროცედურა გაიარა. ის თავს იცავდა იმ ბრალდებებისგან, რომელთა თანახმადაც, ის ბაქოს სასარგებლოდ მიკერძოებულია, და ამტკიცებდა, რომ კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის ობიექტური დამცველი იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო კრიტიკოსების დარწმუნება. ბრაიზა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ეკავა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის თანამდებობა და სამხრეთ კავკასიაში შეერთებული შტატების ყველაზე თვალსაჩინო დიპლომატი იყო, ბაქოში ვაშინგტონის ახალი ელჩის თანამდებობაზე მაისში წარადგინეს.**

ბაქო, უკვე ერთ წელზე მეტია, ამერიკის ელჩის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც აზერბაიჯანელი ოფიციალური პირები ამერიკის მხრიდან იგნორირებას უჩიოდნენ. ბოლო თვეებში სიტუაციის გამოსასწორებლად აზერბაიჯანს, თეთრი სახლის დავალებით, სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი ეწვივნენ.

აზერბაიჯანი მიესალმა თანამდებობაზე ბრაიზას წარდგენას და აზერბაიჯანულ-ამერიკულმა ჯგუფებმა ამ დანიშვნას მხარი დაუჭირეს, რამაც ბრაიზას თანამდებობაზე დამტკიცების შანსები განამტკიცა, მაგრამ სომხურ-ამერიკული ჯგუფები კატეგორიულად ოპონირებდნენ ამ დანიშვნის წინააღმდეგ და აცხადებდნენ, რომ ის აზერბაიჯანის სასარგებლოდ და სომხეთის წინააღმდეგაა განწყობილი. ბრაიზამ თანამდებობაზე დამტკიცების პროცედურაზე სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ბრალდებები მისი მიკერძოებული პოზიციის შესახებ უარყო.

„აშშ-ს ინტერესების გატარების პროცესში წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა ორივე მხარისადმი ობიექტური და სამართლიანი დამოკიდებულების შენარჩუნებაა. – განაცხადა მან, — კრიტიკა... ორივე მხრიდან ისმის, აზერბაიჯანიდანაც და სომხეთიდანაც, ასეთია დიპლომატიური საქმიანობის ფასი“.

**ბრაიზას უფრო მძიმე შეკითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა, ვიდრე ელჩობის კანდიდატთა უმეტესობას. კითხვებს, ძირითადად, ორი დემოკრატი სენატორი სვამდა — ბარბარა ბოქსერი კალიფორნიიდან და რობერტ მენენდეცი ნიუ-ჯერსიდან, დიდ სომხურ-ამერიკულ საარჩევნო ოლქს წარმოადგენენ. მენენდეცმა ბრაიზას სომხეთში აშშ-ის ყოფილი ელჩის — ჯონ ევანსის შესახებ დაუსვა კითხვა. ის იმის გამო დაითხოვეს, რომ სომხების გენოციდი აღიარა.**

ბრაიზამ უპასუხა, რომ მას ამ ეპიზოდში მონაწილეობა არ მიუღია. „ელჩ ევანსის გათავისუფლებაში მე არავითარი როლი არ მითამაშია. ჩემთან კონსულტაცია არ გაუვლიათ და ამ შემთხვევის შესახებ მხოლოდ პოსტფაქტუმ შევიტყვე;... როგორი რთულიც უნდა იყოს ამის დაჯერება, მე პროცესში მონაწილეობა არ მიმიღია“.

მან არ უპასუხა ბოქსერის შეკითხვას სომხეთის წინააღმდეგ მიმართული ბაქოს აგრესიული რიტორიკისა და იმის შესახებ „აქტიურად ამწვავებს თუ არა სიტუაციას“ ასეთი განცხადებები, მაგრამ მან აღიარა, რომ ამ ბოლო დროს საზავო შეთანხმების დარღვევის ინციდენტი, რომელსაც ოთხი სომეხი ჯარისკაცი და ერთი აზერბაიჯანელი ემსხვერპლა, აზერბაიჯანის მიერ იყო ინიცირებული. „კონტაქტის ხაზი აზერბაიჯანმა გადაკვეთა, სომხებმა უპასუხეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა და რაც (სახელმწიფო) მდივანმა კლინტონმა დაგმო“.

**„მთიანი ყარაბახის კონფლიქტი სამხედრო ძალით ვერ გადაწყდება,” — დასძინა მან. ბრაიზამ განაცხადა, რომ ყარაბაღისადმი აშშ-ის დახმარებას მხარს უჭერდა და უარყო, რომ უგულვებელყო 2005 წელს ჯულფაში, აზერბაიჯანში ძველებური სომხური სასაფლაოს განადგურების ფაქტი.**

როდესაც აზერბაიჯანში ორი ოპოზიციურად განწყობილი ბლოგერის დაპატიმრების შესახებ დაუსვეს კითხვა, ბრაიზამ უპასუხა, რომ, თუ მას თანამდებობაზე დაამტკიცებენ, პრესის თავისუფლება მისთვის „მთავარი პრიორიტეტი“ იქნება. მან განაცხადა, რომ აზერბაიჯანს დემოკრატიზაციის პროცესში „გრძელი გზა აქვს გასავლელი“, მაგრამ მას პოტენცია გააჩნია: „საბოლოოდ, თუ აზერბაიჯანი მოახერხებს დემოკრატიზაციის, კეთილდღეობისა და მისი კულტურის ელემენტების შეთავსებას, ის შეიძლება მსოფლიოში გარდამავალი ქვეყნებისთვის მაგალითად იქცეს“.

ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ბრაიზას ცოლს, ზეინო ბარანს, ვაშინგტონის ჰადსონის უნივერსიტეტის თურქული წარმოშობის ამერიკელ მეცნიერს, უკავშირდება. მოსმენაზე მან განაცხადა, რომ მისი ქორწინება არ ქმნის ინტერესთა კონფლიქტს და სახელმწიფო დეპარტამენტს მისი ფინანსების საფუძვლიანი კონტროლის შედეგად არ აღმოუჩენია არაფერი არაკორექტული. მან განაცხადა, რომ ბარანი მასზე, როგორც ელჩზე, გავლენას ვერ მოახდენს და მათი ერთობლივი პოზიციები სულების ნათესაობის შედეგია.

„ჩვენ ერთმანეთთან პირველ რიგში დაგვაკავშირა მისმა მახვილმა, ბრწყინვალე ჭკუამ, იმან, რომ ის იმავე საერთაშორისო ღირებულებებისადმია ერთგული, რომელთა ერთგული მეც ვარ, ესენია: მშვიდობა, კეთილდღეობა, დემოკრატიზაცია, ისლამისა და დემოკრატიის თავსებადობა. ჩვენ სამყაროს შესახებ ერთნაირი იდეები გვაქვს და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ 10 წლის წინათ მივიღეთ გადაწყვეტილება, გაგვემიჯნა ერთმანეთისგან ჩვენი პირადი და პროფესიული ცხოვრება,“ — განაცხადა მან და დასძინა, რომ, თუ თანამდებობაზე დაამტკიცებენ, ბარანი არ დააყენებს სახელმწიფო დეპარტამენტის ან ბაქოში აშშ-ის საელჩოს წინაშე ჰადსონის ინსტიტუტთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს და ამავე დროს ისიც ინსტიტუტთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს წინასწარი ნებართვის გარეშე არ განიხილავს.

**ბრაიზასა და ბარანის ქორწილს სტამბულში აზერბაიჯანის მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანი დაესწრო, რაც ოპონენტებმა ბაქოსთან მათი მყუდრო დამოკიდებულების მტკიცებულებად გამოიყენეს, მაგრამ ბრაიზამ განაცხადა, რომ წყვილმა ქორწილში სხვადასხვა რანგის სტუმრები მიიწვია და მან არ იცოდა, ვინ მიიღებდა მიწვევას.** „ჩვენ მოვიწვიეთ უამრავი ადამიანი, რომლებიც ჩვენი ნაცნობობის ათი წლის განმავლობაში, ჩვენს სამუშაოსთან იყვნენ დაკავშირებულნი. ჩემი მხრიდან იყვნენ სამთავრობო ჩინოვნიკები, სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციისა და რელიგიური ლიდერები, მათ შორის, მისი უწმინდესობა სტამბულის მსოფლიო პატრიარქი, სომხეთის პატრიარქი მეჩონი (ან განსვენებული) – დიახ აზერბაიჯანიდან, ასევე, სომხეთიდანაც, თურქეთიდანაც, კვიპროსიდანაც და სხვა ქვეყნებიდან, სადაც მიმუშავია.

**ბრაიზას თქმით, ბრალდებები იმის თაობაზე, რომ ქორწილი ერთმა აზერბაიჯანელმა მაღალჩინოსანმა დააფინანსა, „აბსოლუტური ტყუილია“ და ქორწილის საფასური მთლიანად ოჯახმა გადაიხადა.**

ბრაიზას იმაშიც სდებენ ბრალს, რომ, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისი წაქეზებით ირწმუნა ვაშინგტონის უპირობო მხარდაჭერა და ამ განცდამ შეუწყო ხელი 2008 წელს სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ სამხრეთ ოსეთზე შეტევის განხორციელებას, თუმცა სენატში ბრაიზასთვის ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი უკითხავთ.

ყველა სენატორი მტრულად განწყობილი არ ყოფილა. რიჩარდ ლუგარმა, რესპუბლიკელმა ინდიანადან, უჩვეულო ნაბიჯი გადადგა და ბრაიზა ოფიციალურად „წარუდგინა“ კომიტეტს.

„მეთიუ ბრაიზა ერთმნიშვნელოვნად კვალიფიციურია... აშშ-ის პრიორიტეტების გატარებაში. – განაცხადა მან, – მისი პირადი ძალისხმევა კავკასიის ქვეყნებში ურთიერთობათა გამოსწორებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყო“.

**ბრაიზას გამოსვლა მისი ოპონენტების დასამშვიდებლად დიდი ვერაფერი გამოდგა. ამერიკის სომხეთა ნაციონალურმა კომიტეტმა, რომელიც ამ კანდიდატურის ყველაზე თვალსაჩინო მოწინააღმდეგე იყო ვაშინგტონში, განაცხადა, რომ ამ მოსმენებმა „უფრო მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე პასუხი გასცა“.**

„ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის კონტექსტში, მისი პასუხები... წარუმატებელი იყო. განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი ცოლი, პროფესიულად უჭერს მხარს კასპიის ზღვის ენერგეტიკულ პოლიტიკას და მუშაობს ჰადსონის ინსტიტუტში, რომლის მხარდამჭერებს შორის არიან აზერბაიჯანელები, თურქები და ენერგეტიკული კორპორაციები. ამიტომ დაპირება, რომ ახლა ის შორს დაიჭერს თავს დეპარტამენტის იმ თანამშრომლებისგან, რომლებიც აზერბაიჯანთან მუშაობენ, ძალიან უმნიშვნელო და ძალიან დაგვიანებულია, გამომდინარე იქიდან, რომ მას ათი წლის განმავლობაში ეკავა მაღალი და სენსიტიური თანამდებობა და უშუალოდ ურთიერთობდა ბაქოსა და კასპიის ზღვის ენერგეტიკულ წარმოებასთან“.

**ჯოშუა კუცერა**

EURASIANET.org

# აშშ-ის ფარისევლობა კოსოვოში

**როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი კროული, ასევე, სამართლებრივ საკითხებში მისი მრჩეველი და ცნობილი იურისტი ჰაროლდ კოჰი დღეს დაუღალავად უმეორებდნენ უცხოელ ჟურნალისტებს, რომ კოსოვოს საკითხზე ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი სპეციფიკური ხასიათისაა და არ შეიძლება მისი მექანიკურად გამოყენება სხვა შემთხვევების მიმართ, მაინც რთულია იმის ახსნა, ასეთი რა განასხვავებს კოსოვოს, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციებისგან.**

როდესაც ტრიბუნალში სახელმწიფოს ერთიანობას იმგვარად განმარტავენ, როგორადაც ის გაეროს წესდებაშია განსაზღვრული, გულისხმობენ სხვა სახელმწიფოების მხრიდან შესაძლო თავდასხმას და არა შიდა პროცესებს, რომლებიც დამოუკიდებლობის მიღწევისკენაა მიმართული. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი განმარტება მხოლოდ კოსოვოს შეიძლება ესადაგებოდეს?

**დაე, მაპატიოს ზეგამოცდილმა ჰაროლდ კოჰმა, მაგრამ იურისპრუდენციის თვალსაზრისით, მისი პოზიცია ძალიან სადავოა. როდის შემდეგ ხდება ის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუციის განმარტება კონკრეტულ შემთხვევებს ესადაგება? ეს იგივეა, რომ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადოს, რომ კონსტიტუციის მეორე ჩასწორება იარაღის ტარების უფლების გარანტიას ქმნის. ამის შემდეგ კი ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ჩვენი დარწმუნება დაიწყოს იმაში, რომ მსგავსი განმარტება ერთი კონკრეტული შემთხვევით უნდა შემოიფარგლოს, რადგან შესაძლებელია სხვა სასამართლო გამოძიების პროცესში ის აბსოლუტურად სხვაგვარად განიმარტოს; მაგალითად, როგორც სახელმწიფოს უფლება, ჰყავდეს სახალხო რაზმი.**

თუკი კროულისა და კოჰის პროპაგანდისტული ქარაგმებით საუბრისგან აბსტრაგირებას მოვახდენთ, სიმართლე ისაა, რომ აშშ-ის პოზიცია კოსოვოსთან მიმართებაში გამორჩეულად გეოპოლიტიკური და არასამართლებრივი შეხედულებებითაა ნაკარნახევი, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოს საკითხის სამართლებრივ მხარეში არწმუნებენ. იქ, სადაც ეს ვაშინგტონს აწყობს, ის სახელმწიფოებისგან რესპუბლიკების გამოყოფას აღიარებს.

და პირიქით, იმ შემთხვევაში, როდესაც შეძენილმა დამოუკიდებლობამ შეიძლება მოწინააღმდეგე ქვეყნის პოზიციები განამტკიცოს, როგორც ეს, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაშია, რომლებზეც რუსეთმა პატრონაჟი აიღო, აქ თეთრი სახლი და მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა გაშმაგებულ წინააღმდეგობას სწევს. გასაგებია, რომ ფარისევლობით მხოლოდ აშშ არ სცოდავს, არამედ — მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა, რომელთა პოლიტიკაც, პირველ რიგში, ნაციონალურ ინტერესებს ექვემდებარება და არა — საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

როგორც არ უნდა გამოხატავდნენ ერთნი საკუთარ აღშფოთებას ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო და როგორი აღფრთოვანებულებიც არ უნდა იყვნენ მეორენი, სიმართლე ისაა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბევრი არაფერი შეიცვლება. სასამართლო აბსოლუტურად მართალია, როდესაც მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობის დეკლარირება პოლიტიკური აქტია, ამიტომ კანონიერებას ვერ დაარღვევს.

ასეთი არგუმენტის მოყვანით სასამართლო არსებული რეალიების აღიარებით იფარგლება, იმ დროს, როდესაც დამოუკიდებლობის მიღების პროცესები იმარჯვებს ან მარცხდება ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობის ყველაზე გავლენიანი წევრების ინტერესებიდან და არა სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ ჰყავს ლიტვას თავისი წარმომადგენელი გაეროში და მას ყველა სუვერენულ სახელმწიფოდ სცნობს, ხოლო ტაივანს მხოლოდ ორი ათეული უმნიშვნელო სახელმწიფო აღიარებს.

**რიკარდ გონსალესი**

ELMUNDO.es

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## მთავარია, არ გავარდეს



**რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ვლადიმირ პოლოვკინის განცხადებით, საბრძოლო მორიგეობას შეუდგა პირველი დივიზიონი, რომელიც შეიარაღებულია ახალი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებით — „РС-24 Ярс“-ით.** ახალი რაკეტები ჩაანაცვლებს „РС-18-სა და „РС-20-ს. „Ярс“-ი „РС-12М2 Тополь-М-თან ერთად რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ძალების არსენალში მთავარ ადგილს დაიკავებს. რაკეტის ზუსტი მახასიათებლები გასაიდუმლოებულია, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალი რაკეტის ფრენის სიშორე 12 ათას კილომეტრამდეა; მას შეუძლია მიზნამდე ინდივიდუალური დამიზნების 6-დან 10-მდე საბრძოლო ბლოკის მიტანა, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 150-იდან 300 მეგატონამდეა.

## ამერიკულ არმიაში თვითმკვლელობების ეპიდემიაა



**გასულ თვეში აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში თვითმკვლელობების უპრეცედენტოდ მაღალი რიცხვი დაფიქსირდა.** პენტაგონის ოფიციალური რელიზის თანახმად, ივნისში თავი 32 სამხედრო მოსამსახურემ მოიკლა, ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია ვიეტნამის ომის შემდგომ პერიოდში. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, თვითმკვლელობების რაოდენობამ 12%-ით იმატა.

## გერმანელებმა ნავსი გატეხეს



**ბუნდესვერმა პირველად თავის ისტორიაში ბრძოლაში თვითმავალი საარტილერიო დანადგარები გამოიყენა.** მას შემდეგ, რაც თალიბებმა გერმანელ სამხედროებს მათი ბაზისგან 12 კილომეტრში ჩასაფრება მოუწყვეს და რამდენიმე მათგანი დაჭრეს, საქმეში ორი „PzH 2000“ ჩაერთო. ეს დანადგარები ავღანეთში მაისში გადაისროლეს, თალიბებთან ერთ-ერთ ბრძოლაში 3 გერმანელი სამხედროს დაღუპვის შემდეგ. „PzH 2000“-ების (სროლის სიშორე 40 კმ.) დისლოკაციის ადგილი ყუნდუზში მდებარე ბუნდესვერის ბაზაა, მთავარი ამოცანა კი მიმდებარე რაიონში მოქმედი გერმანული ქვედანაყოფების მხარდაჭერაა.

## „Anka“ თურქულად ფენიქსს ნიშნავს



**კომპანიამ „Turkish Aerospace Industries (TAI)“ პირველი თურქული უპილოტო საფრენი აპარატი „Anka“ წარმოადგინა.** პროექტის ღირებულება, რომელზეც მუშაობა 2004 წელს დაიწყო, 107 მილიონ დოლარს შეადგენს. კონსტრუქტორთა თქმით „Anka“ -ს შეუძლია პატრულირება 9000 მეტრამდე სიმაღლეზე 24 საათის განმავლობაში და 1,6 ტონამდე ტვირთის გადატანა; აპარატის სიგრძე 8 მეტრია, ფრთების გაქანი — 17,3 მეტრი, სიჩქარე — 220 კმ/სთ. იგეგმება ორი მოდიფიკაციის შექმნა, ერთი სადაზვერვო დანიშნულების იქნება, მეორე რაკეტებითა და ბომბებით აღიჭურვება. თურქეთის არმია „Anka“ -ს, სავარაუდოდ, 2012-ში მიიღებს.

## რომ გაფუჭდეს, სად მიდიან?

**ამერიკელმა სამხედროებმა ექვსბორბლიანი ავტონომიური რობოტის გამოცდა დაიწყეს, რომელიც პატრულირების დროს ტყვია-წამალს, სურსათსა და სხვადასხვა აღჭურვილობას გადაიტანს.** „Marine Corps Times“-ის ცნობით, რობოტ „GUSS“-ის პროგრამირება იმგვარად იქნება შესაძლებელი, რომ რაზმს მუდამ უკან სდიოს; მას 227 კილოგრამამდე ტვირთის გადატანა ძალუძს. ამასთანავე, მისი მართვა შესაძლებელი იქნება ისევე, როგორც ჩვეულებრივი ავტომობილის. „GUSS“-ის შეიარაღებაში იქნება 7,62 მმ. ტყვიამფრქვევი „M240G“ დისტანციური მართვით. რობოტის კავშირგაბმულობის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა ქვედანაყოფებს შორის 320 კილომეტრის რადიუსში და კავშირი იმ რაზმის წევრებს შორის, რომელსაც ის ემსახურება.

# რატომ დამარცხდნენ ამერიკელები სომალიში?

**ალბათ, ძნელია, იპოვო სამხედრო საქმით დაინტერესებული ადამიანი, რომელიც ფილმმა „Black Hawk Down“-მა გულგრილი დატოვა. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა კინემატოგრაფის ისტორიაში, როდესაც ფილმი რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულია. მას, ვინაც ფილმის ნახვის შემდეგ იმ ბრძოლის დეტალებს ჩაუღრმავდება, რომელიც 1993 წლის 3-4 ოქტომბერს სომალის დედაქალაქ მოგადიშოს ცენტრში მოხდა, შეუძლია გაეცნოს მწერალ მარკ ბოუდენის ამავე სახელწოდების წიგნს, პილოტ მაიკ დიურანტის (მაშინ ტყვედ ჩავარდა) მოგონებებს „In the Company of Heroes“, ბრძოლის კიდევ ერთი მონაწილის, სერჟანტ მეტ ევერსმანის წიგნს „The Battle of Mogadishu“, უამრავ წერილს და კვლევას, რომელიც ამ ბრძოლას მიეძღვნა. კომპიუტერული თამაშიც კი არსებობს: „Delta Force: Black Hawk Down“.**





მოჰამედ ფარახ აიდიდი

თუმცა ბრძოლის ტაქტიკურმა დეტალებმა, ცხადია, არ უნდა გადაფაროს მთავარი, ზოგადი მიზეზები, რომლებმაც ამერიკული მხარე სტრატეგიულ მარცხამდე მიიყვანა.

**პირველი და, ალბათ, მთავარი მიზეზი** მოწინააღმდეგის არასათანადო შეფასება, მის მიმართ აგდებული დამოკიდებულებაა. არადა, სომალელთა სარდალ მოჰამედ ფარახ აიდიდს არცთუ ურიგო სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული: ჯერ იტალიაში სწავლობდა, შემდეგ — მოსკოვში; 1977-78 წლებში აიდიდი სომალი-ეთიოპიის ომში მონაწილეობდა. მის რაზმებში იბრძოდნენ უცხოელი დაქირავებული მებრძოლები, ძირითადად, ავღანეთის ომის ვეტერანები, ხოლო მისი სომალელი მებრძოლების უმრავლესობამ სამოქალაქო ომის საკმაო გამოცდილება დააგროვა.

**საინტერესოა, რომ ბრძოლაში მონაწილე ამერიკელების უმრავლესობა ახალბედა გახლდათ. მათი საშუალო ასაკი 19 წელი იყო. ვინაიდან მეთაურები თვლიდნენ, რომ ოპერაცია ხანმოკლე იქნებოდა, ჯარისკაცების უმრავლესობამ აღჭურვილობის ნაწილი (ღამის ხედვის ხელსაწყოები, დამატებითი ფირფიტები ჯავშანჟილეტებისთვის, წყლის მარაგი და ა.შ.) ბაზაზე დატოვა.**

წარუმატებლობის **მეორე მიზეზი**: სააზროვნო შაბლონები, რომლებიც დაცდილ ტაქტიკურ სქემებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას ნაკლებად იძლეოდა. 3 ოქტომბრამდე, მსგავსი ტიპის ოპერაციები 6-ჯერ ჩატარდა, რამაც აიდიდს შესაძლებლობა მისცა, კარგად შეესწავლა, თუ როგორ მოქმედებს მოწინააღმდეგე. ამასთან, მან შექმნა სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციას ამერიკელთა გადაადგილებების შესახებ, პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ იღებდა. მოგებული დრო შესაძლებლობას აძლევდა, საჭირო მიმართულებით ძალების კონცენტრაცია მოეხდინა. 3-4 ოქტომბრის ბრძოლის შემდეგ ამერიკელები აღნიშნავდნენ, რომ სომალელთა ჭარბი ძალები მათ სიახლოვეს „უფრო მალე აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვეულებრივად ხდებოდა“.

**მესამე მიზეზი:** სომალიში გაეროს კონტინგენტის მიერ დაგროვილი გამოცდილების არგათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ აიდიდის მებრძოლებმა რამდენიმე წარმატებული ჩასაფრება მოუწყვეს პაკისტანელ მშვიდობისმყოფელებს (5 ივნისს 24 პაკისტანელი მოკლეს; მათ შორის 2 — ტყვედ აყვანის შემდეგ), და, ამასთანავე, სომალელებს ამ მომენტისათვის უკვე ჩამოგდებული ჰქონდათ გაეროს ვერტმფრენი „პაგ-7”-ის მეშვეობით, დამატებითი ზომების მიღება ამასთან დაკავშირებით საჭიროდ არავინ ჩათვალა. ამერიკელმა სარდალმა, გენერალ-მაიორმა უილიამ ჰარისონმა 3 ოქტომბრის ოპერაციისთვის ჯავშანტექნიკისა და ავიაციის გამოყენებაზე ნებართვა ვერ მიიღო.

გაეროს სამშვიდობო კონტინგენტში შემავალი ამერიკელი სამხედროების 3 ოქტომბრის ოპერაცია, რომელმაც ესოდენ საბედისწერო განვითარება ჰპოვა, შემდეგნაირად უნდა განვითარებულიყო: უნდა მომხდარიყო სპეცრაზმ ..დელტას“ 40 მებრძოლის დესანტირება სასტუმრო „ოლიმპიკის“ სიახლოვეს და იმ შენობის აღება, რომელშიც (დაზვერვის ინფორმაციის თანახმად) აიდიდის მაღალჩინოსანი თანამებრძოლები იმყოფებოდნენ და მისი ტყვედ აყვანა. „დელტას“ მებრძოლებს ამოცანის შესრულებაში უნდა დახმარებოდნენ სნაიპერები, რომლებიც ვერტმფრენების ბორტზე რჩებოდნენ.

ამავე დროს, უნდა მომხდარიყო 4 რაზმის (75 რეინჯერი) გადმოსხმა იმ უბნის პერიმეტრზე, სადაც სასტუმრო მდებარეობდა; მათ ოპერაციის ჩატარების ადგილის იზოლაცია უნდა მოეხდინათ. ოპერაციის დასრულებისთვის ისინი სასტუმროსკენ გადაადგილდებოდნენ, საიდანაც უნდა მომხდარიყო მათი — „დელტას“ მებრძოლებისა და ტყვეების ევაკუაცია. ამ დროისთვის, 9 „Humvee“-სა და 3 სატვირთო მანქანისაგან შემდგარ კოლონას, რომელიც ბაზიდან ოპერაციის დაწყებისთანავე გადიოდა, „ოლიმპიკამდე“ უნდა ჩაეღწია და ევაკუაცია უზრუნველეყო. ვერტმფრენები: 2 „UH-60 (Black Hawk)“-ს უნდა გადმოესხა „დელტას“ მებრძოლები სასტუმროსთან, შემდეგ სნაიპერთა ჯგუფებისა და ტყვიამფრქვევების მეშვეობით მათი მხარდაჭერა მოეხდინა. კიდევ 4 „UH-60“-ს უნდა გადმოესხა რეინჯერები გარე პერიმეტრზე და ოპერატიულ რეზერვში დარჩენილიყო. მოიერიშე ჯგუფში 4 უმართავი რაკეტითა და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული „AH-6“ შედიოდა. ერთი „UH-60“ სამაშველო ჯგუფისთვის გამოყვეს, ერთიც გამოიყენებოდა როგორც საშტაბო ვერტმფრენი, „დელტასა“ და რეინჯერების მეთაურები მასში იმყოფებოდნენ. ავიადაზვერვას უზრუნველყოფდა 3 „OH-58” და თვითმფრინავი „P-3 Orion“-ი. ქაღალდზე ყველაფერი ეს, ალბათ, შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

**აქ აუცილებლად წარუმატებლობის კიდევ ორი მიზეზი უნდა აღვნიშნოთ: ოპერაციაში ერთი სამაშველო ჯგუფის გამოყენება აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა. როდესაც ის ერთ-ერთი „UH-60“-ის ჩამოვარდნის ადგილას გადმოსხდა, მისგან მოშორებით კიდევ ერთი ჩამოაგდეს, თუმცა მისი მგზავრების დასახმარებლად რეზერვი უკვე აღარ არსებობდა.**

მეტიც, მაშველების „UH-60“-ს სომალელებმა ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. ის სერიოზულად დაზიანდა და იძულებული გახდა, ბაზაზე დაბრუნებულიყო. მიწაზე დარჩენილი სამაშველო ჯგუფის 15 წევრი (ძირითადად მედიკოსები) ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოება: ინფორმაციათა გაცვლა ბრძოლაში ჩართულ რაზმებს შორის სირთულეებს აწყდებოდა, რადგან ოპერაციის მართვის სტრუქტურა მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა; ინფორმაციის გაცვლა დანაყოფებს შორის მინიმუმ ორი დამატებითი რგოლის ჩართვას მოითხოვდა. იყო ორმაგი დაქვემდებარების პრობლემაც: რაზმები ექვემდებარებოდნენ როგორც უშუალო მეთაურებს, ისე დაჯგუფების გაერთიანებულ შტაბს, რაც ერთობ ქაოტურ ვითარებას ქმნიდა.



**მივყვეთ მოვლენათა განვითარებას: 3 ოქტომბერი, 15.30: დაზვერვის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გენერალ-მაიორი ჰარისონი ოპერაციის დაწყების ბრძანებას გასცემს.**

**15.33: კოლონა, რომელმაც ოპერაციის მონაწილეთა ევაკუირება უნდა მოახდინოს, ბაზას ტოვებს.**

15.40: იწყება „დელტას“ დესანტირება და შენობის შტურმი, რომელიც მალევე წარმატებით სრულდება; აიდიდის ორივე „მინისტრი“ ამერიკელებს ტყვედ აჰყავთ. დაახლოებით იმავე დროს ხდება რეინჯერების ჯგუფის გადმოსხმა გარე პერიმეტრზე და პირველი პრობლემები სწორედ აქ იწყება. მათ მოულოდნელად ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს (უბანი, სადაც ოპერაცია ტარდებოდა, აიდიდის მებრძოლების ერთ-ერთ მთავარ „ბუდედ“ ითვლებოდა); რეინჯერების ჯგუფებმა მობილურობა დაკარგეს. თანაც მოწინააღმდეგეები ბრბოში ირეოდნენ და ბრბო ყოველ წუთს იზრდებოდა, ბევრი მათგანი იარაღს მალავდა და ცეცხლს მხოლოდ ახლო მანძილიდან ხსნიდა. ვერტმფრენის ბორტზე მყოფმა ერთ-ერთმა რეინჯერმა ტოდ ბლეკბერნმა წონასწორობა დაკარგა, თოკს ხელი გაუშვა და ვერტმფრენიდან გადმოვარდა; საჭირო გახდა მისი სასწრაფო ევაკუირება.

კოლონა სასტუმროსთან დანიშნულ დროს მივიდა. ბლეკბერნის ევაკუაციისთვის მოხდა სამი „Humvee“-ს გამოყოფა; ამ საევაკუაციო კოლონის წევრებმა ბაზაზე დაბრუნების დროს შეამჩნიეს, რომ ქუჩებში ბარიკადები გაჩნდა, რომლებიც მარშრუტის შეცვლას აიძულებდნენ, რადგან „Humvee“-ს, ჯავშანტექნიკისგან განსხვავებით, ტარანზე წასვლა და ბარიკადის გარღვევა არ შეუძლია. სხვათაშორის, ამ ბრძოლამ ნათლად აჩვენა, რომ „Humvee“-ს ჯავშანი ავტომატის ჯერსაც ვერ აკავებს, ხოლო მეტყვიამფრქვევე, პრაქტიკულად, დაუცველია („ბლეკბერნის კოლონამ“ ერთი მეტყვიამფქვევე დაკარგა). ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ამ დროს, სასტუმროსთან მყოფი ჯარისკაცები ბაზაზე დაბრუნებისთვის ემზადებოდნენ; ცეცხლი ძლიერდებოდა. სომალელებმა „პაგ-ს მეშვეობით მწყობრიდან ერთი „Humvee“ და ერთი სატვირთო მანქანა გაიყვანეს. შემდეგ ჩამოაგდეს „UH-60“, რომელშიც ორი პილოტი, ორი მეტყვიამფრქვევე და „დელტას“ ორი სნაიპერი იმყოფებოდა. ამ მომენტიდან ოპერაციის პირვანდელი გეგმა წარსულს ჩაბარდა და დაიწყო იმპროვიზაცია. სასტუმროსთან მყოფი მებრძოლების ნაწილი ჩამოგდებულ ვერტმფრენთან გაგზავნეს. როგორც აღმოჩნდა, დროულად, რადგან იქ მყოფი მაშველები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკულად, ალყაში მოექცნენ. ამ დროს ჩამოაგდეს მეორე „Black Hawk“-ი. მისი ეკიპაჟის დასახმარებლად სასტუმროსთან დარჩენილი მანქანები დაძრეს.

იმისთვის, რომ სომალელთა ცეცხლის ეფექტურობა შეემცირებინა, კოლონა ძალიან დიდი სიჩქარით მოძრაობდა. მძღოლები გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობას მოკლებულნი იყვნენ და მარშრუტს მხოლოდ მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მაკნაიტის ბრძანებით ცვლიდნენ. ხოლო ვიდრე ის გაერკვეოდა ქუჩების აბლაბუდაში, რომელთა ნაწილი ბარიკადებით გადაღობეს, მაღალ სიჩქარეზე მიმავალი კოლონა უკვე სცდებოდა საჭირო შესახვევს, გაჩერება, მოტრიალება და უკან დაბრუნება კი, ძლიერი ცეცხლის გამო, წარმოუდგენელი იყო. ეს ყოველივე დასრულდა იმით, რომ მათ ვერტმფრენის დაცემის ადგილამდე ვერ მიაღწიეს და ისევ სასტუმროსთან დაბრუნდნენ. ამ სისხლიანი რალის დროს 4 ამერიკელი მოკლეს, მანქანებში მყოფთა ნახევარზე მეტი დაიჭრა; მიიღეს ბაზაზე დაბრუნების გადაწყვეტილება.

ამავე დროს, მეორე „დაკარგული“ ვერტმფრენის სიახლოვეს ტრიალებდა „დელტას“ ვერტმფრენი ორი სნაიპერით. მათ სამჯერ სთხოვეს სარდლობას გადმოსხმის უფლება და თანხმობა მხოლოდ მესამე ჯერზე მიიღეს. სნაიპერებმა აღმოაჩინეს ორი დაჭრილი პილოტი და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სომალელებს ვერტმფრენთან მიახლოების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ცოცხალი ამ ოთხიდან მხოლოდ პილოტი მაიკ დიურანტი დარჩა, რომელიც სომალელებმა ტყვედ აიყვანეს. ვერტმფრენი, რომელმაც სნაიპერები გადმოსხა, აგრეთვე, „РПГ“-ს მეშვეობით დააზიანეს. მან ძლივს გააღწია ბრძოლის ზონიდან და ავარიული დაშვება მოახდინა.

**17.45: მეორე ვერტმფრენის დაცემის ადგილთან სარდლობამ გააგზავნა 22 „Humvee“-სგან შემდგარი, სასწრაფო წესით შეკოწიწებული კოლონა. სომალელებმა მისი ბლოკირება მოახერხეს და მან დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია.**

**18.21-ზე ჰარისონმა მას დაბრუნება უბრძანა, თუმცა ის იმდენად მძიმე ბრძოლაში აღმოჩნდა ჩაბმული, რომ ბრძანების შესრულება მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოახერხა.**

ამასობაში დაბნელდა, ქალაქის შუაგულში, ალყაში დარჩა 99 ამერიკელი, მათ შორის მძიმედ დაჭრილი კაპრალი ჯეიმ სმიტი. მისი ევაკუაციისთვის გაგზავნილმა ვერტმფრენმა დაზიანებები მიიღო და მისია ვერ შეასრულა. სმიტი მალევე გარდაიცვალა. ამერიკელები პირველი ვერტმფრენის დაცემის ადგილის სიახლოვეს გამაგრდნენ.

აქ ჩვენ ამ ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ბურუსით მოცულ ფურცელს ვუახლოვდებით. ამ მომენტში სომალელებმა არ გამოიყენეს ნაღმტყორცნები რადგან, მათი თქმით, „იმ ადგილებში, სადაც ამერიკელები გამაგრდნენ, მშვიდობიანი მოსახლეობაც იმყოფებოდა“. წარმოუდგენელია, რომელიმე სამოქალაქო პირი იმ ვითარებაში იმ ადგილიდან არ გაქცეულიყო. ნუთუ მშვიდობიან მოსახლეობას ფარად იმ დღეს არა მხოლოდ სომალელები იყენებდნენ? თუ აიდიდმა ჩათვალა, რომ ასიოდე ამერიკელის ამოხოცვა (ამისთვის, ერთი შეხედვით, საკმარისი დრო და საშუალება ჰქონდა), მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგების თვალსაზრისით, მეტისმეტი იქნებოდა?

**საერთოდ, მსხვერპლის რაოდენობის დადგენა სომალელთა შორის რთულია; ის ძალიან ზოგადი ციფრით „200-დან 2000-მდე მებრძოლი და მშვიდობიანი მოსახლე“ განისაზღვრება (ასევე, ბუნდოვანია აიდიდის მებრძოლთა რაოდენობა, სხვადასხვა შეფასებებში ის 2000-იდან 4000-მდე მერყეობს). აღსანიშნავია, რომ ღამის განმავლობაში ოთხმა „AH-6“-მა 24 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, რომელთა დროს 80 ათასამდე ტყვია და 100-მდე უმართავი რაკეტა დაიხარჯა. ასეთ ვითარებაში მჭიდროდ დასახლებულ უბანში მშვიდობიან მოსახლეობაში ჭარბი დანაკარგის თავიდან აცილება, ცხადია, შეუძლებელია.**

21.00: ამერიკული სარდლობა იძულებული გახდა, დახმარება გაეროს მშვიდობისმყოფელებისთვის ეთხოვა.

23.10: ამერიკული მე-10 სამთო დივიზიის ქვეითები პაკისტანელთა ტანკების და მალაიზიელთა ჯავშანტრანსპორტიორების მხარდაჭერით ორი მიმართულებით დაიძრნენ. ერთი ჯგუფი გაემართა იმ ვერტმფრენის ჩამოვარდნის ადგილისკენ, რომლის მოძებნა მაკნაიტის კოლონამ ვერ მოახერხა. დაახლოებით ღამის ორ საათზე მათ დანიშნულების ადგილამდე ჩააღწიეს, ვერავინ იპოვეს და ბაზაზე დაბრუნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ, გეგმის თანახმად, ისევ ძირითად ძალებს უნდა შეერთებოდნენ. მეორე ჯგუფმა ბრძოლით ჩააღწია იმ ადგილამდე, სადაც 100-მდე ამერიკელი სამხედრო იმყოფებოდა. ევაკუაცია დილის ექვსის ნახევარზე დაიწყო. მანქანებში ყველა ჯარისკაცისთვის საკმარისი ადგილი არ აღმოჩნდა. მათი ნაწილი იძულებული გახდა, ფეხით გადაადგილებულიყო. თუმცა მძღოლებმა იმის ნაცვლად, რომ ნელა ემოძრავათ, სიჩქარე აკრიფეს და ეს ქვეითები, მარტონი, სრულიად დაუცველები დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი პრაქტიკულად ცოცხალ სამიზნეს წარმოადგენდა, სომალელებს მათი განადგურებისათვის თავი არ გამოუდვიათ. სულ 3-4 ოქტომბერს მოგადიშოში დაიღუპა 18 ამერიკელი და 1 მალაიზიელი ჯარისკაცი; დაიჭრა 84 ამერიკელი, 7 მალაიზიელი და ორი პაკისტანელი.

დაიწყო ბრძოლის დასკვნითი, საინფორმაციო ეტაპი; მალევე „CNN“-ზე აჩვენეს მოგადიშოში გადაღებული ფირი, რომელზეც ჩანდა, თუ როგორ დაათრევს ქუჩა-ქუჩა ბრბო „დელტას“ ერთ-ერთი მებრძოლის დაგლეჯილ გვამს; ასეთი შოკისმომგვრელი კადრები ამერიკულ საზოგადოებას ვიეტნამის შემდეგ არ უნახავს. პრეზიდენტ კლინტონის ბრძანებით, ყველა სამხედრო ოპერაცია აიდიდის წინააღმდეგ (თავდაცვითის გარდა) შეწყდა. 1994 წლის მარტში სომალი უკანასკნელმა ამერიკელმა სამხედრომ დატოვა.

# აბრაამ მარკუს კლინბერგი — იდეისთვის მებრძოლი ჯაშუში

**ისრაელის სპეცსამსახურებმა გამოამზეურეს 80-იანი წლების ყველაზე ხმაურიანი ჯაშუშური სკანდალის დეტალები, რომლებიც წამყვან ებრაელ მეცნიერს, საიდუმლო ბიოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს — მარკუს კლინბერგს უკავშირდება. იგი 20 წელზე მეტხანს საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობდა და მოსკოვს ებრაული სახელმწიფოს ბიოლოგიური და ქიმიური პროგრამების შესახებ ინფორმაციებს აწვდიდა.**



მარკუს აბრაამ კლინბერგი 1918 წელს ვარშავაში დაიბადა. დაწყებითი განათლება იეშივში (რელიგიური სკოლა) მიიღო. 1935 წელს ვარშავის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1939 წელს სწავლა შეეწყვიტა, რადგან მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. კლინბერგი, ისევე როგორც ათი ათასობით ებრაელი, აღმოსავლეთში, სსრკ-ში გაიქცა, რათა ნაცისტებისგან თავი გადაერჩინა. იქ, მინსკში სცადა სწავლის გაგრძელება, მაგრამ 1941 წელს გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს და კლინბერგი მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. გარკვეულ ხანს იგი სამედიცინო ნაწილში მსახურობდა, რის შემდეგაც მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა და პარალელურად სამხედრო მედიცინაში მუშაობა განაგრძო. მალე მან სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე ეპიდემიოლოგმა.

1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, კლინბერგი მშობლიურ ვარშავაში გაემგზავრა, სადაც მომავალი მეუღლე ვანდა გაიცნო. ვანდას პროტესტის მიუხედავად, კლინბერგები ისრაელში, იაფოში დასახლდნენ. მარკუსმა იქ პროფესორი დევიდ ერნსტ ბერგმანი გაიცნო, რომელიც ნეს-ციონში ინსტიტუტის დაარსებაზე მუშაობდა. ჩანაფიქრის მიხედვით, იქ ჩატარდებოდა სამუშაოები, რომლებიც ისრაელს თავისი ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნის საშუალებას მისცემდა.

**მცირე ხანში კლინბერგი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა და ფართო უფლებამოსილებანიც მიენიჭა (კერძოდ, ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევებს ხელმძღვანელობდა). ამერიკის არმიასთან კონტრაქტის საფუძველზე, კლინბერგი სათავეში ჩაუდგა გარკვეულ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლისათვის საჭირო კვლევებს.**

მოკლე ხანში მან მთელ მსოფლიოში მოიხვეჭა სახელი, იგი ჟენევის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კომისიის წევრიც გახდა და ლექციებსაც კითხულობდა თელ-ავივის უნივერსიტეტში. თავისი კარიერის ზენიტში ინსტიტუტის ეპიდემიოლოგიის სამმართველოს ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული დირექტორისა და გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტები ეკავა.

ნეს-ციონის ინსტიტუტის ყველა ახალი მიღწევის თაობაზე საბჭოთა დაზვერვა რომ ყველა ინფორმაციას ფლობდა, „შაბაკმა“ (საერთო უსაფრთხოების სამსახური) ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს იეჭვა. 70-იან წლებში ეს იმდენად თვალსაჩინო შეიქნა, რომ ისრაელის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აგენტი გამოეაშკარავებინათ. მაშინ კლინბერგის ერთ-ერთმა კოლეგამ მასზე, როგორც პოტენციურ ჯაშუშზე, მიუთითა.

**კლინბერგი „შაბაკმა“ გამოიძახა და სიცრუის დეტექტორზე შეამოწმა, რასაც მან შესაშური სიმშვიდით გაუძლო — შემოწმებამ აჩვენა, რომ ეჭვი სავსებით უსაფუძვლო იყო! რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ გამოიძახეს შესამოწმებლად. თუმცა ამჯერადაც სუფთად გააცურა ყველა, მათ შორის, სიცრუის დეტექტორიც და ბოდიში მოუხადეს.**

1982 წელს კი, როცა ინფორმაციის გაჟონვა აუტანელი გახდა, „შაბაკმა“ გადაწყვიტა, კლინბერგს მიბრუნებოდა და ამ საქმეში საგარეო დაზვერვა „მოსადის“ თანამშრომლები ჩაერთო. მარკუსს სადღეღამისო მეთვალყურეობა დაუწესეს და დაადგინეს, რომ შვეიცარიაში მორიგ სამეცნიერო კონფერენციაზე იმაზე ადრე გაემგზავრა, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა. ალბათ, იმისთვის, რომ იქ საბჭოთა რეზიდენტს შეხვედროდა.

**1983 წლის დასაწყისში „მოსადის“ საბჭოთა განყოფილების ხელმძღვანელი კლინბერგს ესტუმრა, როგორც თავად თქვა, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის გამო.**

**— დოქტორო კლინბერგ, — განუცხადა, მან, — ალბათ, გახსოვთ ეკოლოგიური კატასტროფა მილანში, როცა მომწამლავი ნივთიერებების გაჟონვა მოხდა. რაღაც ამდაგვარს ადგილი აქვს მალაიზიაშიც. მზად ხართ, ადგილზე დააკვირდეთ კატასტროფის შედეგებს?**

**— რასაკვირველია, — მიუგო კლინბერგმა.**

**მეორე დღეს ინფორმაცია მალაიზიაში არარსებულ კატასტროფაზე მოსკოვში გადაიცა. ეჭვი აღარ რჩებოდა — კლინბერგი საბჭოთა აგენტი იყო. დაკითხვები დღეღამეში 18 საათს გრძელდებოდა. გამოიყენეს ზეწოლის ყველა ცნობილი ფსიქოლოგიური მეთოდი. კლინბერგი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ მეათე დღეს გატყდა...**

კლინბერგის ვერსიით, 1957 წელს ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მისი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთები მოითხოვა და ისიც იძულებული გახდა, თელ-ავივში საბჭოთა საელჩოსთვის მიემართა, რათა მისი საბუთები მინსკიდან და მოსკოვიდან გამოეთხოვათ. საელჩოს თანამშრომლებისთვის კლინბერგის ვიზიტი საჩუქრის ტოლფასი იყო: მათ ხომ დიდი ხნის წინათ დაავალეს ნეს-ციონის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ჰოდა, ამ ინსტიტუტის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი საკუთარი ფეხით ესტუმრა! კლინბერგი ისედაც ემადლიერებოდა საბჭოთა კავშირს იმის გამო, რომ ამ ქვეყანამ სიკვდილისგან იხსნა, განათლების მიღების საშუალება მისცა, რამაც ხელი შეუწყო მის კარიერულ წინსვლასაც. ამასთან, იგი ხშირად მიემგზავრებოდა სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც იმ ამერიკელ მეცნიერთა წრეს დაუახლოვდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ აშშ-ს არ უნდა ჰქონოდა მონოპოლია მასობრივი განადგურების იარაღის არც ერთ სახეობაზე და საერთოდაც, პროსაბჭოურად იყვნენ განწყობილი.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებებმა გადააწყვეტინა მარკუსს სსრკ-თან თანამშრომლობა. მით უფრო, რომ **ჯაშუშური საქმიანობისთვის მას არასდროს აულია გასამრჯელო...** მას შემდეგ, რაც კლინბერგი თანამშრომლობაზე დათანხმდა, მიკროკამერის მეშვეობით საიდუმლო დოკუმენტების გადაღება, სამალავების გამოყენება, დაკავშირების გზები და საიდუმლო დამწერლობა ასწავლეს. ამასთან, პროფესორს ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და მთელი დასტა დოკუმენტების დაზუთხვა შეეძლო. მრავალი წლის განმავლობაში იგი სსრკ-ს გადასცემდა ზესაიდუმლო ინფრომაციას ყველაფერზე, რაც მისი ინსტიტუტის კედლებში ხდებოდა.

1967 წლამდე, სანამ ისრაელსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არსებობდა, მეცნიერი ინფორმაციას საელჩოს თანამშრომლებს გადასცემდა, ხოლო ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ ევროპაში, ძირითადად, შვეიცარიაში ხშირი სტუმრობისას იგი საბჭოთა მეცნიერებს ხვდებოდა...

სსრკ-ცა და არაბული ქვეყნებიც მუდმივად საქმის კურსში იყვნენ იმის თაობაზე, თუ რა ქიმიურ თუ ბიოლოგიურ იარაღსა და მისგან დაცვის ეფექტურ საშუალებებს ფლობდა ისრაელი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ათწლეულების განმავლობაში ნეს-ციონის ინსტიტუტი ფუჭად მუშაობდა.

**მატერიალურმა ზარალმა, რომელიც კლინბერგმა ებრაულ სახელმწიფოს მიაყენა, მილიონობით დოლარი შეადგინა. სწორედ ამიტომ მეცნიერ-ეპიდემიოლოგს ისრაელის ისტორიაში ყველაზე საშიში ჯაშუში უწოდეს.**

1983 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, რაც შემდეგ 20-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს.



მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უნდა აიკრძალოს

**ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ თავისი შემქმნელის, პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის ყველაზე ცუდი მოლოდინი გაამართლა, რომელიც შიშობდა, რომ ცსს, შესაძლოა, „ამერიკულ გესტაპოდ“ გადაქცეულიყო. ცსს-ს ისტორია ფაშიზმისა და მარცხის 60-წლიანი ისტორიაა და ეს უწყება დემოკრატიის სულისკვეთებასთან სრულ წინააღმდეგობაშია, რის გამოც იგი სამუდამოდ უნდა გაუქმდეს.**
**თავისი არსებობის მანძილზე „სააგენტომ“, როგორც მას უწოდებენ, ამერიკის პრეზიდენტებს იმდენი მცდარი ინფორმაცია გადასცა, იმდენი კანონი დაარღვია, იმდენი არჩევნები გააყალბა, იმდენი მთავრობა დაამხო, იმდენი დიქტატორი დააფინანსა, იმდენი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა, რომ მისი ოფიციალური ისტორიის ფურცლები სისხლით დაწერილს წააგავს.**
**მთელი მსოფლიოს ხალხები ცსს-ს სამარცხვინო ორგანიზაციად მიიჩნევენ და ეს შეფასება, ძირითადად, მართებულია.**




## სასამართლომ ცსს-ს წამების თაობაზე ინფორმაციის დამალვის ნება დართო

ამასთან, რაკი პრეზიდენტ ობამას ორი ათეული სხვა სადაზვერვო უწყება ჰყავს, ვისგანაც რეკომენდაციებსა და ინფორმაციას იღებს, რაღად სჭირდება ცსს? მას ერთი ხელის მოსმით შეუძლია 27.000 თანამშრომლის გათავისუფლება, რითიც გადასახადების გადამხდელებს მრავალ მილიარდ დოლარს დაუზოგავს, ხოლო ამერიკის დროშას ცსს-ს ბინძურ ლაქას ჩამორეცხს.

**თუ ფიქრობთ, რომ ეს „რადიკალური“ იდეაა, კიდევ ერთხელ დაუფიქრდით. რადიკალიზმის სუნი სწორედ იმას უდის, რომ ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ოპერატიული მუშაკების ბრბოს, მთელ ქვეყანაში დაძრწოდნენ და უწესრიგობასა და ქაოსს თესდნენ, რადგან ისინი არ ფიქრობენ არც ზნეობაზე და არც გულმოწყალებაზე. როგორც მათ ბარაკ ობამა უწოდებს, ცსს-ს გამომძიებლების (იგივე ჯალათების) მიმართ წაყენებული ბრალდებების უგულებელყოფის წინადადება შიშის ზაფრას იწვევს. ეს ბოროტმოქმედებანი უნდა შეწყდეს, თორემ კვლავაც განმეორდება...**

„ცსს-ს დაკითხვათა საიდუმლო ცენტრები 1950-იანი წლებიდან ჰქონდა და ისინი გერმანიაში, იაპონიასა და პანამაში იყო განთავსებული,“ — წერდა „ნიუ იორკ თაიმსის“ რეპორტიორი ტიმ ვეინერი თავის წიგნში „ფერფლის მემკვიდრეობა, ანუ ცსს-ს ისტორია“.

1953 წელს ირანში, ცსს-ს ხელმძღვანელობით მომხდარი გადატრიალების შედეგად, აბსოლუტური ხელისუფლება ისევ შაჰს გადასცეს. ამგვარად, როგორც ჟურნალისტი უილიამ ბლუმი თავის წიგნში „გაიძვერა სახელმწიფო“ წერს: „სათავე დაედო 25-წლიანი წამებისა და რეპრესიების პერიოდს; ქვეყნის ნავთობწარმოება უცხოელ მფლობელებს დაუბრუნეს, თანაც აშშ-მა და ინგლისმა 40-40 პროცენტი მიიღეს. დაახლოებით იმავე დროს გვატემალაში, — დასძენს ბლუმი, — ცსს-ს მიერ ორგანიზებული შეთქმულების შედეგად, ჟაკობო არბენცის კანონიერად არჩეული და პროგრესული მთავრობა დაემხო, რამაც სათავე დაუდო სამხედრო ხუნტის, სიკვდილის ესკადრონების, წამების, ხალხის გაუჩინარებისა და მასობრივი მკვლელობების 40-წლიან ისტორიას“. მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით, ეს მასობრივი მკვლელობანი ჰოლოკოსტის დროს რუმინელ და უკრაინელ ებრაელთა წინააღმდეგ წარმოებული ჰიტლერული გენოციდის ბადალია.

ბლუმს ცსს-ს დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა მაგალითებიც მოჰყავს. ინდონეზიაში ის 1957-68 წლებში ნეიტრალიტეტის მომხრე პრეზიდენტ სუკარნოს დამხობას შეეცადა. სააგენტომ სუკარნოს მკვლელობა დაგეგმა, სექსუალური შინაარის ფილმით მის დაშანტაჟებას შეეცადა, ასევე, პრეზიდენტით უკმაყოფილო არმიის ოფიცრებთან ერთად ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო ინდონეზიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელშიც ამერიკელი მფრინავებიც მონაწილეობდნენ. ამ მცდელობამ, ისევე, როგორც თითქმის იმავე დროს კოსტა-რიკაში მომხდარი გადატრიალების მცდელობამ, შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ, სხვა ავანტიურები გაცილებით „წარმატებული“ აღმოჩნდა.

**ლაოსში ცსს 1958, 1959 და 1960 წლების გადატრიალებების მცდელობებში მონაწილეობდა, მთავრობის დამხობის მიზნით, 30.000-კაციანი საიდუმლო არმია შექმნა. ეკვადორში ცსს-მ პრეზიდენტი ხოსე ველასკო დაამხო იმის გამო, რომ მან კუბის ახალი, ფიდელ კასტროს მთავრობა ცნო. ასევე, 1961 წელს ცსს-მ კონგოს არჩეული პრემიერ-მინისტრის — პატრის ლუმუმბას მკვლელობის ორგანიზება მოაწყო და მის ნაცვლად ქვეყნის სათავეში მობუტუ სეკო დასვა. „იგი ქვეყანას ისე სასტიკად, კორუფციის ისეთი მასშტაბებით მართავდა, რომ თავის ამერიკელი კურატორებიც კი გააოცა,“ — წერდა ბლუმი.**

1966 წელს ცსს-მ განაში ქვეყნის ლიდერის — კვამე ნკრუმის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალების ორგანიზება მოახდინა; ჩილეში 1973 წელს საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის, სალვადორ ალიენდეს ჩამოგდება დააფინანსა და სათავეში აუგუსტო პინოჩეტის მკაცრი რეჟიმი მოიყვანა, რომელმაც 3000 პოლიტიკური მოწინააღმდეგე გაანადგურა. 1967 წელს საბერძნეთში ცსს-მ ხელი შეუწყო არჩევნების ჩაშლას და მხარი დაუჭირა სამხედრო გადატრიალებას, რომლის მსვლელობისასაც, მარტო პირველ თვეს 8000 ბერძენი მოკლეს.




**ამერიკელები საკუთარ თავს მეპატრონე რასად მიიჩნევენ, რომელიც ყველა დანარჩენზე უკეთესია და საერთაშორისო კანონებზე მაღლა დგას. ეს კი დიდად როდი განსხვავდება იმ ფილოსოფიისგან, რომლის წყალობითაც ადოლფ ჰიტლერის მესამე რაიხი შეიქმნა. უკანონო დაკავებები და ტუსაღთა გადაცემა უნდა შეწყდეს, ცსს უნდა აიკრძალოს!..**

სამხრეთ აფრიკაში ცსს-მ აპარტეიდის რეჟიმს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის შედეგადაც აფრიკის ნაციონალური კონგრესის ლიდერი ნელსონ მანდელა დააპატიმრეს. 1964 წელს ბოლივიაში ცსს-მ პრეზიდენტი ვიქტრო პასი დაამხო, ხოლო 1972-1975 წლებში ავსტრალიაში მილიონობით დოლარი გადასცა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. იგივე მოხდა ბრაზილიაში 1962 წელს. 1960 წელს ლაოსში ცსს-მ არჩევნების შედეგები გააყალბა, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში დიქტატორი მოვიდა. 1970-იან წლებში პორტუგალიაში ცსს-ს მიერ დაფინანსებულმა კანდიდატებმა ლეიბორისტთა მხარდამჭერი მთავრობა დაამარცხეს. ფილიპინებზე 1970-1990 წლებში ცსს მხარს უჭერდა მთავრობებს, რომლებიც საკუთარ ხალხს აწამებდნენ და მასობრივად ხოცავდნენ. 1900-იან წლებში სალვადორში ცსს-ს მიერ მხარდაჭერილმა სამოქალაქო ომმა 75.000 მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლა.

როგორც თავის წიგნ „blowback“-ში ჩალმერს ჯონსონი წერს, ცსს-ს ხელმძღვანელი რობერტ გეიტსი, რომელსაც ამჟამად ობამას ადმინისტრაციაში თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია, ალიარებდა, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურები მოჯაჰედებს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრამდე (1979 წლის დეკემბერი) ექვსი თვით ადრე ეხმარებოდნენ.

როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ცსს-მ რეაგირება მოახდინა იმპერიის მორიგი პრეზიდენტის ბრძანებაზე, ეს 1979 წლის 3 ივლისს მოხდა და ბრძანება ჯიმი კარტერმა გასცა. სააგენტოს ქაბულში პროსაბჭოური რეჟიმის მოწინააღმდეგეთა დახმარება დაევალა, რათა კრემლის პროვოცირება მოეხდინა ქვეყანაში შეჭრაზე.

„ცსს უსამა ბინ ლადენს, ისევე, როგორც სხვა რადიკალურად განწყობილ ფუნდამენტალისტებს, მხარს 1984 წლიდან უჭერდა, — წერდა ჯონსონი, — სწორედ ის დაეხმარა ბინ ლადენს, ავღანეთის ომისთვის 35000 არაბი მოემზადებინა“.

ცსს სათაო ოფისი



ასე და ამგვარად, კარტერი, ისევე, როგორც მისი მემკვიდრეები ბუში-უფროსის მთავრობაში — გეიტსი, დიკ ჩეინი, დონალდ რამსფელდი, კონდოლიზა რაისი, პოლ ვულფოვიცი და კოლინ პაუელი — ყველა ერთად პასუხისმგებელია 1.8 მლნ ავღანელის დაღუპვაზე. ისინი, ასევე, პასუხისმგებელი არიან 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკისთვის მიყენებულ „ზარალზე“, რაც იმავე ორგანიზაციამ მიაყენა, რომლის შექმნაშიც თავად შეიტანეს წვლილი,“ — აღნიშნავს ჯონსონი.

**„ასოშიეითედ პრესის“ ცნობით, როცა სენატი ცსს-ს ახალ დირექტორს — ლეონ პანეტს თანამდებობაზე ამტკიცებდა, მან განაცხადა, რომ ობამას ადმინისტრაცია „არ გაასამართლებს სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც მკაცრ დაკითხვებში მონაწილეობენ, თუკი სამსახურებრივი ინსტრუქციების ფრაგლებს არ გასცდებიან.“**

დიდი უბედურება იქნება, თუკი პრეზიდენტი ობამა კლინტონის მიერ დაწყებულსა და ბუშის მიერ გავრცობილ, ადამიანების დაკავებისა და ცსს-ს ციხეებში გადაყვანის არაადამიანურ (და უკანონო) პრაქტიკას განაგრძობს. თუ თეთრი სახლი ფიქრობს, რომ მის აგენტებს შეუძლიათ მთელ მსოფლიოში ითარეშონ, დააკავონ და აწამონ ნებისმიერი ადამიანი ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურის დაცვის გარეშე და ამაზე პასუხი არ აგონ, ეს ერთადერთ რამეს მოწმობს: ამერიკელები საკუთარ თავს მეპატრონე რასად მიიჩნევენ, რომელიც ყველა დანარჩენზე უკეთესია და საერთაშორისო კანონებზე მაღლა დგას. ეს კი დიდად როდი განსხვავდება იმ ფილოსოფიისგან, რომლის წყალობითაც ადოლფ ჰიტლერის მესამე რაიხი შეიქმნა. უკანონო დაკავებები და ტუსალთა გადაცემა უნდა შეწყდეს, ცსს უნდა აიკრძალოს!..

**შერვუდ როსი**
**Global Research**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საერთაშორისო სამართლის ამპუტაცია

**2010 წლის 22 ივლისს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ „კოსოვოს ხელისუფლების“ მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების კანონიერების თაობაზე საკონსულტაციო დასკვნა გამოიტანა. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს განცხადება საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ თავად საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება ხომ „არ ეწინააღმდეგება“ საერთაშორისო სამართალს?**



სასამართლოს წინაშე წამოჭრილ საკითხზე პასუხის გამოძებნის მეთოდიკა მხოლოდ შემდეგნაირი შეიძლებოდა ყოფილიყო: ჯერ ერთი, აუცილებელი იყო იმის დადგენა, **საერთაშორისო სამართლის რომელი ნორმების საფუძველზე გამოცხადდა ეს დამოუკიდებლობა; და მეორეც, უნდა დადგენილიყო დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, მაგრამ საერთაშორისო სასამართლომ სხვაგვარი მიდგომა არჩია.**

აი, სასამართლოს პასუხის (122-ე პარაგრაფი) ზუსტი ფორმულირება: **„ამგვარად, სასამართლო ადგენს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დეკლარაციის მიღება... არ არღვევს საერთაშორისო სამართლის რომელიმე გამოყენებულ ნორმას.“** (1)

ახლა კი საკითხის ზუსტი ფორმულირება გავიხსენოთ: **„შეესატყვისება თუ არა კოსოვოს თვითმმართველობის დროებითი ხელისუფლების მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება საერთაშორისო სამართლის ნორმებს?“**

როგორც ვხედავთ, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ მისთვის შეთავაზებული საკითხის ხელახალი ფორმულირება მოახდინა, თანაც ორჯერ. ჯერ ერთი, რომ სასამართლოს პასუხში საუბარია არა დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, არამედ დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე განცხადების მიღებაზე, რაც, რასაკვირველია, სრულებით სხვადასხვა საკითხია. მეორეც, საერთაშორისო სასამართლომ თავის პასუხში სიტყვებს „საერთაშორისო სამართლის ნორმები“ დაუმატა სიტყვა „გამოყენებული.“ თავისთავად, გამოუყენებლისგან გამოყენებული ნორმების შერჩევის პროცესი ის კრიტიკული მომენტია, როდესაც საკვანძო საკითხი წყდება: **გამოყენებული ნორმებიდან ერთი აქტის გამორიცხვითაც კი, შედეგად, პასუხის — „არღვევს“ ნაცვლად მივიღებთ — „არ არღვევს.“** სწორედ ეს მანიპულაციები — დამოუკიდებლობის გამოცხადების განცხადების გამიჯვნა „გამოყენებით“ დამოუკიდებლობის გამოცხადებისგან წარმოადგენს გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოს მიერ საზოგადოების მოტყუების ტექნოლოგიის ცენტრალურ რგოლს.

საერთაშორისო სამართლის „გამოუყენებელი“ ნორმების მოკვეთით გაეროს საერთაშორისო სასამართლომ თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის პრაქტიკულად ყველა ფუძემდებლური ნორმა გამორიცხა: გაეროს დებულება (სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით ძალის გამოყენების აკრძალვა), საერთაშორისო სამართლის პრინციპები (ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები), ჰელსინკის დასკვნითი აქტი (საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი). რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ აქაოდა, ეს პრინციპები მხოლოდ სახელმწიფოებზე ვრცელდებაო.

**ეს ლოგიკა კი ნიშნავს, რომ მარტოდენ სახელმწიფოებს ეკრძალებათ ტერიტორიული ერთიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ხოლო კერძო პირებზე ან, ვთქვათ, კოსოვოს ხელისუფლებაზე ეს არ ვრცელდება.**

ასეთი უხამსი გზით, „მოცემული საქმის მიმართ გამოყენებულთა“ თანრიგიდან საერთაშორისო სამართლის ყველა მოქმედი ნორმის გამორიცხვით, საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ „საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმები, დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას რომ კრძალავდეს“. რა თქმა უნდა, ძალიან უხეში ნამუშევარია.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სამართლის ამპუტაციის შემდეგაც სასამართლოს კიდევ ერთი მანიპულაციის გამოყენება მოუხდა. სასამართლომ საკუთარი დასკვნა იმის შესახებ, რომ „საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას რომ კრძალავდეს“, შეუსატყვისა დასკვნას იმის თაობაზე, რომ კოსოვოელი სეპარატისტების მიერ დამოუკიდებლობის ასეთი გამოცხადება „არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს“. მაგრამ განა ეს დასკვნები იდენტურია? **ეს უფრო სამართლებრივი კონცეფციების — „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის“ და „აკრძალულია ყველაფერი, რაც ნებადართული არ არის“ — არჩევანის პრობლემაა. რატომ აირჩია სასამართლომ მათგან პირველი და უგულებელყო მეორე?**

რატომ არ გააკეთა, მაგალითად, ასეთი დასკვნა: **„იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას რომ უშვებდეს, სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი გამოცხადება არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს**“?

სასამართლო გადაწყვეტილებაში არის სხვა სავსებით უსაფუძვლო მოსაზრებებიც; მაგალითად, იმის თაობაზე, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციამ დაადგინა „სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც... სერბეთის სამართლებრივ რეჟიმზე უპირატესი ძალა აქვს“; კოსოვოში გაეროს სამოქალაქო მისიის აქტებისთვის საერთაშორისო სამართლის ნორმების ძალის მინიჭება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთსულოვნად არ მიუღიათ. ხუთმა მოსამართლემ — ტომკის სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტმა (სლოვაკეთი), კორომის მოსამართლეებმა (სიერრა-ლეონე), კიტმა (ახალი ზელანდია), ბენუნამ (მაროკო) და რუსმა მოსამართლემ ლ. ა. სკოტნიკოვმა ხმა მისცეს საკონსულტაციო დასკვნის გამოტანის თაობაზე უმრავლესობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სასამართლო ვალდებული არაა, პასუხი გასცეს საკონსულტაციო განაცხადს და, ხსენებული ხუთი მოსამართლის მითითებით, **ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა საერთაშორისო სასამართლოს საერთოდ უარი უნდა ეთქვა პასუხზე იმ მიზეზით, რომ კოსოვოს საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოში განიხილებოდა.**

რაც შეეხება გადაწყვეტილებას მთავარ საკითხზე — საერთაშორისო სამართლისადმი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესატყვისობას, გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით (ათი ოთხის წინააღმდეგ) მიიღეს. ამასთან, ზოგიერთმა მოსამართლემ ხმა ერთობ უცნაურად მისცა. ასე მაგალითად, მექსიკელმა და ბრაზილიელმა მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, თუმცა მათი ქვეყნები ოფიციალურად ამის წინააღმდეგი არიან. სიერალეონელი მოსამართლე კი, პირიქით, უმრავლესობის გადაწყვეტილების წინააღმდეგი გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ქვეყანამ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა.

ბევრი სახელმწიფოს პოზიცია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში უშუალოდ უკავშირდება დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების უკანონობის პრობლემას. **გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ საერთაშორისო სამართლის ამპუტაცია სახელმწიფოთა დაშლისა და სეპარატიზმის გაღვივების ახალ ტალღას გამოიწვევს.**

# ცეკას მდივნის აუხდენელი ოცნება

**ეს ის დროა, როდესაც ნომენკლატურული მუშაკი შეიძლებოდა ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშნულიყო. მაგალითად, ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად ყოფილიყო კაცი, რომელმაც არ იცოდა, ვინ იყო მენდელეევი; სოფლის მეურნეობის მინისტრად, — რომელსაც ძროხა მხოლოდ ტელეეკრანზე ჰყავდა ნანახი; გამომცემლობის დირექტორად კი — ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“.**

ჰოდა, ასეთმა დირექტორმა ჟურნალ „ნიანგში“ ნახა რუსთაველის მიბაძვით XX საუკუნეში დაწერილი ახალი პოემა:

**„აქა ამბავი ნესტანისა**
**ნახეს ტურფა ქალი ვინმე,**
**დგა ლაღიძის**
**წყლისა პირსა,**
**ინდოთ ჯარი გაემურა,**
**თმა მოჰგავდა**
**უნაგირსა,**
**ხშირად ესხა მარგალიტი**
**ნეილონის გულისპირსა,**
**მურს ვარდი**
**დაეთრთვილა, გულსა**
**მდუღრად ანატირსა.**
**მას ტანსა კაბა ემოსა?**
**— მუხლი**
**მოუჩნდა შიშველი,**
**იდგა მოყმეთა წინარე,**
**ავ თქმათა**
**არ უშიშველი...“**

წაიკითხა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მისი დირექტორობის დროს რომ „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე გამოიცა, ეს ნამდვილად ვიცი. ასეთი დირექტორის კაბინეტის კარი მოკრძალებით შევაღე. იგი რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი გახლდათ. ფანჯარასთან იდგა და რაღაცაზე ფიქრობდა. კმაყოფილი ჩანდა. დღეს ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჰონორარი გადავურიცხეო, მახარა. თანაც დამავალა, კიდევ ერთხელ გადამემოწმებინა აღნიშნული საკითხი. ამ დროს ცენტრალური კომიტეტის მდივანს არც აინტერესებდა და არც მოუთხოვია ჰონორარი.

**მლიქვნელობა კი თავისას შვრებოდა. ასეთი მოქმედებით საგამომცემლო საქმიანობა დირექტორისთვის წარმატებული ჩანდა. რაკი მლიქვნელობაზე ვსაუბრობთ, მინდა გასაკვირ-გაუგონარი და საინტერესო ამბავი მოგიყვეთ:**

ცეკას მდივნის მეუღლეს ბებია გარდაეცვალა. სრულიად საქართველოს ნომენკლატურული მუშაკები ფასანაურისაკენ დაიძრნენ. ამ „სასტავში“ მეც გახლდით. დუშეთის გადასახვევთან ავტომანქანების მოძრაობა უკვე შეზღუდული იყო. ანანურთან გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ანტენიანი შავი ფერის „ვოლგები“ იდგა. გზა გავაგრძელეთ. ჩვენი ეკიპაჟი ოთხი კაცისგან შედგებოდა: ელგუჯა მაღრაძე, ოთარ ჭელიძე, გივი ბახტაძე და თქვენი მონა-მორჩილი. ფასანაურს გავცდით და გასასვლელში ერთი ადგილი აღმოვაჩინეთ. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის უკან, დღევანდელთან შედარებით ავტომანქანების რაოდენობა საქართველოში უმნიშვნელო იყო. ჩასულებს ადგილობრივი მოსახლეობა შემოუერთდა. ერთი სიტყვით, ზღვა ხალხიო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. ყველა ცდილობდა, ცეკას მდივანს დანახვებოდა — აქა ვარო. ცეკას მდივანი უაღრესად განათლებული და იუმორის პატრონი გახლდათ. ჭეშმარიტებას ვერ გაექცა და კარგად იხუმრა: „ნეტავ, ჩემს დასაფლავებაზე ამის ნახევარი ხალხი მაინც იქნებოდესო“. სამწუხაროდ, გულწრფელი ნატვრა აუხდენელი აღმოჩნდა.



ნახატი ანდრო კანდელაკისა

**— აგერ, ხელისგულზე დამარტყით, ბატონო, ხელი არ იტკინოთ!..**

მივყვეთ სამგლოვიარო პროცესს და მივიდეთ მლიქვნელობის კულმინაციურ წერტილამდე.

ძვირფასო მკითხველო! რა თქმა უნდა, გაინტერესებთ, ასეთ დასაფლავებას როგორი ქელეხი მოერგებოდა. დიდი თუ პატარა? არც ერთი და არც მეორე, — გრანდიოზული! მთელი ფასანაური ქელეხად იყო ქცეული. ელგუჯა მაღრაძის წყალობით, ჩვენ უმაღლეს „სასტავში“ მოვხვდით. იქ, სადაც თვით ცეკას მდივანი იჯდა. რაიკომის პირველმა მდივანმა ქელეხის თამადობა აღმასკომის თავმჯდომარეს დაავალა, თვითონ კი ცეკას მდივანს გვერდით მიუჯდა. ძალიან გთხოვთ, სუფრაზე დაწყობილი საჭმელ-სასმელის აღწერას ნუ დამავალებთ, ნამდვილად ვერ შევძლებ. მაპატიეთ. თამადამ მოადგილეები აირჩია, დიდი სასმისი შეავსო და კულმინაციურ წერტილს შეახტა. პირველი სასმისით, ფეხზე ადგომითა და წელში გასწორებით, გარდაცვლილი მოხუცის მაგიერ, ცეკას მდივნის სადღეგრძელო შემოგვთავაზა. საოცრება მოხდა: ცეკას მდივანი აღშფოთდა, გაქცევა დააპირა, ელგუჯა მაღრაძემ უხერხული მდგომარეობა განმუხტა. შევსებული სასმისი ხელში აიტაცა და მიცვალებულის ხსოვნის სადღეგრძელო შესვა. აქა-იქ მაინც ცეკას მდივნის სახელი ისმოდა. უმრავლესობამ და, რაც მთავარია, რაიკომის პირველმა მდივანმაც მხარი თვითმარქვია თამადას დაუჭირა. მეხსიერებამ კი თავისი ქნა და ეს ამბავი თქვენამდე მოიტანა.

ამ ქელეხმა ერთი უცნაური ქელეხიც გამახსენა, სადაც არც ერთი სიტყვა არ თქმულა იუმორის გარეშე. მთავარი გმირი თვით მიცვალებული გახლდათ. თამადა ძირძველი ნიანგელი, ცნობილი ჟურნალისტი, წიგნის „პაემანი ვერაზე“ ავტორი გიზო ნიშნიანიძე იყო.

**ნუცუბიძის ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელნი კითხულობდნენ: ეს რა, მხიარული ქორწილია? მიცვალებულის ნაცნობებს კი არ უკვირდათ, რომ ეს ქორწილი კი არა, ვალოდია მებურიშვილის ქელეხი გახლდათ. ვინ იყო ვალოდია? ეს ცალკე თემაა და შევეცდები უახლოეს ხანში განსაკუთრებული პუბლიკაცია მოვამზადო.**

**ჟანი სიხარულიძე**

28 ივლისი — 3 აგვისტო, 2010 წელი. №28 (71)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მენგისტუ ჰაილე

## — კომუნიზმის აჩრდილისთვის მებრძოლი ეთიოპელი ყასაბი



**2008 წლის 26 მაისს ეთიოპიის ყოფილ ლიდერს მენგისტუ ჰაილე მარიამს, გენოციდის მოწყობის ბრალდებით, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ასეთივე სასჯელი შეუფარდეს მისი რეჟიმის 18 მოხელეს. 2007 წელს მენგისტუს სასამართლოზე დაუსწრებლად სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ეს ვერდიქტი რესპუბლიკის პროკურორმა გაასაჩივრა...**



მენგისტუ, გენერალი ტეფერი ბანტი და პოდპოლკოვნიკი ატნაფუ აბატე



ფიდელ კასტრო და მენგისტუ ადის აბებაში პარადზე

დიქტატორის სასამართლო პროცესი 1995 წელს დაიწყო. მენგისტუ დამნაშავედ ცნეს პოლიტპატიმართა წამებაში, აბუჩად აგდებასა და მკვლელობაში. სასამართლო მის გარეშე მიმდინარეობდა — მისი დამხობის შემდეგ, 1991 წლიდან, იგი თავს აფარებს ზიმბაბვეში, რომლის ხელისუფლებაც მის გადაცემაზე უარს აცხადებს.

„წითელი ნეგუსი“ (მეფეთმეფე), როგორც მას მოწინააღმდეგეებმა შეარქვეს, ხელისუფლების სათავეში გადატრიალების შედეგად მოვიდა და 17 წელი მართავდა ეთიოპიას. იგი სათავეში ედგა რეჟიმს, რომელიც საკუთარ თავს მარქსისტულს უწოდებდა.

**მენგისტუ და მისი თანამოაზრენი — სულ 76 კაცი დამნაშავედ ცნეს 1970-1980 წლებში გატარებულ რეპრესიებში. მათ დაამხეს და მოკლეს იმპერატორი ჰაილე სელასიე, სასტიკად გაუსწორდნენ ეთიოპიის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქ აბუნა ტეოფილუსს და 100.000-მდე კაცი იმსხვერპლეს.**

მენგისტუ ჰაილე მარიამი 1937 წლის 21 მაისს დაიბადა ჰარარის პროვინციის ქალაქ ვალაიტაში. მისი რეალური ბიოგრაფია პრაქტიკულად უცნობია, ამიტომ იგი აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ პიროვნებად მიიჩნევა. 1959 წელს ჰოლეტის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა. მერილენდის უნივერსიტეტსა და ადის-აბებაში ეკონომიკას სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მე-3 არმიის დივიზიაში მსახურობდა.

1974 წელს სამხედროების ჯგუფმა ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე დაამხო. ახალგაზრდა ოფიცერი მენგისტუ ჰაილე მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა შეთქმულთაგან, თუმცა **სულ მალე სწორედ იგი აღმოჩნდა იმ დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი, რომელმაც ქვეყნის ხელისუფლების მთავარი ორგანოს ფუნქციები იტვირთა. ერთ-ერთი მოსაზრებით, ამ პოსტით მენგისტუ იმის სანაცვლოდ დააჯილდოეს, რომ 1975 წელს შინაპატიმრობაში მყოფი იმპერატორის მკვლელობის ორგანიზება მოახდინა (მონარქი ბალიშით გაგუდეს), გვამი კი საიმპერატორო სასახლის საპირფარეშოში დაადეს.** ზოგიერთები ამბობდნენ, რომ მენგისტუს თითზე ხშირად ხედავდნენ იმპერატორის „სოლომონის ბეჭედს,“ თუმცა თავად მენგისტუმ 1995 წელს იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჰაილე სელასიე არავის მოუკლავს: **„ამის საჭიროება არ იყო. ეს სნეული მოხუცი არავის უყვარდა. ვფიქრობ, იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა“.**

ეთიოპიის მოსახლეობა მონარქიის დამხობას მიესალმა. მაგრამ 1974 წლის 23 ნოემბერს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. იმ დღეს **მენგისტუ ჰაილე მარიამმა იმპერატორის მომხრე 59 დიდგვაროვნის, მათ შორის, 2 პრემიერ-მინისტრის, 12 გუბერნატორის, 18 გენერლისა და ჰაილე სელასიეს შვილიშვილის სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცა.** იმავე ღამეს მენგისტუს ერთგული ჯარი სახელმწიფოს დროებითი მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ ამან მიქაელ ანდომის სახლისკენ დაიძრა და, დაცვასთან ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ, ანდომი მოკლა. ხალხს გამოუცხადეს, რომ „ძველი არისტოკრატია ერთი ხელის მოსმით გაანადგურეს“. ამან ანდომი სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე გენერალმა ტეფერი ბანტმა შეცვალა. 1977 წლის 3 თებერვალს კი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პოდპოლკოვნიკმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა ახალი მეტოქეები თავიდან მოიშორა — **„დერგის“ (მთავრობის) სხდომაზე ტყვიამფრქვევით ჩაცხრილა ბანტიცა და მისი 8 მომხრეც, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავა და განაცხადა, რომ ეთიოპიამ სოციალისტური ორიენტაციის კურსი აირჩია.**

დიქტატორმა ჰაილე მარიამმა ყოველგვარი ოპოზიციის წარმოქმნის ყველა შესაძლებლობა მოსპო: დახურა უნივერსიტეტები, საშუალო სკოლები და დაშალა პროფკავშირები. რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ეთიოპიის სახალხო-რევოლუციური პარტია და ეთიოპიის საყოველთაო სოციალისტური მოძრაობა. ორივე პარტია მარქსისტული ორიენტაციისა იყო, თუმცა მენგისტუს მხარს უჭერდა მეორე, სახალხო-რევოლუციური პარტია კი მას და „დერგს“ რევოლუციის ღალატში ადანაშაულებდა და ბოლოსდაბოლოს რეჟიმის ფუნქციონერების შესაწყვეტად ტერორზე გადავიდა: კერძოდ, თავდასხმები განახორციელა რეჟიმის ლიდერებსა და თავად მენგისტუზეც; გაძარცვა რამდენიმე ბანკი და მოაწყო ხანძრები.

მენგისტუზე თავდასხმის შემდეგ, 1976 წლის სექტემბერში **დიქტატორმა ეთიოპიის სახალხო-რევოლუციური პარტიის დაშლა ბრძანა და წამოიწყო ოპოზიციის განადგურების კამპანია, რომელიც ისტორიაში „წითელი ტერორის“სახელწოდებით შევიდა.**

1977 წლის 17 აპრილს მენგისტუ ადის-აბებას მთავარ მოედანზე გამოვიდა, სადაც 6 წითელსითხიანი ბოთლი, რომლებიც „იმპერიალიზმის,“ „ფეოდალიზმისა“ და „ბიუროკრატიული კაპიტალიზმის“ სიმბოლიზებას ახდენდა, მიწაზე დაანარცხა და განაცხადა:

**„დაე, დაიღვაროს რევოლუციის მტერთა სისხლი! თეთრ ტერორს წითელი ტერორით უნდა ვუპასუხოთ!“. ეთიოპიის სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრები პირდაპირ დედაქალაქის ქუჩებში დახოცეს. ანტისამთავრობო საქმიანობაში ეჭვმიტანილებს იჭერდნენ და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ. გვამებს საერთო საფლავებში ან ქუჩებში ყრიდნენ, საიდანაც ისინი ნათესავებსა და ახლობლებს მიჰქონდათ.**

ეთიოპიის საყოველთაო სოციალისტური მოძრაობა დიქტატორს მხარს უჭერდა, თუმცა პარტიის მთავარი მფარველის — პოდპოლკოვნიკ ატნაფუ აბატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ამ ორგანიზაციის წევრებიც გაანადგურეს.

**მომდევნო წლებში „კონტრრევოლუციურ საქმიანობაში“ ეჭვმიტანილი ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, ძირითადად, სტუდენტები დახვრიტეს. შვილების გვამების მისაღებად მშობლებს იმ ტყვიების საფასური უნდა გადაეხადათ, რომლითაც ისინი ჩაცხრილეს. არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ტერორს ბავშვებიც ემსხვერპლნენ. მათი გვამები ადის-აბებასკენ მიმავალი გზის განაპირას ეყარა...**

კომუნისტური რიტორიკისა და „წითელი ტერორის“ სასტიკი კამპანიის გამო **მენგისტუს „წითელი მეფეთ მეფე“ და „ეთიოპელი ყასაბი“ შეარქვეს.** მიჩნეულია, რომ 1980-იან წლებში, ტერორს 100.000-ზე მეტი ეთიოპელი ემსხვერპლა. საბრალდებო დასკვნის მონაცემებით, დიქტატორმა პირადად გასცა 2.000 კაცის დახვრეტის ბრძანება, კიდევ 2.500 უდანაშაულო ადამიანი წამებით დაიღუპა. მენგისტუ გენოციდის ბრალდებას სასტიკად უარყოფდა და ამ მოვლენებს „კლასობრივ ბრძოლას“ უწოდებდა.

**მენგისტუ გეგმაზომიერად ანადგურებდა თანამოაზრე რევოლუციონერებსაც, წმენდა და რეპრესიები უკლებლივ ყველა ეთნოსის წარმომადგენლებს ეხებოდა.** ერთხელ კი დიქტატორს თავში „არაჩვეულებრივი“ აზრი მოუვიდა: მშრომელებს ეთნიკური განსხვავებისთვის ყურადღება რომ არ მიექციათ, ისინი ერთნაირ ფორმებში გამოეწყვნენ. ეს ლურჯი ფორმები კი მაო ძედუნისგან „ისესხეს“.

მონარქიის დროს სახელმწიფოს სათავეში ეთიოპიის მართლმადიდებლური ეკლესია იდგა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რევოლუციურმა მთავრობამ, მენგისტუ ჰაილე მარიამის ხელმძღვანელობით, მთელ ქვეყანაში ანტირელიგიური კამპანია წამოიწყო. უპირველესად, **ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნეს, უამრავი მონასტერი და ტაძარი დახურეს და მათი ქონება სახელმწიფოს გადასცეს, ეპისკოპოსები, მღვდლები და ბერები კი დააპატიმრეს ან დახოცეს.**

1987 წლის 22 თებერვალს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი და ის მენგისტუმ დაიკავა.

1984-1985 წლებში ქვეყანაში ძლიერი შიმშილობა დაიწყო, რომელსაც 8 მლნ კაცი ემსხვერპლა. ეთიოპიაში არსებული მდგომარეობის შესახებ მსოფლიომ რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყო, რადგან დიქტატორმა უმკაცრესი ტაბუ დაადო ინფორმაციას ქვეყანაში გამეფებულ ჰუმანიტარულ კრიზისზე.

მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რეჟიმის მოწინააღმდეგეებმა სამხედრო მოქმედებები გააააქტიურეს. შეიქმნა ეთიოპელ ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტი და 1991 წლისათვის სამთავრობო ჯარები მარტოდენ ადის-აბებასა და მის გარეუბნებს ინარჩუნებდნენ. 1989 წლის მაისში ოფიცერთა ჯგუფის სამხედრო გადატრიალება წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც შეთქმულების 12 მონაწილის სიკვდილით დასრულდა. მიუხედავად მკაცრი პოლიტიკისა, მენგისტუმ ქვეყნის დიდ ნაწილზე კონტროლი დაკარგა. ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტი ნელა, მაგრამ მტკიცედ ავიწროებდა ალყას ადის-აბებას გარშემო.

**პრეზიდენტი ყველანაირად ლამობდა თავისი მდგომარეობის შენარჩუნებას. მისი ბრძანებით დაიხურა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა სტუდენტებსაც ნაციის ხსნის სახელით ომში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.**

მმართველობის ბოლო კვირებში პრეზიდენტმა მეამბოხეებთან მოლაპარაკება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 21 მაისს იგი მეზობელ კენიაში გაფრინდა, საიდანაც ზიმბაბვეს მიაშურა. ამ დროისთვის ეთიოპიის დედაქალაქში ეთიოპელ ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის ჯარები შევიდნენ.

მენგისტუმ თავშესაფარი პოვა ზიმბაბვეში, სადაც იგი პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ საპატიო სტუმარივით მიიღო, თუმცა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არც ისე იოლი აღმოჩნდა: 1995 წლის 6 ნოემბერს მენგისტუ ჰაილე მარიამზე კვლავ განხორციელდა თავდასხმა, თუმცა ისევ უშედეგოდ.

2001 წელს მენგისტუ ჰაილე მარიამმა და მისი ოჯახის წევრებმა ზიმბაბვეში მუდმივი ცხოვრების უფლება მიიღეს. ერთი ვერსიით, ყოფილი დიქტატორი „მურამბატსვინას“ (ზიმბაბვეში ღარიბთა საცხოვრებელი კვარტლების სალიკვიდაციო ოპერაციის) ინიციატორი იყო. ამ ვერსიის თანახმად, ჰაილე მარიამი რობერტ მუგაბეს უსაფრთხოების საიდუმლო მრჩევლის ფუნქციებს დღესაც ასრულებს...



ტერორის მსხვერპლი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ასაჰარა სიოკოს ჭეშმარიტების სწავლება — «აუმ სინრიკე»

**1997 წლის 8 ოქტომბერს აშშ-მა გამოაქვეყნა იმ 30 ჯგუფის სია, რომლებსაც ტერორისტულ ორგანიზაციებად მიიჩნევდა. ამ ნუსხაში მოხვდნენ იაპონური რელიგიური სექტა „აუმ სინრიკე“ და „იაპონიის წითელი არმია.“**



ასაჰარა სიოკო



„აუმ სინკირეს“ წევრები



ასაჰარა მედიტაციისას



დალაი ლამა და ასაჰარა



ტერაქტი ტოკიოს მეტროში

საერთაშორისო ორგანიზაცია „აუმ სინრიკე“, რომელიც ტოტალიტარულ რელიგიურ სექტათა რიცხვს განეკუთვნება, ასაჰარა სიოკოს (ნამდვილი სახელი ჩიძუო მაცუმოტო) დაარსებულია.

იგი 1955 წელს დაიბადა კუმამოტოს პროვინციის სოფელ იაცუშიროში, ღარიბსა და მრავალშვილიან ოჯახში. ადრეულ ბავშვობაში გლაუკომის გამო ჩიძუო ცალი თვალით დაბრმავდა, ხოლო მეორეთი ძალიან ცუდად ხედავდა. ამიტომ ბრმათათვის გათვალისწინებულ ინტერნეტში სწავლობდა. სწორედ იქ შეისწავლა მანუალური თერაპია. ინტერნატის დასრულების შემდეგ ამაოდ ცდილობდა ტოკიოს უნივერსიტეტში მოხვედრას. 1978 წელს დაქორწინდა და ქალაქ ფუნაშაბის აფთიაქში დაიწყო მუშაობა, 1981 წელს კი საკუთარი აფთიაქი გახსნა, სადაც ფალსიფიცირებული წამლებით ვაჭრობდა, რის გამოც დააპატიმრეს, მაგრამ შედარებით მცირე ჯარიმა და აფთიაქის დახურვა აკმარეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, 1977 წლიდან მოყოლებული, იგი იოგათი იყო დაკავებული, მალე სპეციალური დარბაზიც გახსნა, სადაც თანამოაზრეთა გუნდი შემოიკრიბა, რომელიც თავს „აუმი შინსენ ნო-კაის“ უწოდებდა. მაცუმოტო ხანგრძლივ მოგზაურობაში გაეშურა ჰიმალაისკენ, სადაც „ჭეშმარიტება შეიმეცნა“ და „საბოლოო ხსნას ეზიარა“.

**უკან დაბრუნებულმა კი თავის ორგანიზაციას — „აუმ სინრიკე“ — „ჭეშმარიტი აუმის შესახებ სწავლება“ (აუმ-ი რთული ტანტრისტული მანტრა) უწოდა, თავად კი ასაჰარა სიოკო დაირქვა, რაც სიტყვასიტყვით „კანაფის ველზე მოციმციმე შუქს“ ნიშნავს. „აუმ სინრიკემ“ რელიგიური ორგანიზაციის სტატუსი შეიძინა და ბევრ იურიდიულ დოკუმენტში ბუდისტურ თემად მოიხსენიებოდა, თუმცა, სინამდვილეში ბუდიზმის, იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ასაჰარასეული ფილოსოფიის გაურკვეველ ნაზავს წარმოადგენდა.**

თავად ასაჰარას ფილოსოფია მარტოდენ ალტრუისტულ იდეებს ეფუძნებოდა, რომელთაგან უმთავრესი „კაცობრიობის ხსნა“ იყო. ეს „ხსნა“ კი სამ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო: ადამიანები სნეულებებისგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ, მიეღწიათ ბედნიერებისთვის ამ სამყაროში და ასევე მიეღწიათ გათავისუფლებისა და გასხივოსნებისთვის. ეს კი არც ისე რთული იყო:

**დასაწყისისათვის საჭირო იყო ორგანიზაციაში გაწევრება და საწევროს გადახდა (რაც მეტი, მით უკეთესი), ხოლო საბოლოოდ — სახლიდან წასვლა და მთელი ქონების „აუმ სინრიკესთვის“ გადაცემა.**

ვისაც ხელმოკლეობის გამო საწევროს გადახდა არ შეეძლო, ორგანიზაციაში იმასაც ილებდნენ და ფურცლების დარიგებას, პლაკატების გაკვრასა და სექტაში მდიდარი ხალხის მოზიდვას ავალებდნენ. ამავე სამუშაოებს ატარებდნენ სექტის რიგითი წევრებიც, მაგრამ შედარებით ნაკლები მოცულობით. თითოეული ნეოფიტისთვის, ფურცლების დარიგებისა და განცხადებების გაკვრისთვის, ასაჰარას წიგნების გავრცელებისთვის ადეპტი (ქურუმი) ქულებს იღებდა, რომელთა შედეგებითაც შეეძლო სწავლების მომდევნო საფეხურზე გადასვლა და, შესაბამისად, ხსნისკენ სავალი გზის შემოკლება. „აუმ სინრიკეს“ წევრები ყველაფრისთვის ფულს იხდიდნენ: რიტუალებში მონაწილეობისათვის, სემინარებისათვის, სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის და ა.შ.

**რიგითი სექტანტებისათვის სპეციალური პრეისკურანტიც კი არსებობდა: მაგალითად, იმ წყლით სავსე ჭურჭელი, რომელშიც ბანაობაც თავად ასაჰარამ ინება, 200 დოლარი ღირდა, „შაქტიატის“ რიტუალი, ანუ უფრო მაღალ დონეზე მყოფი სექტანტის შუბლზე ხელით შეხება — 500 დოლარი, მასწავლებლის სისხლის გასინჯვა — 10.000 დოლარი, ხოლო ასაჰარა სიოკოსთან პირადი 3-წუთიანი შეხვედრა — 100 დოლარი...**

1995 წლისათვის სექტა — იაპონიაში 10 ათასამდე წევრს, ხოლო რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ავსტრალიაში, შრი-ლანკაში, ყოფილ იუგოსლავიასა და სსრკ-ში 40.000 კაცზე მეტს ითვლიდა.

**1995 წლის 20 მარტს ტოკიოს მეტროს 16 სადგურში უცნობმა პირებმა ნერვულ-პარალიტიკური გაზი ზარინი გაუშვეს.** ყველა სადგურზე მოვლენები ერთი და იმავე სცენარით ვითარდებოდა: მეტროს ვაგონიდან გამოდიოდა მზის სათვალიანი კაცი, რომელიც სავარძელზე „შემთხვევით“ ტოვებდა გაზეთში გახვეულ პაკეტს.

სანამ მატარებელი მორიგ სადგურს მიაღწევდა, ვაგონში მყოფი ხალხის ნახევარი უკვე მოწამლული იყო, ხოლო კარის გაღებისთანავე პლატფორმაზე მყოფი ადამიანები მომწამლავი ნივთიერების დოზას ღებულობდნენ. მოიწამლნენ შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული პოლიციელებიცა და მეხანძრეებიც. ტოკიოს მეტროში მოძრაობა შეწყდა, სადგურები დაიკეტა. მოგვიანებით პოლიციამ აღმოაჩინა ზარინით სავსე 6 კონტეინერი. არც ასაჰარას და არც სექტის სხვა წევრებს დაკავებისას არ უთქვამთ, რა მიზნით მოაწყვეს გაზის იერიში. შესაძლოა, **სექტანტებს ტოკიოში პანიკის დათესვა სურდათ იმ მიზნით, რომ აურზაურის წყალობით ხელისუფლების სათავეში მოსულიყვნენ ან გადაწყვიტეს, მასწავლებლის მიერ ნაწინასწარმეტყველები სამყაროს აღსასრული დაეჩქარებინათ.**

იაპონიის ხელისუფლება მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის მზად არ იყო — ამ ქვეყანაში არასდროს მოუწყვიათ ტერორისტული აქტი. თუმცა მალე გაიხსენეს 1994 წელი, **ნაგანოს პრეფექტურაში მომხდარი ინციდენტი, როცა ამგვარივე გაზით საცხოვრებელ კვარტლებში 7 კაცი მოიწამლა, ხოლო შორიახლო იატაკქვეშა ქიმიური ლაბორატორია აღმოაჩინეს.** იმ დროისათვის „აუმ სინრიკესთან“ დაკავშირებით უკვე რამდენიმე სკანდალი მოხდა, რომლებიც მისივე წევრების თვითმკვლელობებმა და მკვლელობებმა გამოიწვია.

**ტოკიოს მეტროსადგურში ზარინის გაფრქვევის შედეგად დაიღუპა 120 და მძიმედ მოიწამლა 5.5 ათასი კაცი.** როგორც ჩანს, ასაჰარა სიოკოსეული „კაცობრიობის ხსნა“ საყოველთაოდ მიღებულისგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

1995 წლის 22 მარტს პოლიციამ სანქცია მიიღო „აუმ სინრიკეს“ კუთვნილი 25 წერტილის გასაჩხრეკად. ოპერაციაში 2.5 ათასი პოლიციელი და ტერორიზმთან მებრძოლი სპეცრაზმები ჩართეს.

**სპეცოპერაციის მიმდინარეობისას სექტის ერთ-ერთ შენობაში დისტროფიისნიშნებიანი და კომაში მყოფი 50 კაცი, ზარინის დასამზადებლად საჭირო რეაქტივებით სავსე ათობით ჭურჭელი, აირწინაღები და სპეცტანსაცმელი აღმოაჩინეს.**

ასევე, ჩხრეკისას გაირკვა, რომ „აუმ სინრიკე“ ბაქტერიოლოგიური იარაღის დამზადებითაც იყო დაკავებული — შენობაში ბიოქიმიის შემსწავლელი წიგნები, ბაქტერიების მკვებავი „ბულიონები“ და საინკუბაციო ხელსაწყოები იპოვეს. ამას გარდა, **იქვე აღმოაჩინეს მუყაოს ყუთები, რომლებშიც 7 მლნ დოლარი და ოქროს ზოდები იდო.**

მასობრივი ჩხრეკიდან რამდენიმე დღეში თავს დაესხნენ იაპონიის პოლიციის უფროს კოძი კუნიმაცუს, რომელმაც „აუმ სინრიკეს“ სამფლობელოში ფართომასშტაბიანი ჩხრეკის ბრძანება გასცა. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან სწრაფად მიიმალა. იაპონიის ხელისუფლებამ მაშინვე გასცა ბრძანება ორგანიზაცია „აუმ სინრიკეს“ მთელი ხელმძღვანელობის, უპირველესად კი, ასაჰარას დაკავების შესახებ, რომელიც იმ დროისათვის თვალთახედვის არედან გაუჩინარდა. **პოლიციამ დააკავა სექტის რამდენიმე ათეული წევრი, მათ შორის, ტოკიოში მოწყობილი ტერაქტის უშუალო შემსრულებლები, რომელთა ცნობითაც ასაჰარამ პირადად გასცა გაზის გაშვების ბრძანება.** სექტის ხელმძღვანელთა მასობრივი დაკავებისას „აუმ სინრიკეს“ ტოკიოს შტაბბინაში სამეცნიერო კვლევებისა და მომწამლავი ნივთიერებების წარმოების ხელმძღვანელის, ქიმიკოს ჰიძეო მურაის გვამი აღმოაჩინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი ასაჰარას ბრძანებით მოკლეს.

იმავე წლის 5 მაისს, მასობრივი ჩხრეკებისა და დაკავებების პასუხად, კიდევ ერთი ტერაქტის მოწყობის მცდელობას ჰქონდა ადგილი, რაც დამლაგებლის წყალობით აღკვეთეს, რომელმაც ტოკიოში, სინძიუკუს რაიონში, უზარმაზარი მიწისქვეშა კვარტლის საპირფარეშოში გაზით სავსე ჭურჭელი აღმოაჩინა. იპოვეს ასევე, მომწამლავი ნივთიერებებიანი რამდენიმე პაკეტი. **გაზს რომ გააქტიურება მოესწრო, რამდენიმე ათასი კაცი დაიღუპებოდა.**

მეტროში მოწყობილი ტერაქტიდან ორი თვის შემდეგ, ქვეყნის ტერიტორიაზე, 130 რაიონში მოწყობილი პოლიციის რეიდის შედეგად, 1995 წლის 16 მაისს ასაჰარა სიოკო დააპატიმრეს. დაკავების მომენტში იგი მედიტირებდა... რელიგიური ორგანიზაცია „აუმ სინრიკეს“ საქმიანობა ოფიციალურად აკრძალეს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სექტის საბანკო ანგარიშები და ქონება — მიწის ნაკვეთები (136 ათასი კვ.მ) და ქვეყნის 10 პრეფექტურაში მდებარე 16 შენობა დააყადაღეს.

**1995 წლის მდგომარეობით, ეს ქონება 29 მლნ დოლარად იყო შეფასებული. 1997 წლის მარტში იაპონიის ხელისუფლებამ ორგანიზაციის კუთვნილი ობიექტების დემონტაჟი დაიწყო, გამოძიებისთვის ხელუხლებელი დატოვეს მხოლოდ სამი შენობა, სადაც სექტანტები მომწამლავ ნივთიერებებსა და ბაქტერიოლოგიურ იარაღს აწარმოებდნენ.**

სიოკო ასაჰარას სასამართლო პროცესი 8 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სასამართლოს წინაშე სექტის 189 წევრი წარდგა, რომელთაგან 11-ს სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდეს. ასაჰარას 17 დანაშაულსა და ორ ტერაქტში დასდეს ბრალი. თავად ბრალდებული პროცესს გულგრილად ადევნებდა თვალს და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

„აუმ სინრიკეს“ ლიდერს განაჩენი 2004 წლის 27 თებერვალს ტოკიოში გამოუტანეს. პროკურორის საბრალდებო სიტყვა 4 საათს გაგრძელდა. მოსამართლის განაჩენი კი ასე ჟღერდა: „მას ბრალი ედება „აუმ სინრიკეს“ სექტის მეშვეობით იაპონიის მმართველად გადაქცევის მცდელობაში. ასევე, იმ ხალხის მკვლელობაში, რომლებიც მის შეთქმულებას წინ აღუდგნენ. იგი სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებს“. ჩამოხრჩობის განაჩენი სიოკო ასაჰარამ ფეხზე მდგარმა მოისმინა.

„აუმ სინრიკეს“ საქმიანობის აკრძალვის მიუხედავად, ორგანიზაცია არსებობას განაგრძობს და მთელ იაპონიაში 30-მდე თემს ითვლის. **ახლა მას „ალეფი“ ეწოდება და იოგას, საბრძოლო ხელოვნებებისა და ასტროლოგიის აქტიურ პროპაგანდას ეწევა ახალგაზრდებში.** სექტა უწინდებურად თაყვანს სცემს „მის უწმინდესობას, ჭეშმარიტების სულს, სწორუპოვარ მასწავლებელს“ ასაჰარა სიოკოს...

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამი ეპოქა

## დბანისხევი



**ექსპედიციების დროს ყველაფერი გეგმის მიხედვით როდი ხორციელდება. უამრავი ხელისშემშლელი მიზეზის გამო (წუწუნში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ ხელისშემწყობზე მეტი ხელისშემშლელი მყავს), ზოგჯერ მარშრუტის გამრუდება და პრიორიტეტების ამორჩევა გიხდება. მაგრამ გადის დრო და ეჭვი გიჩნდება, რამდენად სწორი იყო გადადგმული ნაბიჯი. ამიტომ, ცხრაპირ ტყავში ძვრები, რომ გეგმიდან ამოვარდნილი ძეგლები უნახავი არ დატოვო. ასე მოხდა დბანისხევშიც. ამიტომ, ზურტაკეტის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავუბრუნდით მას, დავუბრუნდით და არც ვინანეთ, რადგან სამი განსხვავებული ეპოქის — V, VIII და XII საუკუნეების მშვენიერი ძეგლები ვნახეთ.**

თავდაპირველად უკანგორში შევდივართ და მის ორკარიან საყდარს უფრო დეტალურად ვილებთ. იგი ნაგებია მოყვითალო ქვიშაქვის გათლილი, აქა-იქ არაზუსტი მართკუთხა კვადრებით. ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი საკმაოდ გაფართოებულია სადიაკვნოს ხარჯზე. როგორც მთავარ დარბაზში, ისე ამ დარბაზიდან სადიაკვნოში შემავალი კარი ორივე მხრიდან არქიტრავულია. სამკვეთლო ცალკე არ არსებობს, ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხევლის სიახლოვეს მოზრდილი ემბაზის ქვაა. მთავარი დარბაზის არქიტრავული კარის თავზე, ასევე, არქიტრავული, მართკუთხა სარკმელია. როგორც მთავარი დარბაზის, ისე სადიაკვნეს გადახურვა კამარულია, აფსიდი და კონქი კი მხოლოდ მთავარი დარბაზის საკურთხეველს აქვს. ეს საკურთხეველი ძალიან განიერი მხრებით მკვეთრად ემიჯნება დარბაზს. კონქი და კამარული გადახურვის ნახევარი თავის ადგილზეა, მაგრამ კარიდან დასავლეთით მთლიანად ჩაქცეულია. ტაძარს გამორჩეული სამკაულები არ აქვს. თუმცა აქა-იქ გვხვდება საკურთხევლის სამხრეთი მხარის კაპიტელის მარტივი, გალეული ჩუქურთმა, პილასტრების ბაზისთა ხაზები, საკურთხევლის ფართო სარკმელში, გამაგრების მიზნით, მოგვიანებით შედგმული ჯვრიანი სტელა და სამხრეთ-დასავლეთ ფასადურ ნაწილში, ასევე, მოგვიანებით ჩადგმული ჩუქურთმიანი ფრაგმენტი.

**ეკლესიის ხელახალი დათვალიერებისას ამ პატარა სოფლის ორი მკვიდრი მამა-შვილი ვალერიან და დავით მიქელაძეები გამოგვეხმაურნენ. ვალერიან მიქელაძე გვიამბობს, რომ დიდი ხნის წინათ, არქეოლოგიური გათხრების დროს, საკურთხევლის წინ უნახავთ ერთი საფლავი, რომლის ცხედარს თურმე მას შემდეგ დაუწყია დაშლა, რაც სინათლის სხივი მოხვედრია.**

მიქელაძეები იმასაც გვეუბნებიან, რომ უძველესი სოფლის ტერიტორიაზე, ძალიან ბევრ ადგილზე, ქვევრები ჩნდება ხოლმე ხანგამოშვებით. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან მახლობლად, ე.წ. **კვრინჩხიანში** კიდევ ორი ტაძარი დგას, ოდნავ მოშორებით კი მესამე — **თუნიანთ ეკლესია**. ამდენად, სულ რაღაც 1 კვ. კილომეტრის ფართობზე 4 ეკლესიაა: ორი — V-VI საუკუნეებისა და ორიც — გვიანი შუასაუკუნეების. აქტიური სასოფლო ცხოვრების ამაზე მეტი დასტური რაღა უნდა იყოს. სავარაუდოა ისიც, რომ მეზობელი ბალიჭის ხეობის მსგავსად, აქ — დამბლუტშიც იყო შენიშნული მადნეულის ძარღვები, რადგან XIX საუკუნის მოგზაური გიულდენშტედტი, რომელიც მეფის რუსეთის კანცელარიის მიერ საგანგებოდ იყო მოვლინებული ჩვენი წიაღისეულის შესასწავლად, როგორც თავად წერს, „დაჟინებით მოითხოვდა გამგზავრებას დამბლუტში“. დამბლეტისა და უკანგორის შესახებ აქ ვასრულებთ საუბარს, რადგან დანარჩენი ინფორმაცია ამავე გაზეთის 2010 წლის 22-ე ნომერში გვაქვს გამოქვეყნებული.



უკანგორის ორკავიანი საყდარი

პატარა დმანისის „წმ.ბარბარე“

დამბლუტის ხეობიდან მაშავერაში ვბრუნდებით, იქიდან კი სომხეთისაკენ მიმავალ გზას ვადგებით მდინარე ფრეზაურის აყოლებაზე. თავდაპირველად იქვე, პატარა დმანისში, გზის პირას რომ ნაეკლესიარია (9,3X5,7 მ), ის გვაქვს სანახავი. პირველი შთაბეჭდილება უცნაურია: ამგვარად ნაგები ეკლესია, მგონი, ადრე არც შეგვხვედრია. სხვადასხვა ზომის, ფერისა და ჯიშის ქვები ისე იყურება, იფიქრებ, ბაყბაყდევმა მუჭით შეაყარა სველ დუღაბსო... ამას ქაოსური წყობაც კი არ ეთქმის. ტაძარი VIII-IX საუკუნეების ნაგებობა უნდა იყოს, მაგრამ, ჩანს, ხშირად შეუკეთებიათ. ამის ერთ-ერთი მაგალითია, საკურთხევლის აფსიდის ნიშში, მხრის ანყოლში და კარის წირთხლში ჩადგმული გაცილებით გვიანდელი, რომელიღაც სხვა ეკლესიის მოცისფრო, ჩუქურთმიანი ქვები.



საკირე. „ყიზილქილისა“





გზას ვაგრძელებთ. გუგუთამდე კარგა მანძილით აქეთ, გზიდან ხელმარჯვნივ და ზევით, ორ კილომეტრში სოფელი საკირეა. რა ერქვა ამ სოფელს ადრე, ვახუშტის რუკის მიხედვით, დაუდგენელია. ახლა აქ 100-დან 20 კომლიღა შემორჩა. მათ შორის არიან თარაქამები, ბერძნები და ერთიც მესტიის რაიონის სოფელ ფარიდან მოსული ნარსავიძეების ოჯახი.

სოფლამდე რვაასი მეტრით აქეთ, ხელმარჯვნივ ერთი აბალახებული გზა შედის. მას მცირე ხევის პირას, გამორჩეულ კორომში მდგარ ეკლესიამდე მივყავართ. ამ ეკლესიისთვის, ისევე, როგორც ყველა წითელი საყდრისთვის, თარაქამებს სახელად **ყიზელქილისა** დაურქმევიათ, მაგრამ ეს ყიზილქილისა ხუროთმოძღვრულად ყველას სჯობს.

ტაძარი გალავანში ყოფილა მოქცეული, მაგრამ ახლა მხოლოდ მისი დასავლეთ ფრაგმენტია შემონახული. ეკლესიის გვერდით და თავად ეკლესიის ქვემოდანაც წყარო მოწანწკარებს. წყალი საამო დასალევია, მითუმეტეს პაპანაქებიდან ამ სამოთხეში მოხვედრილი კაცისთვის, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ერთ დროს მისგან გამოთხრილი საყდრის სამხრეთის კედელი დიდი გაჭირვებით აღუდგენიათ. ეკლესია (10,1X4,1 მ) ნაგებია კარგად გათლილი ჟღალი ქვიშაქვით. მისი ჩრდილოეთი ნაწილი კლდეზეა მიკრული და შიგ ორი ღრმა ნიშია შეჭრილი. ფრაგმენტული შეკეთების კვალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ტაძრის კედლები კრიალაა. სამწუხაროა, რომ ბოლშევიკურ ეპოქაში ეკლესიის ფასადის ქვედა ნაწილი კირით შეუღებავთ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას ბეღლად იყენებდნენ.

**საყდრის დასავლეთ ფრონტონში, ვიწრო სარკმლის თავზე, „გოლგოთის ჯვრიანი“ ქვაა ჩასმული, აღმოსავლეთ სარკმლის თავზე კი, მოგვიანებით, სხვა, გაცილებით დიდი, სარკმლის თავსართი ქვა ჩაუდგამთ თავდაყირა. აქვე, კიდევ უფრო მაღლა, ძალიან საინტერესო სტელის ფრაგმენტებია ჩატანებული შეკეთების დროს. ერთ-ერთ ფრაგმენტზე ბოლნური ჯვრისა და ფარშავანგის სხეულის ქვედა ნაწილი მოჩანს. თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს, თუ უფრო ადრინდელი არა, V-VI საუკუნეების სტელის ნაწილებია, რომლებიც ტაძრის ტერიტორიაზე ეყრებოდა.**

ჩვენ შევეცადეთ და ერთ-ერთი სტელის ფრაგმენტიდან ფარშევანგების კომპოზიცია აღვადგინეთ. ადრეშუასაუკუნეების ეპოქით სუნთქავს ტაძრის შიგნით, საკურთხევლის მხრების კაპიტელთა მორთულობა, რომლებიც, ისევე, როგორც საყდრის მთელი შიდა კედლები, კირით არის შეთხუპნილი. მარჯვენა კაპიტელზე ბოლნური ჯვარი, სტილიზებული ხეები და ვაზის მტევანია გამოსახული, მარცხენა კაპიტელზე ამათ თევზიც ემატება. ასეთი რელიეფები სიახლოვეს პოულობს დიდი გომარეთის შიბაშიანთ უბნის სტელებთან.

საკირის ტაძარი VII-VIII საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს და რაოდენ სამწუხარო იქნება, თუ დროზე ვერ ვუშველეთ. სახურავზე, სამხრეთ სარკმლის თავზე, უზარმაზარი ხეა ამოსული, რომელიც დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად დაანგრევს ეკლესიას.

ფინეზაურის ერთი შესართავის ხეობიდან მეორე შესართავის ხეობაში გადავდივართ, რომლისთვისაც თარაქამებს **ყარასუ** შეურქმევიათ. მათივე შერქმეული უნდა იყოს ხეობის უმთავრესი სოფლის ახალი სახელწოდება — **ჰამამლუ,** რომელიც, ვახუშტი ბატონიშვილის რუკის მიხედვით, ძველი **თაგუთი** უნდა იყოს. ეკლესია, რომელიც გვაინტერესებს, მცირე ხევს გაღმა, სოფლიდან მოშორებით, ტყეში უნდა იდგეს და ჩვენც აღმოსავლეთის მიმართულებით ვაგრძელებთ გზას. არც თუ ისე შორს, ზედ გზის პირზე, ძველი სასაფლაოს ნაშთები გვხვდება. სოფელიც აქვე იქნებოდა ადრე, მაგრამ მისი კვალი არ ჩანს. ნასახლართა ქვები კი გამოუყენებიათ ახალმოშენეებს, მაგრამ საფლავებს ვერ მიჰკარებიან. მწვანე კორდი საფლავის ლოდებითაა მოფენილი. ბევრ მათგანზე ქალისა თუ კაცის რელიეფური გამოსახულებაა, ბევრზეც რაღაც ნიშნები ბჟუტავს. ერთგან ორად გაყოფილი შეკაზმული ბედაურის ქანდაკებას გადავაწყდით, მეორეგან — ნაეკლესიარის ზეძირკველს, მესამეგან — ბალავრის ქვას, მეოთხეგან — ცალკე სტელას და ცალკე პოსტამენტს.

ტყეში შევდივართ. ჰამამლუელი მეგზური გაკვალული გზიდან მარცხნივ გადახვევას გვირჩევს. მალე მიწიდან აქა-იქ ამოშვერილი ვეება ლოდების წრეში ვექცევით. ეს ყორე გალავნის ნაშთებია... ეკლესიაც აქვეა. იგი დიდი არ არის (6,6X4,5 მ), მაგრამ ძალიან ლამაზია. ამ სილამაზეს ქმნის მოწითალო, მოვარდისფრო, მწვანე, ჭაობისფერი და რუხი ქვების ისეთი მონაცვლეობა, რომელიც ყვავილოვანი მინდვრის პალიტრასთან ასოცირდება. ქვებს პირი გათლილი აქვს, მაგრამ კვადრების ფორმებს ყურადღება არ ექცევა. ასე რომ იყოს, სხვადასხვა ფერის ქვები საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემდა. ერთადერთი სამხრეთ კარის თავზე ვეება შირიმის ქვის ბალავარია გადებული. მასზე ორმაგი ნახევარწრიული ხაზია გადარკალული, ნახევარწრეში კი გოლგოთის ჯვარია ამოკვეთილი. კარი შიგნიდან თაღოვანია. ეკლესია შელესილი და მოხატული ყოფილა. საკურთხეველში დგას უძველესი, ტაძრის თანადროული, ტრაპეზის ქვა, რომელზეც, წინა მხარეს, განედლებული ჯვარია გამოსახული. ფასადების მდიდარი პალიტრის გამო, ხუროთმოძღვარს კედლების სამკაულებით მორთვაზე, რა თქმა უნდა, არ უფიქრია.

**ერთადერთი გამონაკლისი დასავლეთ ფრონტონის ბოლოში გვიან ჩადმული სტელის ფრაგმენტია. მის ზევით ორი მოზრდილი ქვის ბუდეა, თავად ქვები კი სახელმწიფო მუზეუმშია გადმოტანილი. ქვ. ქართლის ცნობილმა მკვლევარმა ლევან მუსხელიშვილმა მთელი გამოკვლევა მიუძღვნა ამ ქვების მოკლე ასომთავრულ წარწერებს: „ქ. ადიდენ ღმერთმან მეფეთ-მეფე თამარ, ერისთავი კახაი“, „ქრისტე შეინდენ ბეღელის ძე ოქროპირ და კრავაი, ძენი მათნი, მისნი მაშენებელნი“.**

ღვაწლმოსილი მეცნიერი თავის გამოკვლევაში, რომელიც სხვა უამრავ საბუთსაც ეყრდნობოდა, დაასკვნის, რომ: 1. კახაის სახით საქმე გვაქვს დიდ კახა თორელთან; 2. კრავაი არის ამ კახაის დედა და ამირსპასალარ გამრეკელ თორელის მეუღლე ანუ ის კრავაი ჯაყელი, რომელიც, ხვაშაქ ცოქალთან ერთად, მოიხსენიება თამარის სეფექალებში; 3. თორელები არიან იმ სამძივართა შთამომავალნი, რომლებიც ანდრია მოციქულის საქართველოში, კერძოდ კი აწყურში, ყოფნის დროს ჩანან სამძივრის ქვრივის და მისი შვილის სახით. ხსენებულმა გამოკვლევამ საბოლოოდ გადაჭრა თორელთა უდიდესი გვარის წარმომავლობის საკითხი. ამ ღვაწლში თავისი წილი, მეცნიერთან ერთად, ჰამამლუს კოპწია ეკლესიამაც შეიტანა.





ჰამამლუს ეკლესია და მისი წარწერა

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

# გენერალი ვლადიმერ იაშვილი

**1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მონაწილე სხვა ქართველებს შორის მოხსენიებულია ორი ძმა იაშვილი, ვლადიმერ მიხეილის ძე (1764-1815 წწ.), გენერალ-მაიორი, და ლევან მიხეილის ძე (1768-1836 წწ.), გენერალ-ლეიტენანტი, 1819 წლიდან კი — არტილერიის სრული გენერალი.**

ვლადიმერ იაშვილის მონაწილეობა სამამულო ომში მეტად ხანმოკლე იყო და, ალბათ, ამიტომაა, რომ იგი ბაგრატ ბატონიშვილის სიაში არაა მოხსენიებული. ომის დაწყების წინ, როგორც იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, იგი კალუგის გუბერნიაში გადაასახლეს.

ჩვენამდე მოაღწია მისმა წერილმა იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი, რომელიც ადასტურებს იაშვილის მონაწილეობას პავლეს მკვლელობაში და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მისი გადასახლების ნამდვილ მიზეზებზე. **„ხელმწიფევ,** — ვკითხულობთ წერილში, — **რა წუთიდან მამათქვენი ტახტზე ავიდა, მე გადავწყვიტე, თუკი ეს საჭირო იქნებოდა, თავი შემეწირა რუსეთის კეთილდღეობისათვის, უბედური რუსეთისათვის, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ შემთხვევითი პირების სათამაშო ასპარეზად იქცა და ბოლოს — მსხვერპლადაც... ჩვენს სამშობლოს თვითმპყრობელი ხელისუფლება მართავს, მილიონების ბედი დამოკიდებულია ერთი ადამიანის ჭკუასა და სულგრძელობაზე. პეტრე დიდი სახელოვნად ეზიდებოდა მძიმე ტვირთს და მისი ბრძნული მმართველობის დროს ქვეყანა ისვენებდა; მაგრამ გენიოსები იშვიათნი არიან... ღმერთმა იცის, რომ ჩვენი ხელები სისხლით შეიღება არა ანგარების გამო: ნეტავ, მსხვერპლი უშედეგო ნუ იქნება. შეიგნეთ თქვენი უმაღლესი მოვალეობა, იყავით ტახტზე, თუ შესაძლებელია, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გახსოვდეთ, რომ სასოწარკვეთილებისთვისაც არსებობს საშუალება და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვამდე. ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს, აქვს უფლება, ეს გითხრათ... მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ, რადგანაც არაფერი არ მსურს და, თუ თქვენი დიდების გადასარჩენად, რომელიც ჩემთვის ძვირფასია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რუსეთის დიდებაა, საჭიროა ჩემი სიკვდილი, მე ამისათვის მზად ვარ. მაგრამ ამას აზრი არ აქვს, მთელი ბრალი ჩვენ გვაწვება. მაგრამ ამაზე დიდ დანაშაულებსაც ფარავს სამეფო მანტია. მივდივარ ჩემს სოფელში, შევეცდები, იქ გამოვიყენო სისხლიანი გაკვეთილები და ვიზრუნო ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. მეფეთა მეფე ან შემიწყალებს, ან დამსჯის, სიკვდილის წინ ვევედრები მას, რომ ჩემი მსხვერპლი უშედეგო არ აღმოჩნდეს!**

**მშვიდობით, ხელმწიფევ! მეფის წინაშე მე სამშობლოს მხსნელი ვარ, ხოლო შვილის წინაშე — მკვლელი...“.**

სამწუხაროდ, წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ ფრაზა „მივდივარ ჩემს სოფელში“ — მიგვითითებს, რომ იგი დაწერილია პეტერბურგიდან იაშვილის გასვლის წინ, 1803 წლის დასაწყისში, როგორც ეს სხვა საბუთებიდან ჩანს.

წერილში იაშვილი აშკარად ასახელებს თავის თავს შეთქმულების მონაწილედ. მან, როგორც ჩანს, კარგად იცოდა პავლე I-ის მიერ დამკვიდრებული რეჟიმით საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილების თაობაზე და, ალბათ, ამიტომაც ეგონა, რომ იმპერატორის მოკვლით ქვეყანა ტირანიისგან გათავისუფლდებოდა.

**ძირითადი მიზეზები, რომელთაც განაპირობეს იაშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში, ჩვენი აზრით, შემდეგია: პირველი, პრუსიული სამხედრო სისტემის დანერგვა რუსეთში; მეორე, ტირანული ხელისუფლების შეზღუდვისა და არისტოკრატიული კონსტიტუციის პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის დამყარების სურვილი და, დასასრულ, მესამე, პირადი ანტიპათია პავლე პირველისადმი, რომელიც ესოდენ აშკარად იგრძნობა ზემოთ მოტანილ წერილში.**

იბადება კითხვა, რატომ მოეპყრო ასე მკაცრად ვლადიმერ იაშვილს ალექსანდრე I, რომელიც თვითონ იყო შეთქმულების მონაწილე? რატომ გაუსწორდა ასე სასტიკად შეთქმულთა ნაწილს (პალენი, იაშვილი), ხოლო ზოგიერთს ხელიც არ ახლო (მაგ., ბენიგსენს)? საქმე ისაა, რომ იმპერატორი სრულ დამოკიდებულებას გრძნობდა იმ პირთაგან, რომლებმაც იგი ტახტზე აიყვანეს. მან შესანიშნავად იცოდა, რომ 1801 წლის 11 მარტის ამბების მონაწილეთა მთავარი მიზანი თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვა და არისტოკრატიული კონსტიტუციის მიღება იყო, რაც მას ოდნავადაც არ აძლევდა ხელს. იგი ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა თავისი ხელისუფლების შეზღუდვას.

აქედან გამომდინარე **შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე სწორედ მათ გაუსწორდა, ვინც სხვებზე მეტად ეძებდა გარკვეულ მდგომარეობასა და გავლენას სამეფო კარზე. ასეთთა რიცხვს, ჩანს, ვლადიმერ იაშვილიც ეკუთვნოდა. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვისიც ახალ იმპერატორს ეშინოდა. „იყავით ტახტზე, თუ შესაძლებელია, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გახსოვდეთ, რომ სასოწარკვეთილებისთვისაც არსებობს საშუალება და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვამდე, ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს, აქვს უფლება, ეს გითხრათ... მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ, რადგანაც არაფერი არ მსურს...“**

ბუნებრივია, რომ ალექსანდრეს ამგვარი წერილის ავტორი ხელისუფლებისათვის საშიშ პიროვნებად შეეძლო მიეჩნია. ერთადერთ გამოსავალს იგი მის მოშორებაში ხედავდა. ამიტომ გადაასახლა კიდევაც ვლადიმერ იაშვილი 1803 წლის დასაწყისში მის მამულში, კალუგის გუბერნიის სოფელ მურომცევოში, დაუწესა პოლიციის მეთვალყურეობა და აუკრძალა ორივე დედაქალაქში გამოჩენა.

სწორედ აქ მოუსწრო მას სამამულო ომმა. იაშვილს, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაატარა და არაერთხელ ასახელა რუსული იარაღი, ამჯერადაც მოუნდომებია თავისი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს სასარგებლოდ გამოეყენებინა, მაგრამ რადგანაც იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მისი სურვილის განხორციელება საგანგებო ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. დახმარებისთვის მან გენერალ-ლეიტენანტ შეპელევს მიმართა, რომელიც იმ დროს კალუგის გუბერნიაში განლაგებული ჯარების სარდალი იყო. **იაშვილი სთხოვდა შეპელევს, ეშუამდგომლა სათანადო პირთა წინაშე, რათა მისთვის ნება დაერთოთ, მონაწილეობა მიეღო ნაპოლეონის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში.** შეპელევი, ჩანს, თანაგრძნობით შეხვდა მის თხოვნას და, რადგანაც ამ საკითხის გადაჭრა თვითონ არ შეეძლო, 1812 წლის 30 აგვისტოს მისწერა კუტუზოვს, რომ **„სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი, რომელსაც... ორივე სატახტო ქალაქში აკრძალული აქვს ჩასვლა, ითხოვს ჩემს შუამდგომლობას თქვენი ბრწყინვალების წინაშე, რათა კეთილი ინებოთ და ღირსი გახადოთ იგი თქვენი მაღალი მფარველობისა“.** ამის შემდეგ შეპელევი მაღალ შეფასებას აძლევს იაშვილის ადრინდელ სამხედრო დამსახურებას და სთხოვს კუტუზოვს, დართოს ნება გადამდგარ გენერალს, იმსახუროს მის, შეპელევის, ნაწილებში.

ფელდმარშალმა დააკმაყოფილა შეპელევის შუამდგომლობა და 1812 წლის 17 სექტემბერს წერილობით აცნობა მას: **„თქვენი აღმატებულების წარდგენის თაობაზე გაუწყებთ, რომ თანახმა ვარ, მიიღოთ გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი კალუგის სახალხო რაზმეულის სამსახურში...“**

გენერალმა შეპელევმა მთავარსარდლის განკარგულება წარუდგინა კალუგის გუბერნატორს, რომელიც იაშვილზე პოლიციის მეთვალყურეობას ახორციელებდა.

გუბერნატორი დაემორჩილა კუტუზოვის განკარგულებას, მაგრამ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი დაწვრილებით პოლიციის მინისტრს აცნობა. მანვე 23 სექტემბერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა კუტუზოვს: **„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უზენაესი განკარგულებით ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა გენერალ-მაიორი თავადი იაშვილი, რომელსაც დედაქალაქში გამოცხადება აკრძალული ჰქონდა... ამჟამად გენერალ-ლეიტენანტმა შეპელევმა მაახლა თქვენი ბრწყინვალების ამა თვის 17 რიცხვის №91 განკარგულების ასლი დასახელებული თავადი იაშვილის კალუგის სახალხო რაზმეულში სამსახურში გამწესების თაობაზე. ამის შესასრულებლად დავავალე სამაზრო პოლიციის უფროსს, ზედამხედველობა შეეწყვიტა და ამის შესახებ ეცნობებინა ბატონ პოლიციის მინისტრისთვის...“**

ვიდრე კუტუზოვი ამ წერილს მიიღებდა, კალუგის გუბერნიაში შეიქმნა სახალხო რაზმეული, რომელსაც შეუერთეს რეგულარული ჯარის ნაწილები. ამ შენაერთების მეთაურად დანიშნეს გენერალ-მაიორი ვლადიმერ იაშვილი. ახლადშექმნილ ნაწილებს ებრძანა „როსლავლისკენ წასვლა, იქიდან მოწინააღმდეგის გამოგდება და ბრიანსკის დაცვით მის კომუნიკაციაზე მოქმედება“. კალუგის რაზმეულის მოქმედების შესახებ მოდიოდა მეტად სასიხარულო ცნობები, რაც ყველას და განსაკუთრებით გენერალ შეპელევს ახარებდა, რადგანაც იგი თავდებად დაუდგა ვლადიმერ იაშვილს.

**22 ოქტომბერს შეპელევი ატყობინებდა მთავარსარდალს, რომ იელნიას გზაზე მას „დახვდა მოწინააღმდეგის რაზმი, რომელიც თავად იაშვილის მოქმედების წყალობით სწრაფად და ენერგიულად უკუაგდეს“.**

კალუგის გუბერნატორის წერილის მიღებისას კუტუზოვმა არ იცოდა გენერალ იაშვილის წარმატების შესახებ, მაგრამ ფელდმარშალს ჰქონდა იაშვილის საბრძოლო თვისებების შესანიშნავი დახასიათება, რომელიც მას მისცა გენერალმა შეპელევმა და, ბუნებრივია, რომ მას ჯარში სწორედ ასეთი გენერალი სჭირდებოდა. ამავე დროს მთავარსარდალს არ შეეძლო, ანგარიში არ გაეწია კალუგის გუბერნატორის წერილისთვის, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იაშვილის საქმის შესახებ ეცნობა პოლიციის მინისტრს, რაც იმპერატორსაც ნიშნავდა. კუტუზოვმა იცოდა, რომ იმპერატორი მაინცდამაინც კეთილად არ იყო მისადმი განწყობილი და უსიამოვნო შედეგების თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა, თვითონ მიეწერა იმპერატორისთვის. 26 სექტემბერს მან შეადგინა პატაკი, რომელშიც თავის გასამართლებლად ამბობდა, რომ მან არაფერი იცოდა იაშვილზე დაწესებული პოლიციის ზედამხედველობის შესახებ.

ალექსანდრეს, რომელსაც არ უყვარდა კუტუზოვი, მიეცა საშუალება, შენიშვნა მიეცა მისთვის. 3 ოქტომბერს ფელდმარშალის სახელზე გაგზავნილ რესკრიპტში იგი წერდა:

**„თავადო მიხაილო ლარიონის ძევ! დიდად გაოცებულმა შევიტყვე თქვენი ერთ-ერთი პატაკიდან, რომ თქვენს სამსახურში აგიყვანიათ გადასახლებაში მყოფი ცნობილი იაშვილი ისე, რომ ანგარიში არ გაუწიეთ გუბერნატორის შეტყობინებას, რომლითაც იგი გაუწყებდათ, რომ იაშვილზე ზედამხედველობაა დაწესებული. თქვენ დაისაკუთრეთ უფლება, რომელიც მხოლოდ მე მაქვს, რისთვისაც გისაყვედურებთ და გავალებთ, დაუყოვნებლივ შევცვალოთ იაშვილი და გააგზავნოთ იგი სიმბირსკში, გუბერნატორის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ“.**

ალექსანდრე I ისე იყო აღშფოთებული კუტუზოვის საქციელით, რომ თავისი ხელით დაწერილ რესკრიპტის შავ პირზე, რომელიც არაკჩეევს გაუგზავნა, წააწერა: „რა თავხედობაა“.

იმპერატორის სიმკაცრე იაშვილის მიმართ აიხსნება არა იმდენად მისი მონაწილეობით პავლეს მკვლელობაში, არამედ უფრო იმით, რომ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მას დიდი პრეტენზიები ჰქონდა და, რაც მთავარია, ალექსანდრემ ვერ დაივიწყა მისი წერილის საკმაოდ გამომწვევი ტონი.

ასეა თუ ისე, მონარქის რესკრიპტმა გადაწყვიტა იაშვილის ბედი: კუტუზოვი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა იგი სამსახურიდან. 31 ოქტომბერს მთავარსარდალმა პატაკით მოახსენა იმპერატორს, რომ „გენერალ-მაიორი იაშვილი თავის სოფელს დაუბრუნდა“.

**ამრიგად, ვლადიმერ იაშვილის მეტად სასარგებლო და წარმატებით დაწყებული მოქმედება, იმპერატორის ნებასურვილით უდროოდ იქნა შეწყვეტილი. ამიტომ მისი მონაწილეობა 1812 წლის სამამულო ომში, უკეთ რომ ვთქვათ, ძალზე ხანმოკლე იყო, სულ რაღაც 40-56 დღე. იგი გარდაიცვალა 1815 წელს დაპატიმრებისა და სიმბირსკში გადასახლების მოლოდინში.**





## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მერვე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# 10 ყველაზე დიდი გამოგონება, რომელმაც შეცვალა მსოფლიო



1989 წელს **ბურნერს-ლიმ** ურთიერთკავშირის ფანტასტიკური საშუალების პროექტი წარმოადგინა, რომელიც დღეს გლობალური ქსელის სახელითაა ცნობილი და პლანეტის მოსახლეობის მეოთხედს (1.5 მლრდ კაცი) აერთიანებს.



კომპიუტერის შექმნამ ბოლო საუკუნის ყველა გამოგონება აზრობრივად დააჯამა. ის ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის, ნებისმიერ მანძილზე მისი გადაცემის ძირითად საშუალებად იქცა.

1973 წლის აპრილში კომპანია „მოტოროლას“ მთავარმა ინჟინერმა მარტინ კუპერმა პირველი მობილური ტელეფონით დარეკა, რითაც კაცობრიობის ოცნება მომენტალური უსადენო კავშირის შესახებ რეალობად აქცია. თუმცა ფიჭური ტელეფონების წარმოება კომერციულ საფუძველზე მხოლოდ 1983 წელს გადაიყვანეს. დღეს მსოფლიოში უკვე 3.3 მლრდ ფიჭური ტელეფონია.



MOTOROLA



ბიოპროთეზების შექმნას ჩასანერგმა ელექტრულმა კარდიოსტიმულატორებმა მისცა ბიძგი. უაილსონ გრეითბეჩმა (1919 წ.) შენიშნა, რომ ხელსაწყოს იმპულსის სიგნალმა გულისცემის იმიტირება მოახდინა. კონსტრუქციული ცვლილებების შეტანის შემდეგ მან თავის ფარდულში 50 ელექტრული სტიმულატორი ააწყო. დღეს მოწინავე ტექნოლოგიად მიიჩნევა ტვინის სტიმულატორების ჩანერგვა, იგი ეფექტურად ებრძვის დეპრესიას, ეპილეფსიასა და ტვინის შერყევას.



სხვა რთული ტექნიკური გადაწყვეტილებების მსგავსად, **ტელევიზია** რამდენიმე გამომგონებლის ძალისხმევით შეიქმნა და განვითარდა. 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ. როგოზინმა მსოფლიოში პირველად ელექტრულ-სხივური მილის მინის ეკრანზე გამოსახულების დემონსტრირება მოახდინა. 1928 წელს გამომგონებელმა ბორის გრაბოვსკიმ მოძრავი გამოსახულების მანძილზე გადაცემის მეთოდი აღმოაჩინა, ხოლო 1929 წელს ვლადიმირ ზორკინმა მაღალვაკუუმური მიმღები ელექტრულ-სხივური მილი გამოიგონა, რომელსაც კინესკოპი უწოდა. კინესკოპი და მისი მოდიფიკაციები შემდგომში ყველა ტელევიზორში გამოიყენეს.



დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი სსრკ-ში 1957 წლის 4 ოქტომბერს გაუშვეს. ამჟამად დედამიწის ორბიტაზე 3000-ზე მეტი თანამგზავრი ბრუნავს, რომლებიც კომუნიკაციის, თვალყურის დევნებისა და ნავიგაციისთვის გამოიყენება.



1945 წლის აგვისტოში აშშ-მა ორი ატომური ბომბი ჩამოაგდო იაპონიის თავზე და 200.000 კაცი იმსხვერპლა. ბირთვულმა აფეთქებებმა მეორე მსოფლიო ომის დასასრული და ახალი ბირთვული ერის დაწყება აღნიშნა. 1957 წელს ქალაქ შიპინგპორტის მახლობლად (პენსილვანია) მსოფლიოში პირველი ბირთვული რეაქტორი გაუშვეს, რომელიც პიტსბურგსა და მიმდებარე რაიონებს ელექტროენერგიით ამარაგებდა.



ლაზერის გამოგონებაზე პატენტი გორდონ გუდს ეკუთვნის. თავდაპირველად ინტენსიური სინათლის სხივი ლითონებისა და სხვა მასალების დასაჭრელად და საბურღავად გამოიყენებოდა. 1964 წელს კუმარ პატელმა დიოქსიდური ლაზერი გამოიგონა, რომლის საშუალებითაც ქირურგებმა ურთულესი ოპერაციების ჩატარება შეძლეს.

ოპტიკური ბოჭკოს შიგნით სინათლის გადაცემის პრინციპის დემონსტრირება პირველად დედოფალ ვიქტორიას (1837-1901) მმართველობის ხანაში მოხდა. თანამედროვე ოპტიკური ბოჭკოების განვითარება 1950-იან წლებში დაიწყო: ამრეკლავი ნივთიერებით დაფარული მოქნილი მინის წკნელები გამოსახულებას ერთი ბოლოდან მეორეში მკაფიოდ გადასცემდა.



კოსმოსში მოგზაურობამ ადამიანებს მზის სისტემის პლანეტების გამოკვლევის, მთვარეზე დაშვების საშუალება მისცა.
ახლა სხვა პლანეტების ჯერია...



# ყველაზე ეგზოტიკური ხილი

ბანანი, კივი, ფეიხოა, ფორთოხალი, მანგო, მარაკუია, მანდარინი, ანანასი თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდება. თუმცა, მსოფლიოში უამრავი ისეთი ხილი და ბოსტნეული მოჰყავთ, რომელთა არსებობაზეც არასოდეს გვსმენია:



ნესვი „კივანო“



რომანესკუ



ბუდას მტევანი



ლაპა-ლაპა



დურიო



მონსტერა



დრაკონის ხილი



ჟაბოტიკაბა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე უჩვეულო საწოლები

**ადამიანთა უმეტესობას ჩვეულებრივ საწოლებში სძინავს. თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომელთა საძინებელიც მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივისგან.**



არქიტექტორ **ჟილ ებერსოლს**, რომელიც ცოლთან ერთად საფრანგეთში, ლიმუზენის რაიონში ცხოვრობს, შვილები ესტუმრნენ და ისიც იძულებული გახდა, ბორბლებიანი ოთახი აეგო.



მხატვარი **ოლივიე ურმანი** სან-ოუენში ცხოვრობს. მარტოს რომ არ ეძინოს, ბულტექსის ქაფისა და აკრილის ბეწვისგან ეს საწოლი-სკულპტურა შექმნა და „ღვთაებრივი დედაბუნება“ უწოდა.



ილუსტრატორმა **იპოლიტ რომენმა**, რომელიც თაყვანს სცემს ჩინურ ნაწარმს, უცხოეთიდან ეს უზარმაზარი საწოლი ჩამოიტანა.



მწერალმა **ჟერარ დე ვილიემ** თავისი ოთახის დიზაინის შექმნისას გადაწყვიტა, რომ „ომამდელ საროსკიპოში“ სურდა ძილი.



არქიტექტორ **ნატალი ვოლდბერკს** კიდულ საწოლზე სძინავს, რომელიც მისთვის სიმშვიდის, გონმიხდილობისა და არარსებობის სიმბოლოა.



მეჯინიბე **ბოდუენ დე ლა მოტ სენტ-პიერმა** მაკე ცხენებისთვის თვალყურის სადევნებლად თავისი საწოლი პირდაპირ საჯინიბოში დადგა.



**კლო ბლუმის** ახალ საცხოვრებელ ბინაში, რომელიც პარიზის I კვარტალში მდებარეობს, მხოლოდ საწოლი დგას. ამიტომაც კლო უმეტეს დროს წევს.



შეფ-მზარეულ **ალენ პასარს** ღამით ბოსტანში სძინავს, ან ჩავლილ დღეს აანალიზებს და სამომავლო გეგმებს აწყობს.



პომპიდუს ცენტრის სართულის მენეჯერი **რაფაელ ბიანკი** ღამეებს სახურავზე, პოლიკარბონატისგან დამზადებულ მოდულში ატარებს.



კომედიურმა მსახიობმა **ჟოზეფინ დე ლა ბომმა** საზაფხულო საწოლი რაჯისტანიდან ჩამოიტანა და პარიზის ცენტრში, თავისი მშობლების ბაღში დადგა.



## ყველაზე საოცარი ბაღი

**ბრიტანული ტელეშოუს წამყვანმა ჯეიმს მეიმ თავისი ბაღი პლასტილინისგან გამოძერწა. ამ საოცრების შესაქმნელად მეიმ 24 ფერის 2.5 ტონა პლასტილინი დახარჯა.**



## გიგანტური ჭადრაკი

ესპანელმა დიზაინერმა ჯეიმი ჰეიონმა ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე გიგანტური ჭადრაკი შექმნა. ამ კომპოზიციას „ტრაფალგარის ბრძოლის პროექტის რეინტერპრეტაცია“ ეწოდა.



## უზარმაზარი ბანქოს სახლი

ამერიკელმა ბრაიან ბერგმა 44 დღე მოანდომა ბანქოს დასტებისგან უდიდესი კაზინოს მაკეტის შექმნას. სარეკორდო ნაგებობის აგებისას არქიტექტორს არ გამოუყენებია არც წებო და არც ფხრიწი. ვენეცია მაკაოს კაზინოს ასლის სიგრძე 10.6 მ-ია, სიგანე — 3 მ და 272 კგ-ს იწონის. ნაგებობის შესაქმნელად 218792 კარტი, ანუ 4051 ბანქოს დასტა გამოიყენეს. ეს უზარმაზარი „ბანქოს სახლი“ ჩინეთში, აომენის (მაკაო) ადმინისტრაციულ რაიონში აშენდა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ სასტუმრო კომპლექსად ითვლება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## შიშველი წყვილი ფანჯრიდან გადავარდა



**გერმანულ ქალაქ ლიუბეკში შეყვარებულებმა საიდუმლო შეხვედრებისთვის ბინა იქირავეს და ყველაფერი მართლაც საიდუმლოდ რჩებოდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს სექსის დროს ამ ბინის ფანჯრიდან არ გადმოცვივდნენ.**

მეუღლეების მოღალატე წყვილს იმ დღეს სიყვარულით ტკბობა ფანჯრის რაფაზე მოუნდა და ძალიან გაუმართლა, რომ ბინა პირველ სართულზე იქირავეს. პირველი ქალი გადავარდა, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი პარტნიორისთვის ხელი არ გაუშვია და ისიც თან გადაიყოლა.

ყველაფერი მრავალჯერადი მოტეხილობით დასრულდა. მას შემდეგ, რაც ასფალტზე დანარცხებული შიშველი წყვილი ყურადღების ცენტრში მოექცა, ქალმა უმალ დაიწყო იმის მტკიცება, რომ საერთოდ არ ახსოვს, როგორ მოხვდა იქ. სხვათაშორის, იმავე დღეს მოღალატე ქალის ქმარიც გადმოვარდა სახურავიდან, ოღონდ ის შიშველი არ იყო — სახურავის შეკეთებას გადმოვარდნამდე ჩაცმული ცდილობდა.

## ავსტრიაში სააღსარებლოს საუნად გამოყენება აკრძალეს



**ავსტრიის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელმა, მღვდელმა ერიხ ლაიტენბერგერმა სააღსარებლოს ერთადგილიან საუნად ან ბარად გამოყენება აკრძალა.**

შესაბამისი განცხადება ტაძრის მსახურმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ინტერნეტ-აუქციონ eBay-ზე ავსტრიის კათოლიკური ტაძრის სააღსარებლო გაიტანეს. მღვდელი აღაშფოთა, როგორც თავად გაყიდვის ფაქტმა, ასევე ლოტის აღწერილობამაც, რომელშიც ეწერა, რომ სააღსარებოში შეიძლებოდა გაკეთებულიყო ერთადგილიანი საუნა ან მინი ბარი.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ აუქციონზე ლოტი რეკონსტრუქციის პროცესში მყოფმა ვენის ტაძარმა გაიტანა და საიტიდან მხოლოდ მას შემდეგ ჩამოიხსნა, რაც ლაიტენბერგერმა აიმაღლა ხმა. მანამდე ლოტს 40-ჯერ მოემატა ფასი და მომცრო ზომის ხის ჯიხურის უმაღლესმა ფასმა 666,66 ევრო შეადგინა.

## ალერგია ფულზე



**33 წლის ბრიტანელ ივონ საიმონს ფულზე ალერგია აღმოაჩნდა. ქალი ხელს ვერ ეხება ვერც ქაღალდის კუპიურებსა და ვერც მეტალის მონეტებს, რადგან შეხებისთანავე კანზე გამონაყარი უჩნდება.**

საიმონის თქმით, მას ეს უცნაური დაავადება, უკვე დიდი ხანია, აწუხებს, მაგრამ ალერგენზე ტესტი სულ ახლახან გაიარა. ექიმმა დაადგინა, რომ ქალს ალერგია იმ მეტალზე აქვს, რომლისგანაც მონეტები იჭრება, და იმ საღებავზე, რომლითაც ფულის ბანკნოტებია დაბეჭდილი. რაც ყველაზე საინტერესოა, სეიმონის ალერგია არანაირ მკურნალობას არ ექვემდებარება. საბრალო ქალი ხელების დასაცავად ხელთათმანსაც ვერ გაიკეთებს — კიდევ ერთი ნივთიერება, რაზეც მას ალერგია აქვს, ლატექსია. ამ გამოუვალი მდგომარეობის გამო ივონს ჩანთაში ნაღდი ფული არასდროს აქვს. აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში მხოლოდ პლასტიკური ბარათებით სარგებლობს, მათზე ალერგია ჯერ არ დაწყებია.

# ზესაიდუმლო ამერიკა: სამყარო, რომელსაც ვერავინ აკონტროლებს

გაზეთმა „The Washington Post“-მა დაიწყო პროექტი „ზესაიდუმლო ამერიკა“, რომელსაც, სარედაქციო სტატიის თანახმად, თითქმის ორი წლის მანძილზე ამზადებდა. პროექტი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სისტემის კოლოსალურ ზრდას ეხება. სისტემა იმდენად მასიურია, რომ ხელისუფლებაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ბოლომდე ერკვევა მასში.




**არავინ იცის, საერთო ჯამში რა ჯდება ეს გასაიდუმლოებული სამყარო, რამდენი ადამიანია მასში დასაქმებული, რამდენი პროგრამა მიმდინარეობს მის ფარგლებში და რამდენი უწყება ასრულებს ერთსა და იმავე სამუშაოს ერთდროულად. გამოძიების მასალების მიხედვით, კონტრტერორისტულ საქმიანობასთან, ეროვნულ უსაფრთხოებასთან და დაზვერვასთან დაკავშირებულ პროგრამებში დაახლოებით 1271 სახელმწიფო ორგანიზაცია და 1931 კერძო კომპანია მონაწილეობს. ზესაიდუმლო ინფორმაციასთან დაახლოებით 854 ათასი ადამიანი დაიშვება. ვაშინგტონსა და მის შემოგარენში 2001 წლის შემდგომ პერიოდში აშენდა ან ამ დრომდეც შენდება 33 კომპლექსი, რომლებიც განკუთვნილია ზესაიდუმლო სადაზვერვო სამუშაოებისათვის. ამ შენობების საერთო ფართი 17 მილიონი კვადრატული ფუტია.**

მრავალი სპეციალური და სადაზვერვო სამსახური ასრულებს აბსოლუტურად ერთსა და იმავე ფუნქციას, რაც ზედმეტ სამუშაო ადგილებსა და ზედმეტი ხარჯების აუცილებლობას ქმნის. **მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების ფულად ნაკადებს აშშ-ში 51 ფედერალური ორგანიზაცია და სამხედრო უწყება აკონტროლებს. დოკუმენტებისა და მოსმენების შედეგად ექსპერტები წელიწადში 50 ათას ანგარიშს წერენ, ამიტომ მათგან მრავალი უყურადღებოდ რჩება.**

**მიუხედავად იმისა, ცსს-ს დირექტორი იქნება ის თუ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, ერთი ადამიანის ტვინი ვერაფრით მოიცავს ამ სისტემას მთლიანად და სწორედ ეს უთხრა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ახლახან ჟურნალისტებს.**

მის სამინისტროში არის მაღალჩინოსან და უფლებამოსილ თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც აქვთ იმის საშუალება, რომ იცოდეს სამინისტროს ყველა ნაბიჯის შესახებ. სწორედ ამ თანამშრომელთაგან ერთ-ერთმა გაზეთს უამბო, რომ ყველაფრის საქმის კურსში ყოფნისათვის წაიყვანეს ბნელ ოთახში, დასვეს პატარა მაგიდასთან და განუცხადეს, რომ სადმე რაიმეს ჩანიშვნა კატეგორიულად აკრძალულია. ამ გაფრთხილების შემდეგ ეკრანზე სამინისტროს მიმდინარე პროგრამებს მანამ უჩვენებდნენ, სანამ მაღალჩინოსანმა არ იყვირა — „საკმარისია“. ამ მეთოდით რაიმეს დამახსოვრება მისი ტვინისთვის, უბრალოდ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

**გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტ ჯონ რ. ვაინსს შარშან** პენტაგონის ზესაიდუმლო პროგრამების კონტროლი დაავალეს. როგორც მან აღმოაჩინა, აშშ-ში არ არსებობს სამსახური ან უწყება, რომელსაც აქვს სათანადო უფლებამოსილება და ვალდებულება, განახორციელოს ყვე-




**ლა სპეცსამსახურის მუშაობის კოორდინირება. ამის გამო მათი მუშაობის ეფექტურობის დათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.**

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებით დაკავებული უწყებებისა და კერძო ფირმების ქსელის ბირთვად შეიძლება „ლიბერტი-კროსინგი“ ჩაითვალოს. ეს არის არაოფიციალური სახელწოდება კომპლექსისა, სადაც ეროვნული დაზვერვის დირექტორის კანცელარია და მისი ეგიდით მოღვაწე ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრი მუშაობს. ეს არის ფანჯრებიანი ბეტონის გორა, რომელიც ზომით Wal-Mart-ის ხუთ სუპერმარკეტს აღემატება. მაგრამ „ლიბერტი-კროსინგი“ სულაც არ წარმოადგენს სისტემის ყველაზე მსხვილ, ყველაზე ძვირადღირებულ ან ყველაზე საიდუმლო ელემენტს.

**2009 წელს აშშ-მა დაზვერვაზე ბიუჯეტიდან 75 მილიარდი დოლარი დახარჯა, რაც 21,5-ჯერ აღემატება 2001 წლის 10 სექტემბრის მაჩვენებელს. მაგრამ ეს მხოლოდ ღია სტატისტიკაა, რომელშიც არაა გათვალისწინებული შეიარაღებული ძალების უამრავი პროექტი და არაერთი კონტრტერორისტული პროგრამა.**

**2004 წელს ბუშის ადმინისტრაციამ აშშ-ის კონგრესთან ერთად შექმნა ნაციონალური დაზვერვის დირექტორის კანცელარია (ODNI), მაგრამ იდეამ ვერ გაამართლა. ნაციონალური დაზვერვის დირექტორს არ ჰქონდა მკვეთრი იურიდიული და ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი და არ შეეძლო იმ უწყებების კონტროლი, რომელთა მართვაც თეორიულად ევალებოდა.**

გარდა ამისა, ჯერ კიდევ დირექტორის დანიშვნამდე დაიწყო ომი გავლენისათვის. ცსს-მ გაზარდა საიდუმლოების ხარისხი, რითაც ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებს მთელ რიგ მასალებზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ.

**უშიშროების სამინისტროს სისტემები დღეში 1,7 მილიარდ ელექტრონულ წერილს, სატელეფონო ზარის ჩანაწერსა და სხვა ინფორმაციას იღებს. ნაციონალური კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორი მაიკლ ლაიტერი ოთხ მონიტორს უყურებს იმის გამო, რომ მონაცემთა ბაზები არაა გაერთიანებული.**



20-30 წლის დაბალანაზღაურებადი ანალიტიკოსები, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, აშშ-ის მტრის წინააღმდეგ მტკიცებულებებს ეძებენ ნაგვიდან დაწყებული ყველგან, სატელეფონო საუბრების ფრაგმენტების ჩათვლით. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტში განთავსებულია ამ ანალიტიკოსთა 60 საიდუმლო საიტი, რომლებიც გაუქმებულად ითვლებოდა მათი ზედმეტობის გამო.

ანგარიშების მოცულობა ამავე ანგარიშების მიზნებს ვნებს. აშშ-ის პოლიტიკოსებისა და ადმინისტრაციის მაღალჩინოსანთა უმეტესობა საერთოდ არ კითხულობს დაგროვილ ცნობებს. ისინი მხოლოდ მათთვის განკუთვნილი ბრიფინგებიდან იღებენ ინფორმაციას. შედეგად ჩნდება იგივე პრობლემა, რასაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მიზეზად მიიჩნევენ — ინფორმაციის არასაკმარისი გაცვლა. ამიტომ ODNI–მ 30-მდე უწყებისა და 63 საიტიდან მოკრებილი ანგარიშებიდან მნიშვნელოვანის ამოსაკრებად ქსელური გაზეთი „Intelligence Today“ დააარსა.

**მხოლოდ პენტაგონის ეგიდით 18 სამმართველო და სააგენტო ახორციელებს საინფორმაციო ოპერაციებს უცხოელი აუდიტორიის მიერ აშშ-ის პოლიტიკისა და სამხედრო ოპერაციების აღქმის სამართავად.** ყველა მსხვილი სადაზვერვო სამსახური და სულ მცირე ორი სამხედრო შტაბი კიბერომებში პირველობისათვის იბრძვის. კიბერომების სფეროს გაკონტროლება ძალიან ძნელია გავლენისათვის უწყებათშორისი ომების გამო; ეს ის სფეროა, რომელიც კარგად ფინანსდება.

**პენტაგონში არის ზესაიდუმლო პროგრამების ჯგუფი, რომელზე წვდომაც უკიდურესად შეზღუდულია. მათი კოდური დასახელებების სია 300 გვერდს მოიცავს. ყველა პროგრამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ღმერთმა უწყის. საიდუმლოების ფარდით არც თუ იშვიათად სარგებლობენ მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენების ან აბსოლუტურად არაეფექტური პროექტების შენარჩუნების მიზნით. ერთადერთი, რასაც ODNI-ი ახერხებს, ყველაზე გასაიდუმლოებული პროგრამების სიის შედგენაა, მაგრამ პენტაგონის უამრავი პროგრამა და მნიშვნელოვანი პროექტი არც ამ სიაშია.**

Washington Post

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ავღანური რებუსი

**სად მიდის ფონდებიდან ავღანეთის რეკონსტრუქციისთვის განკუთვნილი ფული? სადღაც ქრება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. უკანასკნელი სამ-ნახევარი წლის მანძილზე ოთხ მილიარდზე მეტი დოლარი შეიფუთა და ჩაიტვირთა თვითმფრინავებში, რომლებიც ქაბულიდან გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდნენ. თუმცა ყველაფერი მთლად ასე ბურუსითაც არაა მოცული. თითქმის დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ამ თვითმფრინავებს პირველი გაჩერება დუბაიში ჰქონდათ. ავღანეთის თავზე მდებარე გზის უკანასკნელ მონაკვეთზე სათუთად ჩალაგებული ფულით დატვირთული თვითმფრინავები პატივს მიაგებდნენ შახ მასუდის ძეგლს და ფრენას განაგრძობდნენ საჰაერო დერეფნით, რომელსაც „კამიკაძის პროსპექტი“ ეწოდება.**





**მთელი ეს გასათეთრებელი ფული ნარკოტრაფიკის, ასევე საველე მეთაურების, პოლიტიკოსებისა და კლანების ხელმძღვანელების მიერ საერთაშორისო კონტრაქტორებისაგან მიღებული ქრთამით მოგროვდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი თანხაა, მით უფრო, ქვეყნის სიღატაკის გათვალისწინებით — ავღანეთის საერთო შიდა პროდუქტმა 2009 წელს სულ 13,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხაზინა ცარიელია, ვინაიდან გადასახადებიდან და საბაჟოდან მიღებული შემოსავლები საველე მეთაურებისა და თალიბების ქრთამებზე იხარჯება.**

პარადოქსი ისაა, რომ საკმაოდ დაბნეული წესრიგის მცველისა და კორუფციონერი ჰამიდ ყარზაის მთავრობა, ქაბულის კონფერენციაზე 52 ქვეყნისა და საერთაშორისო ინსტიტუტების 12 დელეგაციის წარმომადგენლისაგან საერთაშორისო დახმარების სულ მცირე 50%-ის დამოუკიდებლად განკარგვის უფლებას ითხოვდა. ამ დახმარებამ 2001 წლიდან დღემდე უკვე მიაღწია 40 მილიარდს, რაც, მართალია, აშშ-ის მიერ სამხედრო მიზნებით წელიწადში დახარჯულ 50 მილიარდზე ნაკლებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი თანხაა.

**შეიქმნება 600-მილიონიანი ნდობის ფონდი, პრეზიდენტი კი 50-მილიონიან პერსონალურ პორტფელს მიიღებს. ეს ფული იმ თალიბების რეკონსტრუქციასა და რეინტეგრაციაზე უნდა დაიხარჯოს, რომლებიც იარაღს გვერდზე გადადებენ. ლონდონის კონფერენციის გეგმას ირონიულად ეწოდა „ათი დოლარი თალიბისათვის“. სინამდვილეში თუ პარტიზანული ომის მწარმოებელი 36 ათასი ბოევიკი და 900 საველე მეთაური დადებს იარაღს, თითოს დაახლოებით 20 ათასი დოლარი შეხვდება.**

ამ პროგრამას რაიმე წარმატება რომ ჰქონდეს, აზრიც ექნებოდა, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამოსავლის იმ სტრატეგიის ღირებულება, რომელიც ახალი ადგილობრივი მილიციის შექმნას გულისხმობს, პროგრამირებულ თანხას ბევრად აღემატება. **ავღანელები (სახელმწიფო მოხელეები იქნებიან ისინი თუ თალიბები) ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გამოწურონ საერთაშორისო ძალებს, რომლებმაც, როგორც ყარზაის მიერ წარმოდგენილ კალენდარშია აღნიშნული, ქვეყანა 2014 წელს უნდა დატოვონ. ეს, მართალია, ინგლისელებს ძალიან უნდათ, მაგრამ ამ დროისათვის თარიღი ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.**

**ასეა თუ ისე, დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ კონფლიქტის დარეგულირების სადავეები თავად ავღანელებს უნდა გადაეცეთ, ადგილობრივმა სამხედროებმა და პოლიციამ ზოგიერთ პროვინციაში უსაფრთხოება თავად უნდა აკონტროლონ. პროცესი მიმდინარე წლის ბოლოდან დაიწყება, მანამდე კი საერთაშორისო ღვეზელია გასანაწილებელი.**

ამ თამაშს ავღანელები მართავენ. 60-იანი წლების დასაწყისში დურანების მონარქიამ, რომელიც ცივ ომში ორ ბლოკს შორის ლავირებდა, მოახერხა, რომ საერთო ჯამში იმ დროისათვის ძალიან დიდი თანხა — 500 მილიონი დოლარი მიეღო დახმარებისა და შეღავათიანი სესხების სახით როგორც საბჭოთა კავშირისგან, ასევე აშშ-სგანაც. მაგრამ, შესაძლოა, ეს მხოლოდ დამთხვევაა, რომ ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი ათწლეულობით იბრძოდა ანარქიასა და სამოქალაქო ომებში ჩაძირული ქვეყნებისათვის, რომელთაც უკვე შეწყვიტეს არსებობა. ოცდაათი წლის შემდეგ ამ ტერიტორიებზე გადაიგზავნა არა მხოლოდ ფინანსები, არამედ ადამიანური რესურსებიც, რათა მოუთვინიერებელი ეთნიკური მოზაიკის ფრაგმენტები კვლავ ერთად შეკრებილიყო.



**ამერიკელები ისე გაბრაზდნენ ავღანური კორუფციის გამო, რომ კონგრესმა 3,9 მილიარდი დოლარის ფონდები გაყინა და კონფერენციის მოწვევა გაამართლა. როგორც ჩანს, ევროპელებიც მათ მიბაძვას აპირებდნენ და 600-მილიონიანი დახმარება სამი წლით შეაჩერეს. მაგრამ არჩევნების წინ ევროპამ უკან დაიხია და სახსრები გაათავისუფლა. თეორიულად მათ ხარჯვას უშუალოდ ამერიკელები და ევროპელები ან მსოფლიო ბანკის მსგავსი ინსტიტუტები აკონტროლებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაიმე პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გახდება ქრთამის გაცემა და ავღანელ ხალხამდე თანხის მხოლოდ გარკვეული ნაწილი მივა.**

**კანადაში დიპლომირებული ფინანსთა მინისტრი ომარ ზახარველი ირწმუნება, რომ ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი თანხიდან სულ მცირე ორი მილიარდი კორუფციასა და გამომძალველობას ემსხვერპლა. ამავე მინისტრმა ამერიკის კონგრესს მისწერა წერილი, რომელშიც დაადასტურა, რომ ავღანეთიდან საჰაერო გზით 4 მილიარდი დოლარი გაიტანეს.**

ავღანეთის დონორი ქვეყნების მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე ქაბულში 52 ქვეყნისა და საერთაშორისო ინსტიტუტების 12 დელეგაციის წარმომადგენელთა შეკრების წინ რასმუსენმა ერთ-ერთი გერმანული გაზეთის ფურცლებზე განაცხადა, რომ „ავღანეთს საერთაშორისო საზოგადოებისაგან მუდმივი დახმარება დასჭირდება“. კონფერენციას თავად რასმუსენიც ესწრებოდა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც. განსახილველი საკითხი ყველასათვის ცნობილია: ქვეყნის აღდგენა და ეროვნული უსაფრთხოების ყველა მიმართულების ავღანური მთავრობისათვის გადაცემა.

რასმუსენმა ნატოსა და მის წევრებს ავღანეთის მთავრობასთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე შეთანხმებისაკენ მოუწოდა. მისივე თქმით, აუცილებელია, ავღანელმა ხალხმა იცოდეს, რომ „ჩვენ მათ მხარეს ვრჩებით“ და ამ ქვეყანას აღარ მიეცემა უფლება, კიდევ ერთხელ იქცეს ტერორიზმის სავანედ.

**„საერთაშორისო მონაწილეობის ცხრა წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფასი, რომლის გადახდაც მოგვიწევს, მოსალოდნელზე ბევრად მეტია — განსაკუთრებით საერთაშორისო ძალებისა და ავღანელი სამხედროების მხრიდან დახოცილი ჯარისკაცების მხრივ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ თავიდანვე სათანადოდ ვერ შეაფასა ამ პრობლემის მასშტაბურობა“, — ამბობს რასმუსენი.**

მისი აზრით, თალიბების დასაყრდენ პუნქტებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციები გაცილებით უფრო დაძაბულ ბრძოლებს განაპირობებს და, „სამწუხაროდ, იქნება ახალი დანაკარგები“. მაგრამ რასმუსენმა ისიც თქვა, რომ ამ სამხედრო ოპერაციებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, „ისინი თალიბებს ასუსტებს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით“.

**ბრიტანული გაზეთი „Independent“-ი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ წერდა, რომ ქაბულის კონფერენციის რეზოლუციის იმ პროექტის თანახმად, რომელიც რედაქციას ჩაუვარდა ხელთ, ავღანეთის ჯარი ქვეყანაში სრულ სამხედრო კონტროლს 2014 წლისათვის გადაიბარებს. ამასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა, რომ „აქამდე არასდროს დაუნახავთ ავღანეთის მომავალი ასე გარკვევით“.**

inosmi.ru

## ლოკოკინების რბოლა



**ბრიტანეთის ნორფოლკის საგრაფოს სოფელ კონგემში ლოკოკინების რბოლა გაიმართა. ტურნირის გამარჯვებული ლოკოკინა სინდი გახდა. მან 32-სანტიმეტრიანი დისტანცია 3 წუთსა და 41 წამში გაირბინა.**

სულ შეჯიბრში 200 ლოკოკინა მონაწილეობდა. ისინი ფინალში გადამწყვეტი სტარტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამართული საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარების შემდეგ მოხვდნენ.

რბოლა სველი ნაჭრით დაფარულ მაგიდაზე გაიმართა. ამგვარი „მოედანი“ სპეციალურად შეირჩა, რათა მოლუსკებისათვის მოსახერხებელი ყოფილიყო. მაგიდაზე დასმის შემდეგ პატრონს თავის ლოკოკინასთან შეხების უფლება აღარ ჰქონდა. გამარჯვებულმა საჩუქრად სალათის ფურცლებით სავსე უზარმაზარი ფინჯანი მიიღო. ლოკოკინების რბოლის უკანასკნელი რეკორდი 1995 წელსაა დაფიქსირებული. მაშინ რეკორდმსმენმა მოლუსკმა არჩიმ 32-სანტიმეტრიანი დისტანცია ზუსტად ორ წუთში დაფარა.

## ჯარიმა უსახელო ბავშვის გამო




**შვედეთის ქალაქ ნასშეში წყვილი იმისთვის დააჯარიმეს, რომ მათ თავიანთი 16 თვის ბავშვის სახელი ოფიციალურად არ ჰქონდათ დარეგისტრირებული. შვედეთის კანონების თანახმად, ბავშვს დაბადებიდან მაქსიმუმ სამი თვის შემდეგ ოფიციალური სახელი უნდა ჰქონდეს.**

ქვეყანაში ახალშობილთა რეგისტრაცია საგადასახადო სამსახურს ევალა. მარტში დაბადებული ბავშვის ოფიციალური სახელი სამი თვის შემდეგ რომ არ დარეგისტრირდა, ამ სამსახურმა მის მშობლებს კანონი შეახსენა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. მოკლედ, 16-თვიანი ლოდინის შემდეგ საგადასახადო სამსახურს მოთმინების ფიალა აევსო და უსახელო ბავშვის გამო მისი მშობლები 820 დოლარით დააჯარიმა.

## ნაყინი ბრიტანელი ძაღლებისათვის



**ბრიტანეთის პარკებში სპეციალურად ძაღლებისათვის შექმნილი ნაყინის გაყიდვა დაიწყო. სპეციალური ფურგონები ქვეყნის ყველა პარკში ივლის.**

იდეის ავტორების განმარტებით, ძაღლებისათვის ნაყინი სპეციალური რეცეპტით მზადდება და ამ რეცეპტის დამუშავების პროცესი მთლიანად ძაღლების გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით მიმდინარეობდა. საბოლოოდ მიღებული პროდუქტი ტექსტურით, ტემპერატურითა და გემოთი მისი ადამიანური პროტოტიპისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ძაღლების ნაყინი მარწყვის ან კარამელის ნაცვლად, ქათმის ხორცის არომატითაა და ზემოდან ძვლის ფორმის ფხვიერი ორცხობილითაა მორთული.

მართალია, ინგლისელები, დიდი ხანია, ძაღლებისთვის ნაყინის შექმნაზე საუბრობენ, მაგრამ მათ ამ იდეის განხორციელება ბელგიელებმა დაასწრეს — ივლისის დასაწყისიდან ბელგიაში იყიდება სპეციალური ნაყინი ძაღლებისათვის, რომლის ექვსულუფიანი შეკვრა დაახლოებით ხუთი დოლარი ღირს.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

**J იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Mn მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —

# ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**




# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

დღეიდან ტექნიკის მაღაზიათა ქსელი **„ტექნო ბუმი“** ნამდვილ ბუმს იწყებს და პირველად საქართველოში ბუმის საბითუმო ცენტრს საზეიმოდ ხსნის, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **ტექნო ბუმში** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი „ბუმის ცენტრში“ უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net